

1168  
2002

კვირის პალიტრა

# პეპა

სვ

N22(103) 30/IV.-5/VI.2002

ფასი 60 თ.



**სულხან  
მოლაშვილისა  
და სკოლის  
მასწავლებლის  
უხნაური რომანი**


**„ის პედაგოგი ჩემს  
სანიჟვარულო ამბებში  
ერთადერთი და  
განუგებორობელი იყო“**

**პრაგედიები ნიჩბისში:**

**სიყვარული, ეკვლემოგა  
და... შურისძიება**



**ვინ არის  
ნიკა მამანიშვილი**



**რომარ  
კელაპატრიშვილის  
საბავშვო ფერო  
მე-10 ამბულა**





**გვ. 24**

*ქეთი კეკელია:*

**„...უკვე ყველაფერს მივეჩვიე,  
ერთადერთი, რაც ვამბობ  
სიბყვას „ქმარს“, მესინება...“**



**მინიატურები**

„პირველად იყო სიტყვა...“ 3

**ერთი კითხვა**

3

**ფსიქო-ემოციური პორტრეტი**

სულხან მოლაშვილი  
ტულატიდან თავის დასაღწევად  
მოაღბილეს მოუხმობს... 6

**ტალანტი**

კონსერვატორიის  
ბოქლოვდაღებული სარლაფიდან  
ვენაში მიღწეულ ტრიუმფამდე 9

**ბავაზი და შვილები**

„ჩემი ამერიკელი მამის  
მართხე ცოლი სერბია“ 12

**კრიმინალი**

● „ჩემი შვილის ქორწილი ვერ  
აიტანეს, რაგონივით თვეში  
მომიკლეს კიდეც...“ 14

● „აღამიანი რომ ერთ დანაშაულს  
ჩაიღონ, პროკურატურამ მას  
ხუთში არ უნდა დასდოს ბრალი“ 16

**ოჯახი**

ბასა ამ ქორწინების  
წინააღმდეგი იყო ანუ „კველი  
ბიჭი“, რომელმაც ფრენსიუმილის  
ოჯახში „შეაღწია“ 18

**უნაშანი**

118 წლის სამბრადიელი  
ნიწო სტურუა არასწორმა  
მკურნალობამ შეინძრა 21

**ანტიდარკანანი**

ინფორმაციულ-შეფხვნიებითი  
კოლაჟი გონა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 22

**კოლეა**

ქეთი კეკელიას ცოლად მოყვანას  
სჯობს, სახლში რადიო ან  
ტელევიზორი მიიტანო... 24

**პერსონა**

გიგი წერეთელს  
არ მოსწონს საქართველოს  
ღრობა და ღვაწიანი  
მღვთმარეობა, სამაგიეროდ,  
მოსწონს სიღებრი... 26

**ტანტი**

ერთგული მკითხველი 28


**მონატრება**

შეუხმობელი: მამარ  
კელაბრიშვილს საულაკში  
„თბილი მარჯვენა“ ჩააყრღეს 29

**სამყარი**

გაკერებული თოქინები 32

**ადგილობრივი თვითმმართველობა მეფის რუსეთისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირობებში**



სათათბიროში ქართველთა რიცხოვრივი წილი, 10 პროცენტზე არ იყო. უმრავლესობა შექმნა სომხურმა ბურჟუაზიამ, რაც შეეხება „ოპოზიციას“ – ის ძირითადად ქართული საშუალო და წვრილი ბურჟუაზიული ელემენტებით და თავდადებულად იყო წარმოდგენილი.

41

**„კველი ბიჭი“, რომელმაც ფრენსიუმილის ოჯახში „შეაღწია“**

ღელავ და ბასაც სასტიკი წინააღმდეგობები იყვნენ. მე და გიორგიმ გაქსი გავაჩერეთ და ერთად საცხოვრებლად გადავედით. ოჯახისგან წინააღმდეგობის გაწევას ამერი არ ჰქონდა, თანაც, მორისს ნათქვამი ჰქონდა – სცადოსო.



18

**მეკლურობის შედეგ, სოფლის მოსახლეობა მკვლავების სახლ-ბარი გაღწევა**



ორ ოჯახს შორის წლების მანძილზე არსებული კონფლიქტი საბოლოოდ, მუხანათური მკვლევლობით დასრულდა. ალიკა ალავერღაშვილი სოფლის გზაზე, ღვთისთა და ყველასთვის მოულოდნელად, სანადირო თოფით მოკლეს. როგორც ამბობენ, მიზეზი ქორწინება ვახდა...

14

**შეუხმობელი: მამარ კელაბრიშვილს საულაკში „თბილი მარჯვენა“ ჩააყრღეს**

თმარი თავისი მშობლების მეცხრე შვილი იყო. ჩემს დედამთილს ექვსი შვილი მოუკვდა. საბრალო ისე გამწარებულა, რომ გადაუწყვეტია თავი მოეკლა. შიმშილობა დაუწყია. ერთ ღღესაც, მშვიერმა დაიძინა. სიზმარში უფალი გამოეცხადა.



29

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



**ტრადიციები**

მათთვის, ვისაც განსხვავებული საღებავებელი დაღვევა ყანწით უყვარს... 34

**მუნღიანი**

● მოვლენა, რომელმაც შეცვალა მსოფლიო 36  
● რამდენიმე ეპიზოდი მუნღიანის წინა ორობრიანიდან 39

**ისტორიის ფურცლები**

ალბილობრივი თვითმმართველობა მუჟის რუსეთისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირობებში 41

**პარსკვლავი**

სანდრა ბალოკი – „მის უბელური შემთხვევა“ 44

**ავტო**

47

**რომანი**

მერაბ ბურჭულაძე. შეკვეთილი მკვლელობა (გაბრკელება) 48

**გომონდი**

52

**ფსიქოლოგი**

ოქროს კალმის რტო ლაქვარდოვან სანაპიროზე 54

**ჯანმრთელობა**

● სახსრების დაავადება 55  
● ექიმი გვირჩევს 55  
● კითხვა-პასუხი 56

**Alma Mater**

კონტინენტის უკველანი უნივერსიტეტი ანუ 58 ნობელიანტის მშობელი ჰარვარდი (დასასრული) 58

**სასარგებლო აზრები**

აზორიგებების ენციკლოპედია 60

**საანოვარი**

61

**ჰოროსკოპი**

ჰვირის (3-9 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

რა ალბილი აქვს ტანსაცმელს თქვენს ცხოვრებაში? 63

**კალიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

**გარეკანზე: გიორგი შორაშულიანს კოლაში**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გაყოლის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთი „ჰვირის კალიტრის“ დაგატევა  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**როგორ უნდა შეარჩიოთ ფეხსაცმელი, რომელზეც ფეხი არ დაგეღვება?**



მოიზომეთ ორივე ფეხსაცმელი, რადგან როგორც წესი, ერთი ფეხი მეორეზე ოდნავ დიდია. ფეხსაცმლის შექენა დღის ბოლოსაა უმჯობესი. ქალებმა ფეხსაცმელი არ უნდა მოიზომონ მენსტრუაციის დაწყების წინ...

55

**61 წლის ნუგზარ პარია ფლორიდაში ცხოვრობს**

მამა და გვიად გამსახურდია ბავშვობის მეგობრები იყვნენ. დიდი კონსტანტინე და ბაბუაჩემიც მეგობრობდნენ. იმ საღამოს, გვიადიც დაესწრო. მერე, ვახშამი გაიმართა ოპერაში, თამადა ბორის წიფურია იყო. მოგვიანებით კი, „მეგებსში“ გადავინაცვლეთ.



12

**სანდრა ბალოკი – „მის უბელური შემთხვევა“**




მორიგი სასიყვარულო თავგადასავალი სამი წლის შემდეგ გადახდა, მაგრამ ისიც წარუმატებელი აღმოჩნდა... წმინდა ვალენტინის დღეს, სანდრამ მეთიუს საოცარი ამბავი აცნობა: ის მგონი, ორსულად იყო... შეყვარებულთა დღე ამ ამბავმა სამგლოვიარო დღედ აქცია.

44

**შეყვითილი მკვლევრობა**


ავიღოდა ერთ-ერთი მრავალსართულიანი შენობის სახურავზე და მოყვარული გურისტივით ჭოვრივით ათვალეირებდა არემარეს, ქალაქის ხედს. თუმცა კი, მისი ჩანაფიქრი არც ისეთი გულუბრყვილო იყო.



48



# ვაი და არ გამოჩნდეს?..



„აბანოში გამოჩნდება, არსენ, შენი ვაჟკაცობა!“ – ქართული ფოლკლორის „მარგალიტის“ – „არსენას ლექსის“ ეს სტრიქონი ყველას ახსოვს და როგორც ხალხური შემოქმედების სხვა, არაერთი ნიმუში, ისიც მთარულ ანდაზად იქცა და ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა: ამ „აფორიზმს“ მაშინ ეუბნებიან კაცს, როდესაც რაიმე საქმეს არის შეჭიდებული და დამავიწყებელი ფაზისთვის ემზადება. მაგალითად: ფეხბურთელს – თასის ფინალური მატჩის წინ; სტუდენტს – დიპლომის დაცვისას; ექიმს – რთული ოპერაციისთვის მზადებისას; პოლიციელს – საშიში რეციდივისტის შესაწყობად ოპერაციაზე წასვლის წინ და ა.შ. ცხადია, პოლიტიკოსების „აბანო“ – არჩევნები და წინასაარჩევნო კამპანია გახლავთ და ამ „აბანოში“ მექისის, ან „ბან-შიკის“ როლში (გააჩნია, რომელ აბანოს ვიგულისხმებთ – თბილისურ გოგირდისას, თუ რუსულ-ფინურ ორთქლისას) ე.წ. იმიჯმეიკერები, სხვადასხვა პარტიის გაზეთები და „დამოუკიდებელ“ პრესაში მოღვაწე დაქირავებული ჟურნალისტები ასრულებენ, რომლებიც ხელებზე კანის გადაგლეჯამდე, ხმის ჩახლეჩამდე და კალმის გაცვეთამდე ცდილობენ ისე „გახეხონ“ და „განბანონ“ თავიანთი ფავორიტები თუ შემეკვეთები, რომ ლამის ანგელოზებად მოგვაჩვენონ და ხშირად ეს გამოსდით კიდევ – თანამედროვე გენეტიკისა და სელექციისათვის ზომთერი ყვავისა და უკუზო აქლემის გამოყვანა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.



ჰოდა, გაივსო ტელეეკრანები და გაზეთის ფურცლები მამაცი კურდღლებით, მომღერალი ვირებით, ფეხმარდი ლოკოკინებითა და ფუტკრად „გადაკეთებული“ ტარაკნებით... „აბანო“ კი, მთელი დატვირთვით მუშაობს – ხეხავს და ხეხავს, ათეთრებს და ათეთრებს... მართლა, „გათეთრებაზე“ გამახსენდა: იმ ფრაზამ, რომელიც არსენა ოძელაშვილსა და თბილისის აბანოს ეხება, დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა და ასეთი სახე მიიღო: „თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდება!“ სულ ბოლოს კი, მთლად დაკონკრეტდა ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომლის ფერზეც არის მასში საუბარი და თვით „აბანოც“ მხოლოდ დასაბან-დასახეხ-გასალამაზებელი ობიექტის ფუნქციას აღარ დასჯერდა და ვიდაც-ვიდაცების „დუნდულების“ ფერის „გამაიასნებელ-გამაბაზრებლადაც“ იქცა.

ამიტომ, ჩვენს „საარჩევნო აბანოს“ რაც შეეხება, ისიც კეთილსინდისიერად უთავსებს ერთმანეთს ძველსა და ახალ ფუნქციას: „იმიჯსაც აკეთილშობილებს“

და, თუ დაკვირვებული თვალის პატრონი ხარ, ამ „გაკეთილშობილებამდე“ ფერსაც ადვილად შეამჩნევ, ვისაც საჭიროა.

ერთი სიტყვით, 2 ივნისს დიდი „აბანოს“ დღეა დანიშნული მთელ საქართველოში. ყველა გაფაციცებით ემზადება: „დამბანელიც“ და „დასაბანიც“! ამ მზადებაში კი თანამედროვე მეცნიერების ყველა „მიღწევა“ მოქმედებს: ამომრჩევლისთვის თვალბეჭდში ნაცრის შეყრა, „დაბოლება“, თავის მოქონვა, თვალის ახვევა და სხვა...

მაგრამ ამ ბოლო დროს „მთავარ აბანოში“, რომელსაც „ცენტრალურ საარჩევნო კომისიასაც“ უწოდებენ, ისე აირია სიტუაცია, რომ მგონი, „დაკეტვის პირას“ არის მისული და ვშიშობ, წყალში არ ჩაყვართ ამოდენა შრომა, დასაბანებსაც და დამბანებსაც.

ექვსის საფუძველს კი იმ „მთავარი აბანოს“ „დირექტორისა“ და მისი ხელქვეითების გაუგებარი მოქმედება მადღვეს ამ ბოლო დროს – ჯერ ის ვერ გაარკვიეს, რამდენნი იყვნენ, მერე ერთმა „დასაბანმა“ მეორეს უჩივლა, – ეგ აბანოში შესაშვები არ არის, მოურჩენელი ინფექციური დაავადება სჭირს და აბანოს წაბილწავსო. ამათაც ოფიციალურად აუკრძალეს აბანოში შესვლა... მერე იმ მომჩივანის ჯანმრთელობაც ექვსის ქვეშ დადგა, მერე სხვამ ურიგოდ შესვლა მოინდომა და... მოკლედ, აებნა თავგზა აბანოს უფროსობას და თვით აბანოს მეპატრონეც, რომელიც არა მარტო ამ აბანოს, არამედ ყველაფრის მეპატრონეა, ისე საეჭვოდ დუმს, რომ მგონი, მართლა ტყუილად იხეხ-იწმინდეს ამ საცოდავებმა...

P.S. ტყუილად დაბანას რაც შეეხება, ვფიქრობ, დაახლოებით ისეთი სიტუაცია შეიქმნება, როგორც ერთ ძველ ანეკდოტშია:

მარო დილიდან ეჯიჯღინება მიხოს:  
– მიხო, დაიბანე, რა... სტუმრები უნდა მოვიდნენ... მიხო ჯიუტობს.  
– დაიბანე, კაცო, სირცხვილია, ყველამ ზო არ უნდა განახოს ეგეთი ტურტლიანი.  
ბოლოს და ბოლოს, დაითანხმა.  
დაბანილ-დავარცხნილი მიხო სარკეში იყურება და ბოლმით ამბობს:  
– აჰა, დავიბანე! ერთი არ მოსულან ის შენი სტუმრები და მერე ნახამ, რაც მოგივა...

პრომოკატორი



„ცნსკო პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხითა დაკომპლექტებული“

— რამდენად ფხიზლად ადევნებს თვალს წინასაარჩევნო კამპანიას საზოგადოება „სამართლიანი არჩევნები“ და რისი თქმა შეგიძლიათ იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ხშირად ცვლის თავის გადაწყვეტილებებს?

**ნუგზარ კუპრაიშვილი**, „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი:

— ამ ეტაპზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წინასაარჩევნო კამპანია სრული დარღვევით წარიმართა: არ არის

დაცული არანაირი ვადები და კონსტიტუციით დადგენილი წესები. წინასწარი პროგნოზის გაკეთება კი მხოლოდ იმის შესახებ შეგვიძლია, რომ ამ არჩევნებზე ამომრჩევლის აქტიუობა ძალიან დაბალი იქნება. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ცვლის ასე ხშირად ცნსკო გადაწყვეტილებებს — მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: საარჩევნო ადმინისტრაციები არაკომპეტენტურები



არიან. ხშირ შემთხვევაში, მათ არ იციან კანონი, ზოგჯერ კი იციან, მაგრამ მას უბრალოდ არ იცავენ. სხვა რით შეიძლება ავხსნათ ის, რომ ასე იოლად იღებენ გადაწყვეტილებებს, მერე კი, ზეწოლის შედეგად, ასევე ადვილად ცვლიან?! საარჩევნო ადმინისტრაცია არ არის დამოუკიდებელი და ის პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხითა დაკომპლექტებული.

„არჩევნებში მონაწილეობას პროკლამაციების წერა სჯობს“

— რა მიზანს ისახავს ის პროკლამაციები, რომლის გაფრცვლელბასაც ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საარჩევნოდ გვამავს?

**ირაკლი წერეთელი**, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:

— პროკლამაციას, საავტოციო ხასიათი აქვს და მოსახლეობას მოუწოდებს, არ გამოცხადდეს 2 ივნისს დაგეგმილ არჩევნებზე. მოქალაქეებს ვთავა-



ზობ, საარჩევნო ბარათები გაუზავნონ კომისიას, რათა არჩევნების შემდეგ დამტკიცდეს, რომ სინამდვილეში, არჩევნები არ შედგა. ჩემმა პარტიამ ბოიკოტის გზა აირჩია იმის გამო, რომ არ ენდობა საარჩევნო კომისიას, რომელიც აზურადაც გააყალბებს არჩევნებს — ისევე, როგორც ეს მრავალგზის გაუკეთებია. ცნსკო გამარჯვებულად დაასახელებს მას, ვისი გამარჯვებაც ამჟამინდელ პრეზიდენტს აძლევს ხელს. ამ

არჩევნებსაც, მართავს და ღირიურობს ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ცბიერ კატას ჰგავს: დაიჭერს ვირთხებს და შემდეგ ყველას შეჭამს. ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც ამ არჩევნებზე მისი გავლენის ქვეშ მოექცა, ბოლოს ერთი ბედი ეწევა — ბედი, რომელიც მოქალაქის ხედა წილად. იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს კი, რომლებიც შევარდნაძის ფრთის ქვეშ გამოიჩვენენ და დღემდე იქ თავს თბილად გრძობენ, ადრე თუ გვიან, ფუნაიას ბედის გაზიარება მოუწევთ. ვფიქრობ, არ ვცდები, როდესაც ვამბობ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას პროკლამაციების წერა სჯობს.

„ჩვენს პოლიტიკოსებს მსახიობური ნიჭი არა აქვთ“

— როგორც პროფესიონალ თეატრმცოდნესა და განათლებით მსახიობსაც, არ გამოგებარებოდათ რამდენად გულწრფელი არიან ჩვენი პოლიტიკოსები იმ ემოციების გამოხატვისას, რაც მათგან წინასაარჩევნო პერიოდში მოდის. რა ნიშანს დაუწერდით მათ „არტისტობაში“ და მიიღებთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას?

**ნათელა შრუშაძე**, თეატრმცოდნე, პროფესორი:

— ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საუბარში ხშირად ვუბნებით ხოლმე ერთმანეთს: აბა, ახლა ნუ არტისტობთქო, — მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რა არის სინამდვილეში მსახიობობა ან რას ნიშნავს მსახიობური მონაცემები. მსახიობობა არის სხვა ადამიანის განსახიერების ნიჭი და ჩემი აზრით, მოქმედი პოლიტიკოსებიდან ეს ნიჭი არც ერთს არა აქვს. პოლი-



ტიკოსები გვთავაზობენ მხოლოდ საკუთარ, ადამიანურ ემოციებს და ეს ემოციები, საარჩევნოდ მათ უფრო უაქტიურდებათ. ისინი განასახიერებენ მხოლოდ საკუთარ თავს, გვიჩვენებენ საკუთარ სახეს. მათი პირადი ემოციები კი, არანაირ კავშირში არ არის ხელოვნებასთან. მსახიობური ემოცია იცით, რა არის? მა-

გალითად, გარდასახვაში გამოხატული ოტელის ემოცია. როგორ შეიძლება, ამ თეატრალური ემოციის პოლიტიკურ ემოციასთან შედარება? მოკლედ, ჩემი პასუხი ასეთია: ჩვენი პოლიტიკოსები არ „არტისტობენ“, ვერ ავლენენ მსახიობურ მონაცემებს, იმიტომ, რომ ის მათ უბრალოდ არა აქვთ. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს — არჩევნებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. წავალ, აბა, არ წავალ?!



ფრენკლინი

თუკი მართლაც ვხედავ სხვებზე უფრო შორეულ პერსპექტივას, მხოლოდ იმიტომ, რომ გოლიათების მხრებზე ვდგავარ.

ისააკ ნიუტონი



# „კოტე ყუბანიშვილი არჩევნებზე არ წავა“

— ბატონო კოტე, რას აპირებთ 2 ივნისს — წახვალთ არჩევნებზე და მოიხდით მოქალაქეობრივ მოვალეობას თუ არა? **კოტე ყუბანიშვილი**, პოეტი:



— რა თქმა უნდა, კოტე ყუბანიშვილი არჩევნებზე არ წავა. იმიტომ, რომ არავისი არ მჯერა. ყველას ძალიან

კარგად ვიცნობ, ვიცი, ვინ რა გააკეთა, ვინ რა კაცია და ამიტომ ვამბობ: სანამ ეგენი ყველანი არ დაიხურავენ ქუდს და არ გ...ენ აქედან, შევარდნადის თამაშობით, მანამდე არაფერი გვეშველება. ისე, ამთ ფონზე, მე მგონი, ყველას ის ბებერი ჩ...ი სჯობია. ახლა, თუ გინდათ ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელიც ამ არ-

ჩვენებს მიუძღვენი.  
წლენი გაგვირბის ბედის ქრიალიში  
ამდენ უაზრობებს ვინ გვაპაყვებს  
გეპაყვებითი ჩვენს პარყვასი  
ვინც ხმას არ აძლევთ  
ნაწინობ პარყვებს  
თავებს ვისიებისმენიის ყბედლითი  
და არავინ გვაყვებს მტყუის მიწვევლი  
ფიონზე ასეთი უიმედობის  
ხელთუვნებაა გადამოჩენელი.

# „კორუფცია სათავეს იღებს სხსოვში და ბრძელდება ხალხში“

— თქვენ, როგორც მოქალაქე, რას ელით ამ არჩევნებისგან და რამდენად მასშტაბურად შეიძლება იყოს შეჭრილი საარჩევნო კამპანიაში კორუფციის ელემენტები?

**გივი თარგამაძე**, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი:

— როგორც მოქალაქე, აუცილებლად მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას და ვფიქრობ, არც ჩემი წინასწარი პროგნოზი აღმოჩნდება მცდარი. საქართველოში ყოველთვის ხდებოდა არჩევნების გაყალბება, მაგრამ ტექნიკურ გაყალბებას არასოდეს ჰქონია ადგილი. როცა საუბრობენ ე.წ. „კარუსელზე“, სულ მგონია, რომ გაყ-

ალბების ტექნოლოგიის ტერმინების ცოდნით ბაქიბუქობენ, სინამდვილეში კი არავინ იცის, რა არის ეს. საქართველოში ადგილი ჰქონდა მასობრივ გაყალბებას. ისეთ მასობრივს, როგორსაც მხოლოდ „ბეზპრედელი“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ამდენი ხალხი ერთ მექანიზმზე ვერ შეთანხმდება და რომც შეთანხმდნენ, ამას ვერ განახორციელებენ. რაც შეეხება კორუფციას, ის



უდავოდ არის არჩევნების თანმხლები. ის სათავეს იღებს ცესკოდან და გრძელდება ხალხში, რომელსაც ღიად სათავაზობენ ფულს იმისათვის, რომ ამა თუ იმ პარტიას დაეხმაროს. ჩემი ინფორმაციით, არც ცესკოში გამოირჩეოდა ვინმე დიდი კეთილსინდისიერებით, მაგრამ ახლა ისეთი საპასუხისმგებლო არჩევნებია, რომ ყველამ საკუთარ სინდისს და პატიოსნებას უნდა მოუხმოს.

# „ზუგდიდში ქველი ათმა ნარკომანმა გახსნა“

— რატომ გამოხვედით ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ძეგლის გახსნის წინააღმდეგ და რას უპასუხებთ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელმაც განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ მანანა არჩეაძეს კი არა, მთელ საქართველოს ეკუთვნის?

**მანანა არჩეაძე-გამსახურდიბი**, ექსპრეზიდენტის ქვრივი:

— ზვიად გამსახურდიას ძეგლი ზუგდიდში „ხუნტის“ ათიოდე



წარმომადგენელმა ადმირთა. ეს ხალხი დღეს ყველგან ახსენებს ზვიად გამსახურდიას სახელს, რომ ამქვეყნად რაღაცას მაღწიოს. ეს „რაღაც“ კი დღეს, მმართველობითი ორგანოების ხელში ჩაგდებაა. ძეგლის გახსნის დღეს, ხუნტის წარმომადგენლობა 10-12 კაცს შეადგენდა, აქედან ათი გახლავთ ნარკომანი — რომელიც სიტუაციას ვერ აკონტროლებს. ერთ-ერთი კი არის ავანტი იმ ქვეყნისა, რომელმაც ეღუარდ შევარდნადის ბან-

დებთან ერთად, საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაამხო. რაც შეეხება მის განცხადებას, რომ გამსახურდია მთელ საქართველოს ეკუთვნის — მაღლობა ღმერთის, რომ ისინი ამ დასკვნამდე მივიდნენ, მაგრამ ბიუსტის დადგმა გამოწვეულია არა ზვიად გამსახურდიას სიყვარულით, არამედ ადგილი აქვს მისი ავტორიტეტის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის. მე დღესაც იმავე აზრის ვრჩები: ზუგდიდში ძეგლი ათმა ნარკომანმა გახსნა, მათი მცდელობა კი — გამოიყენონ ზვიად გამსახურდიას სახელი — კრახით დამთავრდა.

# „ყოველმა ადამიანმა თავისი პოზიციის უნდა დააფიქსიროს“

— სად აპირებთ 2 ივნისს „დროის გატარებას“ დათო დოიაშვილი?

**დათო დოიაშვილი**, რეჟისორი:

— სად და საარჩევნო ყუთთან. არჩევნებზე აუცილებლად მივალ და იქ გავაკეთებ ჩემს არჩევანს. მიმაჩნია, რომ ყოველმა ადამიანმა, თავისი პოზიცია აუცილებლად უნდა დააფიქსიროს. მე,

სიმართლე რომ გითხრათ, პოლიტიკაში ცუდად ვერკვევი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გულგრილობა კარგს არაფერს მოგვიტანს და არჩევნებში ყველამ, ყოველმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა. უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია. დანარჩენი კი — პასუხისმგებლობა, იმ ხალხმა უნდა აიღოს, ვისაც ის ეკისრება.







კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მართალია, დაბადებიდანვე თანამდებობის პირი არ იყო და შალსტუხის ნაცვლად, ჩვილის ჩვეულებრივი პიუჰმა ეცვა, მაგრამ თუ მისი ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, თავიდანვე ჩინოვნიკის კომპლექსი ტანჯავდა. მოგვიანებით ეს კომპლექსი მისი კარიერის მასტიმულირებელი გახდა. საქართველოს მთავარი მაკონტროლებელი ყველაფერს პროფესიონალის თვალთ უყურებს და ერთი შეხედვით იცის, ნეთი თუ პროვინება რა ღირებულებასაა. თურმე, ნუ იტყვით და, ბატონი სულხანი ფესაცემელსაც კი, ყიდვისას ადგილზე არ ისინჯავს: მისთვის ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისია, რათა ზუსტად გამოიცნოს — მოერგება თუ არა. ესოდენ თავდაჯერებული და შეუმცდარი კონტროლიორი, ყველაფერს მაინც ვერ აკონტროლებს. ბევრი რამ მის ცხოვრებაში, მასთან შეუთანხმებლად ხდება. მაგალითად, ბატონმა სულხანმა ვერც კი შეამჩნია, როდის გაიზარდა 193 სმ სიმაღლემდე. სამაგიეროდ, ზედმინევით ზუსტად იცის, როდის აკრიფა ზედმეტი კალორიები და 115 კილოგრამით, მიძიმონთან ჩინოვნიკთა არმიას შეემატა. ბატონი სულხანის ფეხის ზომა 43-44-ია. ჯანმრთელობას არ უჩივის და წნევაც სტაბილური — 120-80-ზე აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი ენები ამბობენ — სულხან მოლაშვილი დაუმსახურებლად მოხვდა ამ დიდ თანამდებობაზე და არც ახლობელ-ნათესავთა მფარველობა აკლიაო, — ამ აზრს ბევრი არ იზიარებს და პირველ რიგში, თავად ბატონი სულხანი. ნივნებისადმი მიდრეკილება ადრეულ ასაკში გამოვამჟღავნეო, — მითხრა, — და არც მასწავლებლებისადმი ვიყავი გულგრილიო.

# სულხან მოლაშვილი ტუალეტიდან თავის დასაღწევად მოადგილეს მოუხმობს...

მაია შაშვიანი

— სკოლა წარჩინებით დავამთავრე. განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა. პროფესიაც თავიდანვე მქონდა არჩეული და ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტში, საგამომიებო კრიმინალისტიკის ფაკულტეტზე გადავრბე.

— იურისტობა გარკვეუნილად, ექსტრემალურ სიტუაციებთან ასოცირდება. თქვენ კრიტიკულ სიტუაციაში როგორ იქცევით — იბნევით თუ თავშეკავებული ხართ?

— სიმშვიდეს ნებისმიერ სიტუაციაში ვინარჩუნებ, ჩხუბის დროსაც კი. როცა ყვირილით მელაპარაკებან, მე წინარად ვასუსობ. სიმათლე რომ ვითხრათ, თავიდან ვერც კი ვიგებ, რა უნდათ, ერთი კვირა ვფიქრობ და მერე ვიწყებ ამ თემაზე საუბარს, — რასაკვირველია, მშვიდად.

— წარმოიდგინეთ: ისევ სკოლის მოსწავლე ხართ. ღონისძიებაზე სტუმრებს ელოდებით. თქვენი ფესაცემელი გაცვეთილი და ცოტა დახეულია; სხვა არ გაქვთ — არადა, ამ ღონისძიებაზე თქვენი დასწრება აუცილებელია. რას იზამთ?

— რადგან დასწრება აუცილებელია, წავალ. როგორი ფესაცემელი მექმევა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

— თუკი მოსწავლეებიც და სტუმრებიც თქვენს ფესაცემელს მოჯადოებულუბებით მიამტყრდებიან, განწყობილება არ შეგეცვლება?

— რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის უსამოუნო იქნება, მაგრამ... ისე მოვიტყევი, რომ მათი ყურადღება მიიპყროს არა დახეულმა ფესაცემელმა, არამედ — მე.

— მაინც რას მოიმოქმედებთ ასეთს? — არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, რაიმეს ექსტრავაგანტურს.

— ისე, ხშირად იქცეოდით ექსტრავაგანტურად?

— ნუ იტყვით, უამრავი მაიმუნობა ჩამიღენია... ერთი ძალიან ლამაზი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი გყავდა. რომელ საგანს ვასწავლიდა, არ გეტყვით. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი შორიდან ვერაშიყვებით... აი, კარგა, რომ დამარუხეთ ბავშვობაში...

— მერე, მერე, მასწავლებელი როგორ ხვდებოდა ამ შორით ტრფობას?

— ზომიერად, მაგრამ... თვალბში ხომ შეინიშნებოდა ნაპერწკალი... იმდენი ვქენი — მივედი და ვთხოვე: თქვენს საგანში მომამხადეთო. ცოტაოღენი ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა. ბოლოს კი, მამაქმს მომხადების საფასური აღარ გამოართვა...

— ამ ასაკობრივად შეუფერებელი სიყვარულის პარალელურად, სწავლებანათლებისთვის როგორღა იცლიდით?

— მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემი მეგობრები სპორტსაც მივდედით და არც მუშტი-კრივი ვაკლდა, მაინც კარგად ვსწავლობდით. აი, მაგალითად, გოგი კველიშვილმა ნ საათში წაიკითხა „დათა თუთაშხია“ და მერე შექძლო, ნებისმიერი ეპიზოდის ზედმიწევნით ზუსტად მოყოლა. მე „მეზავრის წერილები“ ვისწავლე ზეპირად; ახლაც ვიცი, თუ გინდათ გეტყვით.

— ისედაც მჯერა, ბატონი სულხან, არ არს საჭირო... ამის პარალელურად, რისი გაფუჭება შეგქძლით?

— ამის პარალელურად, შეიძლება ცეცხლი გავეჭინა ან სახლიდან გავპარულიყავით საჩხერეში და მოღინახეს ციხეზე ავსულიყავით. კიდევ რა მაგონდება, იცით? ჩემი სკოლა დიდუბის ეკლესიასთან იყო. სწავლაც 9 საათზე იწყებოდა და წირვაც. მეშიდე კლასში ვსწავლობდი. ალგებრის გაკვეთილი უნდა დაგვეწყობოდა. შემოვიდა მასწავლებელი და დაინახა: მთელი კლასი ფეხზე ვღვავართ და პირველს ვიწერთ. დაიბნა კაცი, აღარ იცოდა, რა ექნა, ერთი კი იკითხა — გაკვეთილი არ დავიწყეთო? — მაგრამ ძალევე ვაჭაჩუმეთ და იმ მიზნით, რომ გაკვეთილი ჩაგვემალა, მთელი ნახევარი საათი პირველს ვიწერდით.

— პედაგოგებისადმი ლტოლვა შემდეგშიც გაგიგრძელდათ თუ უფრო შესაფერისი ტრფობის ობიექტი შეარჩიეთ?

— ის პედაგოგი ჩემს სასიყვარულო ამბებში ერთადერთი და განუყოფელი იყო. ისე კი,



რაც თავი მასსოვს, სულ მიყვარდა ვიღაც. ამ გრძობაში „წყვეტა“ არ მქონია: შეყვარებული ვიყავი ბავშვს, მესამე კლასშიც, მეოთხე კლასშიც, მესუთუმიც და შერეც...

— დღესაც ასე ხშირად იცვლით სიყვარულის ობიექტებს?

— დამეთანხმებით, რომ ცხოვრებაში ერთფეროვნება მოსაბეზრებელია. ისე, ბავშვობაში შეყვარებულია ცვლა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდებოდა. „წესიერად“ შეყვარებას ვერც კი ვასწრებდი, რომ სატრფო სხვა სკოლაში გადადიოდა ან რაღაც სხვა რამ გვაშორებდა... თანაც, ეს, ბავშვური გრძობა იყო — ზუსტად იმის თქმაც არ შემიძლია, ნამდვილად მიყვარდნენ თუ არა.

— ბატონო სულხან, მე მგონი, თავს არიდებთ კითხვაზე პასუხს. კონკრეტულად მითხარით: დღესაც ხშირად იცვლით სატრფოებს?

— ... არა.

— დარწმუნებული ხართ?

— კი.

— მაშინ ის მითხარით — თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

— მაშინ უზენაეს სასამართლოში ვმუშაობდი. თათიას ჩემი რადიონატორეოუ მოუსმენია, ჩემი ვინაობით დანტერესებულა და საერთო ნაცნობებიც აღმოუჩენია. თავიდან, შეხვედრის გარეშე ვახერხებდით ერთმანეთის მოკითხვას. მერე, ტელეფონით დაუკავშირდით და 1993 წლის 1 სექტემბერს, შევხვდი კოდც. 19 დეკემბერს უკვე ცოლად მოვიყვანე.

— თათიამ თქვენი წინადადება პირველვე ცდაზე მიიღო?

— ეს ისე მოულოდნელად მოხდა... მეგობრები, თათიას სახლში შევიკრიბეთ. მე თამადა ვიყავი. ნასვამს წამოძვდა: ვუშინ მე და თათია ერთად ვიყავით-მეთქი. — აი, თურმე რატომ დაივიანა თათიამო, — წამოხტა ტატა — ჩემი მოძავალი ცოლისდა. მერე, მეგობარმა გოგონებმაც „ჩაგვიშვეს“ — ერთმანეთს ხვდებოდნენ. პოდა, აი, მაშინ ვუთხარი თათიას: წამოდი ახლა ჩემთან სახლში-მეთქი... ატყდა ერთი ალაჩიოთი: ფეხსაცმელი არ დავრჩეს, ის მოიხურე, ეს ჩაიცვიო...

— სასიდედრო და საცოლის და, როგორ შეხვედნენ ამ ამბავს?

— რას შერებთო? — ერთი კი იკითხეს, მაგრამ... დღეს მათთან ერთად ვცხოვრობ და გადასარევი ურთიერთობა გვაქვს.

— ძალიან კარგი... წარმოიდგინეთ: მივლინებაში ხართ. სანამ ჩამოხვედით, ცოლმა და სიდედრმა თქვენი სამუშაო ოთახის დიზაინი შეცვალეს და საყვარელი სანერი მაგიდაც ნაგავს გააყოლეს. როგორი რეაქცია გექნებათ?

— ძალიან უარყოფითი. ვერც ერთი, ისინი ამას არ გააკეთებენ. სამუშაო მაგიდაზე, როგორი არეულობაც არ უნდა იყოს, 2-3 თვის წინანდელი ვაზეთიც რომ იდოს, იციან — ის მჭირდება და ხელი არ უნდა ახლონ.

— დაფუშვით, ეს მაინც ჩაივლინეს რას მოიმოქმედებთ?

— მიჭირს პასუხის გაცემა. თავიდან, ალბათ კითხვებს დავსვამდი, ბრანზარევი ტონით.

— ძველ ნეთებთან თქვენი დამოკიდებულება როგორა?

— ტრადიციული. ვეთანხმები აის: „მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია“.

— წარმოიდგინეთ: ოფიციალურ შეხვედრაზე ხართ. მოულოდნელად, მოპრიალე ბულ იატაკზე ფეხი გაგოცურდათ და სტუმრების თვალწინ დაეხრდით. რას იზამთ?

— განსაკუთრებულს არაფერს — წამოვდგები და გავიციებ... ძალიან სასიამოვნო მოგონებად და კურიოზად დამრჩება.

— რა არის ამაში სასაცილო? უხერხულად სულ არ იგრძობთ თავს?


— როგორ არა, მაგრამ გაცინებას მაინც მოვახერხებ. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მასხნდება: ამერიკის ელჩმა პოლონეთში, ვარშავასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ქალაქში, სხვადასხვა ქვეყნის ოურისტიისთვის მიღება მოაწყო. ქალები საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილნი, კაცები — სმოკინგებში. იქ იყო ერთი პოლონელი ოურისტი — ანჯეი ფელინსკი — ახოვანი ტანის, ბლანჟეიანი — ოღონდ, ისეთი არა, ჩვენს პედერასტებს რომ აქეთ... ოდნავ ნასვამი იყო. სურათის გადასაღებად რომ მოვეშხადეთ, ის, კოქტეილით ხელში, ატაკზე წამოწვა და ჩვენც შემოგვთავაზა, ასე მოვეცულოყავით. ზოგმა ჩაიცუცქა, ზოგმა — არა, მაგრამ ვერავინ მიხვდა, რომ ის ამ საქციელით თავისუფლებისადმი ლტოლვას გამოხატავდა... უხერხულობა არც ღირებულებაა და არც აღმზანისთვის დამასასათუბელი თვისება. ასეთი გრძობა მოულოდნელად და ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება განხდეს. მე ასეთი უხერხული სიტუაციებიდან ტრაგედიას არ ვეძი.

— ერთ-ერთი ვიზიტის დროს, თქვენთვის სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდით. დადგა მომენტო, როცა ტუალეტში შესვლა დაგჭირდათ. შესვლით კი შეხვედით, მაგრამ ვეღარ გამოდიხართ — კარი ჩაკეტა რას მოიმოქმედებთ?

— არ დავიბნევი. მობილურით ჩემს მოადგილეს ან ვინმე იქ მყოფ ახლობელს დავურკავ და დახმარებას ვთხოვ.

— თუ კავშირი არ მყარდება?

— ფანჯრიდან გადავებრები და ქუჩაში ჩავალ. ასე მოვიქცი, როცა „პლენხანოვზე“ ჩვენს შენობაში ხანძარი განხდა: მესამე სართულის ფანჯრიდან მუორეზე ჩავედი, იქიდან — პირველზე



მეუღლესთან, თათია პახგურიძესთან ერთად

და ქუჩაში გავედი.

— თუ ის ტუალეტო 50-ე სართულზეა, გარისკავთ ფანჯრიდან გადაძრომას?

— აბა, მუორე დღემდე იქ ხომ არ დავრჩები?! რაღაცნაირად, მოვახერხებ ჩამოსვლას.

— ეი, სიმაღლის შიში არა გექნებ?

— არა და ამის დასტურად გეტყვით, რომ 2000 მეტრის სიმაღლიდან პარასუტით არაერთხელ ვადმოვმსტარებარ.

— თქვენი ნებით?

— კი, ნებაყოფლობით. სამხედრო სამსახურში ყოფნისას ვვარჯიშობდი ხოლმე.

— როგორი რეაქცია გექნებათ, თუ გადმოხტომისას აღმოაჩნთ, რომ პარასუტი არ იხსნება?

— სათადარიგოს გავსენი.

— თუ რაღაც მოხდა და ისიც არ იხსნება?

— მაშინ რეაქციას ვეღარ ასწრებ და ისე ენარცხები მიწაზე. თვითმფრინავიდან სხეულის ვარდნის სიჩქარე არის 35 მეტრი წამში. თუ ამას გავითვალისწინებთ, დაახლოებით 50 წმ-ში, 1 წთ-ში, გვამი ხარ.

— წარმოიდგინეთ: სუფრასთან შევარდნადის სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამენ. დაღვეთ თქვენც?

— ჩვენ ვსვამთ, ხოლმე შევარდნადის სადღეგრძელოს... ამ შემთხვევაშიც დაღვევ, მაგრამ ამას ვინმეს დასანახავად ან გასაგონად კი არ გავაკეთებ: ასეთი რამები არ მიყვარს... ისე კი, ქეთვი რასაც პქვია, მენატრება.

— წესით, არ უნდა გენატრებოდეთ...

— მენატრება და როგორი ქეთვი, იცით? — როცა დრო გექვს და შეგიძლია, ერთი საღამო მოლიანად ქეთვს დაუთმო, ისე, რომ საათს არ უყურო. ასეთი საამოვნება 7-8 წელია, ნაღდად არ მქონია.

— თამაძობა თუ გიყვართ?

— მაინცდამაინც, არა. სიმათრლე ვითხრათ,



მირჩენია, რომ თამაღა სხვა იყოს, მაგრამ ეს ბედნიერება იშვიათად მაქვს. თამაღობაში სასმლის მოჭარბებულ მიღებას ნუ იფულისხმებთ. საერთოდ, გააჩნია განწყობას, სუფრას, ხალხს - ხან მეტს ვსვამ, ხან - ნაკლებს. პატივს ვცემ ქართულ ტრადიციულ სმის კულტურას.

— ეი, ყანსაც ხშირად იშველიებთ ხოლმე?

— არც ისე. ერთი კარგი ყანწი მაქვს, ბაბუაჩემის ნაჟონი - 1 ლ ჩაღის, რქისაა, მაგრამ გამჭვირვალე; ძალიან მოძწონს... ყანწს კიდევ, არა უმავს. მაგრამ ფეხსაცმლიდან რომ სვამენ ხოლმე, ეს ჩემთვის მიუღებელია.

— ბატონო სულხან, დიღით ვარჯიშობთ ხოლმე?

— კი, ცოტას.  
— როგორ, ცოტას?  
— ყოველ დიღით, საწოლიდან აბახანამღე ფეხით მიღვიღარ...

— გასაგებია. ძიღი როგორ გაქვთ?  
— ძიღიან ცუღად მიხნავს.

— ეი, როგორც კი წვებით, მაშინვე ვერ იძინებთ?

— არა, დღღიღოს მაშინვე აღვიღად მეძინება, მაგრამ დიღით, 7 საათზე, 8-ის ნახვეარზე მეღვიღებ.

— ცუღი სოზმრები ხომ არ გოფრთხობთ ძიღს?

— არა. სიზმრებს საერთოდ არ ვხეღავ.  
— საერთოდ არა? — ეს გამორიციხულია; აღბათ, იშვიათად ნახუღობთ?

— იშვიათად, კი. უფრო, „ღოკუმენტურ ფიღმებს“ ვნახუღობ.

— ჯი  
— ჰო, ჰო, ვნახუღობ თათბირებს, საშთაფრობო შეხვეღებებს... ეს აღბათ, ნეგროზის ნიშანია. არა, არა, შინაგანად მშეღიღი და გაწონასწორებული ვარ, მაგრამ არასამსახურებრივ დღღოსა

ბაკურ და ბუბა მოღაშეიღებიღეღასთან ერთად

და სამსახურის დღღოს შორის დიფერენციაციას ვერ ვახეღენ - ყვეღაფერი ერთად მაქვს არეული თავში.

— უსუღლო საგნებს ხშირად უბრაზდებთ? — მაგალითად, ეღვას, ღიღს, როცა არ იკვრება?

— არა, არა, ასეთი რამეები საერთოდ არ მახსიათებს.

— კარგი, ახღა ასეთი სიტუაცია წარმოიდგინეთ: საქმიან პარტნიორთან მნიშვნეღლოვანი მოღაპარაკება გაქვთ. ამ დღღოს, მისი კატა მხარზე ამოგახტათ და კუღი სახეზე მოგითათუნათ. პატრონს ძაღიან უფეღარს თავისი კატა, თქვენთვის კი, მისი კეთიღგანწყობა მნიშვნეღლოვანია. როგორ მოექცეღვით კატას?

— კატა არ მიფეღარს. მისი კუღის ქიციის ვერ ავიღან. წავავღებს ხეღს და ჩამოვსვამ.

— კიდევ რომ ამოგახტეთ, კეღელს ხომ არ მიანარცხებთ?

— არა, მაგას ნამღვიღად არ ჩავიღენ; ისევე მშეღიღად ჩამოვსვამ. ერთხეღ, სარატოვიდან ერთ ქღს ჩავაკითხე სხვა ქღლაქში (ვითომ იქ ქღლები ნაკლებობა იყო, საღაც ვიმიფოფებიღი...). იმას ჰყავღა კატა - ვასკას ეახღდა. ვასკამ ფრენა გაღაწეღიღა და მე-3 სართუღიდან გაღახტა. სტუფმრად სხვა ქღლებიღც იფეღენ. ყვეღანი მის საძებნეღად ეზოში ჩავეღღით. მეც, ვითომ ვეძებღი. იპოვეს და აღმოჩნღდა, რომ უკანა კიღღურები ჰქონღდა ნატკენი. მაშინვე ექმიან, ქღლაქართე წავიფყანეთ. 5 მანეთი იმას მივეცი. თუ ტაქსის ფუღსაც გავითეღალისწინებთ, ამ ტრამეღირებუღმა ვასკამ ჩემი სტუღენტური ბიუჯეტი სრუღად შეიწირა...

— ვასკას შევეშეღათ და არჩევენზე გაღაღვიღეთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენძმა ან ბიძაშეღიღი კენჭს იფროს. მის წინასაარჩევენო კამპანიაზე თანხის ხარჯვის მიერ წარმოდგენიღი ანგარიში ცრუ და ყაღბია. ამის შესახებ თქვენძალიან კარგად იციღთ. რა პოზიციას დაიკავებთ?

— თუ ეს მე არ მეხება, სხვა საქეღა, თუ ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას უკავშირეღება, ვერაფრით დავხმარები, ვერ დავმღავ.

— გაამღლავებთ?

— ახღა, ვერ გეტყვიღთ, რომ პირვეღი გაეიქცევიღ და ვამხეღ. ვეტყვი, რომ დამშებული შეეღღობები გამიასწოროს. თუნღაც ახღობღების გუღისთვის, იმ კომპრომიზზე ვერ წავღლ, რაც ჩემს სამსახურს ფრექციას დაუკარგავს. ამის გამო ნაცნობებისგან არაერთხეღ მსმენია საყვეღური. სანამ კონტროლის პღლატის თავეღღომარე გავხღებოღი, რეზო შავიშეღღმა ერთი ახღღავზრღა კაცი ჩემი რეკომენდაციით მიღღო. მერე, როცა ტესტირება ჩატარღდა, ამ კაცმა სამსახური დაკარგა. მითხრეს კიღევ; შენ რომ ამ თანამღებობაზე არ იყავი, მაშინ სამსახური უმოვეღ და როცა მოხვეღი, ვეღარ დაეხმარეღო...

— ბატონო სულხან, თუ მიღღებღით ისეთ ადამიანს თანამშრომღად, რომელსაც სხვისი დახასიათებით, ზეფერი უარყოფითი თვისება აქვს, მაგრამ ნამღვიღი პროფესიონალია?

— თავს შეეიკავებღი. სხვისი აზრი ჩემთვის ნორმა არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმთან ერთად, თანამშრომღლის პიროვნულ თვისებებსაც ვუწევე ანგარიშს.

— მიწინაძვრის დღღოს პირვეღად ხეღი რას ნამოავღეთ?

— ჩანთას. არა, არა, ჩანთა ახღობეღმა აიღღო, მე მობიღღურს დავავღე ხეღი... და ეს რას ნიშნავს?

— ამას მოგვიანებით შეეიციღობთ.

P.S. რას და - საქართვეღოს „მთავარ კონტროლიორს“ კრიტიკული სიტუაციიდან „გამოძიობაში“ ბღღალი არ მოეპოვება. თანახეღროვე ტენიკის მიღწეღებს, ისევე როგორც თამღობას, მშეწინარეღ ევეება და იცის - საღ, რა, როღის უნღა მოიძიოქეღოს. ბატონი სულხანი საკუთარი თავის კონტროლის უნარს ზეღმიწეწებით კარგად ფღობს და ქეღვის რევეღაციასაც, სიტუაციაზე დაყრდნობით ახორციელებს. ოპტიმისტი და სხვათათვის სტიმიუღის მიმეღები სულხან მოღაშეიღი არც პრეზიდენტის საღღღვრებღოზე ამბობს უარს და არც ბნეღ ოთახში ეხებს შეკატას. კონვეღიტი არ უფეღარს, სიბნეღეები და პრობღებები კი, საერთოდ არ ამინებს. რისკის მოჭარბებული ტრეფიღი და თანამღებობა, ტუღღღღში ჩაკეღების სამიშროებასაც კი უჭარწეღებს; მისთვის ყვეღა კარი თავისთ იღება. მისი „გაკუღრება“ სულაც არ არის აფეღიღი, ამიტომ ჩვეუღი გუღღახღიღობით, შინაურსაც და გარეუღსაც ერთნაირად აფრთხილებს - სულხანი ვარ, იციღღეთ, სხვებში არ შევემღღიღით. ბატონი სულხანის მკაცრი ხასიათით შეშინებულ „გასაკონტროლებღებს“ დავამშეღებ: „როგორც ქეღს, ისე არ წეიღს“ - ისიც ჩვეუღებრივი მოვეღავი და შესაძღოა, ერთს ფექობღღეს და მეორეს ამბობღეს. სანამ რაიმეს გავაღბებღს დააპირებთ, შესაძღო შეღღებების შესახებ კონსულტაციები კონტროლის პღლატის თავეღღღომარესთან ჩაიჭარეთ: თავისი ხასიათიდან გამომღინარე, იგი მშეღიღად მოვისმენთ და ერთი კვირის შეღღევ, ანალიტიკური მსევეღობის შეღღავად, სწორ დასკვნამღევ მივიყვანი. ბატონი სულხანი პირდაპირ არაფერს ითხოვს. უკან დასახევე ვხას ყოვეღთვის იღღოვებს. სასიციციხღო ძაღები რეზერვში უხეღად აქვს თავეღდასაეღები უფეღარს და ზოგჯერ, 2 კურღღღღის დაჭერასაც ახერხებს. ეს ცუღი თვისება როღდა - პირიქით. მისღა საამყოღ შეიღღება ითეღას, რომ ნამღვიღი რეღლისტია, მიწაზე მეარად ღვას. ციღან ვარსკეღავებს არ წევეღს, სამეფიროდ, არც საკუთარი ღღრსეღბისა თუ ნღღეწის დავიწეღების უფღეღებას აძღღებს ვინმეს...





ნიკა მემანიშვილის სახელთან ბევრი სენსაციაა დაკავშირებული. ბავშვობაში იგი ვუნდერკინდად იწოდებოდა: მან 10 წლის ასაკში პირველი დიდი ნაწარმოები — რეკვიემი დაწერა, 11 წლისამ უდირიფორა სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას ასრულებდა, 16 წლის ასაკში კი მისი, როგორც პლანეტის გამოჩენილი ადამიანის სახელი, იუნესკოს ოქროს ნიგში შევიდა. ახლა ნიკა 23 წლის არის და ვენის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობს. როგორ მოვიდა მუსიკალურ სამყაროში, რას აკეთებს დღეს და რას აპირებს მომავალში — ყველაფერი ამის შესახებ თავად გვიამბობს.



# კონსერვატორიის ბოქლომდაღებული სარდაფიდან ჰინაში მიღწეულ ტრიუმფადა

**ნათია თინიაშვილი**

— დავიბადე 1979 წლის 15 მაისს თბილისში — დავიბადე რვათვიანი, ავადმყოფი, ძალიან გამხდარი და ძალიან საწყალი, რის გამოც, ინკუბატორში გამაქანეს. ჩემი მშობლებისთვის ექიმებს უთქვამთ: სჯობს, საავადმყოფოში დატოვოთ, იმიტომ, რომ ვერ გადარჩება, ხოლო თუ გადარჩა, შიზოფრენიით ან მსგავსი საშინელი ავადმყოფობით იქნება დაავადებულიო. დედაჩემის აზრით, იმ ექიმის სიტყვები არ გამართლდა. ვფიქრობ, მან აბსოლუტურად ზუსტი დიაგნოზი დასვა, რადგან ჩემი „შიზოფრენია“ მთლიანად მუსიკასთან არის დააკავშირებული.

**— მუსიკის სამყაროში როგორ მოხვდი?**

— ჩემი მუსიკოსობა ოჯახში არავის უნდოდა. დედაჩემი კარგა ხანი მექაჩებოდა, სამედიცინო ინსტიტუტისკენ. იმის გამო, რომ ექვსი წლის ასაკში ყელში აღმომაჩნდა კისტა და სამი ოპერაციის გადატანა მომიხდა, ექიმის სხენებაც კი ჩემში შიშს იწვევს. აქედან გამომდინარე, ექიმობა ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო. ტრადიციულად, თითქმის ყველა ოჯახში მიღებული იყო, რომ სკოლის პარალელურად, შვილი მუსიკალურ სკოლაშიც მიებარებინათ. მეც, ამ წესის შესაბამისად, მე-9 მუსიკალურ სკოლაში მოვხვდი. მისაღებ გამოცდაზე მაცაცო სებისკვერაძის სიმღერა ვიმღერე. ისე კარგად მიმღერია, რომ კომისია ფეხზე

დამდგარი უკრავდა ტაშს. სასწავლებელში მოვხვდი ძალიან აკადემიური, სერიოზული, კარგი იმიჯის მქონე, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგთან — ლილი გაბუნიასთან. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ძალიან მეზარებოდა მეცადინეობა. დედაჩემი სულ მეუბნებოდა: ქალბატონ ლილის ვერ გაეუბნებოდა, რომ მოუმზადებელი მიხვიდე გაკვეთილზეო, — ჩამკეტავდა ოთახში და მაიძულებდა შემეცადინა. მეხუთე კლასამდე, ცხარე ცრემლებით მივადწიე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მქონდა შემოქმედებითი წარმატებები. ამ პერიოდში ჩემი კონცერტები გაიმართა არა მხოლოდ თბილისში, არამედ გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში. 13 წლის ვიყავი, როცა გერმანიის დიდი ტურნეს შემდეგ იმდენად გადავიღალე, რომ რამდენიმეთვიანი მკურნალობა დამჭირდა, აზრზე რომ მოვსულიყავი. ამ პაუზის დროს მივხვდი: არ შეიძლება ჩემი ცხოვრება მუსიკის გარეშე. თუ მანამდე დედაჩემი მთხოვდა — იმეცადინეო, მერე, პირიქით, მეხვეწებოდა — ცოტა ხანი დაისვენეო...

**— როგორ აღიქვამდი პოპ-**

**ულარობას?**

— არც ერთი წუთით არ მქონდა იმის ამბიცია, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებდი, ჩვეულებრივად მიმაჩნდა. დღეს, ყველა ბავშვს, რომელიც კარგად მღერის, ჰყავს თავისი იმიჯმეიკერი, პროდიუსერი, მენეჯერი, ქორეოგრაფი, თმის ოსტატი და ა.შ. მაშინ ასე არ იყო. ალბათ, ამიტომაც არ ვიყავი აუტირებული ჩემი პოპულარობით.

**— პირველი ნაწარმოები ათი წლის ასაკში დაწერე. რამ მოქცა ამის ბიძგი?**

— იმ პერიოდში დაიწყო საქართველოში ეროვნული მოძრაობა. ეს ის დროა, როცა წითელი ყელსახვევები დავწვით და ოქტომბრელისა და პიონერის წოდებები „ჩამოვირეცხეთ.“ ეტყობა, ოჯახი-





დან და ზოგადად სიტუაციიდან გამომდინარე განვიმსჯვალე ეროვნული ცნობიერებით. ჩემთვის მთავარი იყო, საქართველო გამხდარიყო დამოუკიდებელი, თუმცა, ვისგან და რისგან — ამას ვერ ვხვდებოდი, იმიტომ, რომ პატარა ვიყავი. ხალხის მიერ არჩეულ ლიდერებს შორის ძალიან მესიმაპთაობებოდა მერაბ კოსტავა. თან, მასთან, როგორც მუსიკოსთან მქონდა შეხება. როცა ის დაიღუპა, მთელ საქართველოში სამგლოვიარო განწყობა სუფევდა. ამ პერიოდში, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ბევრი ლექსი დაიბეჭდა სხვადასხვა გაზეთში. ძალიან მომეწონა ერთი — ამირან კალაძის ლექსი. ავიღე ტექსტი, დავიღე პიანინოსთან და დავიწყე მუსიკის წერა; თან ვმღეროდი და თან ვუკრავდი. უცნაური ფორმის ნაწარმოები გამოვიდა. შემდეგ მას „რეკვიემი“ დაარქვეს. ასე რომ, ჩემი პირველი ნაწარმოები რეკვიემია, რაზეც ჩემი კოლეგები სულ იცინიან, რადგან კომპოზიტორები უმეტესად, ამ ჟანრით ამთავრებენ ხოლმე მოღვაწეობას, მე კიდევ, ამით დავიწყე... 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, ეს ნაწარმოები დიდ საკონცერტო დარბაზში შესრულდა. შემდეგ გამართულ ფესტივალზე კი რეკვიემი წლის საუკეთესო სიმღერად დაასახელეს.

**— როგორ მოხდა, რომ 11 წლის ასაკში უდირიფორე ორკესტრს, რომელიც ბეთოვენის მეხუთე სიმფონიას ასრულებდა?**

— ჯანსუღ კახიძე ატარებდა კონცერტ-ლექციებს, სადაც ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულების წინ, მისი ისტორიის შესახებ გვიამბობდა. შემდეგ, ბატონი ჯანსუღი გასტროლებზე წავიდა და ეს პროექტი ჩაიბარა მუსიკისმცოდნე მანანა გელევანიშვილმა. ერთ-ერთ საღამოზე ბე-

ტოკოვენის მეხუთე სიმფონია შესრულდა. დარბაზში ვიჯექი და დისკუსიის დროს, სიტყვა ვითხოვე. მიმიწვიეს სცენაზე და ვისაუბრე ზოგადად, სადირიფორო ტექნიკაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა უდირიფორო ამ სიმფონიას. ქალბატონმა მანანამ მკითხა: „ასე რომ საუბრობ ამ თემაზე, შეგიძლია იდირიფორო?“ რატომაც არა?! — სიამოვნებით მეთქი, — ვუპასუხე, ავიღე სადირიფორო ჯოხი და თავიდან ბოლომდე შევასრულე ეს ნაწარმოები. როდესაც ჯანსუღ კახიძე გასტროლიდან დაბრუნდა, მას უამბეს ამ სენსაციის შესახებ. ბატონმა ჯანსუღმა ჩემთან შეხვედრა ისურვა. როდესაც დამინახა, მითხრა: ასეც ვიცოდი — მივხვდი, რომ სწორედ შენზე იყო საუბარი. როგორც ჩანს, დარბაზში, გაუთვითცნობიერებლად, ჩემთვის ვდირიფორობდი ხოლმე და ბატონ ჯანსუღს შემჩნეული ვყავდი. ამის შემდეგ, ბატონი ჯანსუღის ინიციატივით, ერთდროულად რამდენიმე კონცერტი ჩავატარე. მოგვიანებით მივხვდი, რომ სადირიფორო ხელოვნება ჩემთვის ყველაფერია.

**— რატომ მიატოვე თბილისის კონსერვატორია და გადახვედი ვენის სამუსიკო სასწავლებელში?**

— არ მინდა, კონსერვატორიის მიმართ ძალიან კრიტიკული ვიყო, რადგან ძალიან მიყვარს, ბევრი კარგი რამ მომცა, მაგრამ ასევე ხშირი იყო გულისტკენა, რასაც იწვევდა კონსერვატორიის კონსერვატორული დამოკიდებულება მუსიკის მიმართ. შემიძლია ვთქვა, რომ კონსერვატორიას ბევრი რამ მივცეცი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაიღვა ჩვენამდე მოღწეული პირველი ოპერა „ვერიდიკი“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი და ვდირიფორობდი. რეჟისორად მივიყვანე

დათო საყვარელიძე, ხოლო კოსტიუმები მაკა ასათიანმა შეკერა. მაშინ 19 წლის ვიყავი. ეს სენსაციად აღიარებული მოვლენა იყო, რადგან ეს ოპერა 1600 წლის შემდეგ (მედიჩების სასახლეში შესრულდა, მარიამ მედიჩისა და ჰენრიხ მეოთხის ქორწინების აღსანიშნავად), პრაქტიკულად დაიკარგა. ჩემმა კოლეგამ, მერიკო შევილაძემ კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში შემთხვევით აღმოაჩინა უცნაური დამწერლობის ნოტები. დავიწყე მუშაობა, ვაკშიფრე და აღმოჩნდა ოპერა, რომლის შესახებაც წიგნებში ლეგენდებს ვკითხულობდით. მუშაობის პროცესში, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი მქონდა. ზოგიერთ პედაგოგს მიაჩნდა, რომ რაღაც სულელური ლექცია და ჟურნალში „არა“-ს დაწერა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ასეთი სერიოზული საქმის კეთება. მასხოვს, ამის გამო, საჩივრებიც კი იწერებოდა ჩემზე. პედაგოგებმა აუკრძალეს თავიანთ სტუდენტებს ამ პროექტში მონაწილეობა. არ გამომიყვებს სარეპეტიციო დარბაზი, მაგრამ ჩუმად, კონსერვატორიის სარდაფში ვიკრიბებოდი. ესეც შეიტყვეს და ბოქლომი გამოცვალეს. ერთადერთი, ვინც მხარში ამოგვიდგა, კონსერვატორიის დღევანდელი რექტორი მანანა ლოიჯაშვილი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ოპერა დაიდგა და საოცარი გამოსმაურებაც მოჰყვა უცხოეთიდან. ის ადამიანები, ვინც ყველაზე მეტად მიშლიდნენ ხელს, პრემიერაზე ყველაზე დიდი სიხარულით იღებდნენ უცხოელების მილოცვებს... უკვე „ვერიდიკის“ პრემიერებზე მივხვდი, რომ ჩემი აქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა. შევწყვიტე სწავლა და წავიდი ვენაში.

**— რატომ აირჩიე მაინცდამაინც ვენა?**

— მთელი ჩემი ბავშვობისა და სტუ-





დენტობის დროს ვენა ჩემში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. 1994 წელს, ტრანზიტული გზით, გერმანიიდან ვბრუნდებოდი საქართველოში. 15 მაისის ღამის 12 საათზე ჩვენი ავტობუსი შევიდა ვენაში. ეს ზუსტად ის დროა, როდესაც 15 წლის გავხდი. ვენა, ჰაიდნის, შტრაუსის, მალერის და კიდევ უამრავი სხვა უდიდესი კომპოზიტორის ქალაქია. ძალიან მინდა, რომ ის ჩემი ქალაქიც გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ვენის სამუსიკო სასწავლებელში ერთ-ერთი ყველაზე რთული საგამოცდო რეჟიმია, მაინც გავრისკე. 175 კაცი აბარებდა, საიდანაც მხოლოდ ათი უნდა მიეღოთ და აქედან, მხოლოდ ერთს, უმაღლესი ქულების მქონეს, ეძლევა უფასოდ სწავლის უფლება. მე არანაირი საშუალება არ მქონდა სწავლის საფასურის გადახდის და ის ერთი, მე უნდა ვყოფილიყავი. არანაირი სპეციალური მომზადება არ გამივლია — რაც ვიცოდი, ის გამოვიყენე. მივიღე უმაღლესი ქულები და უფასოდ სწავლის უფლება. ახლა მეოთხე კურსზე ვარ და მიხარია, რომ ზუსტად ავირჩიე ის ადგილი, სადაც მინდა ყოფნა.



**— ვენაში მხოლოდ სწავლობ თუ სხვა რამითაც ხარ დაკავებული?**

— დღესდღეობით, ჩემი ნაწარმოებები სრულდება სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა სიმფონიური ორკესტრის მიერ. მაგალითად: ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რომში. ზამთარში კონცერტები მქონდა ნიუ-იორკში. კომპოზიტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მის ნაწარმოებებს კარგი შემსრულებლები ჰყავს. უკვე მაქვს შეკვეთები. მაგალითად, გერმანიაში შემიკვეთეს ბალეტი, რომელსაც მალე დავათავებ. ვმუშაობ ორი კინოფილმის მუსიკაზე, რომელიც პარიზიდან შემიკვეთეს. მთელი ჩემი საავტორო უფლება აქვს ჩემს ინსტიტუტს, რომელსაც მთელი ჩემი ჰონორარი ერიცხება, მე კი იქიდან მხოლოდ პროცენტს ვიღებ. სწავლის დამთავრების შემდეგ, ავიღებ თავისუფალი მუსიკოსის სერტიფიკატს, რის შემდეგაც, ყველა კონტრაქტი პირადად ჩემთან გაფორმდება.

**— მხოლოდ კლასიკურ მუსიკას ქმნი?**

— გარკვეული მატერიალური თუ პირადი ინტერესების გამო, პოპ-მუსიკის მომღერლებთანაც მიწვევს ხოლმე თანამ-

შრომლობა. უფრო ხშირად, ძველი სიმღერების ახლებურ ინტერპრეტაციას ვქმნი. ასეთებია: თიკა ჯამბურიას „ჯეირანი“, მარიკა თხელიძის „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“, თემურ თათარაშვილის „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან“. ახლა ჩემი არანჟირებით ორ სიმღერას შეასრულებს ლელა წურწუშია. ყველაზე დიდი დრო, სიყვარული და ენერჯია დავუთმე ნანი ბრევგამეს, როცა მისი ვარსკვლავის გახსნაზე, მისი კონცერტის მუსიკალურ ხელმძღვანელად ვენიდან მომიწვიეს. ამჟამად, ინტენსიურად ვთანამშრომლობ ნინო ქათამაძესთან. 6-7 ოქტომბერს ვენაში დაგეგმილი გვაქვს ნინოსა და ჯგუფ „ინსაიტის“ კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ავსტრიის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი.

**— როგორ დაინერა „ჯინსების თაობის“ მუსიკა?**

— ვენაში ახალი ჩასული ვიყავი გერმანიიდან, სადაც ჩემი საორკესტრო ნაწარმოები — „დაგვიანებული რეკვიემი“ შესრულდა. ამ დროს დამირეკა დათო დოიაშვილმა და შემომთავაზა მისი სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება. როცა სპექტაკლის სახელწოდება — „ჯინსების თაობა ანუ დაგვიანებული რეკვიემი“ — მითხრა, კინაღამ ვაკვიყდი. კიდევ უფრო გამაოცა იმან, რომ თბილისში დაბრუნებული, დავრწმუნდი, რომ რამდენიმე თემა ჩემი „დაგვიანებული რეკვიემიდან“ საოცრად ესადაგებოდა ამ სპექტაკლს. საინტერესოა ის ფაქტიც,

რომ თურმე მამა თეოდორე (ჩიხლაძე — მღვდელი, რომელიც დახვრიტეს) წერდა მუსიკას და თავის დროზე, გატაცებული იყო როკ-მუსიკით; დაწერილი ჰქონდა რამდენიმე ძალიან ლამაზი მელოდია. შევარჩიე ერთი, რომელიც ორგანოზე შესრულებით დავურთეთ ჩემ მიერ გუნდისთვის დაწერილ „ავემარიას“. ეს მელოდია სპექტაკლში ლაიტმოტივად გასდევს მღვდლის სცენებს. ვენაში, ამ მუსიკის პოპულარიზაციის სურვილი გამოთქვა ჩემმა ინსტიტუტმა. გამოსცეს კომპაქტ-დისკზე და დღეს ავსტრიაში „დაგვიანებული რეკვიემი“ და „ჯინსების თაობის“ სხვადასხვა ფრაგმენტი უკვე გამოსულია.

**— რისი თქმა გინდობა მუსიკით, რომელიც პანკისის ჩვენებისთვის შექმნი?**

— მთელი ეს ჩვენება იმისთვის იყო გამიზნული, რომ ყველასთვის დაგვემტკიცებინა: პანკისის ხეობა ჩვენი კუთხეა და როცა მოგვესურება, მაშინ ჩავალთ და კონცერტს ან ჩვენებას გავმართავთ. ჩემი ამოცანა იყო, შემიქმნა ეროვნული და ამავე დროს, თანამედროვე, გარკვეულწილად, ელექტრონული მუსიკა, რომელშიც ჩადებული იქნებოდა ის სევდა, პანკისის რეალობასთან რომ არის დაკავშირებული.

**— საინტერესოა, რა გიგამები გაქვს?**

— ახლა თბილისის ოპერის თეატრში იღებება ჩემი და დათო დოიაშვილის ერთობლივი ნაწარმოები — მუსიკალური დრამა „შელოცვა რადიოთი“, რომლის ქორეოგრაფია ილიკო სუხიშვილ-უმცროსის ეკუთვნის, ხოლო კოსტიუმები — მაკა ასათიანს. შემოდგომაზე, ვენაში გაიმართება ქართული ხელოვნების ფესტივალი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მე განლაგვართ. პარტნიორობას გამიწვევენ ვენაში ემიგრირებული ქართველი ხელოვანი ადამიანები — ნანა მესხი და გოგი ოქროპირიძე. სურვილი მაქვს, თანამედროვე მუსიკის დიდი ფესტივალი გამართო თბილისში. ძალიან მინდა აგრეთვე ვერის პარკში მოვაწყო ერთ-კვირიანი საღამოები — ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ვაჩვენო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაღმული მაღალი დონის 10 ოპერა. ასეთი საღამოები ტარდება ხოლმე ვენაში. ძალიან მინდა, ეს სიამოვნება მივანიჭო თბილისელ მაყურებელს...



1970 წელს, ჯერ კიდევ პიონერის ყელსახვევი რომ მეკეთა, ძალიან მიყვარდა მხატვრული ფილმები: „ხევისბერი გორა“, „პალიასტომის ტბა“... ჩემი თაობა საბჭოთა ქართულ კინოზე იზრდებოდა. ჰოდა, იმხანად, ერთი ამბავი ატყდა — მსახიობი ნუგზარ შარია საზღვარგარეთ დარჩაო. კარგად მახსოვს, ამ „საშინელი“ ფაქტის შესახებ უფროსები რას ჰყვებოდნენ ან როგორი წერილები დაიბეჭდა საბჭოთა პრესაში...

ამ ფაქტიდან ზუსტად 32 წლის შემდეგ, რუსთაველის თეატრის მსახიობს ზურაბ შარიას ვთხოვე შეხვედრა, რადგან გულით მენადა, მამამისზე — ბატონ ნუგზარზე გვესაუბრა...



პარიზი, 1970 წელი

# ჩემი მამიანი მამილ მამონა თქვი სხვია

## მამი კახიძე

— ზურა, რა ხნის იყავი, მამაშენი საზღვარგარეთ რომ დარჩა?

— დაახლოებით ორი წლის. ზოგს ჰგონია, მამა თავიდანვე ამერიკაში დარჩა. საქმე ის არის, რომ 1970 წელს იგი ტურისტული საგზურით გაემგზავრა საფრანგეთში და ჩანს, გადაწყვეტილებაც უკვე მიღებული ჰქონდა...

— რა ხნის იყო მამინ ნუგზარ შარია?

— 29 წლის.

— როდის მიიღო ამერიკის მოქალაქეობა?

— მამა 1975 წლიდან არის ამერიკის მოქალაქე, საქართველოში ვიზით ჩამოდის ხოლმე.

— ალბათ მალე ააწყო საქმე, არა?

— არა, სხვათა შორის, საკმაოდ მძიმე წლები გადაიტანა, სულ გადარბენაში იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მიწის მუშის ადგ-

ილიც კი სანატრელი ჰქონდა, ლუკმაპურის შოვნა უჭირდა, მაგრამ თავის პრინციპებს არ უღალატა და აბსოლუტურად ყველაფერს გაუძლო.

— როდის ნახე მამა პირველად?

— გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, 21 წლის შემდეგ ვნახე. მანამდე, მხოლოდ ფოტოსურათებით, ფილმებით, წერილებითა და სატელეფონო საუბრებით ვიცნობდი. ჩემთვისაც ძნელი იყო მხოლოდ ყურმილში მოსმენილი ხმით მამის აღქმა, მაგრამ ზუსტად ასე იყო მთელი 21 წლის განმავლობაში.

— წერილებს რა გზით ლებულობდით?

— ქართველი ემიგრანტის, ქრისტეფორე კირკიტაძის მეუღლეს ატანდა ხოლმე ჩუმად წერილებს...

— ესე იგი, 23 წლამდე უმამოდ გაიზარდე. რა გრძნობა გქონდა, როცა გააცნობიერე, რომ ნუგზარ შარიას შვილი იყავი?

— გულწრფელად გეტყვი — მამა მუდამ მენატრებოდა და ეს გრძნობა ახლაც არ მტოვებს. ის კი არა და, რაც, მაგალითად, სხვისთვის შეიძლებოდა, ჩემთვის აკრძალული იყო იმ წლებში. ხალხის დამოკიდებულება თუ გადაჭარბებული ყურადღება ძალიან მალიზიანებდა, თუმცა, მეტე თანდათან მივეჩვიე.

— ოჯახის წევრებზე ზენოლა უთუოდ იქნებოდა...

— მეტისმეტად აწუხებდნენ ბებიჩემს

ერთი სიმაღლისანი ვართ, ხმაც ერთნაირი გვაქვს და ენების ცოდნაშიც დავემსგავსე

და ბიძაჩემს. წარამარა იბარებდნენ „იქ“, უწყობდნენ დაკითხვებს... უფრო მეტსაც გეტყვი: იმის გამო, რომ მამაჩემი უცხოეთში დარჩა, კომკავშირში არ მიმიღეს და პიონერობას ვერ გავცდი (იყინის).

— ბებიამაც 21 წლის მერე ნახა ღვიძლი შვილი?

— ბებიჩემი — ვერა კუჭავა, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად განიცდიდა მასთან განშორებას და მე მგონი, ეს არც არის გასაკვირი. არადა, საოცარი სანახავი იყო მათი შეხვედრა, არ ვიცი, ამ ყველაფერის აღწერა რა სიტყვებით შეიძლება... ახლა, 90-ს გადასცდა ბებია და სულ ნუგზარის მოლოდინშია.

— გარეგნობით ძალიან ჰგავხარ მამას...

— კი, თანაც ერთი სიმაღლისანი ვართ, ხმაც ერთნაირი გვაქვს და ენების ცოდნაშიც დავემსგავსე. იცი, ზოგჯერ ბებიას „ვაშაყობ“ — ვურევავ. — უი, ნუგზარ, შვილო! — მეტყვის ხოლმე, რადგან ვერ არჩევს ჩვენს ხმებს.

— მამამ რამდენი ენა იცის?

— ბევრი. რუსულ-ქართულ-მეგრულის გარდა — გერმანული, ფრანგული, იტალიური, თურქული, ბერძნული, ივრითი და ინგლისური. და საერთოდ, მამაჩემი ძალიან ნიჭიერი კაცია.

— მაინტერესებს, ოდესმე თუ უთქვამს შენთვის, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი?

— მე ასე ვიტყვი: მამაჩემი სამშობლოს კი არა — რეჟიმს გაექცა. მე მგონი, ყველაფერი მიუღებელი იყო მისთვის. მაგალითად, 25 წლისას, რესპუბლიკის დამ-





სახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ მიიღეს კინოსტუდიის შტატში და ამაზე საოცრად სწყლებოდა გული. საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ წერილიც კი მოსწერა ჩვენი კინოსტუდიის დირექტორს, თენგიზ გორდელაძეს - რატომ არ უვლით მაგ მსახიობს?!

— თავად, რატომ გადაწყვიტეთ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება? როგორც ნუგზარ შარიას შვილს, დაბრკოლებები ხომ არ შეგხვდა?

— სკოლა რომ დაკამთავრე, ჯერ სამედიცინოზე ვაბარებდი, მაგრამ უშედეგოდ. სამი წელი სანიტრადაც კი ვიმუშავე. სხვათა შორის, მამას არ უნდოდა ჩემი მსახიობობა. ახლა შეეგუა და ამყობს კიდევ. იმ წელს, მე რომ სამსახიობო ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები, ბატონ მისა თუმანიშვილს აჰყავდა ჯგუფი. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის ნიჭი იყო მუდამ და არა ვინმეს შეილობა...

— ზურა, მამის რომელი ფილმები მოგწონს?

— „პალიასტომის ტბა“, „ენგურის ნაპირები“, „ხვეისბერი გორა“... სულ ოციოდე ფილმში ითამაშა მამამ.

— პირადად შენ, როგორ აფასებ მამაშენის საზღვარგარეთ დარჩენას?

— ძალიან სწორად მოიქცა, რომ დარჩა. სხვათა შორის, როცა 1993 წელს გერმანიაში შევხვდით ერთმანეთს, მაშინ ვუთხარი კიდევ ამის შესახებ. მამას არც აქაური დემოკრატიის სჯერა და არც - გაეროპელებული სამშობლოსი...

— რამდენი წელი იმუშავა რადიო „თავისუფლებაში“ ნუგზარ შარია?

— 25 წელი. მეტსაც გეტყვით: ბილ კლინტონმა გაწეული ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადა. უცხოეთში დარჩენამდე, მამამ მოსკოვში „კვიკის“ (კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. - ავტ.) სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა; ამერიკაში ყოფნისას, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორა. დოქტორის ხარისხიც მიანიჭეს და ლექციებსაც კითხულობდა. დიას, ტყუილად კი

არ ვამბობ, ნიჭიერი მამა მყავს-მეთქი!

— შარიების ფესვები საიდან მოდის?

— სამურზაყანოდან ვართ წარმოშობით, გალის რაიონის სოფელ თავილონიდან მოდის ჩვენი ფესვები. შარიები სხვაგან არსად არიან - პატარა შტოა, ჰოდა, მე ორი გოგო მყავს, მაგრამ ბიჭუნეც ვფიქრობ, აუცილებლად გვეყოლება მე და ჩემს მეუღლეს...

— ბატონი ნუგზარი ალბათ დაქორწინდა ამერიკაში და იქნებ, ამაზეც მიაბნობ?

— შვილი ორი ვყავართ - მე და ნესტანი. მამას ორი ცოლი ქართველი ჰყავდა, დედაჩემი და ნესტანის დედა. სიმართლე გითხრათ, ნესტანიც ძალიან ჰყავს მამას. მესამე ცოლად, რუსი ქალი შეირთო. ახლა მეოთხე ცოლი ჰყავს - სოფია, წარმოშობით სერბი. ვფიქრობ, რომ მამას მართლაც მოსწონს სლავური წარმოშობის ქალები. სუსტი სქესის წარმომადგენლები დღესაც არ არიან გულგრილნი მის მიმართ და, შენ წარმოვიდგინე, ხშირად ურეკავენ კიდევ...

— ახლა რამდენი წლისაა ნუგზარი?

— 19 თებერვალს 61 წელი შეუსრულდა.

— 1991 წელს რომ ჩამოვიდა ბატონი ნუგზარი და ოპერაში საღამო გამართა, შენც თუ ესწრებოდი?

— მაშინ ორი კვირით ჩამოვიდა. ისეთი დაკავებული იყო, ნორმალურად არც გვილაპარაკია. მეგობრები დიდი სიყვარულით შეხვდნენ.

— როგორც მახსოვს, ზვიად გამსახურდიაც იყო იმ დღეს ოპერაში.

— მამა და ზვიად გამსახურდია ბავშვობის მეგობრები იყვნენ. დიდი კონსტანტინე და ბაბუაჩემიც მეგობრობდნენ. დიას, იმ საღამოს, ზვიადიც დაესწრო. მერე ვახშამი გაიმართა ოპერაში, თამადა ბორის წიფურია იყო. მოგვიანებით კი, „მეტენში“ გადავინაცვლეო, ოღონდ, იქ ზვიად გამსახურდია აღარ წამოსულა. „მეტენში“ მამამ ითამადა...

— ამჟამად სად ცხოვრობს და როგორ არის ნუგზარ შარია?

— ახლა ფლორიდის შტატში ცხოვრობს, ქალაქ სარასოტაში. საკუთარი სახლი შეიძინა მექსიკის ყურესთან ახლოს. უამრავი ქართული ფირფიტა, ვიდეო და აუდიოკასეტა აქვს, მაგრამ ყველაზე მეტად, გიტარაზე და როიალზე დაკვრა უყვარს. საერთოდ, მიზანდასახული, ენერგიული კაცია.

— შენ არ სტუმრობ ხოლმე

ახლა მეოთხე ცოლი ჰყავს - სოფია, წარმოშობით სერბი



შეხვედრა ლედასთან ფრანკფურტში, 1989 წ.

მამაშენს?

— ამერიკის კანონებით თუ ვიმსჯელებთ, მეც ამერიკელი ვარ, თუმცა, ჯერჯერობით ჩასვლა ვერ მოვახერხე, არადა, ძალიან მიწდა...


— რას ამბობს ნუგზარ შარია დღევანდელ საქართველოზე?

— არ ესმის, 21-ე საუკუნეში მაინც რატომ ჭამენ ერთმანეთს ქართველები, რატომ არის აძენი ბოროტება, რატომ ფიქრობს მკვანი მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე და, საერთოდ, რატომ გვჭირს აძენი ჭირი. მამაჩემი უსამართლობას ვერ იტანს...

— როდის აპირებს თბილისში ჩამოსვლას?

— ზუსტად ვერ გეტყვი. ისე, ჯანზეა, ორი წელია, სიგარეტსაც თავი დაანება, არაჩვეულებრივ ფორმაშია და ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს. აი, ასეთი კაცია ჩემი ამერიკელი მამა...

P.S. ინტერვიუ ნუგზარ შარიასთან, თბილისში მისი ჩამოსვლისთვის გადავლოთ, ძალიან საინტერესო იქნება იმის შეტყობა, თუ როგორია ამერიკიდან მის მიერ დანახული საქართველო...





# „ჩემი შვილის ქორნილი ვერ აიტანეს, რადენიმი თვეში მოვიკლავს კიდევ...“

## მკვლელობის შემდეგ, სოფლის მოსახლეობამ მერიბაშვილების სასლ-კარი გადაწვა

### მეზო სანაშა

შარშან, შემოდგომაზე მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში სამინელი ტრაგედია დატრიალდა. ორ ოჯახს შორის წლების მანძილზე არსებული კონფლიქტი საბოლოოდ, მუხანათური მკვლელობით დასრულდა. მსხვერპლი, სულ რამდენიმე თვის დაქორწინებული, 23 წლის ალექსანდრე (ალიკა) ალავერდაშვილი აღმოჩნდა. იგი თავისივე სოფლის გზაზე, ე.წ. ბირჟაზე, დღისით, შზისით და ყველასთვის მოულოდნელად, სანადირო თოფით მოკლეს. როგორც ამბობენ, ალიკას სიკვდილის მთავარი მიზეზი სწორედ მისი ქორწინება გახდა...

მეორე მხარე დასძენს, რომ ამ ამბავს მართლ მოკლული კი არა, მის მეზობლად მცხოვრები, 19 წლის ალექსანდრე (ალეკო) მერებაშვილის მომავალიც შეეწირა, რადგან ჩადენილმა მკვლელობამ მის ცხოვრებასაც დაუსვა წერტილი: ალიკა ალავერდაშვილს სანადირო თოფიდან ტყვია სწორედ ალექო მერებაშვილმა ესროლა. რამდენიმე დღეში, როცა მიცვალებული ჯერ კიდევ დაკრძალული არ იყო, მოკლულის ოჯახის წევრებმა და სოფლის მცხოვრებლებმა მერებაშვილების სასლ-კარი გადაწვეს. უფრო მეტიც – მოსახლეობამ ნიჩბისიდან ამ ოჯახის გასახლება მოითხოვა. ამჟამად მერებაშვილები მეზობელ სოფელში, ნათესავებთან ცხოვრობენ.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ალექო მერებაშვილი მთელ სოფელში თურმე სანიმუშო ყმაწვილის სახელით სარგებლობდა. სხვათა შორის, ამას დაზარალებული ოჯახის წევრებიც ადასტურებენ. „ის ალიკას უმცროსი ძმის კლასელი იყო, სკოლაში კარგად სწავლობდა. არასოდეს გვსმენია, რომ ვინმესთან ოდესმე ჩხუბი ან თუნდაც, უბრალო კონფლიქტი ჰქონოდა. ძალიან ჩუმი და მორიდებული ვახლდათ. მუდამ თავჩაღუნული დადიოდა და ზედმეტს არავის არაფერს ეტყობდა“, – ასე ლაპარაკობენ მერებაშვილზე მოკლულის ნათესავები. თუმცა, სულაც არ ფიქრობენ, რომ ალიკას მსგავსად, მომხდარ ტრაგედიას ისიც ემსხვერპლა. „მსხვერპლის და დაზარალებულის რა სჭირს?! – შეილი მუხილად, ძაღულად მოიქცა. მთელი დღე ჩასაფრებული იყო და შესაფერისი მომენტს ელოდა, რათა მისთვის ტყვია ესროლა. ადრე თუ წყნარად და მშვიდად დადიოდა სოფლის გზაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მკვლელობის განზრახვას ვერასდროს შეძლებდა. ფაქტია, რომ შეძლო“... – აცხადებს მოკლულის დედა.

მომხდარ ფაქტზე მცხეთის რაიონის პროკურატურამ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა. თავდაპირველად, პროკურატურის თანამშრომლებმა მერებაშვილს ბრალიც ამავე მუხლით მიუყენეს. თუმცა, ცოტა ხანში, მათ ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა მიიღეს, სადაც ის მერებაშვილზე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვდა. შუამდგომლობა დააკმაყოფილეს. ექსპერტიზის დასკვნით, მერებაშვილმა მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ყოფნისას ჩაიდინა. ამ დასკვნის საფუძველზე პროკურატურამ ბრალდებულს განზრახ მკვლელობის მუხლი მოუხსნა და იგი, ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად ჩადენილი მკვლელობის შესაბამისი მუხლით შეცვალა. მცხეთის რაიონის სასამართლომაც, საქმე ამ სახით მიიღო. თუ საქმის მასალებს გადავხედავთ, პროკურატურის მიერ, ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულ რამდენიმე, საკმაოდ მნიშვნელოვან ლაფსუსსაც აღმოვაჩნეთ. მოკლულის ნათესავები ამის მიზეზად, მერებაშვილების მხრიდან პროკურატურის თანამშრომელთა მოქრთამებას ასახელებენ. სამართალდამცავები, ისევე როგორც მერებაშვილები, ამას კატეგორიულად უარყოფენ. თუმცა, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მასალების უზარისხოვა და ბევრი გაურკვეველი დეტალის არსებობა, მცხეთის რაიონის სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოსამართლემაც დაადასტურა და საქმე პროკურატურას, ხელახალი გამოძიებისთვის დაუბრუნა.

გამოძიების პირველ ეტაპზე, პროკურატურა მომხდარის შესახებ ოქმებში წერს: 2001 წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 15 საათზე, მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში ალექსანდრე მერებაშვილმა, განზრახ მოკლვის მიზნით, გლუველულიანი გადაჭრილი თოფიდან თავის მეზობელს, ალექსანდრე ალავერდაშვილს ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

გამოძიებელმა შემთხვევის ადგილას მყოფი ხალხი – თვითმხილველები დაჰკითხა. მათი ჩვენებები განზრახ მკვლელობის ფაქტს ადასტურებს. დაიკითხა დაზარალებულიც. მოკლულის დედა – **დალი ალავერდაშვილი** დანაშაულის ჩადენის მომენტს არ შესწრებია, მაგრამ მკვლელობის მოტივზე ასე მოგვითხრობს:

„ყველაფერი წლების წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩემი შვილი 19 წლის ვახლდათ, მას ერთი თანასოფელი ვიგონა



მოკლული ალექსანდრე ალავერდაშვილი

შეუყვარდა. ვიგონსაც უყვარდა. ამის შესახებ ყველამ იცოდა და საქმე უკვე ნიშნობად დევ კი იყო მისული, მაგრამ ალიკა იმ პერიოდში ჯარში მსახურობდა და მე ვერაფერი შეიძლო, ჯერ სამსახურს მორჩი და მერე დაქორწინდ-მეთქი. როცა ჯარიდან ჩამოვიდა, შეყვარებულთან რატიმაც კონფლიქტი მოუხდა, იჩხუბეს და ერთმანეთს დაშორდნენ. იმ ხანებში, ამ ვიგონსთან ალეკო მერებაშვილის და – სოფიკო მეგობრობდა. შეყვარებულთან ალიკას ჩხუბის შედეგ, ის ჩემს შვილს ძალიან დაუახლოვდა. ჩვენთან, სახლში ხშირად მოდიოდა, საათობით იჯდა და ალიკას ელაპარაკებოდა.

მე მაშინ ვბუშობდი და შინიდან წასვლა მიწვედა ხოლმე. ამიტომაც მთი შეხვედრების შესახებ სრული წარმოდგენა არ მქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამის შესახებ ოჯახის წევრებმა მითხრეს. ვიფიქრე: ალბათ, ერთმანეთი შეუყვარდათ-მეთქი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. დედამისი სოფიკოს ჩემს შვილთან რომ დაინახავდა, მაშინვე წივილი-კივილს ტენდა. რამდენჯერმე სახლშიც მოვიყვარდა. ალიკა ჩემს ვიგონს მოსვენებას არ აძლევს და უთხარი, კუდაში ნუ დასდევსო. არადა, აშკარად, თავად ის ვიგონს ცდილობდა ჩემს შვილთან შეხვედრას. ამის თაობაზე ალიკამაც არაერთხელ მითხრა. მერებაშვილები ჩხუბს და წიოკობას რომ არ მორჩნენ, ასეც ვთქვი: ალიკასთან რა გინდათ? თქვენს შვილს მიხედეთ-მეთქი. ამან, როგორც ჩანს, ისინი საბოლოოდ გამოიყვანა წინასწორიდან. თავად სოფიკოც, თავისი ოჯახის წევრების თანდასწრებით, დედას



მხარეს იჭერდა და ჩემს შვილს ადანაშაულებდა. ერთხელ ალიკას რძით სავსე ქლავს კი გადაამსხვრია თავზე...

ამის შემდეგ ჩვენ შორის კონფლიქტი არ ჩამოხრალა. თუმცა, მე ყველანაირად ვცდილობდი, ეს უთანხმოება კიდევ უფრო არ გამძაფრებულიყო და ამიტომაც, ბევრს ვითმენდი. წლებიც გავიდა. ამასობაში, ალიკამ სხვა გოგო გაიცნო, შეუყვარდა და მისი ცოლად შერთვა. ვადაწყვიტა. ჩანდა, რომ ამ ამბავმა მერებაშვილებზე სამინდობო იმოქმედა, თუმცა, ალიკას ამის შესახებ არაფერს ვუბნებოდი. ქორწილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მერებაშვილების სახლთან ახლოს მომიხდა ჩავლა. ჭიშკართან სამარშრუტო ტაქსი იდგა; მანქანაში მხოლოდ მძღოლი იჯდა. გავივინე, რომ ის სოფიკოს დედას ჩვენზე ელაპარაკებოდა. რად ვინდათ აძენი ჩხუბი? მორჩითო! - ეუბნებოდა მს. სხვა ვერაფერი გავივინე, რადგან იქ გაჩერება ვერ მოვახერხებ. ალიკასთვის კვლავ არაფერი მითქვამს. მორე დღეს კი მკვლელობა მოხდა..."

იმ დროს დალი ალავერდაშვილი შინ იყო. დილით ალიკას საქონელი გაურეკავს ეზოდან, შემდეგ კი სოფლის ბირჟაზე, თავის მეგობრებთან მისულა. მეგობრებმა გზაზე მდგარი, ძველი, დამწვარი და დაჟანგული მიკროავტობუსის შეკეთება გადაწყვიტეს - იქნებ, მანქანას როგორმე კარი მოვარგოთ - ხანდახან შიგნით ჩავსხდებით, დომინოს და კარტს ვითამაშებთო. მანქანის გარემონტება დაიწყეს, ალიკაც მათ ეხმარებოდა. ცოტა ხანში, იქვე, ავტობუსების გაჩერებასთან ბიჭებმა ალექო მერებაშვილი შენიშნეს. მას ხელში რაღაც შეფუთული საგანი ეჭირა, მიესალმა და ბიჭებს მიუახლოვდა.

**შალვა ხუციშვილი, მოწმე:**

... მიკროავტობუსთან მე, ალიკა ალავერდაშვილი, ილია პაპაშვილი და დათო ალავერდაშვილი ვიდექით. ყველამ ერთად მანქანის გადატიხვრა დაიწყეთ - ადრე მუშები ჩავსვით და ახლა კარის ჩამობმას ვაპირებდით. მე და ილია პაპაშვილი მიკროავტობუსში, შიგნით ვიყავით, დანარჩენები გარეთ იდგნენ. მუშაობის პერიოდში ჩვენთან ალექო მერებაშვილი მოვიდა. ხელში, ფეხლის ტომარაში გახვეული რაღაც ნივთი ეჭირა. ყველას მოგვესალმა, დადგა და გვიყურებდა. როცა მე და ილია ავტობუსში შევედით და კარს ჩარჩოზე ვაზომებდით, სროლის ხმა გავივინე. ავტობუსის ერთი მუშა ჩაბყდა. ვიფიქრე, რომ ვიღაცამ ასაფეთქებელი ისროლა და მუშის ჩატყვის გამო გაეძრაზდი. ამ დროს, მორედაც ვაგარდა. მე და ილია მანქანიდან გადმოვვდით. დათო ალავერდაშვილი, რომელიც ალიკას გვერდით იდგა, იძახდა - ალიკ, ალიკო!. ჯერ ვერ მივხვდი, რა მოხდა, მაგრამ უცებ, ალიკა წაიქცა და მისი მარჯვენა ბეჭიდან სისხლმა იფეთქა. ამ დროს დავინახე, რომ ალექო მერებაშვილი ზევით გარბოდა. ხე-

ლში ლურჯი „იზოლაციით“ გადახვეული ნივთი ეჭირა. რა იყო, ვერ გავარჩიე, მაგრამ მივხვდი, რომ ალიკას მან ესროლა რაღაც. ჩვენ მამინვე მოახლოებული სამარშრუტო ტაქსი გავაჩერეთ, მე ალიკა ჩავაწვინეთ და იგი მცხეთის საავადმყოფოში წავიყვანეთ. როცა მივიყვანეთ, ექიმებმა გვითხრეს, რომ ალიკა უკვე დაღუპული იყო“.

**დათო ალავერდაშვილი, მოწმე:**

... მე და ალიკა გვერდიგვერდ ვიდექით და შალვას და ილიას ვუყურებდით. ისინი მიკროავტობუსის ჩარჩოს კარს აზომებდნენ და მანქანის სალონში იყვნენ. ჩემსა და ალიკას ზურგს უკან ალექო მერებაშვილი იდგა. ისიც ბიჭებს უყურებდა. რამდენიმე წუთში, სროლის ხმა გავივინე, რასაც მალე, მორე გასროლაც მოჰყვა. მეგონა, სათამაშო ასაფეთქებელი ასაფეთქეს-მეთქი, რადგან თოფიდან სროლას არანაირად არ მოველოდი. უცებ შემოვტრიალდი და დავინახე, რომ ჩემ გვერდით, დაახლოებით 30-40 სანტიმეტრში, სახით ჩემკენ, ალიკა ალავერდაშვილი იდგა, ფერი არ ელო და საკაა, თავზე დამტყემა. ალიკას ხელი მოკიდე, სწორედ ამ დროს დავინახე, რომ ალექო მერებაშვილი თავისი სახლისკენ გარბოდა, ხელში რაღაც ეჭირა, უფრო სწორად - თოფის ლულას მოკარი თვალი. უცებ ალიკა დამეფასა, მე ის ვეღარ შევაკავე და წაიქცა. პირიდან სისხლი ვადმოუვიდა, მაშინ დავიყვირე: ბიჭებო, მიშველეთ-მეთქი!..."

**დალი ალავერდაშვილი:**

... ჩემს მეზობელს, რომელიც იმ დროს თურმე მოშორებით იჯდა, მერებაშვილი მანამდე დაუნახავს, ვიდრე იგი მიკროავტობუსთან მივიდოდა. მოშორებით იდგა და ხუციშვილისა და მისი მეგობრებისკენ იხედებოდა. მათთან ალიკაც მივიდა. მერებაშვილი ცოტა ხანს გაჩერდა, შემდეგ კი მათკენ წავიდაო, - მითხრა..."

თავად ალექო მერებაშვილი მის მიერ ჩადენილ მკვლელობას ადასტურებს, თუმცა, დანაშაულის წინასწარ განზრახვაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

**ალექო მერებაშვილი:**

... ილიას უკანონო ტარებასა და შენახვაში თავს დამნაშავედ ვცნობ. ის თოფი სახლში რომ არ მიმეტანა, შეიძლება, არც არაფერი მომხდარიყო. ალიკა ალავერდაშვილის მოკვლა არ მიხდოდა, რა დამემართა იმ მომენტში, არ ვიცი. არ მახსოვს, თოფი ტომრიდან როგორ ამოვიღე და როგორ ვისროლე...

შევიტყვე და შევნიშნე კიდევ, რომ ალიკა ჩემს დას, სოფოს ავიწროებდა, ყველგან დაჰყვებოდა და ცდილობდა, მისი ყურადღება მიექცია. ეს არ მომეწონა, რადგან ჩვენი ოჯახები ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ალიკას მხრიდან ასეთ საქციელს არ ველოდი... ჩავთვალე, რომ ალიკას ჩემი დის მიმართ კარგი ზრახვები არ ჰქონდა.

ერთხელ ვნახე კიდევ და შევეკითხე: რა ვინდა ჩემი დისგან, რატომ აწუხებ-მეთქი? არაფერი მიპასუხა... საერთოდ, დალაპარაკების ღირსად არ მივლიოდა და ხშირად, ჩემი მისამართით, ჩემს გასავიწყობად, დედას მივნიებდა... ერთხელ, სოფოს გამო ჩხუბიც მოგვივიდა, ალიკას ხელი გავარტყი, მაგრამ იქ მისი ძმაც იყო; ორნი იყვნენ და მკეპეს. იმ დღის შემდეგ, მათ აღარ დავლაპარაკებ-ვარ, მათთან შეხვედრასაც თავს ვარიდებ-დი.

2001 წლის ზაფხულში, ნიჩბისთან ახლოს, ტყეში თოფი ვიპოვე. „პატრონების“ გარეშე იყო, ავიღე და სახლში მივიტანე, ისე, რომ ამის შესახებ არავისთვის მითქვამს. ჩემ გარდა, არც არავინ იცოდა ამ იარაღის შესახებ. ზაფხულშივე ვიყიდე სამი „პატრონა“. 2001 წლის 20 ნოემბერს ქ. მცხეთაში, მამიდაჩემთან ვაპირებდი წასვლას; მიხდოდა, იქ დავრჩენილიყავი და ცოტათი დავწყნარებულიყავი, რადგან სულ სოფოზე ვფიქრობდი და ვნერვიულობდი. წინა დღით, ოჯახში ლაპარაკი გავივინე - ამბობდნენ, რომ მორე დღეს, სახლის დალაგებას აპირებდნენ. თოფი რომ არ გპოვოთ, გადაეწყვიტე, ის მამიდასთან წამელო და იქ დამემალა. მამიდა მარტო ცხოვრობს და იქ დავშვებოც არ არიან. თოფი-სხვენიდან ჩამოვიტანე, ვავახვიე ტომარაში და ქუჩაში ვავედი. როცა კიბეზე ჩავდიოდი, იქვე, რამდენიმე მეტრში, დამწვარ მიკროავტობუსთან ჩვენი სოფიკოსი ბიჭები შევნიშნე. როცა დაუაკვირდი, ვნახე, რომ იქ ილია პაპაშვილი, შალვა ხუციშვილი და ალიკა ალავერდაშვილი იდგნენ. ალიკა რაღაცას ხერხავდა. მათთან მივედი. ალიკამ ცინიკურად შემომხვდა და შემაგინა. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ცოტა ხანში, ყვირილის ხმა გავივინე და გონზე მოვედი. ხელში თოფი მეჭირა, მაშინ უკვე კიბის ზემოთ, ქუჩაზე ვიყავი. სახლში ბარბაცით მივედი, დამეწყო გულის რევა და კანკალი. შიშის გრძობამ ამიტანა, სულ აფექტში ვიყავი. სახლში წყალი დამალევირეს, შემდეგ ბაბუამ მომიკიდა ხელი და ბიძასთან წამიყვანა... მოგვიანებით, იქ პოლიცია მოვიდა და დამკაჯა“.

ალიკოს შეურაცხყოფის მცდელობას თავის ჩვენებაში სოფიკო მერებაშვილიც ადასტურებს.

**ლიპან თვალისაშვილი, მერებაშვილის ადვოკატი:**

...ალექო მერებაშვილსა და აწ გარდაცვლილს შორის ბავშვობიდანვე არაჯანსაღი ურთიერთობა იყო. ალავერდაშვილი ალექოზე 5 წლით უფროსი იყო და მის დაჩაგვრას ცდილობდა. შექმნილყოფილ დაახლოებით სამი წლით ადრე კი, ალექოსთვის ცნობილი გახდა, რომ ალავერდაშვილი მის დას მოსვენებას არ აძლევდა. იგი სოფიკოს განმარტობით შეხვედრას სთხოვდა, რაზეც ვიგო არ თანხმდებოდა. ალექო მერებაშ-



ვილი ალავერდაშვილისგან კატეგორიულად მოითხოვდა, თავი დაენებებინა მისი დისთვის, მაგრამ პასუხად, ყოველთვის ვინებასა და შეურაცხყოფას იღებდა. ალავერდაშვილი, სოფიკოზე შეურაცხყოფელ ჭორებს ავრცელებდა. ამ ჭორებმა მკვლელობის წინა დღეს, მერებაშვილის ყურამღეც მიაღწია. ამიტომაც სცადა, დროებით გასცლიდა იქურობას და მამხდასთან წასულიყო; გადაწყვიტა, თოფი მცხეთაში წაეღო და იქ დაემალა, აძენდა, უფრო უსაფრთხოდ ეჩებოდა. თუმცა, ვხამი, შემთხვევით, ალიკა დაინახა; როცა იქ მივიდა, ამ უკანასკნელმა მას კვლავ შეურაცხყოფა მიაყენა. მერებაშვილი, ცხადია, ძლიერ აღელდა, ვინება დაეძინა და სწორედ ამის გამო არ ახსოვს, როგორ ისრიალა“.

ადვოკატის აზრით, მერებაშვილს ფიზიოლოგიური აფექტის ყველა ნიშანი ჰქონდა იმ დროს, როცა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შინ მივიდა: გულის რევა, კანკალი, ოფლი, თავბრუს ხვევა... მოგვიანებით, ეს ფიზიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამაც დაადასტურა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ძლიერ აღელვებასა და ალიკა ალავერდაშვილის მხრიდან გინების შესახებ, თავად მერებაშვილის გარდა, შემთხვევის ადგილას მყოფი არც ერთი პირი არ მიუთითებს. გამოძიებას არც ის აქვს გარკვეული, მერებაშვილს ტომარაში გადატენილი თოფი

ჰქონდა გახვეული თუ არა. მოწმეების – ხუციშვილის, პაპაშვილისა და დათო ალავერდაშვილის თქმით, ალექო მერებაშვილს იარაღი მიკროავტობუსთან რომ გადაეტენა, ისინი ამას აუცილებლად შენიშნავდნენ. პროკურატურა, როგორც ჩანს, არც იმით დანტერესებულა, თუ სად წაიღო თოფი მერებაშვილმა მკვლელობის ჩადენის შემდეგ; იარაღი ამოღებული არ არის.

**ირმა ბარაზანიძე**, დაზარალებულის ადვოკატი:

„საქმის მასალებში, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარდა, მერებაშვილის ფიზიოლოგიურ აფექტში ყოფნას, არაფერ და არაფერი ადასტურებს. თვით ეს დასკვნაც უსაფუძვლო და არაკვალიფიციურად არის შედგენილი, რადგან ექსპერტიზა ბრალდებულზე ორჯერაა ჩატარებული და ორივე დასკვნას ერთი და იგივე ექსპერტი აწერს ხელს, – ეს კი, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დაუშვებელია.“

გარდა ამისა, მერებაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ იგი ალიკა ალავერდაშვილთან შეხვედრას თავს არიდებდა. მაშ, რატომ მივიდა მასთან იმ დღეს? თუკი სურდა კონფლიქტი თავიდან აეცილებინა და მამხდასთან წასულიყო, შესაბამისად, არც ალავერდაშვილთან უნდა მისულიყო. ყველაზე საინტერესო მაინც თოფიდან გასროლის მომენტია. ცხადია, რომ მერებაშვილს

ის წინასწარ ჰქონდა გადატენილი, რადგან, როგორც ჩანს, ალავერდაშვილი მიკროავტობუსთან ადრე შენიშნა, მისი მოკვლა განიზრახა და საამისოდ მოემზადა კიდევ“.

მკვლელობიდან ექვსი დღის შემდეგ, 2001 წლის 26 ნოემბერს, სოფელ ნიჩბისის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოფლის საკრებულოში განცხადება შეიტანა, სადაც წერია: „... სოფელს ღირსეული ახალგაზრდა დაეკლდა. მიცვალებული არ იყო დაკრძალული, როდესაც გამწარებული, შვილმკვლარი დედა, ახლობლები და სოფელი მერებაშვილების ეზოში შეკვივდნენ. გამოვარდა ალიკო მერებაშვილის ბებია და გაგიჟებულ დედას თბაში სწვდა, სიტყვებით: ადრე უნდა მოგვეკვლა, ახლა მოგვკალითო... ამან აუღოვებულ ხალხს განსჯის უნარი დააკარგვინა და გადაწყვიტა, დაეწვათ და გადაეხრათ მერებაშვილების სახლ-კარი. მორე დღეს, სოფელმა გადაწყვიტა ალბათ აღასრულა. მოსახლეობამ ნიჩბისის ხეობიდან მათი ოჯახის გასახლება მოითხოვა – ოჯახისა, რომელმაც ახალგაზრდა კაცს დანაშაულისკენ უბიძგა“. ამ განცხადებას სოფელ ნიჩბისის 179 მცხოვრები აწერს ხელს.

მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ დაწინებულ საქმის მასალებს ამჟამად, კვლავ პროკურატურა იკვლევს. შეცვლიან თუ არა გამოძიებლები გადაწყვეტილებას ამჯერად – ამას მომავალი გვიჩვენებს.

# „კრიტიკანი რომ ერთ დანაშაულს ჩაიღონ, პროკურატურამ მას ხუთში არ უნდა დასდოს ბრალი“

## მეზო ტანაპა

30 წლის გიორგი მინდელს, რომელსაც პროკურატურა ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ არაერთ მარცვასა და ყაჩაღობაში სდებს ბრალს, ამჟამად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ასამართლებენ. გახმაურებული პროცესი თანდათან სულ უფრო სკანდალურ ხასიათს იძენს, რადგან სასამართლო სხდომებზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რაოდენობა იზრდება, გამოძიებლის მიერ საქმის მასალებში მითითებული დაზარალებული პირები კი სასამართლოში არ ცხადდებიან...

გიორგი მინდელი წინათ ნასამართლევი არ ყოფილა. იგი თელაველია, თუმცა, როგორც პროკურატურის თანამშრომლები აცხადებენ, კრიმინალურ დანაშაულებს თბილისში სჩადიოდა. თავად მინდელი სამართალდამცავთა მიერ წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იგი პოლიციისა და პროკურატურის



უდანაშაულო მსხვერპლია. აქვე უნდა აღინიშნოს საქმოდ მნიშვნელოვანი ფაქტიც: გიორგი მინდელი სამართალდამცავებმა 2001 წლის 7 სექტემბერს დააკავეს. 2001 წლის ივლისში ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურში, თბილისში არსე-

ბულ შპს „ტაო-21“-ზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმე ორი თვის მანძილზე გაუხსნელი იყო პროკურატურაში. სამართალდამცავებმა, მინდელის დაკავებისთანავე, ეჭვი მასზე მიიტანეს და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს. ამასობაში, გლდანი-ნაძალადევის საგამოძიებო სამსახურიდან ქალაქის პროკურატურამ ვინმე მესხელის საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე აღძრული საქმეც მიიღო. პროკურატურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ მინდელსა და მესხელს საერთო ნაცნობი ჰყავდათ. იგი ამ დანაშაულშიც ეჭვმიტანილად აღიარეს და „ტაო-21“-ის ყაჩაღობისა და მესხელის ბინის გაქურდვის საქმეები გაერთიანეს.

მინდელი ზემოთ ხსენებულ ფაქტებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა და დაჟინებით იმეორებდა, რომ სრულიად უდანაშაულო იყო. მოგვიანებით, ეს სამართალდამცავებმაც აღიარეს. მათ მინდელის მამხილებელი ვერც ადამიანი იპოვეს და



ვერც ნივთმტკიცება აღმოაჩინეს. როგორც ექვმიტანილი ამბობდა, იმ პერიოდში ის თბილისში საერთოდ არ ყოფილა, ქუთაისში იყო და ეს არაერთმა მოწმემ დაადასტურა. პროკურატურა იძულებული გახდა, „ტაო-21“-ის დაყარვასა და მესხელის ბინის გაქურდვასთან დაკავშირებით მინდელის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა შეეწყვიტა. 2002 წლის 4 თებერვალს გამოძიებლებმა აღნიშნული ორი საქმე კვლავ გვერდზე გადადეს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მინდელს ციხიდან გაათავისუფლებდნენ. სამართალდამცავთა თქმით, ის 2001 წლის ივლისში თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შპს „ხატაის“ დაყარვებში მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ გიორგი მინდელი პოლიციას სარფის საბაჟოს თანამშრომლების წყალობით ჩაუვარდა ხელში: 2001 წლის 7 სექტემბერს მინდელი საქართველოდან თურქეთში მიემგზავრებოდა, საბაჟოზე შემოწმებისას კი აღმოაჩინეს, რომ მას ყალბი პასპორტი ჰქონდა – მოქალაქე ი. ზივზივადის სახელზე გაცემულ პასპორტში თავისი ფოტოსურათი ჩაუკრავს.

„... პასპორტი, რომელშიც ჩემი სურათი ჩავსვებ, ქუთაისში ვიპოვე, ჩემი მუდღის საცხოვრებელი ბინის ეზოში. თურქეთში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ პასპორტის გასაკეთებელი თანხა არ გამაჩნდა...“ – წერს მინდელი თავის ჩვენებაში. სამართალდამცავებს კი მიაჩნიათ, რომ მინდელს არ სურდა, ჩადენილი დანაშაულის გამო ჩავარდნოდა ხელში პოლიციას და ამიტომაც ცდილობდა საქართველოდან გაქცევას. პროკურატურის ინფორმაციით, წინასწარი გამოძიებით დადგინდა:

2001 წლის 2 მაისს, მაშინ, როცა გიორგი მინდელი თბილისში იმყოფებოდა, ვინმე დათო გუგულავასთან, თემურ თედორაშვილთან და კიდევ ერთ პირთან ერთად, ღამით, დაახლოებით 2 საათზე, ყაჩაღურად დაესხა თავს შპს „ხატაის“ თანამშრომლებს. მან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, დიდი ოდენობით თანხის მოთხოვნით, ფირმის ღირებულებას – გვიშვილს და სხვებს, მობილური ტელეფონები, ძვირფასი სამკაულები და თანხა – 600 ლარი წაართვა. ამის შემდეგ მიიძალა, ხოლო გატაცებული ნივთები, თანამშრომლებთან გაიანწილა. 2001 წლის 6 მაისს კი, ღამის 12 საათზე, ვინმე კახასთან და სხვებთან კვლავ წინასწარი შეთანხმებით, თბილისში, ჩხეიძის ქუჩაზე მცხოვრები შურა ჯავახიშვილის ბინა გაძარცვა. ვინაიდან ეს უკანასკნელი მინდელს თავისი შვილიშვილის მეგობრად იცნობდა, თავად მინდელი გარეთ, „ატანდაზე“ დარჩა, მისმა თანამშრომლებმა კი ბინაში შეაღწიეს და იქიდან 890 ლარის ღირებულების ნივთი-

ბი წამოიღეს, რის შემდეგაც მიიძალნენ და გატაცებული ნივთები კვლავ ერთმანეთში გაიანწილეს. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, ე.წ. თანამშრომლებთან ვინაობა დადგენილი არ არის. სამართალდამცავთა თქმით, მათ ვინმე დათო გუგულავას, თემურ თედორაშვილისა და კახას პიროვნებები ვერ დაადგინეს. რაც შეეხება გიორგი მინდელს, პროკურატურამ მისგან აღიარებითი ჩვენება მიიღო. დღეს განსჯელი აცხადებს, რომ აღნიშნული ჩვენება გამოძიებლებმა მას ძალით დააწერინეს.

**გიორგი მინდელი:**

„... ამ ფაქტებთან მე არანაირი კავშირი არ მაქვს. დანაშაულის აღიარება პოლიციის მუშაკებმა მაიძულებს. ჩვენებებზე ხელი ისე მომაწერინეს, რომ არც წამკითხეს. რა ეწერა შიგ, კარგა ხანს არც კი ვიცოდი.“

პროკურატურა აცხადებს, რომ ალოგიკურია, პოლიციას ძალადობით მიეღო აღიარებითი ჩვენება იმ ფაქტებზე, რომლის შესახებაც მინდელის ჩვენებამდე არანაირი ინფორმაცია, შეტყობინება ან განცხადება სამართალდამცავ ორგანოებში არ შესულა.

**ზოგიზა ზაზაიძე, გიორგი მინდელის ადვოკატი:**

„პროკურატურა, როცა რაიმე არგუმენტები მოჰყავს, თავადვე ექცევა წინააღმდეგობაში. საქმეც ის არის, რომ მანამდე, საგამოძიებო უწყებებში არანაირი ოფიციალური განცხადება არ არსებობდა, მაგრამ დასადასტურებელი ობიექტი ხელთ იგდეს და იმას გაუშვებდნენ?! მით უმეტეს მაშინ, როცა უამრავი გაუხსნელი საქმე უდევთ წინ. „ტაო-21“-სა და მესხელთან დაკავშირებით რომ არაფერი გამოისიძოდათ, ხელაფხენ და როგორც კი „ხატაის“ და ჯავახიშვილის ძარცვის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე დატრიალდნენ – მინდელს აღიარებითი, დაზარალებულებს კი – მამხილებელი ჩვენებები დააწერინეს. თანაც, მოუსწრაფთ და ყველაფერი ერთ დღეში გაუკეთებთ: ჯავახიშვილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოში 2001 წლის 13 სექტემბერს ცხადდება და დილის თერთმეტის ნახევარზე, ჯერ განცხადებას, შემდეგ კი ახსნა-განმარტებას წერს. ასევე იქცევა ლიუზა გივიშვილიც – „ხატაის“ ღირებულებები. იმავე დღეს, ახსნა-განმარტებები ვაჟე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას ვეზავნება, სადაც მინდელის მიმართ, „ტაოსთან“ დაკავშირებულ საქმეს იძიებდნენ. თუმცა, რატომ ან რა ინფორმაციის საფუძველზე მოიქცნენ ასე სამართალდამცავები, გაუგებარია. ჯავახიშვილი და გივიშვილი ხომ ახსნა-განმარტებებში მინდელის შესახებ არაფერს წერენ?! ვაჟე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას იმავე 13 სექტემბერს, გამოუძახებიათ

ჯავახიშვილი, დაუკითხავს კიდევ ის, დაზარალებულის სახით, მინდელითვისაც შეუხვედრებია და ამოცნობაც ჩაუტარებია (აღსანიშნავია, რომ შურა ჯავახიშვილი ღრმად მოხუცია). ისევ და ისევ 13 სექტემბერს, მინდელი შემთხვევის ადგილზეც გაუყვანათ... ყველა ოქმი 13 სექტემბრითა დათარიღებული და როგორ მოასწრეს ამდენი საგამოძიებო მოქმედების ერთ დღეში ჩატარება, ვერ წარმოძღვდნენ. ეს არანაირი ოპერატიულობის ჩარჩოებშიც არ თავსდება.“

დაზარალებულის – შურა ჯავახიშვილის თქმით, დანაშაულის ჩადენის დღეს, ის შინ, მეზობელთან – ვინმე ბელასთან ერთად იყო. „ამ დროს ვიღაც უცნობი ორი ბიჭი მოვიდა. მე ისინი შვილიშვილის მეგობრები მეგონა და სახლში შევიპატუე. არ გაჩერდნენ, ათ წუთში მოვალთო, – თქვენ. ამასობაში ბელა წავიდა... ისევ მოვიდნენ და როცა კარი გავაღე, ერთ-ერთმა, რომ არ მეყვირა, პირზე ხელი ამფარა, მერე კი დივანზე დამაგდეს და პირი სკოჩით ამიკრეს... საშინლად მტეხეს“; – წერს ჯავახიშვილი ჩვენებაში. აღსანიშნავია, რომ ფაქტი, მისივე თქმით, 2001 წლის 6 მაისს მოხდა, პოლიციას კი ჯავახიშვილმა 13 სექტემბერს მიმართა.

„... თავის დროზე იმდებომ არ განვაცხადე, რომ ჩემმა შვილიშვილმა, მეტი ჯავახიშვილმა მითხრა: თვითონ ვიპოვი დამნაშავეებს და პასუხს მე ვაგუცემო“; – დასძინს დაზარალებული. ამასთანავე აღნიშნავს: გიორგი მინდელი არც შინ, არც გარეთ არ დამინახავსო, – მაგრამ ვარაუდობს, რომ ბოროტმოქმედები სწორედ მან მიუგზავნა და გარეთაც ალბათ თვითონ იღვია...

**ზოგიზა ზაზაიძე:**

„ხატაის“ თანამშრომლები მინდელს ხელს ვერ ადებენ. ჯავახიშვილი კი სასამართლოში არ ცხადდება. რაც შეეხება მის შვილიშვილს, გამოძიებამ რატომღაც მისი დაკითხვა საჭიროდ არ ცნო. ამ დანაშაულთან მინდელს კავშირი არა აქვს, მაგრამ რომც ჰქონოდა – დაზარალებული აღნიშნავს, რომ ის ბინაში არ შესულა. პროკურატურა დაზარალებულთა ჩვენებებს ეყრდნობა, მაგრამ ბოლომდე მასაც არ იზიარებს და მინდელს ბინაში შეღწევასა და ძარცვაში სდებს ბრალს. საქმეში არც ცვცხლსასროლი იარაღი ფიგურირებს სადმე, გამოძიებებმა კი მინდელი ცვცხლსასროლი იარაღით ჩადენილ ყაჩაღობაში დაადანაშაულა.

მინდელი მხოლოდ ყალბი პასპორტის გამოყენებაში ცნობს თავს დამნაშავედ. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ პროკურატურას უფლება აქვს, ერთი დანაშაულის გამო, მას ხუთში დასდოს ბრალი და რაც შეიძლება მძიმე მუხლები მიუყენოს...“

22391



კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მართალია, დაბადებიდანვე თანამდებობის პირი არ იყო და ჰალსტუხის ნაცვლად, ჩვილის ჩვეულებრივი პიჟამა ეცვა, მაგრამ თუ მისი ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, თავიდანვე ჩინოვნიკის კომპლექსი ტანჯავდა. მოგვიანებით ეს კომპლექსი მისი კარიერის მასტიმულირებელი გახდა. საქართველოს მთავარი მაკონტროლებელი, ყველაფერს პროფესიონალის თვალით უყურებს და ერთი შეხედვით იცის, ნოვით თუ პიროვნება რა ღირებულებისაა. თურმე, ნუ იტყვით და, ბატონი სულხანი ფესსაცმელსაც კი, ყიდვისას ადგილზე არ ისინჯავს: მისთვის ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისია, რათა ზუსტად გამოიცილოს — მოერგება თუ არა. ესოდენ თავდაჯერებული და შეუმცდარი კონტროლიორი, ყველაფერს მაინც ვერ აკონტროლებს. ბევრი რამ მის ცხოვრებაში, მასთან შეუთანხმებლად სდება. მაგალითად, ბატონმა სულხანმა ვერც კი შეამჩნია, როდის გაიზარდა 193 სმ სიმაღლემდე. სამაგიეროდ, ზედმინეწით ზუსტად იცის, როდის აკრიფა ზედმეტი კალორიები და 115 კილოგრამით, მძიმეწონიანი ჩინოვნიკთა არმიას შეემატა. ბატონი სულხანის ფეხის ზომაა 43-44-ა. ჯანმრთელობას არ უჩივის და წნევაც სტაბილური — 120-80-ზე აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბოროტი ენა ამბობს — სულხან მოლაშვილი დაუმსახურებლად მოხვდა ამ დიდ თანამდებობაზე და არც ახლობელ-ნათესავთა მფარველობა აკლიაო, — ამ აზრს ბევრი არ იზიარებს და პირველ რიგში, თავად ბატონი სულხანი. წიგნებისადმი მიდრეკილება ადრეულ ასაკში გამოვამუღანეო, — მითხრა, — და არც მასწავლებლებისადმი ვიყავი გულგრილიო.



# სულხან მოლაშვილი ტუალეტიდან თავის დასაღწევად მოაღბილეს დაუჩიქავს...

## მაია შავეიაშვილი

— სკოლა წარჩინებით დავამთავრე. განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა. პროფესიაც თავიდანვე მქონდა არჩეული და ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სარატოვის თეორიულ ინსტიტუტში, საკამოძიებო კრიმინალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელე.

— იურიტიკა გარკვეულწილად, ექსტრემალურ სიტუაციებთან ასოცირდება. თქვენ კრიტიკულ სიტუაციაში როგორ იქცევით — იბნევით თუ თავშეკავებული ხართ?

— სიმშვილეს ნებისმიერ სიტუაციაში ვინარჩუნებ, ჩხუბის დროსაც კი. როცა ყვირილით მელაპარაკებან, მე წყნარად ვასუსობ. სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან ვერც კი ვიგებ, რა უნდათ, ერთი კვირა ვფიქრობ და მერე ვიწყებ ამ თემაზე საუბარს, — რასაკვირველია, მშვიდად.

— წარმოიდგინეთ: ისევ სკოლის მოსწავლე ხართ. ღონისძიებაზე სტუმრებს ელოდებით. თქვენი ფესსაცმელი გაცვეთილი და ცოტა დახეულია; სხვა არ გაქვთ — არადა, ამ ღონისძიებაზე თქვენი დასწრება აუცილებელია. რას იზამთ?

— რადგან დასწრება აუცილებელია, წავალ. როგორი ფესსაცმელი მეცმევა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს.

— თუკი მოსწავლეებიც და სტუმრებიც თქვენს ფესსაცმელს მოჯადოებულელებით მიაშტერდებან, განწყობილება არ შეგეცვლება?

— რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის უსიამოვნო იქნება, მაგრამ... ისე მოვიქცევი, რომ მათი ყურადღება მიიპყროს არა დახეულმა ფესსაცმელმა, არამედ — მე.

— მაინც რას მოიმოქმედებთ ასეთს? — არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, რაიმეს ექსტრა-აგანტურს.

— ისე, ხშირად იქცეოდით ექსტრა-აგანტურად?

— ნუ იტყვით, უამრავი მაიმუნობა ჩამიდენია... ერთი ძალიან ლამაზი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი გვყავდა. რომელ საგანს ვასწავლიდა, არ გეტყვით. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი შორიდან ვეარშიყებოდით... აი, კარგია, რომ დამაბრუნეთ ბავშობაში...

— მერე, მერე, მასწავლებელი როგორ ხედებოდა ამ შორით ტრფობას?

— ზომიერად, მაგრამ... თვალებში ხომ შეინიშნებოდა ნაპერწკალი... იმდენი ვქენი — მივედი და ვთხოვე: თქვენს საგანში მომამზადეთოქი. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა. ბოლოს კი, მამჩემს მომზადების საფასური აღარ გამოართვეს...

— ამ ასაკობრივად შეუფერებელი სიყვარულის პარალელურად, სწავლა-განათლებისთვის როგორღა იცლიდით?

— მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემი მეგობრები სპორტსაც მივღვდით და არც მუშტი-კრიგი გვაკლდა, მაინც კარგად ვსწავლობდით. აი, მაგალითად, გოგი კველიშვილმა რ საათში წაიკითხა „დათა თუთაშხია“ და მერე შეეძლო, ნებისმიერი ეპიზოდის ზედმიწევნით ზუსტად მოყოლა. მე „მგზავრის წერილები“ ვისწავლე ზებირად; ახლაც ვიცი, თუ გინდათ გეტყვიო.

— ისედაც მჯერა, ბატონო სულხან, არ არის საჭირო... ამის პარალელურად, რისი გაფუჭება შეგეძლო?

— ამის პარალელურად, შეიძლება ცეცხლი გავეჩინა ან სასლიდან გაგზარულიყავით საჩხერეში და მოდინახეს ციხეზე ავსულიყავით. კიდევ რა მაგონდება, იცით? ჩემი სკოლა დიღუბის ეკლესიასთან იყო. სწავლაც 9 საათზე იწყებოდა და წირვაც. მეშვიდე კლასში ვსწავლობდი. ალგებრის გაკვეთილი უნდა დაგვეწყობოდა. შემოვიდა მასწავლებელი და ღიანასა: მთელი კლასი ფეხზე ვდგავართ და პირჯვარს ვიწერთ. დიბნა კაცი, აღარ იცოდა, რა ექნა, ერთი კი იკითხა — გაკვეთილი არ დაიწყითო? — მაგრამ ძალევე გაგაჩუმეთ და იმ მოხნით, რომ გაკვეთილი ჩაგვეშალა, მთელი ნახევარი საათი პირჯვარს ვიწერდით.

— პედაგოგებისადმი ლტოლვა შემდეგშიც გაგიგრძელდათ თუ უფრო შესაფერისი ტრფობის ობიექტი შეარჩიეთ?

— ის პედაგოგი ჩემს სასიყვარულო ამბებში ერთადერთი და განუყოფელი იყო. ისე კი,



რაც თავი მასსოვს, სულ მიყვარდა ვიღაც. ამ გრძინობაში „წყვეტა“ არ მქონია: შეყვარებული ვიყავი ბაღშიც, მესამე კლასშიც, მეოთხე კლასშიც, მეხუთეშიც და მერეც...

— დღესაც ასე სწორად იცვლით სიყვარულის ობიექტებს?

— დაშეთანხმებით, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი შეყვარებულია ცვლა, ჩემზე დაშორებული მიზეზებით ხდებოდა. „წყვეტა“ შეყვარებას ვერც კი ვასწრებდი, რომ სატრფო სხვა სკოლაში გადადიოდა ან რაღაც სხვა რამ გვაშორებდა... თანაც, ეს, ბავშვური გრძინობა იყო — ზუსტად იმის თქმაც არ შემიძლია, ნამდვილად მიყვარდნენ თუ არა.

— ბატონო სულხან, მე მგონი, თავს არიდებთ კითხვაზე პასუხს. კონკრეტულად მითხარით: დღესაც სწორად იცვლით სატრფოებს?

— ... არა.

— დარწმუნებული ხართ?

— კი.

— მაშინ ის მითხარით — თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

— მაშინ უზენაეს სასამართლოში ვეუშაობდი. თათიას ჩემი რადიონიტერეოე მოუშენია, ჩემი ვინაობით დაინტერესებულა და საერთო ნაცნობებიც აღმოჩენია. თავიდან, შეხვედრის გარეშე ვახერხებდით ერთმანეთის მოკითხვას. მერე, ტელეფონით დაუკავშირდი და 1993 წლის 1 სექტემბერს, შეხვედი კიდევ 19 დეკემბერს უკვე ცოლად მოვიყვანე.

— თათიამ თქვენი წინადადება პირველივე ცდაზე მიიღო?

— ეს ისე მოულოდნელად მოხდა... მეგობრები, თათიას სახლში შევიკრიბეთ. მე თამადა ვიყავი. ნასვამს წამომცდა: გუშინ მე და თათია ერთად ვიყავით-მეთქი. — აი, თურმე რატომ დაივიანა თათიამო, — წამოხტა ტატა — ჩემი მომავალი ცოლისდა. მერე, მეგობარმა გოგონებმაც „ჩაგვიშვეს“ — ერთმანეთს ხვდებიანო. პოდა, აი მაშინ ვუთხარი თათიას: წამოდი ახლა ჩემთან სახლში-მეთქი... ატყდა ერთი ალიაქოთი: ფეხსაცმელი არ დაგრჩეს, ის მოიხურე, ეს ჩაიცვიო...

— სასიდედრო და საცოლის და როგორ შეხვედნენ ამ ამბავს?

— რას შერებთო? — ერთი კი იკითხეს, მაგრამ... დღეს მათთან ერთად ვცხოვრობ და გადასარევი ურთიერთობა გვაქვს.

— ძალიან კარგი... წარმოიდგინეთ: მივლინებაში ხართ. სანამ ჩამოსვდით, ცოლმა და სიდედრმა თქვენი სამუშაო ოთახის დიზაინი შეცვალეს და საყვარელი სანერი მაგიდაც, ნაგავს გააყოლეს. როგორი რეაქცია გექნება?

— ძალიან უარყოფითი. ვერ ერთი, ისინი ამას არ გააკეთებენ. სამუშაო მაგიდაზე, როგორი არეულობაც არ უნდა იყოს, 2-3 თვის წინანდელი გახეთიცი რომ იდოს, იციან — ის მჭირდება და ხელი არ უნდა ახლონ.

— დაფუშვით, ეს მაინც ჩაიდინეს. რას მოიმოქმედებთ?

— მიჭირს პასუხის გაცემა. თავიდან, ალბათ კითხვებს დავსვამდი, ბრანარევი ტონით.

— ძველ ნოვებთან თქვენი დამოკიდებულება როგორია?

— ტრადიციული. ვეთანხმები აის: „მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია“.

— წარმოიდგინეთ: ოფიციალურ შესვენებაზე ხართ. მოულოდნელად, მოპირაღებულ იატაკზე ფეხი გაგიცურდათ და სტუმრების თვალწინ დაგვარდით. რას იზამთ?

— განსაკუთრებულს არაფერს

— წამოვდები და გავიცილებ...

ძალიან სასიამოვნო მოგონებად და კუროზად დამრჩება.

— რა არის ამაში სასაცილო? უხერხულად სულ არ იგრძნობთ თავს?

— როგორ არა, მაგრამ გაცინებას მაინც მოვასწრებ. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება. ამერიკის ელჩმა პოლონეთში, ვარშავასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ქალაქში, სხვადასხვა ქვეყნის თურისტების მიღება მოაწყო. ქალები საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილნი, კაცები — სმოკინგებში. იქ იყო ერთი პოლონელი ოურისტი — ანჯეი უჟელინსკი — ასოვანი ტანის, ბლანჟეიანი — ოლონდ, ისეთი არა, ჩვენს პედერასტებს რომ აქვთ... ოღონდ ნასვამი იყო. სურათის გადასაღებად რომ მოვეშვადეთ, ის, კოქტეილით ხელში, იატაკზე წამოწვა და ჩვენც შემოგვთავაზა, ასე მოვექცეულიყავით. ზოგმა ჩაიცუცქა, ზოგმა — არა, მაგრამ ვერაინ მიხვდა, რომ ის ამ საქციელით თავისუფლებისადმი ლტოლვას გამოხატავდა... უხერხულობა არც ღირებულება და არც ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება. ასეთი გრძნობა მოულოდნელად და ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს. მე ასეთი უხერხული სიტუაციებიდან ტრაგედია არ ვქვნი.

— ერთ-ერთი ვიზიტის დროს, თქვენთვის სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდით. დადგა მომენტო, როცა ტუალეტში შესვლა დაგჭირდათ. შესვლით კი შეხვედით, მაგრამ ვეღარ გამოდიხართ — კარი ჩაიკეტა. რას მოიმოქმედებთ?

— არ დავინგვი. მობილურით ჩემს მოადგილეს ან ვინმე იქ მყოფ ახლობელს დავურეკე და დახმარებას ვთხოვე.

— თუ კავშირი არ მყარდება?

— ფანჯრიდან გადავხედე და ქუჩაში ჩავალ. ასე მოვიქეცი, როცა „პლენანოვზე“ ჩვენს შენობაში ხანძარი გაჩნდა: მესამე სართულის ფანჯრიდან მორეზე ჩავდი, იქიდან — პირველზე



და ქუჩაში გავდი.

— თუ ის ტუალეტი 50-ე სართულზეა, გარისკავთ ფანჯრიდან გადაძრომას?

— აბა, მეორე დღეზე იქ ხომ არ დავრჩები?! რალცნაირად, მოვასწრებ ჩამოსვლას.

— ეი, სიმალის შიში არა გაქვთ?

— არა და ამის დასტურად ვეცდებით, რომ 2000 მეტრის სიმალიდან პარაშუტით არაერთხელ გადმოვმსტარვარ.

— თქვენი ნებით?

— კი, ნებაყოფლობით. სამხედრო სამსახურში ყოფნისას ვვარჯიშობდი ხოლმე.

— როგორი რეაქცია გექნებათ, თუ გადმოხტომისას აღმოაჩნით, რომ პარაშუტი არ იხსნება?

— სათადარიგოს გავსწნი.

— თუ რაღაც მოხდა და ისიც არ იხსნება?

— მაშინ რეაქციას ვეღარ ასწრებ და ისე ენარცხები მიწაზე. თვითმფრინავიდან სხუელის ვარდნის სიჩქარე არის 35 მეტრი წამში. თუ ამას გავითვალისწინებთ, დაახლოებით 50 წმ-ში, 1 წთ-ში, გვაძი ხარ.

— წარმოიდგინეთ: სუფრასთან შევარდნაძის სადღეგრძელოს განსწავებულნი სასმისით სვამენ. დალევთ თქვენც?

— ჩვენ ვსვამთ ხოლმე შევარდნაძის სადღეგრძელოს... ამ შემთხვევაშიც დავლევ, მაგრამ ამას ვინმეს დასანასავად ან გასაგონად კი არ გავაკეთებ: ასეთი რამეები არ მიყვარს... ისე კი, ქიფი რასაც ჰქვია, მენატრება.

— ნესით, არ უნდა გენატრებოდეთ...

— მენატრება და როგორი ქიფი, იცით? — როცა დრო გაქვს და შეგიძლია, ერთი საღამო მთლიანად ქიფს დაუთმო, ისე, რომ საათს არ უყურო. ასეთი საამონება 7-8 წელია, ნაღდად არ მქონია.

— თამადაობა თუ გიყვართ?

— მაინცდამაინც, არა. სიმართლე ვითხრათ,



მირჩენია, რომ თამაღ სხვა იყოს, მაგრამ ეს ბედნიერება იშვიათად მაქვს. თამაღობაში სასმლის მოჭარბებულ მიღებას წუ იგულისხმებთ. საერთოდ, გააჩნია განწყობას, სუფრას, ხალხს - ხან მეტს ვსვამ, ხან - ნაკლებს. პატივს ვცემ ქართულ ტრადიციულ სმის კულტურას.

— ეი. ყანსაღ სშირად იშველიებთ ხოლმე ?

— არც ისე. ერთი კარგი ყანწი მაქვს, ბაბუაჩემის ნაქონი - 1 ლ ჩადის, რქისაა, მაგრამ გამჭვირვალე; ძალიან მოშონს... ყანწს კიდევ, არა უშავს. მაგრამ ფეხსაცმლიდან რომ სვამენ ხოლმე, ეს ჩემთვის მიუღებელია.

— ბატონო სულხან, დილით ვარჯიშობთ ხოლმე?

— კი, ცოტას.  
— როგორ, ცოტას?  
— ყოველ დილით, საწოლიდან აბანანამდე ფეხით მივდივარ...

— გასაგებია. ძილი როგორი გაქვთ?

— ძალიან ცუდად მძინავს.

— ეი. როგორც წებებით, მაშინვე ვერ იძინებთ?

— არა, ღაღილის მაშინვე ადვილად მეძინება, მაგრამ დილით, 7 საათზე, 8-ის ნახევარზე მეღვიძება.

— ცუდი სოზმრები ხომ არ გოფრთხობთ ძილს?

— არა. სიზმრებს საერთოდ არ ვხედავ.

— საერთოდ არა? — ეს გამორიცხებულია; ალბათ, იშვიათად ნახულობთ?

— იშვიათად, კი. უფრო, „დოკუმენტურ ფილმებს“ ვნახულობ.

— ?!

— ჰო, ჰო, ვნახულობ თათბირებს, სამთავრობო შეხვედრებს... ეს ალბათ, ნეკროზის ნიშანია.

არა, არა, შინაგანად მშვიდი და გაწონასწორებული ვარ, მაგრამ არასამსახურებრივ დროს

და სამასურის დროს შორის დიფერენციაციას ვერ ვახდენ - ყველაფერი ერთად მაქვს არეული თავში.

— უსულუო საგნებს სშირად უბრაზდებით? — მაგალითად, ელვას, ღილს, როცა არ იკვრება?

— არა, არა, მასეთი რამეები საერთოდ არ მახასიათებს.

— კარგი. ახლა ასეთი სიტუაცია წარმოიდგინეთ: საქმიან პარტნიორთან მნიშვნელოვანი მოლაპარაკება გაქვთ. ამ დროს, მისი კატა მხარზე ამოგახტათ და კუდი სახეზე მოგიტათუნათ. პატრონს ძალიან უყვარს თავისი კატა, თქვენთვის კი, მისი კეთილგანწყობა მნიშვნელოვანია. როგორ მოექცევით კატას?

— კატა არ მიყვარს. მისი კუდის ქეცინს ვერ ავიტან. წაავლებ ხელს და ჩამოვსვამ.

— კიდევ რომ ამოგახტეთ, კედელს ხომ არ მიანარცხებთ?

— არა, მაგას ნამდვილად არ ჩავიდენ; ისე მშვიდად ჩამოვსვამ. ერთხელ, სარატოვიდან ერთ ქალს ჩავაკითხე სხვა ქალაქში (ვითომ იქ ქალების ნაკლებობა იყო, სადაც ვიმყოფებოდი...). იმას ჰყავდა კატა - ვასკას ეძახდა. ვასკამ ფრენა გადაწყვიტა და მე-3 სართულიდან გადახტა. სტუმრად სხვა ქალებიც იყვნენ. ყველანი მის საძებნელად ეზოში ჩავვდი. მეც, ვითომ ვეძებდი. იპოვეს და აღმოჩნდა, რომ უკანა კიდურები ჰქონდა ნატკენი. მაშინვე ექიმთან, ქალაქარეთ წავიყვანეთ. 5 მანეთი იმას მივეცი. თუ ტაქსის ფულსაც გაეთვალისწინებ, ამ ტრავმირებულმა ვასკამ ჩემი სტუდენტური ბიუჯეტი სრულად შეიწირა...

— ვასკას შევეშვით და არჩვენებზე გადავიდეთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ძმა ან ბიძაშვილი კენჭს იყრის. მის წინააღმდეგ კამპანიაზე თანხის ხარჯვის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ცრუ და ყალბია. ამის შესახებ თქვენ ძალიან კარგად იცით. რა პოზიციას დაიკავებთ?

— თუ ეს მე არ მეხება, სხვა საქმა, თუ ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას უკავშირდება, ვერაფრით დავეხმარები, ვერ დავმალავ.

— გაამჟღავნებთ?

— ახლა, ვერ გეტყვით, რომ პირველი გავიქცევი და გამხელ. ვეტყვი, რომ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს. თუნდაც ახლობლების გულისთვის, იმ კომპრომისზე ვერ წავალ, რაც ჩემს სამსახურს ფუნქციას დაუკარგავს. ამის გამო ნაცნობებისგან არაერთხელ მსმენია საყველური. სანამ კონტროლის პალატის თავმჯდომარე გავხდებოდი, რეზო შავიშვილმა ერთი ახალგაზრდა კაცი ჩემი რეკომენდაციით მიიღო. მერე, როცა ტესტირება ჩატარდა, ამ კაცმა სამსახური დაკარგა. მითხრეს კიდევ: შენ რომ ამ თანამდებობაზე არ იყავი, მაშინ სამსახური უშოვე და როცა მიხვედი, ვეღარ დაეხმარეო...

— ბატონო სულხან, მიიღებდით ისეთ ადამიანს თანამშრომლად, რომელსაც სხვისი დახასიათებით, ბევრი უარყოფითი თვისება აქვს, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალია?

— თავს შევიკავებდი. სხვისი აზრი ჩემთვის ნორმა არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმთან ერთად, თანამშრომლის პიროვნულ თვისებებსაც ვუწევ ანგარიშს.

— მინისძვრის დროს პირველად ხელი რას წამოავლეთ?

— ჩანთას. არა, არა, ჩანთა ახლობელმა აიღო, მე მობილურს დავავლე ხელი... და ეს რას ნიშნავს?

— ამას მოგვიანებით შეიტყობთ... P.S. რას და - საქართველოს „მთავარ კონტროლიორს“ კრიტიკულ სიტუაციიდან „გამოძვრომაში“ ბაღალი არ მოეპოვება. თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს, ისევე როგორც თამაღობას, შეგნირად ვეუება და იცის - სად, რა, როდის უნდა მოიძოქვდოს. ბატონი სულხანი საკუთარი თავის კონტროლის უნარს ზედმიწევნით კარგად ფლობს და ქვევის რეგულაციასაც, სიტუაციაზე დაყრდნობით ახორციელებს. ოპტიმისტი და სხვათათვის სტიმულის მიმცემი სულხან მოლაშვილი არც პრეზიდენტის სადღეგრძელოზე ამბობს უარს და არც ბნელ ოთახში ეძებს შავ კატას. კონფლიქტი არ უყვარს, სიბნელები და პრობლემები კი, საერთოდ არ ამინებს. რისკის მოჭარბებული ტრფიალი და თანამდებობა, ტუალეტში ჩაკეტვის სამიშროებასაც კი უქარწყლებს, მისთვის ყველა კარი თავისით იღება. მისი „გაცურება“ სულაც არ არის ადვილი, ამიტომ ჩვეული გულახდილობით შინაურსაც და გარეულსაც ერთნაირად აფრთხილებს - სულხანი ვარ, იცოდეთ, - სხვებში არ შეგეშალოთო. ბატონი სულხანის მკაცრი ხასიათით შემინებულ „გასაკონტროლებლებს“ დავამშვიდებ: „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“ - ისიც ჩვეულებრივი მოკვდავია და შესაძლოა, ერთს ფიქრობდეს და მეორეს ამბობდეს. სანამ რამეს გაყალბებს დააპირებთ, შესაძლო შედეგების შესახებ კონსულტაციები კონტროლის პალატის თავმჯდომარესთან ჩაიტარეთ: თავისი ხასიათიდან გამოძინარე, იგი მშვიდად მოვისმენთ და ერთი კვირის შემდეგ, ანალიტიკური მსჯელობის შედეგად, სწორ დასკვნამდე მივიყვანთ. ბატონი სულხანი პირდაპირ არაფერს ითხოვს. უკან დასახვე გზას ყოველთვის იტოვებს. სასიცოცხლო ძალები რეზერვში უხვად აქვს. თავდადასავლები უყვარს და ზოგჯერ, 2 კურდღლის დაჭერასაც ახერხებს. ეს ცუდი თვისება როდია - პირიქით. მისდა სამაყოდ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი რეალისტი, მიწაზე მყარად დგას. ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, სამაგიეროდ, არც საკუთარი ღირსებისა თუ ნაღვანის დაფიქვების უფლებას აძლევს ვინმეს...





სამტრედიაში 119 წელს მიღწეულ ნინო სტურუასთან შესახვედრად გავეშურეთ, მაგრამ სამწუხაროდ, წინა დღის გარდაცვლილი დაგვხვდა... სახელმწიფოს მისი ვალი დარჩა — რვა თვის პენსია და ის ყურადღება, რომელიც განსაკუთრებით ახარებს ხოლმე მოხუცებს. ნინო სტურუას ოჯახს მაშინ ვესტუმრეთ, როცა ის უკანასკნელ გზაზე მიემგზავრებოდა. სამწუხაროდ, კიდევ ერთი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ვერ მოვეფერეთ, გულის სითბო ვერ ვაგრძნობინეთ, ვერ ვუთხარით, რომ ყველას იმედი იყო და თითოეული ჩვენგანის დიდი ბეზია. სამტრედიაში ჩასულებს მეგზურობა გამგეობის წევრებმა გაგვიწიეს.

ლელა ჭანაშვილი



# 118 წლის სამტრედიალი ნინო სტურუა

## არასწორმა მკურნალობამ შეინიკა სიკვდილის წინ ის მ თვის აუღებელ პენსიას ითხოვდა

ავთანდილ ჩიქოვანი, სამტრედია-ის რაიონის გამგებლის მოადგილე

— რამდენიმე თვის წინ, სოციალური დაცვის სამსახურმა შეადგინა სიები, რათა დღესასწაულებზე ხანდაზმულები საჩუქრებით გაგვეზარებინა, ამ სიების შედგენის დროს აღმოვაჩინეთ, რომ ქალბატონი ნინო სტურუა 118 წლის იყო, მაშინ გაგვიჩნდა იდეა, გასსწავლიყო ას წელს გადაცილებულთა დახმარების ფონდი. ახლა რაიონში ათი ასეთი ადამიანია. მათ შორის ყველაზე უფროსი, 102 წლისაა.

— თუ გაკეთდა რაიმე ქალბატონი ნინოს დასახმარებლად-გაასახარებლად?

— როგორც ყველა მსცოვანს, მასაც ისე ვეხმარებოდით, გამორჩეული არაფერი ყოფილა. ჩვენი სოციალური სამსახური ცდილობდა, ეს მოხუცი მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო. უამრავი ჟურნალისტი ჩამოვიდა. ალბათ, მსოფლიოც გაიცნობდა, მოულოდნელად რომ არ გარდაცვლილიყო.

ნინო სტურუა თითოშებტ ივნისს 119 წლის გახდებოდა. ის თავის დაბადების დღემდე სამი კვირით ადრე ლოვინიდან ვეღარ წამოღვია. ორი დღე ავადმყოფა, მესამე დღეს კი — გვედებიო, — თქვა და ასე მშვიდად მიიკვალა. გააწვია უამრავი ადამიანი, რომელმაც იცოდა, რომ ნინო სტურუას მსოფლიოს ბეზად ანუ პლანეტის უხუცეს ადამიანად აღიარებდნენ. მიუხედავად მწუხარებისა, ნინო ბეზიას უმცროსმა ვაჟმა კოსტა (ბიძრა-ბი) სტურუამ, მანც საძოვნებით გვიამ-



კოსტა სტურუა

ბო დღის შესახებ.

— თუ გაქვთ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ნინო ბეზია ნამდვილად 118 წლის იყო?

— დელაჩემის პასპორტი ადასტურებს, რომ ის 14 ივნისს უნდა გამხდარიყო 119 წლის. დედა ხონის რაიონის სოფელ გოჩაჯისაიში დაიბადა 1883 წელს, ჩომანიძეების ოჯახში. მათ ოჯახში სუთი ბავშვი იზრდებოდა — სამი და და ორი ძმა. დელაჩემის მშობლებმა ას წელზე მეტხანს იცოცხლეს, ხოლო მისი

ღები ოთხმოცდაათიდან ას წლამდე ასაკში გარდაიცვალნენ. დელაჩემი ძალიან ჯანმრთელი ქალი იყო. არ მასსოვს, ოღესმე ვად გამხდარიყოს. ბოლოს, მუხლების ტკივილი დასწებდა. ამის გამო, ძალიან ნერვიულობდა, რადგან ვიხსნის გარეშე ვეღარ დადიოდა.

— ექიმებს ხშირად აკითხავდა?

— არა, რადგან არც ოპერაცია გაუკეთებია ოღესმე და არც არაფრის ტკივილს შეუწყუებია. ამ ზამთარს ვიხსნე: დედა, ნუღარ იმუშავებ-მეთქი. არ დამიჯერა. ოცდაათი გოლორი სიმიწი დაფუშნა. მეც პენსიონერი ვარ. უკვე სამოცდაექვსი წელი შემისრულდა. „ვტაქსაობ“ და ოჯახს ასე ვინახავ. თითოშებტი ლარი მაქვს პენსია, მაგრამ არ მაძლევენ...

— პენსიას ნინო ბეზიაც იღებდა?

— დიას. თვრამეტ ლარს იღებდა, რადგან მარჩენალი შვილი ომში ჰყავდა დაკარგული. ჩვენი ოჯახიდან სამი ვაჟაკი წავიდა ომში. ერთი მათგანი ოცდახუთი წლის განმავლობაში ტყვედ იყო. მეორე გარდაიცვალა ქერჩში. უკან მხოლოდ ერთილა დაბრუნდა.

— რამდენი შვილი ჰყავდა ნინო ბეზიას?

— დელაჩემი პირველად რომ გათხოვილა, მისი ქმარი ჯვარში წასულა, იქ კი სხვა ქალი შეურთავს ცოლად. ბაბუაჩემს თავისი შვილი და შვილიშვილი წამოუყვანია. წლების შემდეგ, დედა მამაჩემს გაჰყავდა ცოლად. მამას ცოლი მკვდარი ჰყავდა და ექვს შვილს მარტო ზრდიდა. მე მათი შვილების შემ-



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნივნაკიდან:

1. იაპონიის 192 ვულკანიდან 58 მოქმედა.
2. კალმარები შეწყვილების შემდეგ იხოცებიან.
3. ლეფლორაცია ქალწულობის დაკარგვის ნიშნავს.
4. ჯორჯონე 33 წლის ასაკში შავმა ჭირმა იმსხვერპლა.
5. ხრუშჩოვს არასოდეს გასჭირვებია გაცვა ბრძანება – „ესროლეთ!“
6. სისტოლა და დიასტოლა გულის მოქმედების ფაზათა სახელწოდებებია.
7. 1928 წელს თურქეთმა უარყო არაბული დამწერლობა და იგი ლათინურით შეცვალა.
8. ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოდ დანია ითვლება, რადგან გრენლანდია მას ეკუთვნის.
9. ჰაერის ყველაზე გამჭვირვალე ზედა და წმინდა ფენას, ბერძნულ მითოლოგიაში ეთერი ერქვა.
10. კლაისტი, გოტი და გუდერიანი ფაშისტური გერმანიის სატანკო ჯარების მთავარსარდლები იყვნენ.
11. გალაპავოსის კუნძულებს ჩარლზ დარვინმა სასწაულების მხარე უწოდა. აქ ღლესაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბინგვინები და თუთიყუშები.
12. ფრანსისკო ხოსე დე გოია ი ლუისინიტესი ესპანეთის მეფის კარლოს III-ის კარის პორტრეტისტი იყო. P.S. გოიას მეტსახელად პაკოს ეძახდნენ.
13. ვაჟა-ფშაველა ერთხანს სოფელ ორთაშენში თავად ამილახვართან შინამასწავლებლად მსახურობდა. P.S. ვაჟა რომ შინამასწავლებლად გეყოლება!!!
14. კუნძული კრეტა 1204 წელს ჯვაროსნებმა დაიპყრეს და ვენეციას მიჰყიდეს. P.S. „ასქალაქიანი“ (Ecatompolis) – ასე იხსენიებდა ამ კუნძულს პომპროსი.
15. „კაცი ვერ ახერხებს ღმერთით სუფთად გავლას, ცოდვილი ვართ ყველანი“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ოთარ მელვინიუხუცესმა.
16. რუსულ გადაცემა „Что, где, когда“-ში მოთამაშე ერუდიტთა უმრავლესობა ზოლიაქოს ნიშნით მშვილდოსანია.
17. ელიას მთაზე მშენებარე წმინდა სამების ეკლესიისათვის სპეციალურად ამზადებენ ხელნაწერ სახარებას. ეს სახარება, როგორც ძველად, ხბოს ტყავზე იწერება. მასზე პროფესიონალ ხატმწერთა მთელი ჯგუფი მუშაობს. ამ სახარების მხატვრულ გაფორმებაში სხვებთან

უხუხასი

ღევ გაეჩნდი.

— მამათქვენი რა ასაკში გარდაიცვალა?

— ოთხმოცდაათის. რაც თავი მას-სოვს, მამა და დედა ყოველთვის მუხლჩაუხრებლად შრომობდნენ. თხუთმეტი წლის ისე გავხდი, პური არ მქონდა ნაჭაბი. მამჩემი გლეხი იყო, თანაც საკმაოდ შეძლებული. ბევრი საქონელი ჰყავდა. მაგრამ მაშინ პური არ იმოვებოდა. მჭადი კი სულ გვქონდა. მე რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს, დედაჩემი უკვე სამოცდაცხრა წლის იყო, მამჩემი კი – სამოცდათორმეტის. კომისარი გადაირია: ამათი შვილი ჯარში როგორ უნდა წავიყვანოთ? თექვსმეტი წლისას უკვე მოხუცი მშობლების მოვლა-პატრონობა დამეკისრა. როგორც კი ოცი წლის გავხდი, ცოლი შევირთე. სამი შვილი შეგვვიბნა. ასე რომ, ჩემი მშობლები სულ მოხუცებულები მასსოვს.

— არ გიჭირდათ მოხუცების შენახვა, მათი გაგება?

— გაჭირვებაში გაზრდილი ბავშვი მუყაითია. თექვსმეტი წლისამ, რვა კლასი რომ დავამთავრე, მუშაობა დავიწყე, ქუთაისის ავტოქარხანაში ძრავების საამქროში, თვენახევარი მოწაფედ ვიყავი. შემდეგ მუშად გადამიყვანეს, მაღალი ხელფასი მქონდა. უკვე თეთრი პურის ჭამაც შეგვეძლო. მამჩემმა პირველად რომ გასინჯა, აღტაცებულმა თქვა: კარგი რამე ყოფილა თეთრი პური... ახლა ვისხენებ ხოლმე, როგორ ვიყვავდი ხორბალს და ვუვლიდით, რომ ცოტა მაინც მოგვეყვანა. მერე ტომრით მე და მამჩემი წისქვილში წავიდებდით და ღლესასწაულებზე საკუთარი ხელით მოყვანილ რუხ პურს ვჭამდით. ძალიან ბევრს გაუძლო დედაჩემმა. ოცი წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა. შემდეგ ცოლიც დამეღუპა. ამან საშინლად იმოქმედა დედაზე. საკუთარი შვილივით იგლოვა რძალი. სახლის მშენებლობა რომ დავიწყე, დედა უკვე ღრმად მოხუცებული იყო. მაინც მენმარებოდა. ბლოკებს ეწილებოდა და წყლით სავსე „ვედროებს“ დაატარებდა – მუშებს ჯანანი კაცით ენმარებოდა. ძალიან ჯანმრთელი ქალი იყო. გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე, ერთი დღი თუფში ცხელი ღომი და ხარჩო მიირთვა. რამდენსაც მე ვჭამდი, დედაც იმდენს მიირთმევდა. თუმცა საღამოს, ჩაიზე, ყველის გარდა, არაფერს შეჭამდა – ღამით ვეღარ მოვისვენებო.

— ეი. თავის მოვლა იცოდა?

— დიას. მეც ძალიან ვუვლიდი. ძალიან მეცოდებოდა. ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ. საოცარ სითბოს და სინაზეს ვგრძნობდი მის მიმართ. მიწოდდა, კიდევ დიდხანს ეცოცხლა... დედა, კაცს არასდროს მოგებზრდებოდა. დედა არ შეიძლება იყოს ზედმეტი, ასე წლისაც რომ იყო თავად, დედა კი – ორასის... თვი-



თონაც უნდოდა სიცოცხლე. მიშველე, დედიო, – მითხრა სიკვდილის წინ.

— მართალია, თითქოს გასაყვედურობენ — მოხუცს წლები დაუმატეთ, პასპორტში არასწორი მონაცემებია შეტანილი?

— ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ რად მინდოდა მისთვის წლოვანების მომატება?! პასპორტი ორმოცი წლის წინ არის აღებული, მაშინ ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ 79 წლის ქალი კიდევ ორმოცი წელი იცოცხლებდა?!

თავისი ახალგაზრდობის სურათები არ ჰქონდა: უწინ სურათებს ასე ხშირად არ იღებდნენ. დედასთან პირველი სურათი რომ გადავიღე, ის უკვე სამოცდათორმეტი წლის იყო. ბევრმა მკითხა: დედის დაბადების მოწმობა არ გაქვსო?! საიდან უნდა ჰქონდეს დედაჩემს „მეტრიკა“?! მე თვითონ თივაში ვარ დაბადებული: მაშინ სამტრედიამი არ იყო სამშობიარო სახლი. დედა სიმინდის სატეხად ყოფილა გასული, მუცელი რომ ასტკივებოდა. მუხობლის ქალი მოხმარებოდა, დედა თივაში ჩაუწვნიდა – ამიტომ ვითხარით, თივაში ვარ დაბადებული-მეთქი.

— როგორი იყო მოხუცი დედა?

— მე რომ ხუთი-ექვსი წლის ვიყავი, დედაჩემი უკვე სამოც წელზე მეტისა იყო. დიდჯიხანიშში, თავისი მამის სახლში ფეხით მიყვავდი ხოლმე. იქამდე თექვსმეტი კილომეტრია. მომიგებდა ზურგზე და სულ სირბილ-სირბილით მიმიყვანდა ხოლმე ბაბუის სახლამდე.

— სოფელში ნინო ბუბიის თაობის, ცოცხალი აღარავინ დარჩა?

— არა, ყველა საკმაოდ დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. დედას ყველა ახსოვდა. საერთოდ, აბსოლუტური მეხსიერება ჰქონდა. არასდროს არაფერი ავიწყლებოდა, არც თვალის სინათლე დაჰკლებოდა – ნემსში მაფს უსათვალოდ უყრიდა.

— თუ უხაროდა, ყურადღების ცენტრში რომ მოექცა? ყურნაღისტებს



როგორ ხვდებოდა?

- ყურადღება ძალიან უხაროდა. მაგრამ რომ ეუბნებოდნენ - რეკორდების წიგნში შეხვალ, დიდ თანხას მიიღებო - სწყინდა: ფული არ დამანახვო, ფულის გულისთვის არავის მოაკვლევინო ჩემი თავიო, - მეუბნებოდა. ეშინოდა ყაჩაღობის. ბოლო წლებში, საკმაოდ ძნელი, სამინელი დღეები გადავიტანეთ. ჩვენი სახლის თავზე ტყეები ზუზუნით დაფრინავდა: სამტრედია პოლიგონად იყო ქცეული. „სნარიაღები“ რომ სკდებოდა, დედას და ბავშვებს ბეტონის თიანჭში ვმაღავდი ხოლმე. მაშინ დედა ჩემთვის დიდი იმედი იყო. არ იმჩნევდა, რომ ეშინოდა, პირიქით - ეს არაფერია, ომი უწინ უნდა გენახათ, ამან შეგამინათო?! - სიცილით ეუბნებოდა ბავშვებს.

რა სურვილები ჰქონდა ნინო ბებია?

- პენსიას თხოულობდა. რვა თვის პენსია გვექონდა ასაღები მასაც და მეც. გამეგებელი იყო მოსული მის სანახავად. სისოვო: დედაშვილობას, პენსია მომეციო. ყურადღება ძალიან აკლდა. მხოლოდ ერთხელ მოუტანეს ორი კილო ბრინჯი და სამი კილო შაქარი. ისე არ დავცემულვარ, ბრინჯი და შაქარი რომ ვერ ვიყიდო. დედაჩემი მშვიერი არასდროს დამიბოძებია, ჩემს სამ შვილთან ერთად, პატარა ბავშვებით ვუვლიდი და ვუყურებოდი. რამდენი წელიც მოემატებოდა, იმდენჯერ გულში რაღაც მწყლებოდა: არაფერი სტკიოდა, მაგრამ ხომ ვხვდებოდი, რომ მისი სხეული ცვლებოდა...

როთ გარდაიცვალა?

- უფრო მეტს იცოცხლებდა, მეტი ყურადღება რომ ჰქონოდა. არ მქონდა იმის საშუალება, რომ მისთვის ექიმები დამესია. მე ვიყავი მისი ექიმი. ორჯერ გადავატანინე ფილტვების ანთება. ბოლოსაც, ფილტვების ანთება ჰქონდა. ექიმი მოუყვანე. გულზე დაუწყო მკურნალობა. ფილტვები დაეწვა. მოხუცი მეტს რას გაუძლებდა. ასე დავლუპე დედაჩემი, თორემ, კიდევ ათ წელიწადს მაინც იცოცხლებდა, კაჟით იყო. ძნელია, საშუალება რომ არა გაქვს. ექვსი ლარის წამალი მისცა სოციალური დაცვის სამსახურმა - ეს ხომ დაცინვაა! მაგრამ რა ვქნათ? -

ასეთია გაჭირვებული კაცის ცხოვრება... დედაჩემი მთელ ქვეყანას მერჩინა. ბევრმა თქვა: ამ ხნის ქალს რად უნდა ტირილიო. გულზე მომხვდა - სამინლად მეწყინა.

რამდენი შვილიშვილი ჰყავდა ნინო ბებია?

- ოცდახუთი შვილიშვილი, ოცდაათონმეტი შვილთაშვილი და ხუთი მათი შვილი. ხუთ თაობას მოესწრო დედაჩემი, ყველანი უყვარდა. ყველას სახელი იცოდა.

წერა-კითხვა თუ იცოდა?

- არა. სკოლაში არც კი უვლია, მაგრამ ფულს ცნობდა. ფული რომ შეიცვალა, სამი ლარი მივეცი, მომე, დედა, ამას ბალიშის ქვეშ შევინახავ - თუ ოდესმე გაგვიჭირდა, დავხარავოთო. მერე ლარსაც შეგვჩავა და თავისუფლად ანგარიშობდა.

კარგი დიასახლისი თუ იყო ნინო ბებია?

- სიკვდილამდე გვემსახურა. საღამოს რომ მოვიდოდი, ვკითხავდი: „როგორაა, დედა, საქმე?“ კარგად, კარგადო, - მიპასუხებდა. მის იმედად ვტოვებდი ხოლმე შვილებს და სახლკარს. საოცრად კარგი დიასახლისი იყო. საათ-ნახევარში ღოსაც გააკეთებდა, საცივსაც და ხაჭაპურებსაც დააცნობდა. ციბრუტყვით ტრიალებდა. ბოლო ორი წელი საჭმლის მომზადებას თავი დაანება.

გერები თუ უყვარდა ნინო ბებია?

- გერებს დედასავით უყვარდათ. ჩემი ძმები არ ამუშავებდნენ - თვალისჩინივით უფროსი ილღებოდნენ. ჩემი ერთი ძმა სანამ ჯარში წავიდოდა კოლმეურნობის თავმჯდომარე იყო. მამაჩემი კოლექტივის წევრი იყო. საკუთარი მიწაც ჰქონდა, 1937 წელს ჩამოართვეს. მეც ამ წელს დავიბადე. გერებს შვილებში არ ასხვავებდა დედაჩემი.

სტალინი თუ უყვარდა?

- უყვარდა. უბრალო ხალხისთვის სტალინი კარგი იყო, - ამბობდა. ნუ გეშინია, დედა, ამაზე უარესად ვცხოვრობდით, უფრო მეტს გავუმეტლით - ყველაფერი გამოსწორდებაო. სიკვდილის წინ მითხრა: შენ ნატანჯი კაცი ხარ შვილო, მე მალე მოკვდები, შენ არ იჯავროო...

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დეალის უბის წიგნაკოდან:

ერთად რუსულან ფეტვიაშვილიც იღებს მონაწილეობას.

18. როდესაც პაპმა იულის მეორემ მიქელანჯელოს მოსთხოვა, სიქსტის კაპელის საკურთხეველის კედელზე მოხატულ ფრესკაზე - „სამინელი სამსჯავრო“ - აღამინათა შიშველი სხეულები დაეფარა, მხატვარმა ასე უპასუხა: ჯერ პაპმა სცადოს ქვეყნიერების გამოსწორება და თუკი რაიმეს გახდება, ჩემს ნახატს მაშინვე შევასწორებო!

19. „შენ, ეი, მსოფლიოს პირველ კუნფუისტად რომ მოგაქვს თავი, განა, მართლა მასეთი მაგარი ხარ! აბა, აქ მოდი! მე შენ გიჩვენებ სეირს!“ - უყვიროდნენ ხშირად ქუჩაში სასეირნოდ გამოსულ ბრუს ლის. ხშირად ასეთი შემახილის შემდეგ ჩინელ სპორტსმენს ჩხუბი და თავისი უპირატესობის დამტკიცება პირდაპირ ქუჩაში უწევდა.

20. მხედველობის მოშლას, რომლის დროსაც ავადმყოფს საგნები ორად ეჩვენება დიპლოპია ეწოდება.

21. სამხრეთ ამერიკის ტყიან მთებში მობინადრე ფართოცხვირიან პატარა მაიმუნს ღურუკული ჰქვია. იგი მსოფლიოში ერთადერთი მაიმუნია, რომელსაც დღისით სძინავს და ღამეულ ცხოვრებას ეწევა.

22. პრემიას, რომელსაც უხდის გემის მფლობელი ტვირთის პატრონს, გემის ვადაზე ადრე დატვირთვასა და გადმოტვირთვაში დისპაჩი ჰქვია.

23. კუნძულ მავრიკიზე მობინადრე ფრინველი დრონტი, რომელიც XVII საუკუნეში გადაშენდა, მტრელების ჯგუფს განეკუთვნებოდა. იგი 16 კილოგრამამდე იწონიდა და სიმძიმის გამო ფრენის უნარი ჰქონდა დაკარგული.

24. სპარტაში ჯანმრთელი ბავშვების დაბადება და გაზრდა სახელმწიფოს სიმდიერისა და კეთილდღეობის უპირველესი გარანტია იყო. ამიტომ, ლიკურგეს კანონების მიხედვით, თუკი ჭარმაგ სპარტელს რომელიმე ახალგაზრდა მეომარი მოეწონებოდა, უფლება ჰქონდა, საკუთარ ცოლთან მიეშვა იგი, ხოლო ნაყოფი თავისად მიეჩნია.

**ჩვენ მივალნიეთ ახას!**  
**საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!**  
 წონის დაკლების და ჯანმრთელობის კონგრულის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგაზრდული იერი და ჯანმრთელობა!


დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

დაგვირეკით: 957067 (17 სთ-მდე); 227756; 382374 (17 სთ-ის შემდეგ); 893345008 ანდრო, ნატა





იუბილარი ტელეკომპანია „მეორე არხის“ (ი იენის მას 10 წელი უსრულდება) წამყვანი ძეიძე კეკელია სიამაყით აცხადებს, რომ წამყვანს შესარჩევ კონკურსში, რომელშიც 1200 ადამიანი მონაწილეობდა, მხოლოდ მან გაიმარჯვა. ეს იყო 7 წლის წინ. მას შემდეგ ის, თითქმის ყოველ საღამოს გადის ეთერში. ცოტა ხნის წინ ქეთის პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილება მოხდა — იგი გათხოვდა. ხომ არ არის მოსალოდნელი ცვლილებები მის პროფესიულ ცხოვრებაში და რატომ გაიპარა ქეთი კეკელია? ამის გასარკვევად მას „მეორე არხის“ სტუდიაში ვენვიე. „ჩემს მეუღლეს რამდენიმე დღეში, 30 წელი უსრულდება. დღეს დილიდან დავდივარ მისთვის საჩუქრის საყიდლად. გავგიჟდი — ჯერჯერობით ვერაფერი ავარჩიე, ამიტომ ძალიან დაღლილი ვარ“, — მითხრა ქეთიმ.



# ქეთი კეკელიას ცოცხარ მოყვანას სჭობს, სახრში ხაიოთ ან ტყეეიზოიხი მიიტანო...

## ნათია თენიშვილი

— ვინ არის შენი მეუღლე და როგორ გაიცანი? — ჩემი მეუღლე, კახა სხვიტარიძე, პროფესიით ექიმი. ჩვენ საერთო მეგობრები გვყავს და ერთმანეთი მათი მეშვეობით გავიცანი თბილისის წინ. მერე დავახლოვდით. თვითონ, თავიდანვე იცოდა, რა უნდოდა და სერიოზულად მიუდგა ურთიერთობას. მე მეგობრობა შევთავაზე. ჩვენი მეგობრობა სამი წელი გავრძელდა. შარშან ზაფხულში, არ ვიცი, რა დამემართა, უცებ სხვანაირი თვალთ შევხედე და ავეისტოდან მოყოლებული, ჩვენი ურთიერთობა შეიცვალა. — ამ ურთიერთობის შესახებ

ებ შენმა მშობლებმა არ იცოდნენ?

— ჩემმა მშობლებმაც და ყველა ჩემმა ახლობელმა იცოდა, ამ თბილისის განმავლობაში, რა ურთიერთობა გექონდა მე და კახას. თავიდან რაკი მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ჩემებიც ასე უყურებდნენ. შემდეგ, როცა უკვე სერიოზულად განვითარდა მოვლენები, ჩემებიც მოწადინებულები იყვნენ. მერე ერთ დღეს ვთქვი: იცით, კახამ ვენეციაში დამპატიჟა-მეთქი. ამ „დამპატიჟაზე“ დღეგრძეობა ბევრი იცინა.

— თუ ყველამ ყველაფერი იცოდა, რატომ გაიპარეთ?

— არ გავპარულვართ. დილის ექვს საათზე მოვიდა კახა, ჩემი ახლობლებიც და გაგვაცილეს ვენეციაში. უკვე იქ ვიყავით, მეგობრებმა რომ დავვირეკეს და გვითხრეს: ერთ-ერთ ჟურნალში ეწერა, რომ გაიპარეთო. დავდიოდით ვენეციის ქუჩებში და კახა კითხულობდა: რას ნიშნავს — ქეთი კეკელია გაიპარა? ეს გაიპარა, რა უბედურებააო. ასე რომ, არ გავპარულვართ. ეს შეცდომა იყო. იენისში ან ივლისში ქორწილი გვექნება, მაგრამ ჯერ არ ვემზადები. ახლა თვითონ გადის ქალაქიდან, მტოვებს. რომ ჩამოვა, მერე დავიწყებთ სერიოზულად მზადებას.

— მაინცდამაინც ვენეცია რატომ აირჩიე?

— თვითონ შემომთავაზა, მეც დავთანხმდით. რომ ჩავედით, მერე ვკითხვე: რატომ მაინცდამაინც ვენეცია-მეთქი? რა ვიცი, მე ეს შემოგთავაზე, თუ არ დამთანხმდებოდი, მერე სხვა რამეს მოვიფიქრებდიო. მე

ძალიან მომეწონა იქაურობა, კახას — არა. რა არის ეს აბდენი წყალოი?! — გაიძახოდა. მალე მოპებზრდა იქაურობა.

— ახალ სახლში ცხოვრებას როგორ მიეჩვიე?

— უკვე ყველაფერს მივეჩვიე, ერთადერთი, როცა ვაძობ სიტყვა „ქმარს“, მეცინება. არ მჯერა, რომ ჩემს თავზე ვლაპარაკობ. რაც შეეხება სახლს, მარტო ვცხოვრობთ დიდ, ორსართულიან სახლში. თავიდან ძალიან გამიჭირდა, ვწუწუნებდი, — ამხელა სახლს რა მოუვლის, რა დალაგებს-მეთქი?! მაგრამ ავიყვანეთ დამხმარე ქალი და ახლა ყველაფერი წესრიგშია.

— რამდენადაც ვიცი, როცა ტელევიზიაში დაინვიე მუშაობა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყავი. პირველ პროფესიას სამუდამოდ უღალატე?

— მე დავამთავრე სამხატვრო აკადემია და ვარ მხატვარ-დეკორატორი, რაც ძალიან შორს არის ტელევიზიისაგან. ჩემი პროფესიით რომ ვმუშაობდე, უნდა ვიჯდე სახლში და ვქსოვდე გობელენებს. რაც აკადემია დავამთავრე, აღარაფერი გამიკეთებია, იმიტომ, რომ დრო არ მქონდა. გამოდის, რომ ის პროფესია დავივიწყე.

— რა შეგრძნება გქონდა, როცა პირველად დაჯექი ტელეკამერის წინ და ეთერში გახვედი?

— როცა პირველად გავედი ეთერში, მთელი „მეორე არხი“ წერვიულობდა, ჩემ გარდა. ეტყობა, კარგად ვერ გავაცნობიერე ყველაფერი: შემდეგ უფრო ვწერვიულობდი





ხლომე.

**— როდის იგრძენი, რომ პოპულარული გახდი?**

— როცა ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, მეგონა, რომ მეორე დღესვე პოპულარული უნდა გავმხდარიყავი. ველოდებოდი, რომ ვილაც მიცნობდა, სხვანაირად შემომხედავდა, მაგრამ არც მეორე დღეს, არც ერთი კვირისა და არც ერთი თვის შემდეგ, არაფერი შეცვლილა. შემდეგ, ნელ-ნელა ვიგრძენი, რომ ხალხი მცნობდა ქუჩაში, ბაზრობაზე და ა.შ. ძალიან კარგი გრძობაა და არავინ თქვას — პოპულარობა არ მსიამოვნებსო.

**— 6 წლის განმავლობაში, ტელევიზიის პარალელურად, „რადიო 105“-ში მუშაობდი. როგორ მოხვედი და რატომ წამოხვედი რადიოდან?**

— თავიდან, „მწვანე ტალღაში“ მიმიყვანა ჩემმა მეგობარმა, ბასა ჯანიკაშვილმა, იქ სულ ორი თვე ვიმუშავე. შემდეგ გავიცანი შალვა რამიშვილი, რომელმაც ასე ვთქვათ, ტვინი მიღრძო და ძალით გადამიყვანა „რადიო-105“-ში, სადაც ხუთსაათიანი ერთი მქონდა კვირაში ხუთჯერ. იქ, როგორც შინ, ისე მივიდიოდი. რადიოში აბსოლუტურად თავისუფალი ხარ, არავინ არაფერს გიშლის, რასაც გინდა, იმას აკეთებ და ამბობ. ტელევიზიაში უფრო შეზღუდული ხარ: იცი, რომ დიქტორი ხარ და რაღაც გევალებს, რაღაც — არ შეიძლება. თუმცა, ტელევიზიის წყალობით უფრო ადვილად ხდები პოპულარული. რაც შეეხება ჩემს წამოსვლას — დირექტორებს შორის მოხდა დავა, მე შალვა რამიშვილის მხარეზე დავდექი. ჩავთვალე, რომ იმ ადამიანებთან, რომლებიც იქ დარჩნენ, მუშაობა არ იყო პერსპექტიული. ერთ-ერთი თათბირის შემდეგ ვთქვი, რომ ჩემი ადგილი იქ აღარ იყო. წამითაც არ დავფიქრებულვარ, ავდექი და წამოვედი.

**— ტელევიზიიდანაც შეძლებ ასე უმტიკინეულოდ წასვლას, თუ მიხვდები, რომ შენი ადგილი იქ აღარ არის?**

— მე რადიოში იმ ადამიანებთან ურთიერთობა მომწონდა და ის ატმოსფერო მიყვარდა, რაც იქ, იმ პერიოდში იყო, ამიტომაც არ მწყდება გული. ტელევიზია ჩემი პროფესიაა და არა მგონია, აქედან წასვლა მომიწიოს და ისევე ადვილად გადავვლა ეს ნაბიჯი, როგორც რადიოში.

**— ამდენი წლის განმავლობაში, ერთი და იგივე საქმის კეთება არ მოგებზრდა?**

— რომ ვითხრა, არ მომებზრდა-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ სხვა, რაღაც კონკრეტული მინდა-მეთქი, ამასაც ვერ გატყვი. ეს სიტუაცია ცხოვრების წესად მაქვს ქვეული. არ შემიძლია ტელევიზიის გარეშე,

თორემ ისე — მომებზრდა. მალე ჩვენთან, არხზე უნდა შეიცვალოს ყველაფერი, მაგრამ ეს ტელევიზიიდან ჩემს წასვლას არ ნიშნავს.

**— შეიძლება სხვა არხზე გიხილოთ?**

— შეიძლება. არის რაღაც პროექტები, რომელზეც დავფიქრდი. ვნახოთ, რა იქნება, არ მინდა წინასწარ საუბარი.

**— გათხოვება ხომ არ შეგიშლის ხელს პროფესიულ საქმიანობაში?**

— მე გათხოვილი ვარ, მაგრამ მე და შენ „მეორე არხის“ სტუდიაში ვხვდებით ერთმანეთს. ჩემმა მეუღლემ იცოდა, ტელევიზიაში რომ ვმუშაობდი და თავიდანვე შეგუბული იყო ამას. გათხოვება არანაირად არ შემიშლის ხელს ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

**— ჟურნალისტობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი?**

— ბავშვობაში ვოცნებობდი, ვყოფილიყავი სტიუარდესა. ჩემი მეგობრის დედა იყო სტიუარდესა. ძალიან მომწონდა მისი ქულები, კოსტიუმები, რუსეთიდან ჩამოჰქონდა გემრიელი შოკოლადი... მაშინ გადავწყვიტე, რომ სტიუარდესა გავმხდარიყავი. მართლა გულით მინდოდა, მაგრამ ეს ოცნება ვერ ავისრულე. ოჯახმაც დიდად არ შემიწყო ხელი. არც ის ვიცოდი, სად უნდა ჩამებარებინა, სტიუარდესა რომ გავმხდარიყავი. მე რე ჩავიქნიე ხელი. ეჭვი მაქვს, რომ ამ ოცნებას ვერასოდეს ავისრულებ. არადა, დღემდე შემიძლია, ამხელა გოგოს, დავდე, ვუყურო ცას და თუ თვითმფრინავი გამოჩნდება, ისევე ვიოცნებობო...

**— როგორი ბავშვი იყავი?**

— დედაჩემი მეუბნება, რომ დღევანდელისგან რადიკალურად განსხვავებული ვიყავი. საერთოდ არ ვლაპარაკობდი; თუ გავიცინებდი, ოჯახისთვის ეს დიდი ბედნიერება იყო. როცა სტუმარი მოდიოდა, მაგიდის ქვეშ ვიმალებოდი და სანამ არ წავიდიოდა, არ გამოვდიოდი. ძალიან წყნარი, უკონტაქტო და მოწყენილი ბავშვი ვიყავი. ბავშვობის დროინდელ ყველა სურათში ისეთი საწყალი ვარ — რომ შეხედავ, იტყვი: ნეტავ, რა უჭირს ამ ბავშვსო?..

**— შემდეგ რამ აგალაპარაკა?**

— არ ვიცი. მაშინდელი დღემდე ამბობს: რას წარმოვიდგენდი, თუ ეს ბავშვი ტელევიზიაში იმუშავებდა და რადიოში ამდენს ილაპარაკებდაო?! ჩემი ერთი თან-

ამშრომელი ამბობდა: ქეთი კეკელიას ცოლად მოყვანას, სჯობს, სახლში რადიო ან ტელევიზორი მიიტანო, — როცა მოგებზრდება, გამორთავ მაინც, ამას კიდევ რა უნდა უყოო?!

**— პირველი სიყვარული გაიხსენე.**


— პირველი სიყვარული მქონდა სკოლაში და არა ბაღში. ბაღში საერთოდ არავის ველაპარაკებოდი. მე პირველი სკოლა დავამთავრე. მეექვსე კლასში ვიყავი, ერთი ბიჭი რომ მომეწონა. პოლ მაკარტნის ვამსგავსებდი და მისი ბეკრი სურათი მქონდა. ამერიკაში იყო წასული და როცა ჩამოვიდა, სკოლაში მისი სურათები იყო გამოკრული. გოგონები მეუბნებოდნენ — მოვიპართო. მეორე დღეს მივედი მოსაპარად, მაგრამ აღარ იყო, ვილაცამ დამასწრო. მათემ-ათიკაში ვემზადებოდი. დედამ ჩემი რეკულეები რომ ნახა, ძირითადად, ნახატები იყო — გულები, ამ ბიჭის სახელი და ინიციალები. გაგიჟდა ქალი — ვინ არისო? დღემდე არ ვიცნობ ამ ბიჭს... როცა ქუჩაში მხვდებოდა, ისე მიყურებს, როგორც ქეთი კეკელიას, არ იცის, რომ მიყვარდა, მე კი ყველაფერი მასხენდება და მეცინება...

**— ახლა რომ გაიგოს?**

— ახლა გაიგოს. იმდენი წელი გავიდა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?!

**— ორი თვის წინ, ჩემთან საუბარში თქვი, — ძალიან მინდა, შვილი მყავდესო. რამდენი შვილის გაჩენას აპირებ?**

— სამი შვილის გაჩენას ვაპირებ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...





# გიგი ჭირიშიძე არ მისწონს საბარსივილს და დღევანდელი მდგომარეობა, სამაგიეროდ, მისწონს სიღვიძრი...



საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს, გიგი წერეთელს სამუშაო კაბინეტში ვენვიე. იქაურობას საქართველოს უზარმაზარი დროშა, წერეთლების საგვარელო გერბის დამადასტურებელი საბუთი და რამდენიმე მარად მწვანე მცენარე ამშვენებს. ბატონი გიგი, თვალების ფერთან შეხამებით, ცისფერ პერანგში გამონწყობილი დამხვდა...

## მაია კახიძე

— როგორ გრძნობთ თავს კვლავ ვიცე-სპიკერის სავარძელში?

— საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო. პოლიტიკა და თანამდებობა ასეთია — ხან იქნება, ხან — არა, ხან ოპოზიციაში ყოფნა მოგიწევს აღამიანს, ხან — ხელისუფლებაში. იმ გუნდიდან, ვინც აქამდე ხელისუფლებაში იყო, უფრო სწორად, საპარლამენტო უმრავლესობაში, ერთ-ერთი ვარ (ერთადერთი თუ არა), ვისაც ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილება აქვს: თბილისის საკრებულოში ყოფნისას, კარგა ხნის მანძილზე ოპოზიციაში ვიყავი და ამის შიში ნამდვილად არ მაქვს. თავის ქება არ მინდა, მაგრამ არავისზე ნაკლებად არ ვასრულებ ჩემს ფუნქციებს. მესამე წელია, ამ თანამდებობაზე ვარ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა, სხლომების წარმართვაა.

ყოველთვის ვცდილობდი, პარლამენტს ღირსება არ დაეკარგა. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ისეთი რამ, ხალხის თვალში იმიჯს რომ უკარგავს ჩვენს პარლამენტს და ამას ძალიან განვიცდი. ძალაუფლებისთვის ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელია. იშვიათად ეთობა მეტი ადგილი მორალს და ზნობას. რა თქმა უნდა, გადადგომაც შეიძლება და ამის გამოცხადებაც, მაგრამ ე. წ. ბატალიების დღეებში, ეფექტი დაეკარგა ამას: 4-5 წუთში 15 კომიტეტის თავმჯდომარე გადადგა, თანაც — ღიმილით. თუ ასეთ განცხადებას აკეთებ, მაშინ ახსნაც უნდა მოუძებნო. მე არ მიყვარს სხვისი მოწოდებებით არც გადადგომა და არც გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, დიას, არ მიყვარს გაუაზრებელი ნაბიჯები. გადაყენება რთული მექანიზმით ხორციელდება და იმოქმედებდა იმაზეც, რომ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩებოდა ჩემთვის. ჩემმა კოლეგებმა დამიჭირეს მხარი და...

— ახლა საით არის მიმართული თქვენი მზერა და ფიქრები — „იმათკენ“ თუ „ამათკენ“?

— რთული სიტუაციაა, პოლიტიკურად — ძალიან დაძაბული. პარტია, რომელშიც მე ვმოღვაწეობდი, პრაქტიკულად, დაშლილია. ჯერჯერობით, პარტიიდან და ფრაქციიდან არ გავსულვარ, ჩემი პრინციპები მაქვს. მოქალაქეთა

კავშირის მართლაც ჰქონდა ყველა საშუალება, რეალურად დაენახვებინა ჩვენი საზოგადოებისთვის, თუ როგორ შეიძლება საქმის კეთება, მაგრამ პირადად ამბიციებმა, შეცდომებმა, ერთმანეთთან დაპირისპირებაში გამოიწვია სწორედ ის, რაც დღეს მოქალაქეთა კავშირში ხდება. ბევრი წესიერი აღამიანი, ვისაც სულ სხვაგვარად წარმოედგინა ყველაფერი, დღეს იმედგაცრუებულია. მე მუდამ გულწრფელად ვცდილობდი შეკავშირებას, მაშინაც, როცა ჟვანიასა და შევარდნაძეს შორის დაიძაბა ურთიერთობა და მერეც, როცა რამდენიმე ჯგუფს შორის იგივე გამოეორდა. სამწუხაროდ, ჩემს სურვილებს სხვა ძალები უპირისპირდებოდნენ და დღეს ვხედავთ, რა ვითარებაც არის. უფრო მეტად გული იმაზე მწყდება რაც ამ ბოლო პერიოდში მოხდა, — თუნდაც, სასამართლო ავილოთ, — მაგრამ ეს პოლიტიკის სისასტიკეა, პოლიტიკური მანქანა შეცდომებს არავის აპატიებს, თუმცა, შეცდომის გარეშე შეიძლება გასრესილი აღმოჩნდეს...

— თქვენი აზრით, ვინ დაუსვამს წერტილს მოქალაქეთა კავშირს?

— როგორც აღმოჩნდა, მოქალაქეთა კავშირის გარკვეული ნაწილი მართლაც აქტიურად იბრძვის იმისთვის, რომ პარტია შენარჩუნებულ იქნას. შევარდნაძე ამ პარტიის ღერძი იყო. როდესაც შევარდნაძემ თავმჯდომარეობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა, ბევრს მიანდა, რომ ეს ცუდს არაფერს მოიტანდა, მაგრამ მე მაშინ ვიწინასწარმეტყველე: პარტია, ამის შემდეგ, აუცილებლად დაიშლება-მეთქი. ჩემი აზრით, დღეს არსებულ ვითარებაში, ამ სარეანიმაციო პარტიას, ისევე შევარდნაძე თუ დაუსვამს საბოლოო წერტილს. როგორც ექიმი, ამ გადასახედიდან საკმაოდ პესიმისტურ დიაგნოზს ვსვამ, თუმცა, შეიძლება შევცდე კიდევ...

მეუღლესთან — ეკა კანდელაკთან ერთად





— ბატონო გიგი, როგორც ვხედავ, ეს კაბინეტი ნაკურთხია, ყოველ შემთხვევაში, კედლებზე გამოსახული პატარა ჯვრები ამაზე მეტყველებს. თქვენ აკურთხებინეთ?

— არა, ეს ჩემამდე მოხდა, ხელმოწერა აღარ ჩამოტარებია რიტუალი. ამ კაბინეტში სამღვდლოების და საპატრიარქოს ძალიან ბევრი წარმომადგენელი ყოფილა და, რასაკვირველია, ლოცვაც აღუვლენია.

— როცა ძალიან გიჭირთ, უფალს მიმართავთ ხოლმე თუ სიძნელეების დასაძლევად, სხვა, განსაკუთრებული რეცეპტი გაქვთ?

— მგონია, რომ სასოწარკვეთის მომენტებიც, დიდი ტვირთის შეგრიდება... ასეთ დროს, ღმერთსაც ევედრები ადამიანი, მაგრამ შინაგანად, მე, მაგალითად, შვილების სახეები მშველის ხოლმე. როცა ერთი მყავდა, ის წარმომდგებოდა ხოლმე; ახლა ორი შვილი მყავს, ორი ხატება და ეს მშველის. ოჯახის ძალას ყოველთვის ვგრძნობ და მერწმუნეთ, მართლაც დადებითად მოქმედებს...

— რა ამის პასუხია და, ჩვენი ასტროლოგები დაჟინებით მოითხოვენ საქართველოს დროშის შეცვლას: ფერთა განლაგების მიხედვით, ძალიან ცუდი ყოფილა, როცა თეთრს ზემოდან შავი ფერი „აზის“, — თქვენ კი უზარმაზარი დროშა გაქვთ სამუშაო ოთახში...

— მე ახლოს არ ვარ ამ საკითხთან, მაგრამ არსებობს კომისია და რამდენიმე შესარჩევი ვარიანტიც მომზადდა. პრინციპში, მიჩვენებია, რომ უკეთესი დროშა გვექონდეს. სახელმწიფო დროშის ხელაღებით ლანძღვას არ შეუძლებს. მართლაც ასტროლოგები კი არა — ვფიქრობ, მაინცდამაინც აღფრთოვანებული არც ჩვენი ერია ამ ფერებით. ბევრ სახელმწიფოში შეიცვალა კიდევ სახელმწიფო დროშა და ჩვენი უკუღმართი ყოფა თუ გაუმჯობესდება, ძალიან კარგი, მაგრამ მართლაც დროშის შეცვლის იმედად ყოფნა — ცოტაა. გეთანხმებით ამ საკითხში და მხარს დავუჭერ საქართველოს დროშის შეცვლას. რასაკვირველია, მიზიღველი, სასიამოვნო, იმედის მომცემი უნდა იყოს დროშა. რაც დღეს გვაქვს, ვფიქრობ, ეს არ არის საუკეთესო ვარიანტი და გაძლევთ სიტყვას — უფრო გავაქტიურდები...

— ახლა, იქნებ, თქვენ მაინც აგვისნათ, ბოლოს და ბოლოს, რა დაგზარათ წერეთელმა?

— გადმოცემით, ხან რაჭაში ხდება მოქმედება, ხან — იმერეთში. კარგი დაიბარა რამე, ვინმე დაიბარა თუ ქალი დაიბარა

(იციინის) — ძნელი სათქმელია. ზოგი ამბობს: წერეთელმა გლეხების დასანახავად დაბარა ყანაო, მაგრამ არა მგონია, მართლა დაებარა. თუმცა, არ ვიცი, მაშინაც თუ იყო პოპულიზმი... ისე, მე ჯერჯერობით არ მივსულვარ იმ დონემდე, რომ დაბარება დავიწყო...

— სიზმარში ყველაზე ხშირად, ვის ან რას ხედავთ?

— სხდომები ნამდვილად არ მესიზმრება, თუმცა, გარკვეული პირები ჩემი სიზმრების სიუჟეტებში არიან — პოლიტიკოსებიც, სხვებიც... ბოლო დროს, ნაკლებად ვხედავ სიზმრებს...

— ამბობენ, „დიდი ადამიანების“ სიზმარში ნახვა ცუდიაო...

— არა, „დიდი ადამიანები“ არ მესიზმრება. სიზმარი იმდენად განსაკუთრებული ფენომენია, შეიძლება ლამაზი ქალიც დაგესიზმროს...

— ახლა მეუღლეზე მიამბეთ — სად, როდის და რა ვითარებაში გაიცანიეთ?

— ეკა კანდელაკს ბავშვობიდან ვიცნობდი. უდიდეს პატივს ვცემ. დიდი ხანი არ მოგვეცა მეორე შვილი. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩემი ოცნება ახდენილიყო. გადაადო დისერტაცია, თავისი საქმეები და... ჩემი პატივისცემა და სიყვარული ეკას მიმართ, დღეს გაცილებით მეტია... 25 წლის ვიყავი, ცოლი რომ შევიერთე. ეკასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემი გადაწყვეტილება... ერთი სიტყვით, წარმატებით გავარკვიე ყველაფერი.

— რით მონაწილე თავი?

— რა ვიცი, მქონდა ალბათ ისეთი თვისებები, რომ მოვეწონე, გარეგნულადაც მშვენიერი ბიჭი ვიყავი (იციინის) — თმა მქონდა, ბატონო; ახლანდელ წონასთან შედარებით, 30 კილოთი ნაკლებს ვიწონიდი... ხელის სათხოვნელად კი, ეკას მშობლებს მართლაც ვესტუმრე.

— ალბათ, შამპანურით ხელ-

დამშვენებული ენვით, არა?

— არა, ვიცოდი, რომ შამპანური ჰქონდათ და ამიტომ, თაიგული ვარჩიე. ასე რომ, ხელის თხოვნას ვესწრებოდი: მე, ეკა და მისი მშობლები...

— ბატონო გიგი, სიდედრს რას ეძახით?

— მზიას. ადრე ქალბატონ მზიას ვეძახდი. ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება, კარგი ადამიანია და არაჩვეულებრივი ღიასხლისი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სიდედრი უნდა აქილიკო, მასზე ანეკდოტები მოჰყვე. ჩემი სიდედრი ამას არ იმსახურებს.

— ახლა არ მითხრათ, სიდედრის დაბადების დღეც ყოველთვის მახსოვსო...

— რატომაც არა? 12 მაისს — სულ ახლახან ჰქონდა, სხვათა შორის, დაბადების დღე. დიან, მეც ვულოცავ და ისიც მილოცავს ხოლმე. ის ხომ ჩემი მეუღლის დედაა, ჩემი შვილების ბებია, გვეხმარება... ახლა, მართლაც სიდედრზე ნუ მალაპარაკებთ — შესანიშნავი სიმამრი მყავს, ვმეგობრობთ...

— ცოლის შერთვა რომ განზრახეთ, ვის გაანდეთ პირველ რიგში?

— გენიალური დედა მყავს, უტკბილესი ბებია, საოცრად ახლო ურთიერთობა მაქვს მათთან, მაგრამ პირველად, მაინც მამას ვუთხარი.

— როგორ გრძნობს თავს მამათქვენი იმ ავბედითი დღის შემდეგ? და თავდამსხმელები თუ დააკავეს?

— მართლაც უსიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ უფლის ნებით და ექიმების დიდი ძალისხმევით, მამაჩემი გადარჩა. იცით, მისი გადარჩენის იმედი თითქმის არ გვექონდა. დღეს კარგად გრძნობს თავს, ფორმაშია. პრინციპში, უკვალოდ არაფერი ქრება, მაგრამ მამაჩემი საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა შინაგანად, ოპტიმის-

ნუგმარი, ეკა, ნიკოლოზი და გიგი წერეთლები





# ერთგული მკითხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. რომელ ალკინისტს ქაახდნენ „კლდის ვეფხვს“?



- ა) იოსებ კახიანს;
- ბ) მიხეილ ხერგვიანს;
- გ) გურამ თიკანაძეს.

## 2. რომელი ძველის ჯარაგ- ის შვიარაღვაგაში მიიღეს XVIII საუკუნეში ძოღა?



- ა) ინდოეთის;
- ბ) ესპანეთის;
- გ) საბერძნეთის.

## 3. რა უხვარად გან- საკუთრებით ვასო გოძიან- ვილს?



- ა) ცირკი;
- ბ) ნაყინი;
- გ) ნადირობა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ტი კაცია და...

სხვათა შორის, მამაზე თავდასხმის ფაქტისთვის, არასოდეს მიმიცია პოლიტიკური დატვირთვა. ნუ ეწყინება ჩემს ზოგიერთ მეგობარს და საკუთარ თავზე ნუ მიიღებს, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ საკუთარ ზოგიერთი პოლიტიკოსი არ გაუშვებდა ხელიდან შანსს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაეკავშირებინა ეს ყოველივე. მე ერთხელაც არ გამიკეთებია ასეთი განცხადება და დღესაც ვფიქრობ, რომ ეს იყო შემთხვევითი ამბავი, თუმცა, სამწუხაროდ, ამგვარი კრიმინალური შემთხვევითობა ძალიან გახშირდა. რა თქმა უნდა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე — უმძიმესი მუხლით — განზრახ მკვლელობის მცდელობა და ყჩაღობა — მაგრამ ამ საქმის გახსნა ჯერ ვერ მოხერხდა. მესმის პოლიციის და მისი ხელმძღვანელების, როდესაც ამბობენ, — ძალიან გვიჭირსო. დიახ, უჭირთ — ხელფასსაც ვერ იღებენ და შემდეგ, ეს მოსახლეობას აწვება — კორუფციის, გამოძალვის სახით. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ადამიანებს თავად უხდებათ საკუთარ დაცვაზე ზრუნვა, ოჯახის შენახვა... თავისთავად ისმება კითხვა — სად არის სახელმწიფო?! უკიდურესად მძიმე ვითარებაა, სშირად ვარ ხალხთან და ყველაფერს ჩემი თვალთ ვხედავ. როცა ასეთი ვითარებაა, არც ვიცეპიკრობა გაგისარდება და არც პრეზიდენტობა. თანამდებობა სასიხარულო ნამდვილად არ არის...

— ხალხთან სშირად ვარო — ამბობთ — და ისიც გეცოდინებთ, რას ფიქრობს ხალხი: დანამდვილებით შემოძლია ვთქვა, რომ ხალხს ხელისუფლების არ სჯერა. ასე არ არის?

— როდესაც ჩვენ ვეუბნებით, რომ კარგად არის საქმე, ამ შემთხვევაში, პროტეს-

ტის გრძობაც კი ჩნდება, რადგან საქმე ნამდვილად არ არის კარგად. მთავრობამ და ხელისუფლებამ ფორმულირებებიც უნდა გამოინახოს შესაბამისი. ჯერჯერობით წარმატებული რეფორმები არ გვაქვს, ხალხმა ნდობა დაკარგა და ამაზე გვმართებს დაფიქრება, ხალხს რაც შეიძლება მეტი სიმართლე უნდა უთხრა — ამაშია საქმე. ასე რომ ვლავარაკობ, მკითხველი წაიკითხავს ამას და, ბუნებრივია, იკითხავს: შენ, გივი წერეთელი, რას აკეთებო?... ამ თანამდებობაზე, რომელზეც ვარ, მთავარი ამოცანაა, შევქმნათ ისეთი კანონები, რომელიც იმუშავებს და ადამიანებს ყოფას შეუძლებს. ეფექტს ვერ ხედავს მოსახლეობა და იმიტომაც არ სჯერა. ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, თავისუფლად ამზეუბენ გაურკვევლად დაგროვილ ქონებას. რცხვენოდეთ მაინც!...

## — თქვენ რა, ახლობელ-მეგობრებს ამხელთ?

— რა ბევრიც არ უნდა გქონდეს, თუნდაც ლეგალური გზით მოპოვებული — ისეთ ავარაკებს ვხედავთ, ისეთი ზომის სახლებს და მანქანებს, გაოცებული ვარ და ვერასოდეს დავუჭერ მხარს ასეთ პიროვნებებს. გაჭირვებულს ამას უნდა აჩვენებდე?! გამოდის, რომ ასეთი პიროვნები მარტონი უსხედან ხორავით სავსე სუფრას, დამშეული ხალხი კი შესცქერის... არ შეგერება, არა!... სამწუხაროდ, ხელისუფლებას გაუქრა ეს გრძობა. მეფე ერეკლე, როცა მძიმედ იყო ავად, მაინც მარხულობდა. ხორციის ნახარში შეაპარეს; ეს რომ გაიგო, განრისხდა: ხალხმა რომ შეიტყოს, საქმე წახდება... დღეს, სამწუხაროდ, ზნეობის მაგალითები ამოტრიალებულია და ამიტომაც არ მიკვირს, ხალხი უნდობლობას რომ იჩენს ხელისუფლების მიმართ...

## გენიალური დედა მყავს (აბა ანთელავა), უგაბილესი ბებია (ქალბაგონი ალექსანდრა 87 წლისაა), მაგრამ ქორწილის განზრახვის შესახებ პირველად, მაინც მამას ვუთხარი (ნუგზარ წერეთელი)





ლელა ჭანკობაძე

დღეს ომარ კელაპტრიშვილის ვადოსნური სალამურები, ფანდურები და სხვა პირადი ნივთები, მისი მეუღლის ხელით მოწოდებულ მუზეუმში ინახება. **ქალბატონი ციმი** ქმარზე სიამაყით გვესაუბრება:

— ომარი დაიბადა 1943 წლის 1 იანვარს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, თვითნასწავლი მუსიკოსის — მიხეილ კელაპტრიშვილის ოჯახში. მიხეილ კელაპტრიშვილი განხლდა ბრწყინვალე დამკვირვებელი ომარი თავისი მშობლების მეტყველი იყო. ჩემს დედამთილს ქალიშვილის შექმნის შემდეგ, ექვსი შვილი მოუკვდა. ბავშვები ერთი წლის და ორი წლის ასაკში ხელაღან ეცლებოდნენ. საბრალო ისე გამწარებულა, რომ გადაუწყვეტია თავი მოკლა. შიმშილობა დაუწყია. ერთ დღესაც, მშვირმა დაიბინა. სიზმარში უფალი გამოეცხადა და უთხრა: თამარ, შენ თავს არ მოიკლავ; გაეცინება შვილი, გერისოს დაარქმევ, მონათლავ გერის თავში (სალოცავი გორის რაიონში. — ავტ.); მონათვლინებ სოფიოს. გერისო, შვიდ წლამდე, ბერად იქნებაო... სოფიო მეზობლის ქალი იყო. იმ დამეს სიზმარი მანაც ნახა. მასაც უფალი გამოეცხადა და უთხრა: თამარს შენ შვილი უნდა მოუნათლოო. სიზმარშივე გავითვტებულა სოფიო... საცხოვრებელიც კი გამოიცვალეს კელაპტრიშვილებმა, ბავშვები თათრებსა და სომხებსაც კი მონათვლინეს და რაღა ჩემი მონათვლილი ბავშვი გადარჩება?! (უწინ ასეთი ჩვეულები იყო: იმ ოჯახში, სადაც ბავშვები ელუბებოდათ, ახალშობილს სხვა ეროვნების ადამიანს მონათვლინებდნენ, ან სხვა სარწმუნოების ადამიანს მიჰყიდნენ; მიყიდვა პირობითად, ფორმალურად ხდებოდა. აქედან მოდის გამოთქმა — თათრზე გაყიდული. — ავტ.). სიზმარშივე, უფალს მათრანი გადაუკრავს სოფიოსთვის. შემინებულ სოფიოს გამოღვიძებია, ქმარიც გაუღვიძებია. ზურგზე მას მართლა ჰქონია ორი წითელი ზოლი: მართლაც, გაჩნდა ჩემი მახლი — გერისო. ექვსი წლის შემდეგ კი, ომარი დაიბადა. ისიც სოფიოს მონათვლინეს. ომარი და გერისო, ღრმად მორწმუნეები იყვნენ. გერისო მხატვარია. ბრწყინვალედ მღერის და უკრავს სხვადასხვა საკრავზე. გერისოს თავისი დის დედამთილმა სალამური აჩუქა. დაკვრა ვერ მან ისწავლა და შემდეგ, ომარს ასწავლა.

— თბილისში მოღვაწეობა როდის დაიწყო ბატონმა ომარმა?

— 1960 წელს, როგორც კი საშუალო სკოლა დაამთავრა, თბილისში ჩამოვიდა. მოწყობილი კულტურაგანმანათლებლო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუსიკის მასწავლებლად მუშაობა კავთისხევში. 1965 წელს, ოცდაორი წლის ომარი, კასპის ცენტრის ქარხნის კულტურის სახლის დირექტორად დანიშნეს. მაგრამ კასპმა მისი შესაძლებლობები ვერ დაიტანა და ომარი თბი-



ესპანეთში, უდიდეს ტყე-პარკში გამართულ კონცერტს 5000 მსმენელი ესწრებოდა. ომარ კელაპტრიშვილი სალამურზე უკრავდა. იგრძნო, ვიღაც ხელს უშლიდა და ცდილობდა, აპყობოდა. უფიქრია: ალბათ, დარდიმანდი ბიჭები ჩემი კონცერტის ჩაშლას აპირებენო. თურმე ტყე-პარკის ფრინველები ახლომასლო ხეებზე შეჯგუფებულიყვნენ და მასთან გაფიქრებას ცდილობდნენ... ამ ფაქტის შესახებ მეორე დღეს, ესპანური გაზეთი, „ფარო დე ვიგო“ წერდა: „ომარ კელაპტრიშვილი ნარმოუდგენელი სანახაობა ნარმოდგენად გადააქცია“. იაპონიაში ომარ კელაპტრიშვილს ვირტუოზი მანესტრო შეარქვეს. ხალხს მისი სალამურისთვის ხელის შეხება უნდოდა. კონცერტის შემდეგ, ყველა, კულისებს მიანყდა: აინტერესებდათ, როგორ გამოსცემდა ასეთი პატარა ჯოხი ესოდენ საოცარ ხმას. იტალიური პრესა წერდა: ომარ კელაპტრიშვილს ხელთ ჯადოსნური სალამური უზყრიაო...

# შეუცნობელი: ომარ კელაპტრიშვილს საფლავში „თბილი შარკუნა“ ჩააყოფის

ლისში ჩამოვიდა. მოხვდა კირილე ვამკაძის სახელმწიფო ხალხურ საკრავთა ორკესტრში. მე და ომარი შეყვარებულები რომ ვიყავით, კირილემ მითხრა: ციმი, გვეთი ნიჭიერი კაცი, ზეცამაც არ მეფულებო... ომარმა პარალელურად შექმნა ტრიო, და-შმა კანდელაკებთან ერთად. სხვათა შორის, ომარს უდიდესი შრომით და ბრძოლით მოუხდა დამკვიდრება: 1964 წელს, როცა ის სალამურით ხელში კონცერტზე გამოსულა, ხალხს სიცილი დაუყრია. აცრემლებული კულისებში გაჯარდნილა. ვასო გომამაშვილი წინ გადასდგომა და უთქვამს: შენ ეი, ახალგაზრდავ, სცენას გამარჯვებული უნდა ტოვებდე და არა დამარცხებულიო... ბატონი ვასო გასულა სცენაზე, დაუწყნარებია დარბაზი და მიუცია ომარისთვის საშუალება, რომ დაეკრა. იმ დღეს ომარმა სამი ნომრის მავიერად, ექვსი შესრულა. ასე სჭირდებოდა სალამურს, ფანდურს და ჩინგურს დაცვა საკუთარ საშობლოში... 1964 წელს, ილიკო სუნიშვილის თაოსნობით, ჩატარდა ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსი. ომარს მამინ არავინ იცნობდა. ამ კონკურსზე მან

პირველმა საქართველოს ისტორიაში შესარულა სალამურზე კლასიკა — „საცეკვაო“, ზაქარია ფალიაშვილის ოპერადან „დაისი“. ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭეს. ეს იყო პირველი აღიარება საკუთარ ქვეყანაში, რის შემდეგაც, სამი ათეული წლის მანძილზე აჯადოებდა მსმენელს თავისი ხელოვნებით. ომარის შემოქმედება სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში. მან პირველმა გამოიტანა საშხეოზე ქართული საკრავები და ისინი მიუღო მსოფლიოს გააცნო. 1969 წელს ომარი სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავში“ მოხვდა. აქ გამოვლინდა მისი უდიდესი საშემსრულებლო ხელოვნება.

— „რუსთავის“ ნეწრები ერთმანეთის მეგობრები იყვნენ. ამბობენ, ომარ კელაპტრიშვილს და ჰამლეტ გონაშვილს ერთმანეთი განსაკუთრებით უყვარდათო...

— უცხოეთში გასტროლებსას, ყოველთვის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ ხოლმე. ჰამლეტის მსგავსი მომღერალი ალბათ საქართვე-



ლოს არც კი ჰყოლია. ამასთან, ის ძალიან განათლებული ადამიანი იყო. მას ბევრი ლაპარაკი უყვარდა, მაგრამ ყველაფერს ჭკვიანურს ამბობდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა: ყოველთვის ყველაზე იფიქრებდა. ერთხელ თურმე კამპატიკიდან უნდა გაფრენილიყვნენ შვეულმფრენით. ელოდებოდნენ ჰამლეტს, ის კი არა და არ მოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა, მაგრამ შვეულმფრენი უკვე ჰაერში იყო ასული. მეტი გზა არ იყო – ჩამოუშვეს თოკის კიბე. ჰამლეტი შეკრთა, ვერ გაბედა ასვლა, მაგრამ ბოლოს, მძინე ავიდა. დაჯდა და თქვა: ბოლიში, სულ ცოტა დავაგვიანეო. ომარმა მას ლექსი დაუწერა, რომელიც ასე მთავრდება:

**„... და ამის შემდეგ ამის ჩამდენი ჰამლეტი მოხვლას ავლავ აგვიანებს, ახლავ ზე მიხვდა, რომ ასე უარვად, თუ რაჯომ მტერის „დაგვიანებს.“**

„რუსთავს“ კონცერტები ჰქონდა კახეთში. ანსამბლი თელავში დაბინავდა. ჰამლეტი და ომარი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ასეთი ფაქტი მოხდა: კასპში დოლო ჭიჭინაძის შემოქმედებით საღამოს გამზადდებით. დავრეკე თელავში. ომარი ნომერში არ დამხვდა. ჰამლეტს ვთხოვე: იქნებ, ჩამოხვიდეთ-მეთქი. – გოგო, მთელი კახელები ჩემი და ომარის ხათრით მოდიან კონცერტებზე, ხომ არ გინდა, ერქომაიშვილი გააგვიოლო?! ეს იყო ჩემი და ჰამლეტის უკანასკნელი საუბარი... ომარს ძალიან უყვარდა გოგი დოლიძე. გოგი, სანამ ომარის ხსოვნის საღამოებზე შემოვიდოდა, ტირილით გულს იჯერებდა ხოლმე... ძალიან განიცადა ომარის დაღუპვა. მასსოვს, მასთან ბოლო საუბარი: დამირეკა. გულს გაუფრთხილდი-მეთქი, – ვთხოვე. ომარ კელაპატრიშვილი მოუკვდა საქართველოს, მერე რა, მე თუ რამე მომივაო, – მითხრა. ორი დღის



ციმი და ომარ კელაპატრიშვილები შეუღლების დღეს

შემდეგ დაიღუპა. ომარის, გოგისა და ჰამლეტის მეგობრობაზე ახლა ფოტოებია დაღადებს.

**— რა განათლება ჰქონდა ომარ კელაპატრიშვილს?**

— ომარი და-მმა კანდელაკებთან ერთად მოაწვევს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1971 წელს მან აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1971-73 წლებში კონსერვატორიაში სწავლობდა. სულხან ცინცაძემ, კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა, უგამოცდოდ დასვა მეორე კურსზე. თან გააფრთხილა: შენ ან დაუფლები ფლეიტას და დაუკრავ მას ისევე, როგორც სალაშურს, ან გაგიშვებ კონსერვატორიიდან. ომარმა ორი წელი იჯანბრა. ბოლოს, სწავლას თავი დაანება და მითხრა: მე ფლეიტას არ გავყვები, რადგან ფლეიტა უკვე კარგად შესწავლილი, თან ნაზი საკრავია, ხოლო სალაშური ვაგაკაცური და ჯერაც შეუცნობი, ამიტომ, ჩემს სალაშურს ვერ ვუღალატებო... ყოველდღე მეცადინებოდა. რეპეტიციასზე ისე არ წავიდიოდა, სალაშურის ან დუღუკის დაკვრით რომ არ „გაბერდიო“. სულ ვეკითხებოდი: რად გინდა, ამდენს რომ მეცადინებო-მეთქი? – ერთი დღეც რომ ჩავაგდო, ასე კარგად ვეღარ დავუკრავო, – მპასუხობდა. როცა ჩაწერა ჰქონდა ან კონცერტისთვის ემზადებოდა, მეტყვოდა ხოლმე: ახლა მე გივი ვარ; მშვიერი რომ მოგვკვებ, ხმა არ გამცე, არ მომეკარო... როცა ომარზე საუბრობენ, ხშირად ავიწყდებათ, რომ ის დიდ პედაგოგთურ და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. სალაშური რატომღაც მივიწყებული იყო. ამაზე აკაკი წერეთელს ლექსიც აქვს დაწერილი: „აღარვინ ვივლებს დღეს ყურსა, სჯობს, ისევ მწვემსს ემსახურო“... ომარმა მწვემსის სალაშურს სცენაზე დაუმკვიდრა ადგილი. სალაშურზე უკრავდა, როგორც ფალიაშვილსა და ლალიძეს, ასევე სენ-სანს, როსინის, ბიზეს და ა.შ. 1975 წელს ომარმა წამოიწყო გადაცემების ციკლი ტელევიზიით. ის ხალხური ინსტრუმენტების პროპაგანდას ეწეოდა. 1981 წელს, ომარი ხალხურ საკრავთა ორკესტრის ჩაუდგა სათავეში. მერე ამ ორკესტრის ბაზაზე, ფოლკლორული ანსამბლი შექმნა, ორკესტრის ქალთა ვოკალური ჯგუფი

შემატა. წლების მანძილზე ეტება სასურველ ხმებს და ბოლოს, მაგნო კიდევ: ანა ბავიაშვილი არის ჰამლეტ გონაშვილი ქალებში. ამ გაერთიანებულ კოლექტივს ომარმა, „იანანა“ უწოდა. როდესაც ომარი დაიღუპა, ანსამბლის წევრების სურვილით მას „კელაპატრი“ დაერქვა. ეს ანსამბლი საფონდო ჩანაწერებს აკეთებს. თავად ომარი მთელ საქართველოში დადიოდა და აგროვებდა ქართული ფოლკლორის მარგალიტებს. შემდეგ კი ნოტებზე გადაჰქონდა და მეცნიერულ კვლევას აწარმოებდა. ფოლკლორის სასახლეში ხალხურ საკრავთა სკოლა-სტუდია – შეიქმნა დააარსა. ეს საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა. კომპოზიტორი რუსა მორჩილაძეც მისი გაზრდილია. ომარმა მთელ საქართველოში დაწერა ეს საქმე, რომელსაც ახლა მისი აღზრდილი განაგრძობენ.

**— ხალხს დამამასოვრდა სალაშურზე დამკვრელი მამა-შვილი. მამის ჩრდილში ხომ არ მოექცა ომარიკო?**

— ომარიკო 1978 წლის 11 მაისს შეგვეძინა, არ მინდოდა, ის მუსიკოსი რომ გამხდარიყო. შვილები ხომ ყოველთვის დიდი მამების ჩრდილში ექცევიან... მაგრამ ომარი ფანატიკოსი იყო. განაცხადა: ჩემი შვილი სალაშურზე უნდა უკრავდესო, – და ომარიკო გვერდში ამოიყენა. დევი აბაშიძე იღებდა ფილმს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე. გადაღებები გემზე „მოთა რუსთაველი“ მიმდინარეობდა. ომარმა ომარიკოც წაიყვანა; მაშინ ჯერ ექვსი წლისაც არ იყო. ძალიან ცოტას ჭამდა. ნინო ანანიაშვილი კალთაში ისვამდა და ეხვეწებოდა თურმე: ერთი ლუკმა მძინე შეჭამეო... ომარიკო გვიანტების წრეში გაიზარდა. პირველად, დამოუკიდებლად რომ გამოვიდა სცენაზე, დიდი ომარი ისე ნერვულოზდა, რომ საორკესტრო ორმოში ჩაძვრა და იქიდან დირიჟორობდა... მამის სიკვდილის შემდეგ, ომარიკო ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი გახდა. ანსამბლ „კელაპატრიში“ ფოლკლორული ჯგუფის ხელმძღვანელიცაა. ომარიკო დაოჯახებულია. მისი მეუღლე, გურამ აბსანძის ქალიშვილი თამუნაა. მათ პატარა სალომე ჰყავთ და ახლა, მეორე შვილს ელოდებიან.

**— ქალბატონო ციმი, თქვენ და ბატონი ომარი როგორ შეუღლდით?**

**ჰამლეტ გონაშვილთან ერთად**



**როგორ დაიწყო თქვენი სიყვარული?**

— ომარი ჩემი ძმის მეგობრის დაბადების დღეს გავიცანი. მაშინ უკვე ცნობილი მუსიკოსი იყო. მე სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტს ვამთავრებდი. დედა, ჩვენი შეუღლების წინააღმდეგი იყო. შვილს, მსახიობს ან მუსიკოსს, ცოლად არ გვაგატან, — ეგენი „მრავალცოლიანობას“ არიან მიჩვეულები და ჩემს შვილს ოჯახი დაენგრევაო... მაინც დავექორწინდი. ვვარი სიონში დაინწერეთ. ბინა არ გვქონდა და თხუთმეტი წელი ჩემს მშობლებთან ვიცხოვრეთ. ძალიან ბედნიერები ვიყავით. მამაჩემი, ომარის დალუპვამდე თერთმეტი თვით ადრე გარდაიცვალა. ის რომ ომარის სიკვდილს მოსწრებოდა, ვერ გადაიტანდა. დედა კი, დღემდე გლოვობს ომარს.

**— ბატონი ომარი, დუღუკეზე უკრაფ და ისევე ვირტუოზულად, როგორც სალამურზე?**

— ორმოცი წლის ასაკიდან, დუღუკის შესწავლა დაიწყო. იმდენი მოახერხა, კლასიკაც კი დაუკრა დუღუკზე. 1990 წელს, გერმანიაში ჩასახური საკრავების ფესტივალი ჩატარდა. ომარმა დუღუკით გაიმარჯვა — პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ, მედუღუკეებმა შემოუთვალეს: კარგი, რა, ომარ, ამით ვვკამთ პურს და ესეც გინდა წაგვართვაო?! ომარს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა: ბუკლებზე აკეთებდა ჩანაწერებს. მაგალითად: საფრანგეთი, 1979 წელი, 25 მარტი. გამოსათხოვარი ვახშამი ქალაქის მერთან. „უფულონი ვართ. ვაი, ჩვენი ცოლვა...“ ომარი გაფიქრებული იყო იტალიაზე. 1986 წელი. 12 აგვისტო, რომი. „შეიძლება შეიშალოს კაცი...“

**— ომარ კელაპტრიშვილს ალბათ, ბევრი მეგობარი ჰყავდა საზღვარგარეთ?**

— საქართველო-გერმანიის საზოგადოების თავმჯდომარე იყო ჰერმან ველეკინდი. მას საქართველო იმდენად უყვარდა, რომ დაიბარა — სიკვდილის შემდეგ ჩემი ნეშტი საქართველოში გადაასვენეთო. ჰერმანი და ომარი ზაარბროუკენში ჩატარებულ ქართული კულტურის დღეებზე დამეგობრდნენ. ველეკინდს ისინი თავის ვილაში დაუბატონია. უამრავი მუსიკოსი ყოფილა შეკრებილი. ჰერმანს გამოუცხადებია: ვინც დღეს ყველაზე მეტად მომაწონებს თავს, ჩემს საგვარულო ჭიქას ვაჩუქებო. ომარმა ნაბადი მოისხა და სალამური ააქვნესა თურმე, ჰერმანმა ეს ძვირფასი ჭიქა სწორედ მას აჩუქა. დღეს, ის ჩვენს მუზეუმში ინახება... კიპრზე მოხდა ასეთი ფაქტი: ბალეტის ცნობილი მოცეკვავე ნინა ტიმოფეევა ცეკვავდა სენ-სანსის „მომაკვდა გელს“. უცბად, ვილონჩელზე დამკრეული ცუდად გახდა. ლევ კოპალეტი იყო დელეგაციის ხელმძღვანელი. მან ომარს უთხრა: შენ უნდა გვიშველო, პირველი, ვინც

ეს ოუცხოვა, ნინა ტიმოფეევა გახლდათ: განა შეიძლება, საქვეყნოდ განთქმული კლასიკური საკრავი, პრიმიტიულმა საკრავმა შეცვალოსო?! დაჯდა და მთელი დამე იმეცადინა ომარმა, მეორე დღეს კი, ისე დაუკრა, რომ ალტაცებულმა ნინა ტიმოფეევამ გამოსტაცა სალამური და გულში ჩაიკრა... ეს ცეკვა ოქროს ფონდშია შესული... თავისი ნიჭითა და სალამურით, ომარმა მთელ მსოფლიოში შეიძინა მეგობრები. მათ შორის იყო ემიგრანტი ილია ჯაბადარი — ცნობილი კომპოზიტორის, ერეკლე ჯაბადარის ძმა. ერეკლე რომ დაიღუპა, მისი დაფერფლილი ნეშტი გადმოსვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. 1979 წელს, პარიზის „კოლიმპაში“ გასტროლების შემდეგ, ომარის ხელოვნებით აღფრთოვანებულმა ილია ჯაბადარმა, ასე წაუწერა მას პროგრამაზე: თვით როსტროპოვიჩის არ მოუპოვებია შენისთანა წარმატებო...

**— ვიცი, რომ ბატონი ომარი ლექსებსაც წერდა...**

— ძალიან კარგი ლექსები ჰქონდა. ეს ლექსები ახლა მუზეუმის კედლებს ამშვენებს. 1938 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა მწყემსი ბიჭის საფლავი, რომლისთვისაც ჭირისუფალს უწენ სალამური ჩაუყიდებია. ეს სალამური დღეს ხელოვნების მუზეუმში ინახება. ომარმა მწყემსი ბიჭის საფლავს ასეთი ლექსი უძღვნა:

... რას გშველოდა ნეწავ,  
გულზე სალამური,  
შენი ცოდვიო, აღბაო, ქვაყვი  
ინვიოდა,  
რა იწოდო, რომ დღეს სიყვავს  
აბერიულოს,  
შენს მაგიერ, სალამური  
იყვიოდა...



**სალამურზე უკრავდა, როგორც ფალიაშვილსა და ლალიძეს, ასევე სენ-სანს, როსინის, ბიშეს**

1992 წელს, ინგლისში გასტროლების დროს გაირკვა, რომ ომარს ლეიკოზი ჰქონია. ცუდად გახდა, მუცელი ასტკივდა. საავადმყოფოში მოათავსეს. ერთ საათში დაღვინდა, რომ ის მძიმედ იყო ავად. ომარს არ უთხრეს, რა სჭირდა. ჩამოიფანეს თბილისში. აქ, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში გაუკეთეს ოპერაცია. ენდობულინი ახალი შემოსული პრეპარატი იყო, არ იშოვებოდა და ძალიან ძვირი ღირდა. ტელევიზიით გამოვაცხადეთ და ხალხს დახმარება ვიხოვეთ. უანგაროდ მოგვიტანეს ათი აშშ-ულა. მთავი აშშ-ულის გადასხმის დროს, ომარი გარდაიცვალა. მიუღლი მსოფლიოდან მოდიოდა სამძიმრის წერილები. მის საფლავზე ასეთი ეპიტაფიაა:

სალამურს ენა ჩავუდგია,  
ბუტნულის ყელის დარადა,  
სული ჩავბენრი, ამღერიდა,  
ქართველთა გასახარადა,  
ღმერთო, ეს ჰანგი მიჩუროსი,  
ავოცხლე ან და მარადა.



როდესაც დაიღუპა, მარჯვენა ხელი არ მოუკვდა, არ გაუშეშდა ის ხელი, რომლითაც მთელი ცხოვრება დაძაბულად შრომობდა. გარდაცვალების დღეებში წერდნენ პრესაში: ომარ კელაპტრიშვილმა მარჯვენა ხელი თბილი ჩაიტანა საფლავშიო...

კავთისხევში ომარ კელაპტრიშვილის ხელით აშენებული სახლი დგას. ეს სახლი ისეთი ლამაზია, რომ მნახველები მას, „ერმიტაჟს“ ეძახიან. 2003 წელს, ომარ კელაპტრიშვილის 60 წლის ობილუზე, ამ სახლში მუზეუმი გაიხსნება. თბილისის მერიისა და ვაკის რაიონის გამგებობის ხელმძღვანელობით გაშენდა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სკვერი, სადაც იმავე წელს მისი ბიუსტი დაიდგმება, ხელოვნის დაბადებიდან 60 წლისთვთან დაკავშირებით.

ომარიკო კელაპტრიშვილი





თოჯინა იმდენად პოპულარული ნივთი გახდა, რომ ბევრი მამაკაცი, მსახიობ ბრიუს უილისის მსგავსად, მას სამკაულების ნაცვლად უძღვნის ხოლმე ქალს სიყვარულის ნიშნად. ეს გასაკვირი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი თოჯინის ფასი ბრილიანტის ყელსაბამის ღირებულებასაც კი აღემატება. მაგალითად, ერთ-ერთი ოსტატის მიერ შექმნილი თოჯინა „სოთისი“ აუქციონზე 227.000 დოლარად გაიყიდა. პოლიულის ვარსკვლავის, ღემი მურისთვის მისი მამინდელი მუულის, ბრიუს უილისის მიერ მიძღვნილი ერთ-ერთი ბოლო საჩუქარი კი, 50.000 დოლარის ღირებულების თოჯინა იყო. თავად ღემი ახლაც ძალიან სერიოზულად ეკიდება თავის კოლექციას და ხშირად ავსებს მას ახალი თოჯინებით. ბევრი იხსენებს, რომ ნიუ-იორკში მოწყობილ თოჯინების გამოფენაზე, ღემი მურის ვიზიტის შემდეგ, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ექსპოზიციის გასსწამდე, დარბაზში არც ერთი კოლექციონერი არ გაეჭაჭანებინათ, რადგან



# ბაკურაკაძის თოჯინაში


ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში თოჯინების ყოველწიონერთა რიცხვმა ფილატელისტების რაოდენობას გადააჭარბა. ფილატელისტები კი, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან ყოველწიონერებად ითვლებოდნენ. მაგრამ თოჯინების მოყვარულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და მათ შეგროვებას, ბავშვერ გატაცებად ატარავენ აღიქვამს.

კინოვარსკვლავი და თოჯინების შეგროვებით გატაცებული მისი კოლეგები საგამოფენოდ თითქმის ადარ ტოვებდნენ საინტერესო ექსპონატებს...

ღემი მურს ამ გატაცებაში არც პოლიულის სხვა ვარსკვლავები ჩამორჩებიან; მთრფასი თოჯინების გამოფენაზე ხშირად ჩნდებიან: უძლიერესი ამერიკელი ტელეწამყვანი ოფრა უინფრი, მომღერალი მაიკლ ჯექსონი და თვით ელტონ ჯონი კი, რომლებიც მხოლოდ ყველაზე ექსტრავაგანტურ თოჯინებს იძენენ ხოლმე.

მათი კოლექციის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ნამდვილად შემურდობდათ ვევიკტელ ფარაონებს, რომლებიც თოჯინების პირველ კოლექციონერებად არიან მიჩნეულნი. სამოგზაუროდ წასვლისას, ფარაონებს მუდამ აცილებდნენ ხისგან, ქვისგან და ოქროსგან დამზადებული მოსამსახურების, ნათესავებისა და ოჯახის წევრების ფიგურები. ამბობენ, რომ ფარაონის დროინდელ თოჯინებთან შედარებით, შუა საუკუნეების ევროპელი რაინდებისა და ვკაროსნული ლაშქრობების მონაწილეთა ფიგურები მეტისმეტად უხეშად გამოიყურება. ფიგურებით ცხოვრება ევროპელებმა უფრო გვიან დააგემოვნეს. ეს მაშინ მოხდა, როცა რაინდული აღკაზმულობა ლამაზმა ტანსაცმელმა შეცვალა, რაც, ბუნებრივია, თოჯინებზეც აისახა. XIV საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში, მუყაოსგან დამზადებული პირველი თოჯინები გაჩნდა, რომელსაც „მოდის მიმდევარი პატარები“ უწოდეს. XVI საუკუნის დასაწყისში, გერმანიაში, კერძოდ – ნიურნბერგში, თოჯინების დამზადება ხისგან დაიწყო. მათ მონატვას საუკეთესო მხატვრებს ავალბებდნენ,

დასავლეთში ძალიან მოღვრი გახდა, ბავშვებისთვის საჩუქრად მათი ორეული თოჯინების მიძღვნა



საუკეთესო დიზაინერები და მოდის სასწავლებლები ხშირად ერთმანეთს ეცილებიან თოჯინებისთვის განსაკუთრებული დამზადების პატივს...

სამეფო კარის მკერავები კი, თოჯინებისთვის ტანსაცმელს კერავდნენ. მაგრამ ულამაზესი თოჯინები საფრანგეთის სამეფო კარზე XVII-XVIII საუკუნეებში გაჩნდა. თოჯინების ფასი მაშინ იმდენად დიდი იყო, რომ მყიდველთან მის მისატანად თან დაცვა დაჰყავდათ.

1889 წელს, მსოფლიოს თითქმის ყველა გავითის პირველ გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია საოცარი თოჯინის შესახებ: ის თურმე ბუნებრივი ხმით იყენებს მღეროდ და თვითმხილველთა გადმოცემით, მისი სიმღერა მოსასმენად ძალიან სასიამოვნო იყო. ასეთი ორიგინალური მეთოდით თომას ედისონმა

მელექსე-დახლიდარი	ანსამბლი რომლის მონაწილეობით გადაიდეს კლიპი „შაგიდის ასული“	კონგინენგი	ისეთი რამ, რასაც ეთაყვანება	საღმკური	სა			
მ	ი	ბ	ი	ქ	ი			
უ. დისნეის თაგვი	სხეული ანუ აფეხი	შესახეობა	ნაბვი	თბილისის კოლორიტი ... დიანამიძე	ნოეს შვილები: სემი, ქამი და ...	ინდუიზმის ერთ-ერთი ღმერთი	ჩეხი კურალი	... უუბნებო კოკა გაიგ



ფართო პუბლიკისთვის თავისი ახალი გამოგონების — მინიატურული ფონოგრაფის წარდგენა გადაწყვიტა და, რა თქმა უნდა, ელისონის თოჯინა უკანასკნელი მოდის შესაბამისად იყო ჩაცმული.

თანამედროვე თოჯინები დახვეწილობითა და ჩაცმულობით თავის წინამორბედებს ტოლს არ უღებენ. მათთვის მოდურ სამოსს თვით ყველაზე სახელმწიფო დიზაინერებიც კი ქნიან. თოჯინებისთვის საუკეთესო კაბები, საგანგებო შეკვეთით დამზადებული აქვთ ტიერი მუეღერს, დოლორე და გაბანას და ოლივიე ლაპილუსს.

თოჯინების შექმნილი მხატვრები მარტო დიზაინერებთან და პრესასთან მეგობრობით არ შემოიფარგლებიან — ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ჟიჰიკოსებთან და დაუღალავად იღვწიან გამძლე და ლამაზი მასალის მისაღებად. მაგალითად, სინთეტიკური თმის შექმნა 1952 წელს, ნამდვილ გადატრიალებად იქცა თოჯინების ბიზნესში.

თანამედროვე ოსტატები ბევრ სხვადასხვაგვარ მასალას იყენებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც ტრადიციების მიმდევრად რჩება. თოჯინის თავს, ხელებსა და ფეხებს თავდაპირველად პლასტილინისგან ძერწავენ, შემდეგ თაბაშირისგან ამზადებენ და გულმოდგინედ აბუშავენ. მერე კი თაბაშირის ფიგურებისგან ზომას იღებენ და მისი მეშვეობით, ოხელი ფაიფურის თოჯინას ასხავენ, რომელიც შემდეგ, სპეციალურ ლუქელში, 1300 გრადუს ტემპერატურაზე გამოიწვება. სწორედ ამიტომ ითვლებოდა გასულ საუკუნეში ყველაზე ძვირფასად მაისინში წარმოებული თოჯინები (სწორედ მაისინში მზადდებოდა მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული სერვიზები).

აღწერილის შემდეგ ხდება თოჯინების ნაწილების აწყობა და ეს პროცესიც ათწლეულების მანძილზე შექნილ ტექნოლოგიას ემყარება, მაგრამ ყველა ოსტატს, რა თქმა უნდა, თავისი საკუთარი საიდუმლო აქვს, რომლის მეშვეობითაც,

ბაეშეების კერპი — თოჯინა იოლა „ვარსკვლავური ომებდან“



სურათებზე (მემოდან ქვემოთ):

ნებისმიერ კარგ თოჯინას სათანადო ინტერიერის ესაჭიროება

თოჯინების დამზადება ნამდვილი ხელოვნებაა


კოლექციონერთა საოცნებო, გყვიის ძველებური ჯარისკაცებია

თოჯინის სახე განუძირობელ იერს იძენს.

თოჯინების წარმოების საქმეში დაუწერელი კანონები და ხარისხის განსაზღვრული კრიტერიუმები არსებობს. საკოლექციო თოჯინას, როგორც წესი, ოსტატის ხელმოწერა და ვებზემლარის ნომერი ახლავს, რადგან არსებობს უნიკალური, მხოლოდ რამდენიმე ვებზემლარად დამზადებული თოჯინები.

პირველი პორტრეტული თოჯინები XX საუკუნის ოციან წლებში გაჩნდა. მათი განსაკუთრებით ფასობდა ის თოჯინები, რომელსაც გამოჩენილი ადამიანების სახე ჰქონდა. ამგვარი სათამაშოების მიმართ ინტერესი დღესაც არ არის განუღებელი და ვარსკვლავების ორეულ თოჯინებს ბევრი, საიმონებით იძენს, მაგრამ ზომიერების დაცვა ამ საქმეშიც ყოფილა საჭირო. მაგალითად, მსახიობ მაიკ მაიერსის მერ განსახიერებული საიდუმლო აგენტის — ოსტინ პაუერსის ორეული თოჯინა რამდენიმე წლის წინ, ამერიკის სათამაშოების მაღაზიებიდან იმის გამო ამოიღეს, რომ მისი ტანი მეტისმეტად თხანი იყო.

გარდა იმისა, რომ თოჯინები სულ უფრო საპატიო ადგილს იკავებს კოლექციებში და საბავშვო ოთახებშიც, ისინი ზოგჯერ ნამდვილ ვარსკვლავებსაც კი არ უღებს ტოლს: მაგალითად, რაინდი ვედაების მასწავლებლის — იოდას თოჯინა ჯორჯ ლუკასის ეპოპეიდან „ვარსკვლავური ომები“ არანაკლებ პოპულარულია, ვიდრე ამ როლის შემსრულებელი მსახიობი ჰარი-სონ ფორდი და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ თოჯინები ჩვენი დროის ნამდვილი გმირები არიან...



ა. წერეთლის ცენტრის ლექსი-სემდერა	ბოსტნეული	„... .. დარა-გომი, კაკოი გი ხაროში“	„... .. ქვერით როდი გაცვდება“	კონგოს დღაქალაქი
საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო	საქართველო
ვაიშვილი - ძე, ქალიშვილი - ...	ოსი სახალხო პოეტი ... ხეთაგუროვი	რა სპეციალობას იყო იმანუილ კანგი	კერუში გაგვრცელებული პარუტევი	საგანის ტარეული
				სამშეოლობო მოლაპარაკების შედეგი



ელენე სალარიძე

# თითოს ასი ყანჭი მაინც გვქონდა...

## მათთვის, ვისაც განსხვავებული სადღეგრძელის დაღეგა ყანჭით უყვარს...

ქართულ სუფრაზე ყანწს გამორჩეული ადგილი უკავია, იმდენად გამორჩეული, რომ ლხინი ყელმოღერებული ჯიხვის და ხარის რქის გარეშე დღესაც წარმოუდგენელია. არცთუ ისე შორეულ წარსულში, ქართველი კაცი საზღვარგარეთ რომ მიდიოდა, პირველ სუვენირად ყანწი მიჰქონდა. „დიდ მოსკოვში“ ჩასულს კი სულ დახარისხებული ჰქონდა ნაირ-ნაირი ყანწები. დიდჩინოსნებისთვის – ჯიხვის და ხარის, იერარქის შემდგომ საფეხურზე მდგომთათვის – ძროხის, მოზერის, ერკემლის, ცხვრის და ა.შ. (იმავე დანიშნულებისა გახლდათ ხანჯლები და ჭელური ნაკეთობანი). სხვათა შორის, 80-იან წლებში სოციალისტურ რუმინეთში მოგზაურობისას ჩაუშესკუს მუზეუმს ვესტუმრეთ (ზომ გახსოვთ, ნიკოლაუ ჩაუშესკუ – რუმინელ კომუნისტთა ლიდერი, შემდგომ დიქტატორად რომ აღიარეს და ცოლთან, ელენასთან ერთად დახვრიტეს ყოველგვარი გასამართლების გარეშე). ჰოდა, ამ ბატონ ჩაუშესკუს ეტყობა, ყანწები ძალიან მოსწონებია და არა მარტო ქართველ კოლეგებს, არამედ რუსებსაც სწორედ ყანწები მიჰქონდათ მასთან საჩუქრად – შეიძლება ითქვას, უთვალავი ყანწი იყო გამოფენილი, თან ყველა, გამორჩეული და საკულდაგულოდ მორთულ-მოჭედილი, ზოგი ვერცხლით, ზოგიც ოქროთი. ყველა, რა თქმა უნდა, საქართველოდან წაღებული...

რუმინეთის მსგავსი ქვეყანა კი იმდენი იყო იმ პერიოდში, რომ პლანეტის ერთი მესამედი ეჭირა. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენი მორთულ-მოვერცხლილი ყანწი და ძვირფასი ნივთი გავიდა საქართველოდან ჩვენი მოძმე თუ თანამოძმე სოციალისტური სახელმწიფოების „დასახლოებლად“.

ყანწების პოპულარობამ ზენიტს მასინ მაღაწია, როცა ჯერ ქუთაისის მიწის ქარხანა, ხოლო შემდეგ, მოსკოვის და რუსეთის მრავალი ქალაქის მიწისა და ბროლის ქარხნების „რეპერტუარში“ სხვადასხვა ზომის ბროლის ყანწი ისე ჩაჯდა, როგორც ქართულ სუფრაზე „მრავალჟამიერი“.

ალბათ გაინტერესებთ, საიდან იღებს სათავეს ყანწი.

ჩვენს უძველეს წინაპარს ჯერ კიდევ



**ეს ჯიხვის ყანწები საუკუნეზე მეტი ხნისაა. შუაში, კოპიანი ყანწი (კოპები ხელის მოსაკიდად გამოუყვანია ხელოსანს) თიანეთიდანაა ჩამოგანილი, დანარჩენი ორი – თბილისელი ხელოსნის ნახელავია**

ზედაპალეოლითის ხანაში უმზადებია რქის ხელშუბები, ჭვილთები, სახვრეტები და ყანწები... მშვილდიც კი. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დღესაც ინახება ვეებურთელა მშვილდი, რომლის სიგრძე 108 სმ-ია, სიგანე 33 სმ. მშვილდის ზედა ნაწილი ერთმანეთს შედუღებული ჯიხვის ორი რქაა.

რქენი გავშინჯე, ყოფილას ჯიხვი \_ თორმეცხს წლისაო. მამის ვოქვი, უარგი გავთალე, მენ ჩემი მშვილდი რქისაო...

ამბობდა ხალხური მოქმელი და ასე „ითლებოდა“ ჯიხვის მშვილდები.

... კვლავ ყანწებს მივუბრუნდეთ. მეფის სასახლეში მოხვედრილი ფრანგი მოგზაური შარდენი ქართული სუფრით მოხიბლული ღვინის სასმელ ჭურჭელს სულ სათითაოდ ჩამოთვლის. მეფის სუფრაზე „ას ოცამდე ღვინის სასმელი ჭურჭელი იყო: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, თორმეტი აზარფეშა და სხვა. აზარფეშები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი დასევალებული ოქროსი, ზოგი ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ზოგიც ვერცხლისა იყო, ყანწები ძვირფასი თასებით იყო მოჭედილი. ყანწები სხვადასხვა სიდიდისაა: უფრო ხშირად ყანწი სიგრძით რვა გოჯია, სიგანით ორი გოჯი. ყანწები შავებია და ძალიან სუფთად დათლილები. ხმარობენ აგრეთვე მარტორქის (როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოტანილს. – ავტ.) და ჯიხვის ყანწებს. თუმცა, საზოგადოდ საქონლის და ცხვრის რქების ყანწებს აკეთებენ. ყანწის ხმარება და მისი მორთვა ყოველთვის დიდად ჰყვარებიათ აღმოსავლეთში“.

ახლა რამდენიმე შეკითხვით გვინდა მივმართოთ ბატონ ჯუანშერ სონლულაშვილს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, „ყანწების პროფესორს“, როგორც მას ზემოთხსენებულ ექსპონატს დეკლარაციის თაობის ეთნოლოგები.

— ბატონო ჯუანშერ, ჯიხვის და ხარის რქა დღეს თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია. რა არის ეს — ტრადიცია თუ უბრალოდ, ლამაზი ნივთის სიყვარული?

— რა თქმა უნდა, ტრადიცია. არქეოლოგიური წყაროებიდან ცნობილია, რომ რქა თითქმის ყველა უძველეს განათხარშია ნაპოვნი, როგორც სხვადასხვა სახის იარაღი და პირველ ყოვლისა, სასმისი. მაგრამ სხვა ხალხებმა დაივიწყეს წინაპართა მოხდენილი სასმისი, ქართველებმა კი პირიქით, რქას ახალი სული შთაბერეს თითქოს. რქის დამუშავება ლამის ხელოვნებადღე აიყვანეს.

— საქართველოში მრავლად ყოფილან რქის ოსტატები. ყანწების გარდა, კიდევ რას ამზადებდნენ ისინი?




– რქისგან ამზადებდნენ ქამრებს, ხან-ჯლის ტარებს, საპირისწამლებებს, ღილებს, მთარახის ტარებს, სავარცხლებს და სხვა წვრილმან ნივთებს. კარგ რქას კი მხოლოდ ყანწისთვის იყენებდნენ. გულდასმით დაამუშავებდნენ, შემდეგ ოქროთი და ვერცხლით ამკობდნენ. ყველა შეძლებულ ოჯახში აუცილებლად უნდა ყოფილიყო კელეღზე, გამოსაჩენ ადგილას გამოფენილი ჯიხვის ყანწები. ჯიხვის ყანწებით, რა თქმა უნდა, ღვინოს სვამდნენ. არყისთვის კი გარეული თხის ან ცხვრის რქისგან დამზადებულ ყანწებს იყენებდნენ.

**— როგორ ხდებოდა რქის დამუშავება?**

– ზოგი კაცი რქას თვითონ ამუშავებდა, გამოხარშავდა, გათლიდა სუფთად და მერე ხელოსანს მიუტანდა – „შავერცხლინებდა“ ან მოაჭედინებდა. რქას მღულარე წყალში გამოხარშავდნენ, დარბილებულს დანით თლიდნენ, შემდეგ შუშით გაფხეკდნენ და ზემოდან ქონიანი ტილოთი დაფერავდნენ. თან სასურველ ფორმას მისცემდნენ. მაგალითად, იცოდნენ რქის დაგრება, გასწორება, მოქანდაკა, ყანწის წვერის მოხრა. ზოგჯერ რომელიმე ცხოველის კულს გამოსახავდნენ რქის ბოლოში ან კიდევ ფრინველის თავს. იცოდნენ ყანწის ორნამენტებით მოჭრელება და დიდი-მძივებით მორთვა.

**— როგორც ჩანს, რქის მომპოვებელი სხვა იყო, დამზადების ოსტატი კი — სხვა.**

– მეყანწე და რქაზე მომუშავე ხელოსნები ნედლეულს მთაში, სოფლებში ყიღულობდნენ. იძენდნენ ჯიხვის, გარეული თხის, ხარის, კამეჩის, ძროხის, ცხვრის, ირმის რქებს. ზემოთ ჩვენ ყანწის დამზადების კუსტარული წესი განვიხილეთ. ხელოსანი-ოსტატები კი გაცილებით მეტ დროს და ხელობას ანდომებდნენ ყანწის გამოყვანას: ჯერ მოხარშავდნენ რქას, თბილ-თბილს გათლიდნენ დანით, წმინდა ქლიბით გაქლიბავდნენ, შუშით დაფხეკდნენ, შემდეგ დასველებდნენ ტილოს, დაყრიდნენ დანაყულ წმინდა ნახშირს და გაფხეკილ ყანწს დაფერავდნენ (თურმე საიდან მოდის შავი ყანწები. – ავტ.). აიღებდნენ გაქონილ ნაბადს, ახლა იმას წაუსვამდნენ – ყანწი პრიადლებოდა და სასურველ ფერს იღებდა. ზედა ნაწილის დამუშავებას რომ მორჩებოდნენ, შემდეგ გულის გასუფთავება და ამოხვეწა იწყებოდა. გულის ამოღების შემდეგ (რაც ასევე აღუდებელი წყლით და სახვეწით ხდებოდა) ყანწში გამდნარ სანთელს ჩაასხამდნენ, მიაველ-მოავლებდნენ და გადმოლ-



**ეს მშვენიერი ყანწები გარეული თხისაა, რაჭიდან, მრავალბაღის ეკლესიიდან ჩამოუტანიათ თბილისში (ამჟამად სახელმწიფო მუზეუმში ინახება). ყანწები წვრილი და საკმაოდ გრძელი ფორმისაა, განის სიმაღლე 80 სმ-ია. მორთულია ვერცხლით**

ვრიდნენ – ყანწი რქის სუნს დაკარგავს, ხოლო ღვინოს „გემო არ დაეკარგებაო“.

**— უდიდეს ყანწად რომელი ითვლებოდა?**

– უდიდესად ითვლებოდა ისეთი ყანწი, რომელშიც ორი ლიტრი ღვინო ჩადიოდა.

**— მერე ვინ სვამდა მაგხელა ყანწით ღვინოს?**

– არ იფიქროთ, რომ აუცილებელი იყო ამ ყანწის ბოლომდე ავსება ან ბევრი ღვინის დალევა თავმოსაწონად და ვაუკაცობის საზომად ითვლებოდა. მაგრამ უნდა გამოვიტყვეთ და არც უამისობა იყო. ხომ გახსოვთ, ყანწებთან მეგრძობი შედანი ჭილაძე, როგორ მიჰბადა წინამორბედს გულბათ ჭავჭავაძემ, მაგრამ ჭინჭილამ მოულო ბოლოო, – ასე რომ ვიცით. ჭინჭილამ კი არა, ყანწმა მოულო ბოლო და მერე ჭინჭილის დალევა ვეღარ შეძლო... ორლიტრიან ყანწს, რა თქმა უნდა, ბოლომდე არ ავსებდნენ (ცალკეული გამოწვრილის შემთხვევების გარდა), სიმბოლურად ჩაასხამდნენ ღვინოს და ამ ყანწით ხელში თამადა სადღევროდელს რომ იტყოდა, სხვა ეშმა და ხიბლი ჰქონდა...

**— როგორც ჩანს, ჯიხვის რქაზე არანაკლებ პოპულარული იყო ხარის რქა.**

– ხარი ქართველი კაცისთვის მართლაც შეუცვლელი იყო. ხარის რქა ყოველთვის ძვირფას მასალად ითვლებოდა ყანწების დასამზადებლად. ხარის რქას ხშირად სალოცავებსაც სწირავდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ყურადღებას იპყრობს ერთი ზემომარხხანელი გლეხკაცის ნაამბობი: „თითო მცხოვრებს ასი ყანწი მანც გვექონდა. ზოგში სამი ჩარექა ჩადიოდა. დავლევდით და გადაკულოცავდით მეორეს, ქორწილში სად ნახავდით ჭიქებს, ძირითადად ყანწი იყო

და იმით ვსვამდით. ჯიხვს ვეტყობით“.

მთიული კაცის აზრით კი, „კარგია ხარის რქა, სიდიდე ყანწისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის გვინდა რქა. რქას ტანზე ჭავლი და ჭავლი (წრეები) აქვს გადავლილი. რამდენი წლისაა საქონელი, იმდენი ჭავლი ექნება რქაზე მოვლებული. მოზერის რქისგან საარყე ყანწს ვაკეთებთ. დიდ ყანწს (ხარისაც რომ იყოს) ჯიხვს ვეძახით. ჯიხვი საღვინე ან სალუდე ყანწია“. ასე რომ, ჩვენი მთიელი წინაპრები ყანწით ლუღსაც სვამდნენ (თუმცა, მთაში დღესაც სვამენ ყანწით ღვინოს, ლუღს და არაყს).

P.S. სულხან-საბასეული განმარტებით, ყანწი არის „რქათავან ცხოველთა სასმისად ღვინოსად ქარახსი“ – რქის სასმისი. ღვინის სასმის ყანწს ჩვენი წინაპარი ჯიხვს უწოდებდა, პატარა ყანწებს კი ძიხვებს და მათ არყის სასმელად იყენებდა.

დღეს ყანწი თითქოს მიგვავიწყდა, აღარც ისე ხშირად გვცალია ლხინისთვის და ქეფისთვის. თუმცა, ბევრ ოჯახში კელეღზე თუ არა, საღვინე კარადის ბოლო უჯრაში მაინც ვინახავთ ძველებურ ყანწებს. ზოგს გაუწაფავი ხელით აწერია: „ვინც დალიოს, გაუმარჯოს!“ იმერეთის სოფლებში ქორწილებში მაყარს, რომელიც ყველაზე დიდ ყანწს გამოსცლის, დღესაც ატანენ ხონჩას – გოჭის თავით, მრგვლად მოხარშული დედლითა და ზაჭაპურებით (ყველაფერი ეს სავანებოდ გათილი მოზრდილ ჯოხზეა წამოცმული).

ასე რომ, თუ იმერეთში მოვიწვევთ ქორწილში მაყარად წასვლა და თანაც ნეფე-პატარძლის სადღევროდელს დალევა განსხვავებული სასმისით – ყანწით გეხერხებათ, ჩათვალეთ, რომ კარგადაც მოილხენთ და შინაც გემრიელი ხონჩით დაბრუნდებით.





ქიულ რიმეს  
თასი,  
რომელმაც  
საბოლოოდ  
ბინა ბრა-  
მილიაში  
დაიღო



ქიულ რიმე  
ჩემპიონის  
თასს გადას-  
ცემს  
ურუგვაის  
საფეხბურთო  
ფედერაციის  
თავმჯდო-  
მარეს

# მოვლენა, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ალექსი რეხვიაშვილი

ზუსტად 72 წლისა და 6 კვირის წინ, სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ კი, ურუგვაიაში ერთი უჩვეულო, უცნაურობებით აღსავსე და ამავე დროს კაცობრიობის პროგრესისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. 4 წლის შემდეგ ეს მოვლენა კვლავ განმეორდა, ოღონდ პლანეტის სხვა კუთხეში და მას შემდეგ სისტემატური ხასიათი მიიღო. გამონაკლისი მხოლოდ გასული საუკუნის შუა პერიოდი იყო, როდესაც დედამიწაზე ადამიანთა შიზოიდურმა ამბიციებმა კინაღამ წერტილი დაუსვა კაცობრიობის არსებობას. როდესაც დიდი მსხვერპლის ფასად, სიმშვიდემ დაისადგურა, აღნიშნული მოვლენა კვლავ „ეისტუმრა“ დედამიწელებს. შემდგომში, ყოველი მისი ახალი დაფიქსირება უფრო და უფრო ამძაფრებდა მისდამი ადამიანთა ყურადღებას და თითქოს სწორედ იმ დროს, საგრძნობლად იცვლებოდა მსოფლიოც. ცივილიზებული სამყაროს უდიდესი ნაწილი გაცხოველებულ ინტერესს იჩენდა საშუალო ზომის, საზამთროსხელა ტყავის ბურთის „მდევენლთა“ თამაშისადმი, რომელსაც ზოგი, ბედნიერების მწვერვალზე აჰყავდა, ზოგსაც – დამარცხებულსა და გულდაწყვეტილს ტოვებდა. გარდა ამისა, ამ

მოვლენის მიმდინარეობის დროს, ადამიანები ძალზედ გულგრილნი ხდებოდნენ ყოველგვარი აქტუალური თემებისა და პრობლემების მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ, ფართო ინტერესის სფეროს განეკუთვნებოდა. ხშირად კი, მამაკაცები ტყავის ბურთის გარშემო ატეხილი აურზაურის მიმართ უფრო დიდ ყურადღებას იჩენდნენ, ვიდრე თვით ქალებისადმი, რაც, რა თქმა უნდა, მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებში პროტესტის გრძნობასაც კი აღძრავდა, თუმცა, თანდათან, ბევრი ქალიც გაიბატა ამ ვნებათაღელვამ... ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა – იმ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომელიც პირველად ზუსტად 72 წლისა და 6 კვირის წინ ურუგვაიაში დაფიქსირდა, ადამიანებმა „მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი“ უწოდეს...

ისევე, როგორც ყოველ დიდ წამოწყებას, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასახვასაც თავისი სიძნელებები ახლდა თან. გასული საუკუნის დასაწყისში, ფეხბურთი ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1904 წლის 21 მაისს კი, პარიზში ფიფა (ფეხბურთის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია) დაარსდა, რომლის უმთავრეს დანიშნულებასაც ეროვნული ფედერაციების გაერთიანება და მათ

შორის საერთაშორისო ტურნირის ჩატარება წარმოადგენდა. ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტად, ფრანგი რობერტ გერონი აირჩიეს, რაც სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან სწორედ მისი დიდი მონღომების შედეგად გახდა შესაძლებელი სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციებს შორის საერთო ენა გამონახულიყო. გარდა ამისა, გერონი ძალზედ ენერგიული პიროვნება ყოფილა. იგი პროფესიით ინჟინერი იყო, ამასთან ერთად, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას თავკაცობდა და გაზეთ Le Matin-თან, როგორც სპორტული ჟურნალისტი თანამშრომლობდა. სწორედ რობერტ გერონს გაუჩნდა პირველად იდეა – ჩაეტარებინა მსოფლიო ჩემპიონატი ჯერ კლუბების, ხოლო შემდგომში, ეროვნული ნაკრებების დონეზე.

1904 წელს ფიფას დამფუძნებელი კონგრესის დელეგატების მიერ მიღებული დებულების მეცხრე პუნქტის თანახმად, „ფიფას, საერთაშორისო ჩემპიონატების ჩატარების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა“. უკვე ერთი წლის შემდეგ ფიფას კონგრესზე პოლანდიელმა კარლ ანტონ ვილემ ზირშმანმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარების წინადადება წამოაყენა, რომლის თანახმადაც, თითოეული ქვეყნიდან მხოლოდ ერთ კლუბს



ედლეოდა ტურნირში მონაწილეობის უფლება, სულ კი, ჩემპიონატში 15 კლუბს უნდა ეასპარეზა. ამგვარად, ხორშმანის იდეა რომ განხორციელებულიყო, თანამედროვე ჩემპიონთა ლიგის მსგავსი ტურნირი პირველად, უკვე 1905 წელს გაიმართებოდა, თუმცა სხვადასხვა საორგანიზაციო პრობლემების გამო პირველი საკლუბო ტურნირის გამართვა ვერ მოხერხდა. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე და ფიფას თავკაცთა დიდი სურვილი – მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება – განუხორციელებელი რჩებოდა, ვიდრე 1921 წლის 1 აპრილს ორგანიზაციის პრეზიდენტად ფრანგი ჟოულ რიმე არ აირჩიეს, რომელმაც თავის წინამორბედთა ოცნებებს ხორცი შეასხა და თავისი სახელიც უკვდავყო.

რიმემ, რომელმაც ორგანიზატორული ნიჭი ჯერ კიდევ 1920 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებისას გამოავლინა, ძალზედ ჭკვიანური და წინდახედული საფეხბურთო პოლიტიკის გატარება შეძლო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფეხბურთთან დაკავშირებული ყოველი აღმავანი, გრძნობდა, რომ მომწიფებული იყო სიტუაცია რაღაც ახალი და გრანდიოზული სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად, რაც თავის გამოჩენის საშუალებას მისცემდა, როგორც მოყვარულ, ასევე პროფესიონალ მოთამაშეებს.

1928 წლის 29 მაისს ამსტერდამში ფიფას დელეგატთა კონგრესმა ხმათა დიდი უმრავლესობით (27 ხმით 5-ის წინააღმდეგ) ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც, უკვე 1930 წელს უნდა ჩატარებულიყო მსოფლიო ჩემპიონატი. ამ გადაწყვეტილების მიღებისას დიდი როლი შეასრულა ჟოულ რიმეს თანამემამულის, ანრი დელონეს ინიციატივამ. ამსტერდამში ჩატარებულ კონგრესზე მხოლოდ ერთი საკითხი

დარჩა ღიად – ის, თუ რომელ ქვეყანას უნდა რეგებოდა პირველი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის პატივი. ეს საკითხი ფიფას შემდგომ კონგრესზე განსახილველად გადადეს, რომელიც 1929 წლის 18-19 მაისს გაიმართა. ამ ძალზედ საპასუხისმგებლო ტურნირის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა ხუთმა ევროპულმა ქვეყანამ (იტალიამ, შვედეთმა, ჰოლანდიამ, უნგრეთმა, ესპანეთმა) და ურუგვაიმ, რომელიც იმ პერიოდში საფეხბურთო სამყაროში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა: ამ ქვეყნის ნაკრებმა 1924 და 1928 წლის ოლიმპიადებზე კარგი თამაშით გამოიჩინა თავი. გარდა ამისა, ფიფას კონგრესის მონაწილეთა გადაწყვეტილებაზე იმ ფაქტმაც დიდად იმოქმედა, რომ სწორედ 1930 წელს, ურუგვაიელები ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ზეიმობდნენ, მონტევიდეოში კი ახალი სტადიონი უნდა გახსნილიყო, რომელსაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, „სენტენარიო“ („ასწლეული“) უწოდეს. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ფიფას კონგრესის დელეგატებმა (მათ შორის იმ ქვეყნების წარმომადგენლებმაც, რომლებიც თავად აცხადებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზიას) უპირატესობა სამხრეთამერიკელებს მანიჭეს, თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ევროპაში სეპტიკოსებიც გამოჩნდნენ: მრავალი გავლენიანი პიროვნება მიიჩნევდა, რომ ურუგვაი ვერ გაართმევდა თავს ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს, ზოგიერთი წამყვანი ევროპული კლუბის ხელმძღვანელებამ კი, თავისი ფეხბურთელების ოკეანისგაღმა გაშვებაზე განაცხადა უარი. ამის გამო, ჟოულ რიმე და ანრი დელონე უკვე შემოფოთებული იყვნენ – ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფ მათ პირშობს ამქვეყნად მოვლენამდე „სიკვდილი“ ელოდა. – და

ეს იმ დროს, როდესაც უკვე დამზადებული იყო გარდამავალი თასი, რომლითაც ტურნირის გამარჯვებული უნდა დაეჯილდოებინათ. გამარჯვების ქაღალდითი ნიკე – ოქროსგან ჩამოსხმული 1800-გრამიანი ფიგურა, რომელიც ფრანგი იუველიერის, ანრი ლაფლერის სახელოსნოში დაამზადეს, უკვე ელოდა თავის პირველ მფლობელს. ჩემპიონატის დაწყების თარიღი კი ახლოვდებოდა, თუმცა, ურუგვაიში გასამგზავრებელი გუნდების რაოდენობა და ვინაობა ჯერ კიდევ უცნობი იყო. ევროპელები არცთუ ისე მდიდარი ურუგვაისაგან ტრანსატლანტიკური მგზავრობის ხარჯების კომპენსაციასაც მოითხოვდნენ, თუმცა, უკანასკნელ მომენტში, ჟოულ რიმემ მაინც მოახერხა საზღვაო ორთქლმავალზე ოთხი ევროპული ქვეყნის ნაკრების მოთავსება. ასე რომ, საფრანგეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ბელგიის არცთუ ისე ძლიერი გუნდები ოკეანისგაღმა პირველ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ – მაშინ, როდესაც გაცილებით ძლიერი და ევროპაში ფეხბურთის პოპულარიზატორი შვეიცარიის, ავსტრიის, უნგრეთისა და იტალიის ნაკრებები თავისივე სურვილით, ტურნირის მიღმა დარჩნენ. ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ფეხბურთის სამშობლოდ აღიარებული ნისლიანი ალბიონის ოთხივე ფედერაციამაც.

29 ივნისს ლაინერმა „კონტე ვერდემ“, რომლითაც ევროპული გუნდები პირველ მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდნენ, რიოდელ-ჟანერიოში კიდევ ერთი მონაწილე – ბრაზილიის ეროვნული ნაკრებიც დაიმატა და მხოლოდ ამის შემდეგ აიღო გეზი მონტევიდეოსაკენ. ურუგვაის დედაქალაქში ჩასულ ევროპელებსა და ბრაზილიელებს, პერუს, აშშ-ის, არგენტინის, ბოლივიის, ჩილეს, მექსიკის, პარაგვაისა და, რა თქმა უნდა,

1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა და ...

... გამარჯვებული გუნდი – ურუგვაის ნაკრები







1970 წელს ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა, სამუდამოდ დაისაკუთრა ნიკეს ქალღმერთი

ტურნირის მასპინძელთა ეროვნული ნაკრები გუნდებიც შეუერთდნენ. ამგვარად პირველ მსოფლიო ჩემპიონატში სასაპარეზოდ სულ 13 გუნდი შეიკრიბა, თუმცა, შეჯიბრების ორგანიზატორებს თავიდან ჩაფიქრებული ჰქონდათ, რომ მსოფლიო თასისათვის ბრძოლაში 16 გუნდი ჩაებმებოდა, რომლებიც ოთხ ქვეკონფედერაციაში უნდა განაწილებულიყვნენ.

მსოფლიო პირველობის პირველი მატჩები 1930 წლის 13 ივლისს გაიმართა, როდესაც ფრანგები მექსიკელებს შეხვდნენ, ხოლო ბელგიელები – აშშ-ის გუნდს. ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაზე დაფიქსირდა. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 13 ივლისიდან 30 ივლისამდე სულ 18 მატჩი გაიმართა. გავიდა 70 გოლი, აქედან 1 – პენალტით,

თუმცა, ტურნირზე სულ ოთხჯერ იქნა დანიშნული პენალტი. პირველი გოლი 13 ივლისს მექსიკელების კარში ფრანგმა ლუსენ ლორანმა ადგილობრივი დროით, დაახლოებით 15 სთ-სა და 20 წთ-ზე გაიტანა. აშშ-ის ნაკრები სამუდამოდ შევიდა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, როგორც გუნდი, რომელმაც სამ მატჩში მხოლოდ თერთმეტი ფეხბურთელი გამოიყენა (შეცვლის გარეშე). პირველად მოედინა ფეხბურთელი პერუსა და რუმინეთის შესვედრისას გააძევეს. ეს გახლდათ პერუელი გალინდო, რომელიც ჩხუბის წამოწყებისათვის დაისაჯა, თუმცა, პერუელები რიცხობრივ უმცირესობაში დიდანს არ დარჩნენ, რადგან ერთ-ერთ რუმინელ ფეხბურთელს ფეხი მოსტეხეს, მაშინდელი წესებით კი, მხოლოდ მეკარეების შეცვლა იყო დაშვებული. უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა არგენტინა-მექსიკის მატჩზეც, როდესაც არგენტინელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. მეკარე ბონფოლიამ სუმელსის დარტყმის მოგერიება შეძლო, თუმცა, როდესაც ეს უკანასკნელი დამატებით, კვლავ ცდილობდა ბურთის კარში შეგდებას, მექსიკელთა კარის დარაჯმა იგი წააქცია, რის გამოც მსაჯმა კვლავ პენალტი დაინიშნა არგენტინელთა სასარგებლოდ და ჰოი, საოცრებაც!.. – ბონფოლიამ ისევ მოიგერია სუმელსის დარტყმული თერთმეტმეტრიანი...

პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, ურუგვაის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა ცალხელა თავდამსხმელი – ეკტორ კასტრო, რომელმაც ტურნირზე უკანასკნელი გოლი გაიტანა. ამ პირველობის კიდევ ერთ თავისებურებად იქცა ის ფაქტი, რომ ყველა მატჩი მხოლოდ მონტევიდეოს სამ სტადიონზე ჩატარდა.

მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ფინალში, რომელიც 30 ივლისს მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ გაიმართა (მატჩს 60000 მაყურებელი დაესწრო) ერთმანეთს ურუგვაისა და არგენტინის ეროვნული ნაკრები გუნდები შეხვდნენ. მატჩს ბელგიელი მსაჯი, ლანგენუსი სჯიდა. ურუგვაელებმა 4:2 გაიმარჯვეს და პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორები გახდნენ. „სანტენარიოს“ ტრიუმფზე მსხდომი ბენდიერი გულშემატკივრების თვალწინ, ჟიულ რომემ ნიკეს სანუკვარი თასი საზეიმოდ გადასცა მასპინძელთა გუნდის კაპიტანს – ხოსე ნასასის. 31 ივლისი ურუგვაის პრეზიდენტმა ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა, ხოლო გუნდის მთამაშეები –

ეროვნულ გმირებად. პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი კი, 8 გატანილი გოლით, არგენტინელი სტაბილე გახდა.

მსოფლიო ჩემპიონატის ნიკეს თასი მომდევნო 40 წლის მანძილზე ახალ-ახალ გამარჯვებულს გადაეცემოდა. 1970 წელს ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც მაშინ მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, სამუდამოდ დაისაკუთრა ნიკეს ქალღმერთი, რომელიც 13 წლის შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა (მოიპარეს).

1930 წლიდან დღემდე მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ რეგულარულად იმართებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამონაკლისი იყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდი და მომდევნო ხუთი წელი – 1938 წლიდან 1950 წლამდე მსოფლიო თასის გათამაშება არ ჩატარებულა.

ჩემპიონატების ისტორიაში პირველობა ყველაზე მეტჯერ ბრაზილიამ იხიმა (1958, 1962, 1970, 1994 წლებში), სამსამჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები იტალია (1934, 1938, 1982) და გერმანია (1954, 1974, 1990); ოროჯერ – ურუგვაი (1930, 1950) და არგენტინა (1978, 1986); თითოჯერ – ინგლისი (1966) და საფრანგეთი (1998).

1930 წლიდან დღემდე, ყველაზე მეტი ბურთი (5) მსოფლიო ჩემპიონატის ერთ მატჩში რუს ოლეგ სალენკოს აქვს გატანილი. ეს 1994 წელს რუსეთისა და კამერუნის შესვედრისას მოხდა. ყველაზე დიდი უხვგოლიანობა (7:5) 1954 წლის ავსტრია-შვეიცარიის მატჩზე დაფიქსირდა. ყველაზე დიდი ანგარიშის სხვაობით 1954 წელს უნგრეთ-კორეის (9:0), 1974 წელს – იუგოსლავია-ჩაირის (9:0) და 1982 წელს – უნგრეთ-სალვადორის (10:1) შესვედრები გამოირჩეოდა.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე მეტ ფინალურ ტურნირში მონაწილეობა გერმანულ ლოთარ მათეუსსა (1982 – 2 მატჩი; 1986 – 7; 1990 – 7; 1994 – 5; 1998 – 4) და მექსიკელ ანტონიო კარბახალს (1950 – 3; 1954 – 1; 1958 – 3; 1962 – 3; 1966 – 1) აქვთ მიღებული.

1930 წლიდან დღემდე, საუკეთესო ბომბარდირად გერმანელი ჰერდ მიულერი ითვლება. მან 1970 წელს 10, ხოლო 1974 წელს – 4 გოლი გაიტანა. კარის „მშრალად შენახვაში“ კი, რეკორდი იტალიელ მეკარეს – ვალტერ ძენგას ეკუთვნის, რომელსაც 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 516 წუთის განმავლობაში არ გაუშვია გოლი. ■



ვიერების ოჯახი მთელი ათი წლით, მწვანე კონტინენტზე გადავიდა საცხოვრებლად. ავსტრალიაში სოკერი (ევროპული ფეხბურთი) პოპულარობით საგრძობლად ჩამორჩება ფუტის (ავსტრალიურ ფეხბურთს) და რაგბის. ალბათ სწორედ ამიტომ, პატარა კრისტიანი ადგილობრივ საფეხბურთო კლუბ „სანტა ლუჩიაში“ თამაშთან ერთად, რაგბისაც მისდევდა, რამაც დიდი გავლენა იქონია იტალიური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავის ფიზიკურ განვითარებაზე. რაგბიში ვარჯიშმა ვიერის საშუალება მისცა, თავს ტექნიკური არსენალი ათლეტური მონაცემებისათვის შეერწყა, რაც მას დღეს, სერია A-ს დაძაბულ მატჩებში უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ბურთისათვის ძალისმიერი ბრძოლის დროს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვიერების ოჯახი ფლორენციასთან ახლოს მდებარე ქალაქ პრატოში დასახლდა. 16 წლის ასაკში კი, კრისტიანმა კლუბ „პრატოს“ მაისური მოირგო, რომელიც მაშინ სერია C-ში გამოდიოდა. „ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ფეხბურთში ყველაზე რთული ამოცანა გოლის გატანა იყო, – ამბობს ვიერი, – მეკარეები და მცველები პირველ რიგში, იმაზე ზრუნავენ, რომ მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალება არ მისცენ, ნახევარმცველები, რომლებიც ცენტრში ერთგვარ „შემკრებ-შემაჯერებელ“ სამუშაოს ასრულებენ, არც ისე შეზღუდულნი არიან დროსა და სივრცეში. აი, ფორვარდმა კი, არა მარტო იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ გაგზავნოს ბურთი კარის ბაღში, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაათავისუფლდეს „მხრებზე ჩამოკიდებული“ მოწინააღმდეგისგან, ხოლო ამ ყველაფრისთვის, მას მხოლოდ წამები ეძლევა. აი, რატომ ავირჩიე თავდამსხმელის ამკლუა“.

შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები ვიერის საშუალებას აძლევდა, რომ ნებისმიერ ახალგაზრდულ ტურნირზე საუკეთესო ბომბარდირთა შორის ყოფილიყო. „თავს ვარსკვლავად მივიჩნევდი, რადგან „პრატოს“ რიგებშიც და „ტორინოს“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოსვლის დროსაც, თითქმის ყველა მატჩში გამქონდა გოლები, – იხსენებს „ინტერის“ ფორვარდი, – და მეგონა, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა, მაგრამ როდესაც პროფესიონალურ ფეხბურთში დავიწეე თამაში, მივხვდი, რომ სულ უფრო და უფრო ვიზრდებოდი, თუმცა, თავიდან, ძალიან უტიფრად ვიქცეოდი ხოლმე. კლუბის ხელმძღვანელობა კი, ჩემდა გასაკვირად, ძალიან ბევრს მითმენდა“.

სწორედ თავისებური, ჯიუტი ხასიათი უშლიდა ხელს ვიერის, დაემკვიდრებინა თავი იმ კლუბებში, რომელსაც „ტორინოს“ ხელმძღვანელობა იჯარით ხშირად უთმობდა ხოლმე მას. 1995 წელს ვიერი სერია A-ში მოთამაშე „ატალანტამ“ შეიძინა. მაშინ ის უკვე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ირიცხებოდა.

1996 წლის გაზაფხულზე კრისტიანი ვიერი „იუვენტუსში“ გადავიდა. მაშინ „ბებერმა ქალბატონმა“ სკუდეტო „მილანს“ დაუთმო, რის გამოც, ტურინული კლუბის მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმა საჭიროდ ჩათვალა, რომ გუნდის სათამაშო ტაქტიკაში სიახლეები შეეტანა. ყველასათვის მოულოდნელად, „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ ვიალი და რავანელი გაყიდა. ახალშექმნილ კრისტიანი ვიერის კი, ლიპიმ წინწაწეული ფორვარდის ფუნქციები დააკისრა, რომელსაც დელ პიერო და ალენ ბოკიჩი უნდა დახმარებოდნენ თავდასხმის ორგანიზებაში. „მას თავისი ძლიერი მხარეები აქვს – ათლეტიკაში, თავით თამაშის უნარი, გამოზომილი დარტყმა, – ამბობდა მაშინ თავისი ახალი კოლეგის შესახებ ალენ ბოკიჩი, – მისი მოსვლისთანავე, გუნდმა დი ლივიოსა და პესოტოს ფლანგური გარღვევების უკეთ გამოყენება დაიწყო. კრისტიანი ხომ მშვენივრად თამაშობს დასწრებაზე. ვფიქრობ, იგი ფაბრიციო რავანელის ღირსეული შემცვლელი იქნება“.

„იუვენტუსის“ შემადგენლობაში ჩატარებულ პირველივე მატჩში კრისტიანმა უკვე მეშვიდე წუთზე გაიტანა ბურთი „რეჯანას“ კარში, თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩატარებულ შემდგომ მატჩში მან სამი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც, ხანგრძლივი დროით, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. საერთოდ, „იუვენტუსში“ გატარებული ის სეზონი ვიერისთვის არაერთგვაროვნად წარმართა: მას ხან სულ სათადარიგოთა სკამზე ამყოფებდნენ, ხანაც, ძალზედ მნიშვნელოვან მატჩებში ათამაშებდნენ ძირითად შემადგენლობაში. სწორედ იმ პერიოდში, ვიერის მიმართ უკიდურესად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ჟურნალისტები, რომლებიც არც ერთ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ მისი იმიჯისთვის მორიგი დარტყმა არ მიეყენებინათ. მათი აზრით, კრისტიანი „იუვენტუსის“ დონის სუპერკლუბში ყოფნის ღირსი არ იყო და მას „ატალანტას“ მსგავს პრავინციულ გუნდში უნდა ეთამაშა. რა თქმა უნდა, მასმედიისაგან განხორციელებული ამგვარი შემოტევები ამბიციური

ხასიათით ცნობილ კრისტიანს ძალიან აღიზიანებდა, რაც ბოლოს, მისი და ლიპის კონფლიქტით დასრულდა. ვიერი „ბებერი ქალბატონის“ მთავარ მწვრთნელს ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი იშვიათად ათამაშებდა ძირითად შემადგენლობაში. ამის გამო, „იუვენტუსის“ გულშემატკივრები სულ უფრო იშვიათად ხედავდნენ კრისტიანს მინდორზე, თუმცა, ის მაინც ახერხებდა გოლების გატანას. სწორედ იმ პერიოდში ვიერიმ არაერთხელ შეძლო „დუბლის“ შესრულება.

კრისტიანი ვიერის ბომბარდირული თვისებები განსაკუთრებულად გამოვლინდა მადრიდის „ატლეთიკიში“ მისი გადასვლის შემდეგ, ესპანურმა კლუბმა იტალიელი ფორვარდი 20 მილიონ დოლარად შეიძინა. ესპანეთში გატარებულ სეზონში, ვიერიმ 24 მატჩში 24 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, კრისტიანი მადრიდში დიდხანს მაინც არ დარჩენილა. „ეკვიც არ მეპარება იმაში, რომ ვიერი დიდი თავდამსხმელია, – საჯაროდ განაცხადა მაშინ „ატლეთიკის“ პრეზიდენტმა, ხესუს ხილმა, – მაგრამ დიდი ეგოისტი, ძალიან არასტაბილური და ძნელად მართვადია. ჩანს, რომ ბავშვობაში დიდხანს იმყოფებოდა მშობლების გადაჭარბებული მზრუნველობის ქვეშ“.

„ატლეთიკიში“ ვიერის უსიამოვნებებმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც გუნდს მისი თანამემამულე, არიგო საკი ჩაუდგა სათავეში. ახალი მწვრთნელი, რომელიც თავისი მოთამაშეებისგან ყოველთვის აბსოლუტურ დისციპლინას მოითხოვდა, ვერ იტანდა ვიერის მუდმივ წუწუნს „შეუძლოდ ყოფნის“ შესახებ და მას „მტირალა ბავშვს“ უწოდებდა. მწვრთნელს არც თავად „მტირალა ბავშვი“ ჩამორჩა: ერთ-ერთ ინტერვიუში მას „ჭკუათხელი ადამიანი“ უწოდა და ხესუს ხილს განუცხადა, რომ იტალიაში დაბრუნება სურდა, რაც სამშობლოსადმი მოძალბებული ნოსტალგიით ახსნა. „პირინეაზე მუდმივად მაწუხებს ნოსტალგია. პირველად, ეს ავტრალიაში ვიგრძენი. მას შემდეგ ყოველთვის ტანჯვას განვიცდი, როდესაც სამშობლოს დიდი ხნით ვტოვებ“, – აღნიშნა მან.

სატრანსფერო ბაზარზე ჭირვეული იტალიელი ვარსკვლავისათვის დავაში რომის „ლაციომ“ იმარჯვა, თუმცა, სამშობლოში დაბრუნებული ვიერი კვლავ პრესის ზეწოლის ქვეშ მოექცა. რომაული კლუბის ყოველ წარუმატებლობას სპორტული ჟურნალისტები და საფეხბურთო მიმომხილველები კრისტიანის



მარადონას ნომრით შეიძლება შეკარემ ითამაშოს?!

წვეულას, რომლებიც ელტონ ჯონი ბექჰემის კოლეგები „მანჩესტერიდან“ და ინგლისის ნაკრებიდან შეუღლებილიყვნენ, „სპაის გერლზის“ ყოფილი წევრები და სვენ გორან ერიქსონიც იმყოფებოდნენ. ადგილობრივი განყოფილების 20 პოლიციელი და რამდენიმე ათეული მცველი იცავდა. სალამოსთვის სპეციალურად მოატანინეს 60 ათასი ორქიდეა, ხოლო შამპანურში, 75 ათასი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა.

მუნდიალის დაწყების წინ, არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა არგენტინის ეროვნული ნაკრები. როგორც იქნა, მითქმა-მოთქმა გუნდის მიღმა სავიოლას დატოვების გამო და კრესპოსა და ბატისტუტას შორის 9-ნომრიანი მაისურის თაობაზე ატეხილი დავა შეწყდა. ამ ნომრით წლების წინ, ბატისგოლი თამაშობდა, ბოლო დროს კი, იგი ვალდანიტომ (კრესპომ) მოირგო. ბიელსამ მე-9 ნომერი კვლავ გაბრეულს მიანდო, ერნან კრესპოს კი, მე-19 ნომერი უბოძა, თუმცა, გუნდში მაისურის ნომრის გამო შექმნილი პრობლემა ამით არ დამთავრებულა. არგენტინელთა აქტიურობის ქუსლად, დიეგო მარადონას 10-ნომრიანი მაისური იქცა, რომელიც შარშან მარადონასადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრებში საერთოდ „გააუქმა“. ამის გამო, მომავალი მუნდიალისთვის თეთრ-ცისფერ-მარაგის ხელმძღვანელობამ 24-ნომრიანი მაისურის (სხვა გუნდებში 23-ზე მაღალციფრის მაისური აღარ არსებობს) დამატება გადაწყვიტა და იგი მეკარე ბონანოს უბოძა, რამაც დიდად აღაშფოთა იოზეფ ბლატერი, თუმცა, არგენტინელთა გადაწყვეტილებას დაეთანხმა ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი: ერთი სიტყვით, ამ გაუგებრობის შედეგად,

შეიძლება კორეა-იაპონიის სტადიონებზე რობერტო ბონანო ყველასათვის სანუკვარი 10-ნომრიანი მაისურით მოგვევლინოს.

თავად მარადონა ჩემპიონატის მსვლელობის დღეებში არგენტინის მოსახლეობას უჩვეულო ამბლუში მოეკვლინება: იგი დილაობით ტელევიზორის ეკრანიდან ხალხს დოღზე დაკვრით გააღვიძებს, რათა მან პლანეტის მოპირდაპირე მხრიდან ტრანსლირებული მატჩები იხილოს და თეთრ-ცისფერ-მარაგის თამაშისას არ დაეძინოს. ამავე დროს, დიეგოს, იაპონიაში ჩასვლა აუკრძალეს – ყოფილი ნარკომანის სტუმრობა ჩვენთან არ შეიძლებაო. თუმცა, არგენტინელ ვარსკვლავს დამცველებიც გამოუჩნდნენ. მათ იაპონელებს შეახსენეს: ჰიროსიმა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამომყრელებს სწორად ზარ-ზემით ხვდებით და მარადონამ რა დაამაგა ასეთით?!

კუნძულ ჩოჯუზე მდებარე სასტუმრო Paradise-ს ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ იქ დაბანაკებული კორეის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები გულშემატკივრებისა და მასმდიის წარმომადგენლებისაგან დაცვა. ამავე დროს, გუნდის მთავარი მწვრთნელის, პოლანდიელი გუს ჰიდინკის მოთხოვნით, მოთამაშეთა სასტუმრო ნომრებში შემავალი სატელეფონო ზახები ბლოკირებულია, რომ კორეელი ფეხბურთელები ზედმეტად არავინ შეაწუხოს. პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა, ეჟი ენგელმა თავის ფეხბურთელებს მუნდიალზე ცოლ-შვილის წაყვანის ნება დართო. მისი აზრით, მოთამაშეები ასე უფრო დაცულნი იქნებიან თავისუფალ დღეებში „ყურადღების გაფანტვისაგან“. აი, ბრაზილიელთა თავკაცი, სქოლარი კი, ტემპერამენტის ტეტრაკამპიონების „ყურადღების გაფანტვისაგან“ დაცვას სულ სხვა მეთოდით ცდილობს: მან თავის შეგირდებს იმ ერთი თვის განმავლობაში – ე.ი. მუნდიალის დამთავრებამდე, სექსისაგან სრული თავშეკაცება მოსთხოვა.

„ფეხბურთელი, რომელსაც ამ მხრივ საკუთარი თავის კონტროლირება და ერთი თვით სქესობრივი თავშეკაცება არ შეუძლია, ადამიანი კი არა, ნამდვილი ცხოველია. ყოველ შემთხვევაში მე ასე მიმაჩნია,“ – განაცხადა ფიფის თელმისურიანთა თავკაცმა და ყველასათვის ცხადი გახდა ის, თუ

რატომ ვერ მოხვდა ნაკრებში ტეტრაკამპიონთა „სუპერდონჟუანი“ (რომარიო).

ზოგიერთმა ფეხბურთელმა მუნდიალისწინა მატჩებზე (ან საწვრთნელ შეკრებებზე) მიღებული ტრავმის შედეგად, ჩემპიონატის დასაწყისში რამდენიმე შეხვედრა შეიძლება გამოტოვოს. მათ რიგს განეკუთვნებიან, მაგალითად, ზიდანი, ფიგუ და ბექჰემი. აი, რომი კინმა კი, რომელსაც ირლანდიელთა მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ სულ ცოტა ხნის წინ, გუნდის კაპიტნობა მიანდო, ასეთი დიდი პატივი ვერ შეიფერა და კორეაში ცულ სავარჯიშო პირობებზე წუწუნითა და გუნდის ხელმძღვანელობასთან თუ მოთამაშებთან კამათის შედეგად იმდენი მოახერხა, რომ მაკარტიმ ნაკრებიდან დაითხოვა. მის მაგივრად კი, ჩემპიონატზე „სელტიკის“ ფეხბურთელი კოლინ ხილი ითამაშებს.

მუნდიალის დაწყების წინ, მართლაც ბევრ ფეხბურთელს გაუცრუვდა იმედი, მაგრამ იმას, რაც ესპანელთა მეკარე სანტიანო კანისარესს მოუვიდა, მხოლოდ „დიდი წყველის შედეგი“ შეიძლება ეწოდოს როგორ გგონიათ – რატომ ვერ გაემგზავრება ის გუნდთან ერთად კორეა-იაპონიაში? ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო და იმიტომ? – არა. ისიც გამუდმებით მწვრთნელს ეკამათებოდა ან რომელიმე ღამის კლუბში, უწესოდ ქცევისთვის პოლიციამ დააკავა? – ნურას უკაცრავად... გეტყვით იმ „სამინელ წყველას“, რომელიც კანისარესს „ვიდაცამ დაატეხა თავს“, რის შედეგადაც მან პირის გაპარსვისას აქტიურობის მყესი დაიხიანა... ალბათ ყველაფერი ნათელია: აი, ის წყველაც: „შენ დაგეცეს ფეხზე ოდეკოლონის ბოთლი, მუნდიალის დაწყების წინ!“

ასეა თუ ისე, მუნდიალი იწყება. დიდი ფეხბურთის მოლოდინში მილიონობით გულშემატკივარი გაირინდა...

კანისარესს მხოლოდ „ოდეკოლონის“ ეშინია





ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმა, პირველად საქართველოში, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ (1855-1881) გაატარა. 1874-75 წლებში თვითმმართველობა თავდაპირველად თბილისმა და ქუთაისმა მიიღო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სარაიონო, ე.წ. საერო რეფორმას, მაგრამ რუსეთის მთავრობამ, რომელსაც ყველაზე მეტად, არარუსი ხალხების თვითმმართველობის განვითარება აშინებდა, ჩვენში საერო თვითმმართველობა საერთოდ არ შემოიღო. ერობის კანონპროექტი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ — 1919 წელს მიიღო.



თბილისის სათათბიროსა და გამგეობის შენობა

# ადგილობრივი თვითმმართველობა მეფის რუსეთისა და საქართველოს კირველი რესპუბლიკის პირობებში

კახა მაისურაძე

## თბილისის თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები საქართველოში პირველად თბილისში — 1874 წელს ჩატარდა. რუსეთის იმპერიაში გატარებული საქალაქო რეფორმის საფუძველზე, უნდა არჩეულიყო ქალაქის თვითმმართველობის უფლებებით აღჭურვილი თბილისის სათათბირო. შედგა ამომრჩეველთა სიები და თვით არჩევნები, 18 ნოემბერს დაიწყო, მაგრამ ქალაქის მოსახლეობის ყველა სოციალურმა ფენამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ვერ მიიღო: რუსეთის იმპერიის „საქალაქო კანონმდებლობა“ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოსახლეობის იმ ნაწილს აძლევდა, რომელსაც განსაზღვრული ქონებრივი ცენზი ჰქონდა, ასეთი კი მხოლოდ თბილისის მოსახლეობის 4% — 4500-მდე მოქალაქე იყო. არსებული კანონმდებლობით, ამომრჩეველთა აღნიშნული კატეგორიაც, სამ თანრიგად დაიყო: პირველი ორი თანრიგის ამომრჩეველებს (შედიოდა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია — 272 კაცი) უნდა აერჩიათ 48 ხმოსანი (დეპუტატი), მამინ როცა მესამე თანრიგის ამომრჩეველთა (წვრილი ვაჭარ-ხელოსნები — 4228 კაცი) ასარჩევი, მხოლოდ 24 კაცი იყო.

1874 წლის ნოემბერში, ხმის უფლების მქონე თბილისის მოსახლეობამ სულ საქალაქო სათათბიროს 72 ხმოსანი აირჩია, ხმოსნებმა კი, თავის მხრივ — სათათბიროს გამგეობის

თავმჯდომარე ანუ ქალაქის თავი. ქალაქის პირველ თავად აირჩიეს ი. თუმანიშვილი, მაგრამ ავადმყოფობის გამო, იგი მალე გადადგა. 1875 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა ახალი არჩევნები. ხმოსანმა ამიროვმა ქალაქის თავის თანამდებობაზე წამოაყენა დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურა და თანაც განაცხადა: საქალაქო საქმეების მოგვარებას დ. ყიფიანზე უკეთ ვერაფერ შეძლებსო. ხმოსანმა დოლუხანოვმა წამოაყენა ე. არწრუნის კანდიდატურა. ქალაქის თავის თანამდებობაზე წამოყენებულმა ორივე კანდიდატმა იყარა კენჭი. ყიფიანმა მიიღო 36 თეთრი (დადებითი ხმა) და 27 შავი (უარყოფითი ხმა), არწრუნმა — 34 თეთრი და 29 შავი კენჭი. ამგვარად, მართვა-გამგეობას მოუწვევლამ ბურჟუაზიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, თავდაპირველად ნდობა გამოუცხადა თავდა-აზნაურობის ცნობილ წარმომადგენელს — დიმიტრი ყიფიანს და იგი ქალაქის თავად აირჩია. ამის შემდგომ, კარგა ხნის მანძილზე ქართველი ეროვნების ქალაქის თავი თბილისის აღარ ღირსებია. ჩვენდა სავალალოდ, მამინ ქალაქის სათათბიროში ქართველთა რიცხობრივი წილი, 10 პროცენტზე არ იყო. შეიძლება ითქვას, რომ სათათბიროში იმთავითვე სრული უმრავლესობა შექმნა სომხურმა ბურჟუაზიამ, რომელმაც ამით ფაქტობრივად, თავის ხელში აიღო ქალაქის მმართველობის სრული სადავეები და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თბილისის ვაჭრობა-მრეწველობის უდიდესი ნაწილის მფლობელი, სწორედ ის იყო. ამიტომაც „მოთქამდა“ გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან სერგეი მესხი: „რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ

ქართველს (თუ კი სადმე მოიპოვება ამჟამად ჩვენში „ნამდვილი ქართველი“), უნდა გამოეტყუდეთ, რომ ერთ დროს ჩვენი სატახტო ქალაქი თბილისი — დღეს გადამთიელთა საკუთრებაა. თითო-ორი იმერელს ან მეგრელს თუ შევხვდებით სადმე, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება ქალაქისა სომხების ხელშია“.

თბილისის თვითმმართველობის არსებობის პირველსავე წელს, საქალაქო სათათბიროში გამოიკვეთა ორი მიმართულება — აზიური და ევროპული. პირველს ტონს აძლევდნენ ძველი ყაიდის ვაჭრები, ხოლო მეორეს — ახალგაზრდა მოხელეები, მრეწველები, ექიმები და ინჟინრები. აზიური მიმართულების ხმოსნები ებღუდებოდნენ ძველს, მათ აშინებდათ სიხლის შეტანა საქალაქო მეურნეობის მართვის წესებში. ევროპული მიმართულების ინტელიგენტი ხმოსნები კი მოითხოვდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას ქალაქის კეთილმოსაწყობად. პირველ ოთხწლეულში, ამ ორი მიმართულების ძალთა შორის ერთგვარი წონასწორობა არსებობდა, მაგრამ შემდეგ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამჟამად გაიმარჯვა ევროპულმა მიმართულებამ.

ნიკო ნიკოლაძის მახვილგონივრული შენიშვნით, „მსგავსად მოლიერის გააზნაურებული მდაბიისი, რომელიც თავისდაუნებურად, შეუგნებლად წერდა პროზას, თბილისის სათათბირო აღმ. საქართველოში პარლამენტის როლს ისე ასრულებდა, რომ ამას ვერ ხვდებოდა“. მისივე აღნიშვნით, ქალაქის თვითმმართველობას ჰქონდა პასუხისმგებელი სამინისტრო, ოპოზიცია და მთავრობაში (სათათ-

ბიროს გამგეობაში) უმრავლესობა. „დადისარ ქუჩაში და ხედავ ისეთ პირებს, რომელნიც საბჭოს ჩინებული წევრები იქნებოდნენ – შედისარ საბჭოში და გოცებს ეს კოლეცია – ლამის მიქნარებით მოკვდნენ. ალბათ უძმით დაკისრებული როლის შესრულება. ნუთუ მუდამ ასე იქნება?“ – კითხულობდა იგი. თბილისის სათათბიროს დაარსების დროიდან, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ბრძოლის ფორმა, 1890 წლის საარჩევნო კამპანიაში მიიღო. მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, რომელიც უმთავრესად, სომხებისგან შედგებოდა, მთელი ძალით ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. იმპერიული კანონმდებლობით დაწესებული ქონებრივი ცენზი და საარჩევნო თანრიგებიც თვითმმართველობაში მის უპირატესობას უზრუნველყოფდა. სამაგიეროდ, იგივე საარჩევნო სისტემა დაბალ ფენებს და ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს თვითმმართველობის მიღება ტოვებდა. ამიტომ მოწინავე ქართველმა საზოგადოებრიობამ მწვავედ დასვა საკითხი – საარჩევნო უფლების პირობად დაწესებულიყო არა ქონებრივი, არამედ განათლების ცენზი. „მიიღარ, მაგრამ გაუნათლებელ და უწიგნურ მოქალაქეებს“, ქალაქის მართვა-გამგეობაში ადგილი არ უნდა ეძლეოდესო. – დაასკვნდნენ ისინი. მაგრამ ეს ყველაფერი დარჩა „ხმად მღაღადებისა უდაბნოსა შინა“. 1890 წლის არჩევნებზე ძველი კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარდა. ბრძოლის ასპარეზზე უმთავრესად ორი: სომხური და ქართული პარტიები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს – „გამგეობის პარტიის“, „დვორცივი ნომრების“ და „ოპოზიციის“ სახელწოდებით. „დვორცივი ნომრების“ და „გამგეობის პარტიის“ სამოქმედო პროგრამები ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდებოდა. მათ უკან თბილისის მსხვილი და საშუალო სომხური ბურჟუაზია იდგა. რაც შეეხება „ოპოზიციას“ – ის ძირითადად ქართული საშუალო და წვრილი ბურჟუაზიული ელემენტებით და თავდაზნაურობით იყო წარმოდგენილი. საარჩევნო კამპანიაში აშკარად ეროვნული ელფერი მიიღო. „გამგეობის“ და „დვორცივი ნომრების“ პარტიებმა თავი „მთელი სომეხი ერის“ ინტერესების დამცველებად გამოაცხადეს, „ოპოზიციამ“ კი, საარჩევნო მართონი ქართველთა ინტერესების დაცვის ღონისძიებით წარმართა. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლთა არჩევნებში, რომელსაც უმთავრესად სომეხი ამომრჩეველი წარმოადგენდა, „გამგეობის“ და „დვორცივი ნომრების“ პარტიებმა ღიმი უპირატესობით გაიმარჯვა, ხოლო მესამე თანრიგის (გაერთიანებული იყო ამომრჩევლთა 94%), გამა-



ლემიტირი ყიფიანი – თბილისის პირველი თავი

რჯევა ქართულ პარტიას დარჩა. მათ სათათბიროში 24-კაციანი შემარცხენე ოპოზიცია ჩამოაყალიბეს. მათივე წარდგინებით, გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებში, ორტურიანი დაპირისპირების შემდეგ, ქალაქის თავად ნიკოლოზ არღუთაშვილი აირჩიეს. ეს, 72-კაციან თბილისის სათათბიროში, ქართული დასის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მაგრამ იმპერატორ ალექსანდრე მეორის (1881-94) მიერ თვითმმართველობებში გატარებული ე.წ. „კონტრრეფორმის“

ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 1892 წელს მიიღეს ახალი საქალაქო კანონმდებლობა, რომელმაც სათათბიროს არჩევნებში კიდევ უფრო მაღალი ქონებრივი ცენზი დააწესა. აღნიშნულმა ცვლილებამ კიდევ უფრო წამყვან მდგომარეობაში ჩააყენა ქართული მოსახლეობა. გარდა ამისა 1892 წლის დებულების საფუძველზე, გაუქმდა თანრიგებიც და თბილისის ცენზიანი მოქალაქეები „საარჩევნო კრებაში“ გაერთიანდნენ. 1893 წლის მარტში დაიწყო წინასაარჩევნო აგიტაცია. განსაკუთრებით აქტიურობდა სომხური ბურჟუაზია, რომელსაც ახალი საარჩევნო დებულება საშუალებას აძლევდა, 1890 წელს დათმობილი პოზიციები დაებრუნებინა. მაგრამ მათ პარალელურად, აქტიურად მოქმედებდა ინტერნაციონალური იდეებით გამსჭვალული ე.წ. „ახალგაზრდა სომეხთა პარტია“. „ახალგაზრდა სომეხები“ წინააღმდეგნი იყვნენ ეროვნული „განკერძოებისა“ და მოითხოვდნენ, თბილისის თვითმმართველობაში ყველა ეროვნების წარმომადგენელი ერთნაირად ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა, სომეხთა უდიდესმა ნაწილმა მათი პროგრამა არ მიიღო და მხარი სომხურ ბურჟუაზიას დაუჭირა.

დამოუკიდებელი პროგრამით გამოვიდა წინასაარჩევნო კამპანიაში ქართველთა პარტია. პარტიის ლიდერმა, ნიკო ნიკოლაძემ წამოაყენა წინადადება, სათათბიროში პროპორციულ ეროვნულ წარმომადგენლობათა დაწესების თაობაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ არა ცენზიანი მოქალაქეები,

თბილისის სათათბიროს სხდომათა დარბაზი

არამედ მთელი მოსახლეობა. ამის შედეგად, სომხური ბურჟუაზია გადამწყვეტ უმრავლესობას დაკარგავდა, ხოლო ქართველები სათათბიროში საკმაო რაოდენობის ხმონებს გაიყვანდნენ. მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა 1892 წლის ახალ საქალაქო დებულებას, ამიტომ მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ კატეგორიულად უარყო.

1893 წლის არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხურმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა. მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისა და უმთავრესად, ქართველი ეროვნების წარმომადგენლები, თითქმის მთლიანად გამოიღვენა საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებიდან.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ხიზანიშვილი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „სომხური ბურჟუაზია გაბატონდა საბჭოში. თბილისის საბჭო – ეს „სოლოლაკელი კრეზების“ (სომხური ბურჟუაზია) პარლამენტი, მხოლოდ სომეხთა, რუსთა და – ქართველთა გარდა – ყველას ინტერესებს ემსახურება“.

ვითარება ნაწილობრივ გამოსწორდა 1901 წლიდან, როდესაც ქართული საზოგადოებრიობის დაჟინებით მოთხოვნით, მეფის მთავრობა იძულებული გახდა, საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული კორექტივები შეეტანა. კერძოდ, დაკმაყოფილდა მოთხოვნა თბილისის რამდენიმე სარჩევნო უბნად დაყოფის შესახებ. ქალაქი გაიყო სამ საარჩევნო უბნად. შეიქმნა განმკარგულებელი კომიტეტები, რომელმაც შეცვალა ძველი „კერძო თათბირები“ და სათავეში ჩაუდგა არჩევნების ორგანიზებას. ამ პერიოდიდან ქართულ მოსახლეობას ოფიციალურ იდეოლოგიად მოეწონა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დამფუძნებელი არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც სომეხთა დასამარცხებლად, ყველა წოდების ქართველს „საერთო ნიადაგის“ საფუძველზე გაერთიანებ-







ქონებრივი ცენზის გამო, უპირატესობა ვაჭრებს ჰქონდათ...

ისკენ მოუწოდა, მაგრამ შედეგი არცთუ ისე საგრძნობი აღმოჩნდა. მართალია, თბილისის სათათბიროში ქართველთა რიცხოვრები წილი საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს, ანარქისტული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ზეგავლენით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილის კოსმოპოლიტიზაცია-პროლეტარიზაცია მოხდა. უმთავრესად ამით იყო განპირობებული ის, რომ სათათბიროს სომხური ფრაქციის მხარდაჭერით, 1907 წელს ქალაქის თავად აირჩიეს ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, მაგრამ 1910 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და ახალი ქალაქის თავის არჩევნებისთვის, სათათბიროს სომხურ და ქართულ ფრაქციებს შორის, მორიგი საარჩევნო ბრძოლა გაჩაღდა. სომეხმა ხმოსნებმა წამოაყენეს ალექსანდრე ხატისოვის კანდიდატურა, ხოლო ქართული ფრაქცია მხარს უჭერდა ნიკოლოზ არღუთინსკის. ციხე შიგნიდან გატყდა: არღუთინსკის წინააღმდეგ, ისევ ქართველები, ოღონდ, უკვე გაპროლეტარული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათი აზრით, მართალია, ერთიც და მეორეც ანტისოციალისტი იყო, მაგრამ არღუთინსკის არჩევა ეროვნულ შუღლს კიდევ უფრო გააძლიერებდა, რაც ხატისოვის მხრიდან ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ამრიგად, ხმათა სრული უმრავლესობით, თბილისის ქალაქის თავად არჩეულ იქნა ალექსანდრე ხატისოვი (ხატისიანი), რომელმაც ქალაქის თავად თითქმის 7 წლის მანძილზე დაყო – ე.ი. 1917 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე. მართალია, ამ ხნის განმავლობაში, თბილისის სათათბიროში ქართველ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიათა პროცენტული თანაფარდობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ სასურველი უმრავლესობა კვლავაც სომხური ბურჟუაზიის – „სოლოლაკელი კრეზების“ ხელში იყო.

**ქუთაისის თვითმმართველობა**

ქუთაისში საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები, იმპერიის მასშტაბით 1870 წელს მიღებული „საქალაქო დებულების“ საფუძველზე განხორციელდა. მართალია, ქუთაისმა 1875 წელს, თვითმმართველმა მიიღო, მაგრამ ეს უფლება, იმპერიის სხვა ქალაქების მსგავსად, მხოლოდ მის ზედა ფენას ენიჭებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისში ხმის უფლებით სარგებლობდა 800-900 კაცი – ე.ი. მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3-4 პროცენტი. აქედან, პირველ თანრიგს მიეკუთვნებოდა 25-30, მეორე თანრიგს – 60-70, ხოლო მესამეს – 600-700 ამომრჩეველი. ყოველ თანრიგს უნდა აერჩია 17 ხმოსანი (დეპუტატი). 1875 წლის 16 სექტემბერს დაინიშნა ქუთაისის სათათბიროს პირველი არჩევნები.

ყველასაგან მოულოდნელად, ხმათა უმრავლესობა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. საკვირველი იყო, როგორ მოხდა ეს – მაშინ, როცა დღევანდელის მსგავსად, ქუთაისის იმდროინდელ ინტელიგენციას საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა. ქუთათურებს თურმე ამისთვის გამოუყენებიათ საქალაქო დებულების ერთი მუხლი, რომლის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მიღება ნოქრებსაც შეეძლოთ, ნოქრის მოწმობა კი არც ისე ძვირი ღირდა. ქუთაისის მკვიდრ რამდენიმე განათლებულ კაცს სწორედ ნოქრის მოწმობის აღებით მოუპოვებია საარჩევნო ხმის უფლება. ეს მანუერი კანონის დამცველებმა კარგა ხნის მანძილზე ვერ შეაძინეს, მაგრამ 1888 წელს გამოაშკარავდა და საარჩევნო სიიდან ბევრი მათგანი ამოშალეს. 1878 წლის დასასრულს, ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიეცა ქალაქის თავის არჩევის უფლებაც. დასახლებული იყო სამი კანდიდატი – სამივე ქართველი – მათგან ლუკა ასათიანმა მიიღო 42 თეთრი და 5 შავი კენჭი და ხმათა უმრავლესობით ქუთაისის პირველი არჩეული ქალაქის თავი გახდა. აღსანიშნავია, რომ ლუკა ასათიანი საზღვრ იქნა არჩეული ქ. ქუთაისის მმართველად. პირველ ხანებში, ის საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერით სარგებლობდა, მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ, მაგრამ მოუხედავად საკმარისზე მეტი დროისა (1879-92 წ.წ.) მისი მეთაურობით ქუთაისის მუნიციპალიტეტმა ბევრი ვერაფერი გააკეთა. ამიტომ მისი ავტორიტეტი დაეცა. ამ ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქუთაისის სათათბიროს არჩევნებმა, რომელიც 1892 წელს გაიმართა. „წინასაარჩევნო ბრძოლაში იყენებდნენ ყველა შესაძლებელ იარაღს – ჭორებს, საჩივარს, ცილისწამებას, ხრიკებს, ერთმანეთის გათასხირებას“ (იმდროინდელი ადგილობრივი პრესიდან). ერთმანეთს უმთავრესად, ორი დაჯგუფება დაუპირისპირდა: პირველს წარმოადგენდა ქალაქის თვითმმართველობის ძველი პარტია, ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორეს – კალისტრატე ჩიკვაძის პარტია, რომლის უკან ქუთაისის ახალგაზრდები საბანკო ოლიგარქია იდგა. გაიმარჯვა ჩიკვაძის პარტიამ და ქალაქის სათათბიროს უმრავლესობაც, აღნიშნული დაჯგუფების წევრებიდან დაკომპლექტდა. ქუთაისის ქალაქის ახალ თავადაც, ამ დაჯგუფების წარმომადგენელი ლუარსაბ ლოლუა აირჩიეს. თუმცა, ვერც მან გამართლა იმედები. „ქუთაისი ისევ ის ქუთაისია, რაც ამ

თხუთმეტი წლის წინათ იყო... რაც გინდა ბევრი ჩხრიკო და ქექო, დიოგენის ფანარი რომ იქონიო, აქ იმისთანა სასიკეთო საქმეს ვერ ნახავთ, რომელიც საქალაქო თვითმმართველობას დაეწყო და სანატრელად დაეგვირგვინებინოს“, – აღნიშნავდა გაზეთი „ივერია“. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმპერიის მასშტაბით 1892 წელს გატარებულმა ე.წ. „საქალაქო კონტრეფორმამ“, რომელმაც საარჩევნო ცენზის გადღების გამო, ისედაც მცირე ამომრჩეველთა რიცხვი 70 პროცენტით შეამცირა. 1892 წლის ივნისისათვის დაინიშნა სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტი ირონიულად შენიშნავდა, რომ „ქუთაისში ერთმანეთს დაუპირისპირდა რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის მოსახლეობა: მარცხენა მხარეს ჰეგემონობა ხელთ უპყრიათ მეგრელებს, ხოლო მარჯვენა მხარეს წარმოდგენენ იმერლები“. რეალურად კი, ერთმანეთს კვლავინდებურად, ძველი ქალაქის ინტელიგენცია და ქუთაისის ახალი საფინანსო ოლიგარქია უპირისპირდებოდა. მიუხედავად ფულისა და საქალაქო მმართველობის სადავების ფლობისა, ჩიკვაძე-ლოლუას გუნდმა ვერ მოახერხა ქუთაისის სათათბიროში გადამწყვეტი უმრავლესობის მოპოვება. მმართველმა და ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნებში თითქმის ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. თუმცა, ქალაქის თავის არჩევნებისას, ლუარსაბ ლოლუამ სათათბიროში, 31 თეთრი კენჭით 24 წინააღმდეგ, სრულიად დამარცხდა ოპოზიციის წარმომადგენელი მ. ქიქოძე. წარმატება ცხადია გარდამავალი იყო. 1917 წლის რევოლუციამდე, ხან ერთ პარტიას ეყრდა ქალაქის მართვის სადავები, ხან მეორეს. XX საუკუნის დამდეგიდან, მთიკვალდაკვალ აქტიურად გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატებიც, რომლებმაც 1917-21 წლებში, როგორც ქუთაისში, ისე მთელ საქართველოში, მთლიანად იგდეს ხელთ მართვის სადავები. ■

სიცილი მიყვარს! – იმეორებდა კამერონი და თან აგენტს მისთვის სინჯების ორგანიზებას სთხოვდა. აგენტმა სკეპტიკურად შეხედა მსახიობის სურვილით შეპყრობილ მოდელს, მაგრამ პროდიუსერს მაინც დაურეკა.

„იმ დღეს თავს მოუწესრიგებლად და არასექსუალურად ვგრძნობდი, – აღიარებს კამერონი, – მათ კი, ისეთი ქალი სჭირდებოდათ, როგორც არის მდღერი ბავშა ჯესიკა ფილმში – „ვინ გაწირა კურდღელი როჯერი?“, ამიტომ რაღაცების გამოვლენა მომიხდა: ისე გავიკვირე, რომ სუნთქვა შემიკრა; ჩემს გარდერობში ყველაზე პატარა კაბა მოვებნე და ჩავიცვი, თანაც ვცდილობდი, რომ რეჟისორის წინ თეძოების რხევით ჩამეგლო...“ განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა კამერონმა მაინც ვერ შეძლო. დამის კლუბის მოცეკვავის, თინა კარლაილის როლში, პროდიუსერებს დიდძალადი გოგონას ხილვა სურდათ, კამერონს კი, მათი აზრით, პატარა მკერდი ჰქონდა. „მომისმინე, შენც ადექი და ბიუსტპალტერში საფენები ჩაიწყვე“, – ურჩია კამერონს მამამისმა. დიასი ასეც მოიქცა და როლიც მიიღო. ეს მისი პირველი კინოროლი იყო. გადაღებების შემდეგ, კამერონმა ფილმში გამოყენებული 25 სპეციალურ-საფენებიანი ბიუსტპალტერი შეაგროვა და მშობლიური სახლის ეზოში დაწვა. იმ დროიდან მიყოლებული, კამერონი საერთოდ აღარ ატარებს ბიუსტპალტერს.

მომავალი ვარსკვლავი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ თინა კარლაილის როლი მას ესოდენ დიდ პოპულარობას მოუტანდა. მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ფილმის ბიუჯეტი. გადაღებების დასრულების მოახლოებისას, დიასმა რეჟისორს ჰკითხა: „ნუთუ შეგძლებს სადმე იმის ხილვას, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ?“ – „რა თქმა უნდა, კამ, ნებისმიერ კინოთეატრში – ოლონდ, პრემიერას უნდა დაელოდო“, – მშვიდად უპასუხა რეჟისორმა.

„ნილბის“ წარმატებამ ყოველგვარ მილოდინს გადააჭარბა. კამერონ დიასი, ფაქტობრივად, ერთ დღეში იქცა ვარსკვლავად. თითქოსდა, რა უნდა ნდობებოდა მეტი, დამწყებ მსახიობს? მაგრამ კამერონი ცოტა უცნაურად მოიქცა: მან არ დაუცადა სუპერწინადადებებს და საარაკო ჰონორარებს და დებოუტანტი რეჟისორის სტივისი ტაიტლისის მცირებოუჯეტთან ფილმში – „უკანასკნელი ვანშამი“ მიიღო მონაწილეობა. თავისი საქციელი დიასმა საკმაოდ მარტივად ახსნა: „მასსოვს, თვითმფრინვაში „უკანასკნელი ვანშამის“ სცენარს ვკითხულობდი. გვერდით უფროსი და მეცადა, სცენარში იჭყიტებოდა და სულმოუთქმელად კითხულობდა. პირველივე გვერდიდან ჩვენ ჩუმად დავიწყეთ ხითხითი, რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ კი, თავს ვეღარ ვიკავებდით და ხმამაღლა ვიცინოდით. მამ-

ინვე გადაწყვიტე, რომ ამ შესანიშნავ ფილმში აუცილებლად უნდა მეთამაშა!“

როცა კამერონმა ამ სურათში გადაღება დაასრულა, მიხვდა, რომ ეს მისთვის ზედამოჭრილი იყო, რადგან დებოუტანტი რეჟისორებს არა აქვთ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, ითვალისწინებენ მსახიობის აზრს, მუდამ ძიებაში არიან და რისკსაც არ უფრთხიან. რისკს კი, არც კამერონი უფრთხილა ოდესმე. „თუ რაიმე გსურს, ამის მიღწევა აუცილებლად უნდა სცადო!“ – შთააგონებდნენ გოგონას ბავშვობიდანვე მშობლები.

პირველ მცირებოუჯეტთან ფილმს, მეორე მოჰყვა – „შეიგრძენი მინესოტა“. ამ ფილმის რეჟისორი, სტივენ ბეიგელმანიც დებოუტანტი იყო.

როცა კამერონ დიასი თვით ვჯულია რობერტსთან ერთად მიიწვიეს ფილმის – „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილის“ გადაღებაზე, ყველა დარწმუნებული იყო, რომ აღიარებული ლამაზმანი რობერტსი აუცილებლად დაჩრდილავდა ახალგაზრდა და გამოუცდილ დიასს. ფილმს გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად და თანაც კამერონის სურათები იმდენად ხშირად იბეჭდებოდა პრესაში, რომ ვჯულიამ აღიარა: „მეცდომა იქნებოდა, კამერონს ისე მოვქცეოდი, როგორც ჩვეულებრივ, უბრალოდ მხიარულ გოგონას, – ის მართლაც ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა! ახლა მესმის, რატომ შეარჩიეს დიასი იმ გოგონას როლის შესასრულებლად, რომელიც შეუძლებელია, ვინმეს არ უყვარდეს!“

მალე კამერონმა მსახიობი მეთ დილონი გაიცნო. მეთს იმ დროს ფილმში იღებდნენ და თანაც, სწორედ იმ მოედნის გვერდით, სადაც ფილმის – „შეიგრძენი მინესოტა“ გადაღებები მიმდინარეობდა. კამერონი და მეთი ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ და ერთხელ, შესასვლელში შეეჩხენენ ერთმანეთს. თავიდან მეთს კამერონი მსუბუქი ყოფაქცევის გოგონა ეგონა („მალიან მომეწონა მისი საუცხოო უკანალი და ულამაზესი ფეხები“), მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, აღმოაჩინა, რომ ეს ფილმ „ნილბის“ პერსონაჟი ლამაზმანი იყო. „ეი, მისმინე, ეს შენ ხარ, ვის გამოც ხუთჯერ ვნახე „ნილბი“? – მთავან მეთმა კამერონს და მამინვე ვანშამზე დაპატოვა. ვანშამის ბოლოს, დიასმა მეთს თავისი ტელეფონის ნომერი გადასცა... მეთმა კამერონს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაურეკა: „რაო, პატარავ, მოგენატრე? – ჰკითხა მან. – შემთხვევით, შენს ქალაქში მოვხვდი და დაგივრე. ამ საღამოს ხომ არ შეგხვედროდი?...“ კამერონს არ ეგონა, მეთის ზარი ასე თუ გაახარებდა. ტელეფონის ყურმილის დადებისთანავე, ის გარდერობთან მიიჭრა და როგორც ასეთ

„ნილბი“

შემთხვევებში ხდება ხოლმე, აღმოაჩინა, რომ ჩასაცემელი არაფერი ჰქონდა... დრო საკმარისზე მეტი იყო, ამიტომაც, ფრთაშესხმული დიასი, მალაზიებში გაქანდა. მის გარჯას უქმად არ ჩაუვლია – როგორც კი მოკლე, შავ კაბაში გამოწყობილი კამერონი იხილა, მეთი მაშინვე მიხვდა, რომ ქალზე ყურებამდე იყო შეყვარებული.

მათი რომანი დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა და ძირითადად, „სატელეფონო“ ხასიათს ატარებდა: დილონი ნიუ-იორკში ცხოვრობდა, კამერონი კი – ლოს-ანჯელესში. დილონს არაფრით არ სურდა, დედასთან, მანჰეტენზე მდებარე მამაკაცების კლუბებთან და ნიუ-იორკის ატმოსფეროსთან განშორება, კამერონი კი, მზიანი კალიფორნიის თბილ კლიმატს ვერ ელეოდა. კამერონმა და მეთმა ერთად ითამაშეს სეზონის ჰიტად ქცეულ ძმები ფარელების კომედიაში „მერიზე ყველა გიჟდება“ და მას შემდეგ, ჟურნალისტებსა და თაყვანისმცემლებს ვეღარ აუდიოდნენ, მაგრამ კამერონი ამჯერადაც თავისებურად იქცეოდა: არაფერს მალავდა და ხალისიანად უყვებოდა ჟურნალისტებს, რომ უზომოდ ბედნიერი იყო მეთთან და კატაზეც კი ეჭვიანობდა. „როცა მეთი ჩემთან ჩამოდის, კიტი მთელი დღე უკან დასდევს და მხოლოდ მეთს ელაქუცება“, – პატარა ბავშვით შესჩიოდა კამერონი უფროს დას.

როგორც ყველა შეყვარებულმა ქალმა, კამერონმა კარგად იცოდა მეთის ღონეუური წარსული, მაგრამ უზომოდ ენდობოდა შეყვარებულს და მისი ცოლობაც ჰქონდა გადაწყვეტილი. რაოდენ დიდი იყო კამერონის გაოცება, როცა ერთხელ, მეთის პიჯაკის ჯიბეში მერაია ქერის სასიყვარულო ბარათი აღმოაჩინა!.. ეს დილონის ნიუ-იორკის აპარტამენტებში მოხდა და წასვლის წინ, კამერონმა მაკრატლით დაჭრა მეთის ყველა კოსტუმში და პერანგი, კვლები კი, ყველა იმ უწმაწური სიტყვით შეამკო, რაც კი მის ლექსიკონში მოიპოვებოდა.

გარკვეული ხნის შემდეგ, კამერონმა რესტორანშიც მოაწყო სკანდალი. როცა მორიგ თაყვანისმცემელთან ერთად მაგიდასთან მჯდომი მერაია ქერი დაინახა, კამერონმა ვერ მოითმინა, მაგიდასთან მიიჭრა და მერაიას თავზე მთელი გრაფინი ცივი წყალი გადაასხა, რომელშიც ყინულის მოზრდილი ნატეხებიც ეყარა...

კამერონ დიასის ამჟამინდელი მეგობარი, 30 წლის მსახიობი ჯარედ ლეტოა. ვაჟი დღემდე ეჭვიანობს კამერონის ძველ საყვარელზე: ერთხელ ლეტომ კამერონი აიძულა, უარი ეთქვა საკმაოდ ხელსაყრელ წინადადებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმის სცენარით, დიასისა და მეთ დილონის სასიყვარულო სცენა იყო გათვალისწინებული. „ეს ხომ ჩემი სამუშაოა და მეტი არაფერი“, – სცადა კამერონმა ეჭვიანი შეყვარებულის



გაუღეს. კარი ოდნავ გაიჭვია, ჯელსინამ ზედმეტად მაგრად მოქანა, კარი სანდრას მოხვდა და მან ცხვირის მძიმე მოტეხილობა მიიღო. გოგონამ ბევრი კომპარული დღე გადაიტანა, როცა თაბაშირით სახეშეხვეული დადიოდა და თანაკლასელების დაცინვის ობიექტად იყო ქცეული. მასთან მეგობრობა არავის სურდა...

დაბნეული მამა ეფერებოდა ქალიშვილს და ეუბნებოდა, რომ თანდათან ყველაფერი მოგვარდებოდა. მისის ბალოკი გოგონას თავისებურად ამშვილებდა: „შენ ხომ არ გსურს, დაემგვანო პატარა, ვულგარულ ამერიკელ გოგონებს?!“, მაგრამ სანდრას სწორედ ეს სურდა. მას შინ ამხანაგების მიყვანისაც რცხვენოდა, რადგან დედამისი თავის არიებს ღია ფანჯრის წინ მღეროდა ხოლმე, სხვა ბავშვების მშობლები კი ასე არ იქცეოდნენ...

ნებისმიერ ამერიკულ სკოლაში ბეისბოლისტა გუნდის კაპიტანი, „ქვეყნიერების ცენტრად“ ითვლება. მასწავლებლები მას ყველაფერს აპატიებენ, ბიჭები ყველაფერში ჰბაძავენ, გოგონების უძრავლე-



„სანამ შენ გეძინა“

სობა კი მასზეა შეყვარებული. ჯეფრი უილიამსიც სწორედ ასეთი იყო. სანდრას ის უგონოდ უყვარდა და ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, რომ ბიჭი ცუდად სწავლობდა, ქედმაღლურად იქცეოდა, ბევრი ლაპარაკი უყვარდა და მის სასიყვარულო თავგადასავლებს მთელი სკოლა არჩევდა.

ჯეფრისთვის თავის მოსაწონებლად სანდრა ცდილობდა, სხვა გოგონებს დამსგავსებოდა. მას ახალი მეგობარი გოგონა — გლორია გაუჩნდა, რომელსაც ძალიან მოსწონდა ის, რომ სანდრა ცდილობდა, ყველაფერში მას დამსგავსებოდა. გლორია მშვენივრად დაქროდა გორგოლაჭებით და კარგად ცურავდა. სანდრამ იფიქრა, რომ აუცილებლად დასცინებდნენ, თუ შეიტყობდნენ, რომ წყლის ემინოდა. არდადეგების გატარებისას გადაწყვიტა, ეს შიში დაეძლია და სერფინგი ესწავლა, მაგრამ გოგონას ისევ იმედგაცრუება ელოდა: იგი ტალღამ დაფარა, ნაპირამდე მიათრია და მის გადასარჩენად მამულებს დიდი დრო დასჭირდათ...

დაქალის მიბაძვით, სანდრა შემდეგ სპორტულმა ტანვარჯიშმა გაიტაცა, მაგრამ გოგონას თავისი აღნაგობის რცხვენოდა და თავს მოუქნელად თვლიდა. გამოსაშვებ კლასში სანდრა, როგორც იქნა, ბეისბოლისტების გულშემატკივართა რიგებში მიიღეს და ჯეფრამც მიაქცია ყურადღება. სანდრა მაშინვე ოცნებებმა გაიტაცა: მალე გამოსაშვები წვეულება უნდა გამართულიყო, ის და ჯეფი საუკეთესო წვეული იქნებოდა და მალე დაქორწინდებოდნენ კიდევ... „მე მგონია, რომ იმ უსაქმურს არ უნდა ეწოდ“, — აფრთხილებდა მისის ბალოკი ქალიშვილს. მართლაც, გამოსაშვებ წვეულებაზე ჯეფი სანდრას საუკეთესო

მეგობართან — გლორიასთან ხელგაყრილი გამოცხადდა. წვეილმა გაცხადებულ სანდრას გვერდით ჩაუარა და ყოფილმა დაქალმა დაცინვით ჩაულაპარაკა: „ჯეფი ამბობს, რომ შენ ამ კაბაში სარდელს ჰგავხარ...“ „აი, სადამდე მიჰყავხარ შენს მეოცნებობას, — განუცხადა დედამ აქვითინებულ სანდრას. — შენ რა, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ გათხოვდე და ამით დაკმაყოფილდე? სჯობს, საკუთარ თავსა და კარიერას მიხედო. როცა სათანადო დონეს მიაღწევ, სწორედ მაშინ შეხვდები შენს შესაფერის ემაწვილს“.

პირველი წარუმატებელი სიყვარულის შემდეგ, სანდრას, სახლიდან და ქალაქიდან გამგზავრების სურვილი გაუჩნდა. „სულ რაღაც ხუთი წელია საჭირო და შენ, კარგი განათლება და დიპლომი გექნება“, — ეუბნებოდა დედა. სანდრამაც, სწავლის გაგრძელება აღმოსავლეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში გადაწყვიტა, მაგრამ ხუთი წელი ვერ გაძლო და როგორც დედა აღნიშნავდა, „უაზრო და უპასუხისმგებლო“ საქციელი ჩაიდინა — სწავლა მიატოვა და ნიუ-იორკში გადავიდა. სამი წელი სანდრა პატარა კაფეში მუშაობდა და კლიენტებისთვის პიცას, ჰამბურგერებსა და ყავას დაატარებდა, თავისუფალ დროს კი, სინჯებზე დადიოდა. მან ორიოდე სპექტაკლში ითამაშა და ტელესერიალში მიიღო ეპიზოდური როლი. ამის შემდეგ, გოგონა საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადავიდა და კინოთი უფრო მეტად დაინტერესდა.

თავისი ერთ-ერთი პირველი ფილმის — „სასიყვარულო ელექსირი №9“-ის გადაღებებზე სანდრას მსახიობი ტეიტ ღონოვანი შეუყვარდა. ტეიტი მუდამ დასცი-







სანდრა ბალოკი სწორ გზაზე კი ესემოდა და ამას წარმატებით იყენებენ კინორეჟისორები

ნოდა სანდრას, სასიყვარულო ხელოვნებაში გამოუცდელი გამო, რადგან ქალი უკვე 26 წლის იყო... მაგრამ სანდრა ცდილობდა, დაცინვისთვის ყურადღება არ მიექცია. ის ისეთივე მუცხე იყო, როგორც სკოლაში სწავლისას და ისეთივე მოუქნელი, როგორც ბავშვობაში. სანდრა ბალოკი სწორ გზაზეც კი ეცემოდა და ამას წარმატებით იყენებენ კინორეჟისორები. მაგალითად, ფილმში „მის კონგენიალურობა“, მსახიობი თითქმის ყველა კადრში ეცემა. სწორედ მაშინ უწოდა სანდრას ტეიტმა „მის უბედური შემთხვევა“, მაგრამ ბალოკი არ გაბრაზებულა, სამაგიეროდ, თავი ისევ სანდრას დედამ გამოიჩინა: „ნუთუ ვერ ხედავ, რომ მას მარტო საკუთარი თავი აინტერესებს?!“ მალე სანდრა ამაში თავადაც დარწმუნდა. ფილმების: „გამანადგურებელი“ და „სისწრაფე“ მან სილვესტერ სტალონესა და კიანუ რივზთან ერთად მიიღო მონაწილეობა და მაშინვე, პოლიუდის წამყვანი ვარსკვლავების რიგში აღმოჩნდა. სანდრამ სახელი მოიხვეჭა, ფული იშოვა, ახალი როლები მიიღო და... ტეიტი დაკარგა. „ჩვენ ოჯახს ვერ შევქმნით, — მტკიცედ განუცხადა ვაჟმა. — ოჯახში წამყვანი პოზიციები ქმარს უნდა ეკავოს!“ — მის საუბარში სანდრამ შური შენიშნა...

მორიგი სასიყვარულო თავგადასავალი მსახიობს მხოლოდ სამი წლის შემდეგ გადახდა — მსახიობ მეთიუ მაკონაჰისთან, — მაგრამ ისიც წარუმატებელი აღმოჩნდა... წმინდა ვალენტინის დღეს,

სანდრამ მეთიუს საოცარი ამბავი აცნობა: ის მგონი, ორსულად იყო... შეყვარებულთა დღე ამ ამბავმა სამგლოვიარო დღედ აქცია: „რომელი ბავშვი?! შენ რა, ცუდად ცხოვრობ? — ჯერ ცხოვრებისგან ყველაფერი უნდა მიიღო, რაც შეგიძლია და შემდეგ დაიღო ბორკილები...“ იმდგაცრეული სანდრა ამჯერადც მწარედ ქვითინებდა. ტესტმა ორსულობა არ დაადასტურა, მაგრამ ამას ქალ-ვაჟის ურთიერთობაში აღარაფერი შეუცვლია. „უბრალოდ, შენ სიყვარულის ობიექტის არჩევაში შეცდი“, — ამშვიდებდა დედა სანდრას. — „არა, მე უბრალოდ, არ მიმართლებს“, — ფიქრობდა სანდრა. მართლაც, უსიამოვნებები ისევ გაგრძელდა. ფილმი „სისწრაფე — 2“ სანდრასთვის კინადამ უკანასკნელი გახდა და ეს კვლავ წყალს უკავშირდებოდა. ფილმის მოქმედება უზარმაზარ ხომალდზე ვითარდება. ერთხელ სანდრა წყლის მოტოციკლიდან ჩამოვარდა და ზვიგენების ალყაში აღმოჩნდა, მეორედ კი, კატერიდან პირდაპირ ხომალდის სავალი ნაწილის ქვეშ მოექცა. ორივე შემთხვევაში, მსახიობი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

ყოველი ახალი ფილმის შემდეგ, სანდრა სულ უფრო იხვეჭდა სახელს, მაგრამ თავს უფრო და უფრო მარტოსულად გრძნობდა. მაკონაჰისთან დაშორების შემდეგ, სანდრამ ორი წელი სრულ მარტობაში გაატარა. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებით გაეხარა, გასართობად წასულიყო და სასიყვარულო ურთიერთობები გაეჩაღებინა, ვარსკვლავი ტენესაში, ახალნაყიდ უზარმაზარ სახლში იკეტებოდა და თავისი ხელით აკეთებდა რემონტს: ღებავდა კედლებს, ღებავდა უნიტაზებს, აპირკეთებდა სააბაზანოს და იშვიათად თანხმ-



დებოდა ინტერვიუზე. „არ მინდა, პოლიუდური „ერთსაათიანი“ ოჯახი შევქმნა. ისეთ ადამიანზე ვოცნებობ, რომელიმე ერთადეც ცხოვრების ბოლომდე ვიქნები“.

სანდრა ისევ ოცნებობდა, ფილმების პრემიერაზე კი, ნათესავების თანხლებით დადიოდა და ეს ყველას აოცებდა: სანდრა ხომ მიმზიდველიც იყო, სახელგანთქმულიც, მდიდარიც, მაგრამ საოცრად აკლდა თავდაჯერებულობა. ერთხელ ბალოკი გამოტყდა, რომ ძალიან რცხვენოდა თავისი მომცრო მკერდისა და ფართო თუჩების გამო. ამას ვერც თავყვანისმცემლების წერილებმა უშველა, რომლის ავტორებიც უმტკიცებდნენ, რომ მას საუცხოო აღნაგობა ჰქონდა.

ამ კომპლექსის დაძლევაში სანდრას სიყვარული დაეხმარა. ვარსკვლავის რჩეული ამჯერად, მუსიკოსი ბობ შნაიდერი გახდა. ბობის გაცნობის მიზნით, სანდრას შობილებმა ისინი ერთად დააპატიჟეს შობის დღესასწაულზე და სწორედ მაშინ მოხვდნენ შეყვარებულები ავარიამი, თვითმფრინავით დაშვების დროს. საბედნიეროდ, ისინი ძალიან იოლად გადარჩნენ: ბობმა ხელი იტყინა, სანდრას კი, მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი ეტყობოდა.

შობის წინა დღეს, როცა სანდრა და ბობი, ხელიხელჩაკიდებულები ნაძვის ხესთან ისხდნენ, სანდრამ მთელი გულითა და სულით ჩაიფიქრა: ნეტავ, ეს ყმაწვილი ის აღმოჩნდეს, ვინც მას სჭირდება, ნეტავ, ისინი დაქორწინდნენ და შვილები ეყოლოთ... სანდრამ საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ არასოდეს ჩაერეოდა შვილების ცხოვრებაში ისე, როგორც ამას დედამისი აკეთებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, სანდრას დედა გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ ქალს სერიოზული დაავადება ჰქონდა და ამას ყველას უმაღლავდა. სანდრას აღარავინ აწუხებდა მოსაბეზრებელი კითხვებით, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ კითხვების დასმა სანდრამ საკუთარ თავს თავად დაუწყო, — ალბათ ამიტომაც, ჯერჯერობით გათხოვება ვერ გაბედა.

მსახიობმა ნიუ-იორკში იყიდა სახლი და იქ ბობი იშვიათად ჩნდება. სანდრა კი, ჩვეულებისამებრ, ისევ თვითონ აკეთებს რემონტს და გარს სამი ძალიან ახვევია. ამ ზაფხულს სანდრა 38 წლის ხდება, მაგრამ დიდ, ხმაურიან და ბავშვებით სავსე სახლზე ოცნება ჯერ ვერ აიხდინა. ყოველთვის, როცა მისი სახლის ზღურბლზე ბობი ჩნდება, სანდრას რატომღაც დედის საყვარელი ანდაზა ახსენდება: „ასჯერ გაზომე — ერთხელ გაჭერი“.





## Nissan Micra-ს ეფექტი

აღამიანებიც თავისუფლად მოთავსდებიან. მანქანის კარები ელექტრონული გასაღებით იღება, რისთვისაც საკმარისია, 80 სმ-ით მიუახლოვდე და საჭირო ღილაკს დააჭირო. ჩაჯ-ლომისთანავე, სალონში მოთავსებულ ღილაკზე დაჭერით შეგიძლიათ, უმაღლესი ხარისხის მუსიკის დასმისთვის, უმაღლესი ხარისხის მუსიკის დასმისთვის, უმაღლესი ხარისხის მუსიკის დასმისთვის. აქამდე, ამ ელექტრონულ სისტემას მხოლოდ პრესტიჟულ ავტომობილებში – მაგალითად, S-კლასის „მერსედესში“ იყენებდნენ. იაპონური მიკრო ორი – 1,2 ლ-იანი და 1,4 ლ-იანი ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი: უფრო მძლავრი, 98 ცხ.ძ-ს განავითარებს. ამ მოდელს, როგორც მექანიკური, ასევე ავტომატური გადაცემათა კოლოფით გამოუშვებენ. „ნისან მიკრას“ ძირითად კონკურენტებად, ევროპულ „ფოლკსვაგენ პოლოსა“ და „ფორდ ფიესტას“, ასევე „თანამემამულეებს“ – „ჰონდა ჯაზსა“ და „ტოიოტა იარისს“ მიიჩნევენ. იაპონურმა სატიუნინგო ატელიემ – Nismo-მ უკვე შექმნა ამ მოდელის სპორტული ვერსია, რომელიც ჯერჯერობით, მხოლოდ სამშობლოში იყიდება. 2003 წლისთვის კი, იაპონიაში „ნისან მიკრას“ მანქანებისთვის განკუთვნილი საგანგებო რაღის მოწოდებასაც აპირებენ.

ევროპის ბაზარზე კიდევ ერთი კომპაქტური საქალაქო ავტომობილი – Nissan Micra გამოჩნდა. ამ პრაქტიკული და უპრეტენზიო მანქანის წინამორბედი მოდელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ახალი „მიკრა“ საოცრად ვრცელი სალონით გამოირჩევა, თუმცა გარეგნულად, საკმაოდ მოკრძალებული გაბარიტები აქვს. წინა ვერსიასთან შედარებით, ის 7,5 სმ-ით განიერი და 10 სმ-ით მაღალია. ამ კორექტივამ კარგი შედეგი მოიტანა: ახლა უკანა სავარძელზე, 185 სმ-ის სიმაღლის

## Mitsubishi ჰიაქსიკოსი ადამიანებისთვის

სავტომობილო ბაზარზე გამოდის Mitsubishi L200-ის სრულამბრავიანი სპეციალური მოდელი American Sport. ისევე, როგორც საბაზო ვერსია, ახალი მანქანა პიკაპია: ოთხადგილიანი კაბინა და ღია სატვირთო დანაყოფი აქვს. ის დიზელის ძრავითაა აღჭურვილი, რომელსაც 2,5 მლნ სამუშაო მოცულობა აქვს. ავტომობილის კომპლექტაციაში შედის 16-ღუმიანი, მხატვრულად დამუშავებული დისკები და ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები.



იაპონური კომპანიის მეორე სიახლეა, Veni Space Wagon (სურათზე), რომელსაც 2 ლ-იანი (აქამდე ეს მანქანა 2,4 ლ-იანი ძრავით იყო აღჭურვილი), 133 ცხ.ძ-იანი აგრეგატი ექნება, წინამორბედი, 6-ადგილიანის ნაცვლად კი, 7-ადგილიანი გახდება. საბაზო კომპლექტაციაში შედის: ფრონ-

ტალური და გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები, ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით, მინების ელექტროამწვე-

ბი, გამათბობლიანი სარკეები და კონდიციონერი. ევროპაში ამ მანქანას 23.990 ევროდ შესთავაზებენ მომხმარებელს.

## Peugeot 206 — ყველაზე ეკონომიუხი „ფიანგი“



ევროპაში ძალზედ პოპულარული კომპაქტური ავტომობილი ახლა დიზელის ძრავითაც აღიჭურვა, რომლის შემუშავებამაც, „პეჟოს“ ინჟინრებთან ერთ-

თად, „ფორდისა“ და „სიტროენის“ სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. ასეთივე ძრავით აღიჭურვება აგრეთვე „ფორდ ფისტა“ და „სიტროენ 3“. დიზელის სა-

მუშაო მოცულობა 1,4 ლ-ს შეადგენს, სიმძლავრე – 68 ცხ.ძ-ს; 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 14,7 წმ-ში აღწევს, მაქსიმალური სიჩქარე კი 168 კმ/სთ-ს აღწევს. ამ „პეჟოს“ მთავარი კოზირი, ეკონომიურობაა: ყოველ 100 კმ-ზე ის საშუალოდ, 4,3 ლ საწვავს ხარჯავს, ქალაქებში, წყნარ ტრასაზე კი – სულ რაღაც 3,6 ლ-ს; თუმცა, დიდ ავტომაგისტრალზე ძალიან სწრაფად სიარულისას, საწვავის ხარჯი 6 ლ-მდე იზრდება. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მაინც, ყველაზე ეკონომიური ფრანგული ავტომობილია, ამდენად, არც მისი საბაზო ფასი – 12.360 ევრო ჩაითვლება ძვირად.

სატვირთო მანქანის მძღოლი კაბინიდან გადმოვიდა. სახეზე ფერი აღარ ელო. გზის პირზე გადავიდა და მტკვარს გადახედა. სწორედ ამ დროს, პოლიციის ორი მანქანა, ჩართული სირენებით მოადგა შემთხვევის ადგილს. პოლიციელები მანქანიდან გადმოხტნენ და შეშინებულ მძღოლს მისცვივდნენ. მძღოლმა, რომელმაც ძლივს ამოიღგა ენა, პოლიციელებს რაც დაინახა, ყველაფერი უამბო.

მტკვარი კი, მშვიდად, აუღელვებლად მიედინებოდა და თითქოს თან მიჰქონდა მის ტალღებში ჩამალული ორი ადამიანის საიდუმლო.

„მოსკვირის“ პატრონის ვინაობის დადგენამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მყვინთავებმა, რომელთაც დამხრჩვალ ადამიანები უნდა მოეძებნათ, მუშაობა მეორე დღეს, შუადღისთვის დაიწყეს, მაგრამ დამხრჩვალთა ვერანაირ კვალს ვერ მიაგნეს. მესამე დღეს კი, მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს, რომლის ამოცნობაც ვერავინ შეძლო. ამავე დროს, იმ დღეს დამხრჩვალთა შესახებ არც პოლიციაში და არც სამაშველო სამსახურში არავის მოუპართავს, რამაც საქმე კიდევ უფრო გაართულა და პოლიციაც დიდ საგონებელში ჩააგდო.

რამდენიმეწუთიანი წყალქვეშა ცურვის შემდეგ, არჩილმა ამოყვინთა და ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი. დინებას საკმაოდ შორს გაეყვანა და ძლივს და მოჩანდა ის ადგილი, საიდანაც მდინარეში ჩახტა. სამშვიდობოს იყო გასული და ახლა უკვე ჩვეულებრივად განაგრძობ ცურვას, სანამ ნაპირზე გასასვლელ ხელსაყრელ ადგილს არ მიაღწია. არჩილი სანაპიროზე გავიდა. ახლა მოფარებულ ადგილას ტანსაცმელი უნდა გაეწურა. ირაკლი, თუ ტყვია არ მოხვედრია, ახლა უკვე სამშვიდობოს იქნებოდა გასული... არჩილმა კიდევ ერთხელ მოაგლო თვალი მდინარეს – იქნებ მეგობარი დაეინახო, – მაგრამ ირვლევი კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. მსგავს სიტუაციაში ირაკლი არაერთხელ მოხვედრილა, უვნებელი გამოსულა და ახლაც არაფერი გაუჭირდებაო, – იმედინად გაიფიქრა არჩილმა და გადაწყვიტა, რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა იქაურობა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. არჩილი შეეცადა, ტანზევე გაეწურა ტანსაცმელი, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. ხელი ჩაიქნა და მანქანის გასაჩერებლად, ტროტუარის კიდეზე დადგა. მრავალი ცდის შემდეგ, როგორც იქნა ტაქსი გააჩერა და გაოცებულ მძღოლს მისამართი უთხრა. ირაკლის სახლისკენ მიმავალმა, მძღოლი რომ არ შეეშინებინა, სისულელე მოიგონა: თითქოს ნასვამი იყო და შემთხვევით, აუზში მოადინა ზღართანი. ირაკლის კორპუსამდე ასიოდე მეტრით ადრე გააჩერებინა მანქანა და მძღოლს



# შეხვეთილი მკვლელია

## მერაბ ბურჭულაძე

ჯიბიდან ამოღებული დასველებული ფული გაუწოდა.

ირაკლის ბინის ზარის ღილაკს გამეტებით მიაჭირა თითი. კარი გაიღო, ზღურბლზე ჭადარათმიანი ქალბატონი გამოჩნდა. არჩილს, დანახვისთანავე მაჯაში ხელი ჩასჭვიდა და თავისკენ მოზიდა.

– მაღლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარ! – ირაკლის დედამ მეგობრულად მოხვია ხელი სველ ბეჭებზე. – სწრაფად შემოდი და გამოიცვალე. იმ ოთახში, ტახტზე, ირაკლის ტანსაცმელი აწყვია.

– ქალბატონო ნათელა, ირაკლი...

– შეკითხვები მერე! ირაკლი სახლში არ არის!

არჩილი გაშრა. გულზე მწარედ მოხვდა ეს პასუხი.

– ჩქარა ბიჭო, წადი, გამოიცვალე, ფილტვების ანთება არ აიკიდო!

მცირე ყოყმანის შემდეგ, არჩილი მეორე ოთახში გავიდა. „ესე იგი, დღევანდელ ამბავზე დედამისმა არაფერი იცის... ირაკლი სახლში არ მოსულა... იქნებ... არა, ეს შეუძლებელია“, – ფიქრის დასრულების საშუალება არ მისცა საკუთარ თავს. მაგრამ ავი ეჭვი მაინც უღრღნიდა გულს. „თუ ცოცხალია, ამდენ ხანს რატომ არ მოვიდა?! ნუთუ ტყვიამ უწია?... არა, ეს შეუძლებელია, დაუჯერებელია!“ ავღანეთი გაასხენდა არჩილს, როცა თვითონაც და

ირაკლიც გამუდმებით სიკვდილს ეთამაშებოდნენ. არც ერთს, თითქოს შელოცვილები ყოფილიყვნენ, ტყვია არ ეკარებოდა, არადა იყო შემთხვევა, როცა ნაღმებით დაფარული ტერიტორია ტყვიების წვიმაშიც უვნებლად გადაუსერავთ – მაშინ, როცა იმავე ტერიტორიაზე გადარბენისას, 14 თანამებრძოლი დაეღუპათ...

ტახტზე, პირსახოცი იღო და ტანსაცმელიც, და ამან სულ დააბნია ახალგაზრდა კაცი: საიდან იცოდა ქალბატონმა ნათელამ, რომ არჩილს პირსახოცი დასჭირდებოდა? დაუშვათ, რომ ტახტზე ტანსაცმლის დაწყობა ჩვეულებრივი მოვლენაა ამ სახლში, მაგრამ პირსახოცი?..

თავი გაიმშრალა და ტანსაცმელი გამოიცვალა. მკლავი მოისინჯა. გადაწყვიტა, დასველებული სახვევი შეესხნა, გაეშრო და მერე ისევ შეეხვია. ჭრილობას დახედა. თითქმის შეხორცებული იყო. მეტი გაახსენდა. უცხად, ისე მოენატრა – აქ რომ ყოფილიყო, ალბათ თავიდან ფეხებამდე დაკონცინდა... მისი გულდაწყვეტილი სახე წარმოუდგა თვალწინ – სასტიკი უარი რომ უთხრა სამსახურში წაყვანაზე. რა გულწრფელი იყო მისი თვალეები! რა ბავშვური გაბუტვა იცოდა მეგობრებს! თუ რამე ეწყინებოდა, წყნის დაფარვას ვერ ახერხებდა – თვალეები აუწყლიანდებოდა და ბავშვით გაბუტებოდა... თუმცა, მისი



შემორიგებაც არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს: მთავარი იყო, გალიძება, საკუთარი დანაშაულის აღიარება — და, მეგისაც უცებ გაეხსნებოდა სახე... საყვარელი, ლამაზი და საოცრად კეთილი სახე...

არჩილმა მეგობრის ღია ცისფერი პერანგი ჩაიცვა და გადაწყვიტა, ჭრილობაზე სახვევი აღარ შემოეხვია. პისტოლეტი იქვე, სველ ტანსაცმელთან დადო, ტყვიები შარავლის ჯიბეში ჩაიყარა და მისაღებ ოთახში გავიდა.

ქალბატონი ნათელა შარვალს აუთოებდა. არჩილის შემოსვლაზე შემობრუნდა და გაიღიმა.

— ასე არ სვობს? ახლა კი, მიდი და ღუმელს მიეფიცე. ცოტა გათბები. — მერე, თითქოს ლაპარაკობდა, ისე თავისთვის, განაგრძო: ყველანი გაიფანტნენ და მარტო დამტოვეს. ბავშვები სკოლაში, ქეთინო და ირაკლი — სამსახურში. რა ამბავი იყო, უნდა გენახა... ორშაბათი მძიმე დღეაო, ნათქვამია და მართლაც ასეა.

არჩილმა იჭვინულად გადახედა ქალს: — როდის წავიდა ირაკლი სამსახურში?

— ალბათ ათი წუთით თუ გაგასწრო... გოცნებულმა არჩილმა პირი დააღო:

— დარწმუნებული ხართ, ქალბატონი ნათელა?

— კი, შეილო, რა გაგიკვირდა? რაში უნდა მეპარებოდეს ეჭვი?

— ამ დილით, ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში?

ქალმა უთოობა შეწყვიტა და გაკვირვებულმა უპასუხა:

— კი.

— მერე, არაფერი დაუბარებია... ჩემზე? — არჩილი გამომცდელად დააკვირა ქალს.

— როგორ არ დაუბარებია? ასე თქვა — შეიძლება, სულ მთლად გალუმბული მოვიდეს, ტანსაცმელი გამოაცვლევინე და ფეხი არსად გაადგმევინო... თვითონაც სველი იყო, არც მიკითხავს — რატომ. არც შენ გეკითხები: სიმართლეს მაინც არ მეტყვით და რა აზრი აქვს?!

არჩილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ირაკლიმ უვნებლად დააღწია თავი განსაცდელს. სასიხარულო ცნობამ როგორც იქნა, გაუფანტა ეჭვები და მხიარულ გუნებაზე დააყენა. „სამსახურში“ დროულად მივა, რომ რამე ეჭვი არ გაუჩნდეთ, თან რაღაც ამბავსაც გაიგებს...“ — გაიფიქრა კმაყოფილებით და გახურებულ ღუმელს ორივე ხელი მიუყვინცხა.

ირაკლი ნაშუადღევს მოვიდა. ყველა შინ დახვდა: ცოლიც დაბრუნებულიყო სამსახურიდან და ბავშვებიც — სკოლიდან. მეგობრებმა, დიდი ხნის უნახავებივით მხურვალედ გადაკოცნეს ერთმანეთი და მცირე მოკითხვების შემდეგ, ერთ-ერთ ოთახში გან-

მარტოვდნენ.

— დღეს კარგა გვარიანად შემაშინე, — თქვა არჩილმა. — დღეაშენმა ხომ, გული გამიხეთქა — სახლში არ არისო, რომ მითხრა... როგორ გამოხვედი წყლიდან?

— ნორმალურად, — მოკლედ უთხრა ირაკლიმ, — ჯერ ტანსაცმელი გავწურე და ცოტა კაცს რომ დავემსგავსე, ტაქსი დავიჭირე. მოსული რომ არ დამხვდი, სიმართლე გითხრა, მეც შექმენდა. დღეაჩემი გაგიჟდა — რას ჰკვებარო? — არჩილი თავის მოსაკლავად გადახტა წყალში და მე ამოვიყვანე-მეთქი, — სიტყვა ბანზე აუვუღე. ორივემ გადაინახარა.

— მერე, დაიჯერა?

— მაგას ასე ადვილად მოატყუებ?! —

40 წელი ადვოკატადა ნამუშევარი,

— ჰო, მართლა, შენი „მოსკვიჩი“?

— დაგენანა? შენ არ მითხარი, დანჯღრეულიაო?

— მაგას არ ვამბობ — შენს ვინაობას იმით დაადგენენ...

— აბა, მაგის ჩიტი ვარ, ჩემზე გამეფორმებინა...

— ირაკლი, იმ სატვირთოს გამოვარდნაც მოწყობილი ხომ არ იყო?

— რას ამბობ? ამისთვის ჩვენი მარშრუტი უნდა სცოდნოდეთ, მაგას კი ვერაფრით გაიგებდნენ, რადგან წინასწარ მე თვითონაც არ ვიცოდი... ახლა შენი ამბავი მომიყვი. არჩილმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. ირაკლიმ ღრმად ჩაისუნთქა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— მდაა! ესე იგი, ვიღაცას ხელს უშლი. ბოლო დროს ისე მომრავლდა შეკვეთილი მკვლელობა, რომ აღარაფერია გასაკვირი.

— კი, მაგრამ რისთვის? მთელი ამ წლების მანძილზე, ერთი საყვედურიც არავის დასცდენია. მადლობებითა და ჯილდოებით მაქვს სავეს პირადი საქმე. რამდენი საქმე გამიკეთებია, რამდენიმე დამპალი დაგვიჭვრია დანაშაულის ჩადენამდე...

— ვის სჭირდება შენი პატრონებია?! ის ტიპი, ფაქტზე რომ დააკავთ — ბლომად ჰეროინი რომ შემოჰქონდა...

— ჰო, დავით ჩქარეული.

— მეორე მდიონ დოლარზე იყო ლაპარაკი, არა?

— რას ამბობ, სამ მდიონზე, მერე?

— ეგ ჩქარეული შინაგან საქმეთა მინისტრის ნათესავია. სწორედ მაგისთვის „დაგაჯილდოეს“ მოსასმენი აპარატებით. მაგისთვის „მოგნათლა“ შენმა ძვირფასმა შეფმა და ვერცხლის ჯვარში ჩადებული მოსასმენი აპარატიც გისახსოვრა. შენ ხომ დაჟინებით ითხოვდი ჩქარეულთან დაკავშირებული საქმის გამოძიებაში მონაწილეობას, გეგონა, სხვებიც იყვნენ მის ჩაყვებაში დაინტერესებულნი... სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული...

— ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! აღარაფერს ვითხოვ — თუ უნდა, სულ გაუშვან, ოღონდ, მე თავი დამანებონ.

— გაშვებით, უშენოდაც გაუშვებენ, მაგრამ შენ ამ თამაშში უკვე ისე ხარ შეჭრილი, რომ თავს აღარ დავანებებენ, სანამ არ გაგაქრობენ.

— იტალიელი რალაში დასჭირდათ? თუ ჩემი მოცილება უნდაო, ამას სხვა გზით ვერ გააკეთებდნენ?

— ეჰ, არჩილ, რა მაიმიტი ბავშვით ლაპარაკობ! — ამით ორ კურდღელს დაიჭერენ: არჩევნები მოახლოებულია, ადამიანთა გატაცება კი კვლავ გრძელდება. ადვილი შესაძლებელია, რომ იტალიელის გატაცებაც სწორედ თქვენ დაგაბრალონ: ბოლო დროს, იმდენი მითქმა-მოთქმა უცხოელთა გატაცებაში ძალოვანთა მონაწილეობის შესახებ, რომ ასეთი ვერსია ძალიან დამაჯერებელია. მერე დაისწინან იმ იტალიელს და საქმეს გახსნილად გამოაცხადებენ. დაიწერება გაზეთებში — ამუშავდნენ ძალოვნებიო. არჩევნებისთვისაც დაიწერენ ქულებს, ხალხის გულსაც მოიგებენ — ჩვენინანებსაც კი არ ვინდობთ, თუ ისინი დამნაშავენი არიანო. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ამ სცენარით განვითარდება...

— მივალ სამსახურში და პირდაპირ დავებაზრები — არაფერი მაინტერესებს, ყველაფერზე თვალს დაგზუჭავ, ჩათვალეთ, რომ არაფერი მომხდარა-მეთქი...

— სწორედ ეს უნდაო, რომ შენივე ფეხით გამოცხადდე სიკვდილმისჯილთა საკანში. რას გაინარებენ!

— აბა, გინდა თქვა, რომ გამოსავალი არ არსებობს?

— გამოსავალი არსებობს, მაგრამ ძალიან რთული!

— მაინც!

— მათი მამხილებელი საბუთი — ფოტოსურათი ან ვიდეომასალა — რამე ამდაგვარი უნდა მოიპოვო, რომ შენი შიში ჰქონდეთ. უნდა იცოდნენ, რომ შენი სიკვდილის შემთხვევაში, ეს მამხილებელი საბუთი საქვეყნოდ გახდება ცნობილი და უტყუარად ამხელს მათ... ასეა: საუკეთესო თავდაცვა — თავდასხმა. ჭადრაკის თამაშში იცი?

— რა დროს ჭადრაკია?!

— ცოტათი დაგამშვიდებს, — ირაკლიმ ჭადრაკის დაფა გამოიტანა, მაგიდაზე დადო და ფიგურების დაწყობას შეუდგა.

არჩილიც უხასიათოდ, ზანტად შეუდგა ფიგურების დაწყობას.

თეთრი ფიგურები არჩილს შეხვდა და პირველი სვლაც მანვე გააკეთა. ირაკლიმაც თეთრ პაიკს თავისი მიუყენა და არჩილს გამომცდელად შეხვდა.

— აჩი, ამ თამაშის პრინციპი ხომ იცი? არჩილმა მხრები აჩქჩა:

— მე მგონი, ვიცი. რატომ მეკითხები?

— კაცობრიობას ამაზე ჭკვიანური თამაში არ გამოუგონია: სწორედ რომ ცხოვრებისეულ თამაშზეა აგებული. ამ პატარა დაფაზე ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალა დგას...

— სიკეთე და ბოროტება, არა? — არჩილმა მწარე ირონიით შეხედა.

— არა! ეს სულ სხვა ძალებია: კეთილსა და ბოროტს შორის ყაიმი არ შეიძლება იყოს, აქ კი ყველაფერი დაშვებულია. აქ ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა. თითოეული სვლა, წინასწარ გათვლილია და უფრო მეტიც — რამდენიმე სვლით ადრე უნდა განჭვრიტო, რა მოხდება. ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს. ეს არის ბრძოლა ტახტისათვის — თბილი და რბილი სავარძლისთვის. ამ ბრძოლაში კი, ყაიმიც შესაძლებელია, ხოლო ამ ყაიმს შეიძლება, ყველა ფიგურა შეეწიროს, ბოლოს კი, მხოლოდ ისინი რჩებიან, ვინც უშუალოდ უნდა დაჰპირისპირებოდა ერთმანეთს გამარჯვებისათვის, მაგრამ ბოლოს, ისინი ყაიმზე შეთანხმდებიან — მაშინ, როცა თითქმის ყველა ძალა, უფლებამოსილებით აღჭურვილი თითოეული ფიგურა, დედოფლის ჩათვლით, თავიანთი ამბიციებისათვის შეიწირეს... ვიღაც-ვიღაცების ბრძოლას ეწირება ხალხი, ზემოთ მჯდომი კი ხითხითებს და ახალ-ახალ ინტრიგებს ხლართავს... — ირაკლიმ სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა, მერე წინ წამოწეული არჩილის პაიკი ხელში აიღო და განაგრძო: პირველი პაიკი ყოველთვის განწირულია. პირველი პაიკის როლი შენ და შენს მეგობრებს დაგაკისრეს. ისინი შეეწირნენ, მაგრამ შენ გადარჩი და ახლა, გამსვლელი პაიკის როლში შეიძლება აღმოჩნდე. თუ მოახერხებ, ძლიერი დედოფლის ადგილს დაიკავე... იბრძოლე, მოიპოვე მათი მამხილებელი საბუთი.

არჩილი დაფიქრდა, ვერ წარმოედგინა, რა საბუთზე ელაპარაკებოდა მეგობარი, საიდან შეიძლება ამ მამხილებელი საბუთის მოპოვება. ეს თითქოს აბსურდული იდეა იყო. მაგრამ სხვა გამოსავალი მართლაც არა აქვს, რაღაც უნდა იღონოს რომ გადარჩეს. ეს რაღაც კი, რა შეიძლება იყოს? მართლაც, უკან დახევა, უმოქმედობა — სიკვდილის ტოლფასია. იქნებ, სადღაც უნდა წავიდეს? — თუნდაც, პანკისის ხეობაში — საიდუმლოებით მოცულ ხეობაში, სადაც უამრავი საიდუმლო იმალება?.. მაგრამ მანამდე, თავისი უფროსი უნდა მოინახულოს, რაღაც არ უნდა დაუვადეს. ირაკლი მართალია — სამსახურში მისი ნახვა სისულელეა. შინ უნდა მიაკითხოს და როგორმე შეიპაროს. რაღაც ინფორმაციასაც დასტყუებს — დაემუქრება და დასტყუებს; არ შეიძლება, რაიმე საინტერესოს რომ არ გამოჰქვარას ხელი. „გაიძვერა, როგორ ჩიტივით გამწირა!..“ მწარედ



გაიფიქრა და ბოლმა მოაწვა. თურმე როგორ შეიძლება დაეცეს კაცი — მოგნათლოს და მერე ნათლული სასიკვდილოდ გაიმეტოს მხოლოდ იმისთვის, რომ სავარძელი არ დაკარგოს, ყველაფერი კარიერას ანაცვალოს...

კიდევ ორი დღე დაყო ირაკლისთან არჩილმა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, თითქოს სულ ეკლებზე იჯდა. უსაშველოდ ენატრებოდა მეგი, გოგონა, რომელმაც ახლა აღარაფერი იცოდა მის შესახებ. არადა, მეგის ნახვა უდიდესი რისკის გაწვევის ტოლფასი იქნებოდა, რომლის უფლება მას არ ჰქონდა...

არჩილს ღრე მამინც არ დაუკარგავს — ფრთხილად გადიოდა სახლიდან, თან ირაკლის პატარა ჭოგრიტი მიჰქონდა. ჩვეულებრივად, თავისუფლად „დასაინობდა“ ქალაქში, ისე, რომ ვინმეს თვალში არ ჩასჩხვროდა; ავიდოდა ერთ-ერთი მრავალსართულიანი შენობის სახურავზე და მოყვარული ტურისტისტივით ჭოგრიტით ათვალიერებდა არემარეს, ქალაქის ხედს. თუმცა კი, მისი ჩანაფიქრი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, როგორც ეს შეიძლება ვინმეს მოსჩვენებოდა. იგი გულმოდგინედ აკვირდებოდა ასეთივე მრავალსართულიანი შენობის მეექვსე სართულს, რომელიც მილიანად თავისი სპეცსამსახურის უფროსის — გივი ჩადუნელის საცხოვრებელი იყო. ჩადუნელს ერთსადარბაზოიანი სახლის მეექვსე სართულის სამივე ბინა ეკუთვნოდა, ერთ ბინად ჰქონდა გაერთიანებული.

ორი დღის მუშაობის შედეგად, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მიიღო, რომელიც ჩადუნელის ბინაში შედწევისთვის სჭირდებოდა. როგორც დაადგინა, გივის მეუღლე და ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ამ ბინაში ცხოვრობდა, სახლში არ იმყოფებოდნენ. ჩადუნელს ისინი, ყოველი წლის ამ დროს დასასვენებლად ქობულეთში დაჰყავდა ხოლმე, და, როგორც ჩანს, სეზონი არც ახლა ჩაუვლია... ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი „სავარელი ნათლია“ შინ მარტო იმყოფებოდა. დაადგინა მისი საწოლი ოთახის მდებარეობაც, დაწოლის მიახლოებით დროც...

ახლა მთავარი იყო ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებოდა და თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა.

ირაკლი ოთახში რომ შემოვიდა და მეგობარი ვერ დაინახა, მეუღლეს მიუბრუნდა:

— არჩილი სად არის?

— თავის ოთახშია გასული. მოხდა რამე?

— არა, არაფერი! ტელევიზორი ჩართე!

მეორე ოთახში გავიდა, არჩილი საწოლზე წამოწოლილიყო და ჩათვლიდა. ირაკლის შემოსვლაზე, უცებ გაახილა თვალი და წამოიწია, მაგრამ მეგობარს მოჰქვარა თუ არა თვალი, ისევ მიწვა.

— შემაშინე, ვერი არ გადევს. რა მოხდა?

— აი, შენი გაზეთებიც, — საწოლზე ახალი გაზეთები დაყარა. — ხომ გეუბნებოდი — სცენარი მზად აქვთ-მეთქი! როგორც ვამბობდი, მართლაც ისე მოხდა. წაიკითხე, მაგრამ ძალიან ნუ ინერვიულებ, მანდ ხომ, ჩვენთვის მოულოდნელი, არაფერი წერია.

ირაკლი ისევ გავიდა ოთახიდან და გაოცებულ მეგობარს გაზეთების მშვიდად წაკითხვის საშუალება მისცა.

ირაკლის წინასწარმეტყველება მართლაც ზედმიწევნით ახდა. პუბლიკაციებს სხვადასხვა მაღალჩინოსანთა კომენტარებიც ჰქონდათ დართული, რაც მკითხველისათვის უფრო დამაჯერებელს ხდიდა ნათქვამს. ყველაზე საინტერესო კი, მამინც ის იყო, რომ პუბლიკაციების მიხედვით, არჩილს და მის ამხანაგებს, გატაცებული იტალიელი ბიზნესმენი თავისი ბაბუის სახლში დაუმალავთ და ერთ-ერთ ბნელ ოთახში ჰყოლიათ გამომწვევდელი. საკმაოდ უდიდრად ეპყრობოდნენ და საჭმელსაც კი არ აძლევდნენ. რაც შეეხება გამოსასყიდს, ძალიან დიდი თანხა მოუთხოვიათ და რომ არა საკმაოდ ორგანიზებულად განხორციელებული ოპერაცია, უცხოელი ბიზნესმენი შეიძლება კიდევ მოეკლათ...



გაზეთები ასევე იუწყებოდა, რომ გაცხარებული წინააღმდეგობის მიუხედავად, სპეცრაზმელებმა იმარჯვეს, სასტიკ შეტაკებაში სამი ბოროტმოქმედი მოკლეს, ერთმა კი მიმალვა მოახერხა. სამწუხაროდ, ამ ოპერაციის დროს, ერთი სპეცრაზმელიც დაიღუპა, რომელსაც ალბათ გმირობაზე წარადგენენო სიკვდილის შემდეგ. ბუნებრივია, საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ „ყაჩაღები“ უშიშროების სამსახურის საკმაოდ სტაჟიანი თანამშრომლები იყვნენ, რაც იმის ვარაუდის საფუძველსაც იძლეოდა, რომ სხვა უცხოელთა გატაცებებიც სწორედ მათი ნახელავი იყო...

გაზეთის კითხვა კარის გაღებაში შეაწყვეტინა.

– ჩქარა, ტელევიზორში საინტერესო ამბავს გადმოსცემენ! – უთხრა ირაკლიმ და ისევ გავიდა. არჩილიც წამოხტა და სასტუმრო ოთახში გაჰყვა.

ტელევიზიით მყვინთავთა მიერ წყლიდან ამოყვანილ გვამზე იყო ლაპარაკი. როგორც იუწყებოდნენ, ის სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი იყო, რომელიც იტალიელი ბიზნესმენის გატაცებაში მონაწილეობდა და ამ გატაცების ერთ-ერთი ორგანიზატორიც იყო. სახე შეჭმული და დაფლეთილი ჰქონდა, რაც მის ამოცნობას საკმაოდ აძნელებდა, მაგრამ როგორც ვარაუდობდნენ, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ყველაფერს ნათელი მიუფინებოდა. აქვე მადლობას უცხადებდნენ იმ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც იტალიელის დახსნის ოპერაციაში მონაწილეობდნენ და უდიდესი რისკის ფასად, მაინც დაიხსნეს უცხოელი ბიზნესმენი. აქაც უხვად იყო კომენტარი, მათ შორის, მინისტრისა, რომლის განცხადებით, უკანასკნელ წუთამდე არ სჯეროდათ, თუ პანკისის ირგვლივ ატეხილ მითქმა-მოთქმასა და უცხოელთა გატაცებაში, თვით უღირს სამართალდამცავთა მონაწილეობა დადასტურდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც გამართლდა და ამით ჩირქი მოეცხო ჩვენს სამართალდამცავებს. თუმცა, მინისტრი ამბობდა მოსახლეობას, რომ არავის დაინდობდა – თუნდაც, საკუთარი ძმა ყოფილიყო ამ ბინძურ საქმეში გარეული. „ბრძოლა დაიწყო, იგი გაგრძელდება და გვჯერა, წარმატებით დაგვირგვინდება, – აცხადებდა იგი და ბოლოს, კიდევ ერთხელ დასძინდა: კრიმინალებს, ხალხის, მთელი საზოგადოების დახმარებითა და ხელშეწყობით, ბოლო უნდა მოვუღოთ. ნორმალურ და ცივილიზებულ ქვეყანას უნდა დავემსგავსოთ და დავემსგავსებით კიდევ!“

არჩილის შეფმა, პოლკოვნიკმა გივი ჩაღუნელმა დიდი გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ამ ბინძურ ბიზნესში ზოგიერთი მისი ხელქვეითი აღმოჩნდა გარეული. ისიც ამბობდა ტელემასურე-

ბლებს, რომ უშიშროება კვლავ დარჩებოდა სახელმწიფოს ინტერესების დამცველი და ყველა ღონეს იხმარდა, ბოროტმოქმედთაგან სრული გაწმენდასთვის...

ტელევიზორზე ნამდვილი ტრაგიკომედია თამაშდებოდა. ყველა გაოგნებული შესცქეროდა ტელევიზორს და თითქოს საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. ვინ იღვა ამ საზიზღრობის უკან, ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ ცხადი და ნათელი, მხოლოდ ამ ოთახში მსხდომი ადამიანებისთვის. სამაგიეროდ, ბევრი მაყურებელი დაიჯერებდა – იმარჯვეს, თავისიანებსაც კი აღარ ინდობენ, როგორც იქნა, დააწყეს ბრძოლა, – იფიქრებდა ობივატელი...

ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ტელევიზორს მისხდომოდნენ: მეგი, ინგა, გენადი და პატარა გიგი. ყველა, საოცარ ძლევაგარეობას აეტანა. მეგი ხმამაღლა ქეთინებდა, ინგას მკერდში ეკვროდა პატარა ბავშვით. დაც ალერსით, და თანაგრძნობით ევერებოდა თავზე. დროდადრო, მასაც მოადგებოდა ხოლმე თვალზე ცრემლები, ცხვირსახოცით მოიწმენდა, მერე გაირინდებოდა, ასლუკუნებული მეგის დაშვილებას ცდილობდა, მაგრამ სიტყვებსაც ვეღარ პოულობდა. ან რა უნდა ეთქვა, როცა გრძნობდა, თავის დას მოულოდნელი სტუმარივით მოსულ სიყვარულს როგორ ართმევდნენ, უღმობლად და დაუნდობლად, როგორ უქცევდნენ ბოროტებად, გულში ჩარჩენილ სითბოს.

გენადი ხმის ამოუღებლად იჯდა, გარინდული შესცქეროდა ტელევიზორიდან წამოსული ინფორმაციის ბოროტ ნიაღვარს და თვითონაც თავს რატომღაც დამნაშავედ გრძნობდა – ისიც ხომ იმ საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, რომელიც თელავდა სიმართლეს, სიკეთეს, პატიოსნებას. ამ ბოროტებას კი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა – იმ კაცისა, რომლის სიმართლისაც მტკიცედ სჯეროდა. მერე, როგორ ახლობლად მიიღეს ოჯახში!.. ახლა კი მტერის ტალღებიდან ამოღებულ გვამს უჩვენებდნენ და კიდევ, შხამიანი სიტყვებითაც „კანმაგდნენ“...

გენადისაც უნდა, როგორმე გააძნევეს მეგი, მაგრამ ვერც ის ახერხებს დამამშვიდებელი სიტყვების გამოჩვენებას. ეცოდება და მერე როგორ ეცოდება ეს ანგელოზივით გოგო. ალბათ როგორი ტანჯვა უძიძგნის ახლა გულს...

– მეგი, ნუ ტირი, იქნებ სულ სხვა ვინმეა ეს დამხრჩვალი. ხომ გაიგონე – სახე სულ დამახინჯებული აქვს... ვერ გავარკვიოთ ყველაფერი...

როგორც იქნა, რაღაც სიტყვების გამოტეხნა მოახერხა გენადიმ. მეგიმ ნაღვლიანი თვალებით ახედა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ტირილი რომ არ შეუწყვეტია, ისე ამოღ-

ულულა:

– ხომ ვიცი, რომ მოსაკლავად დასდევდნენ... რამდენი ვეხვეწე – არ წახვიდე, საერთოდ დარჩი და აქ იცხოვრე-მეთქი. არ დამიჯერა. ვიცი, რომ მოეხათრა. რისი ერიდებოდა? ვერ ხვდებოდა, რომ შემეფარა? ვერ ხვდებოდა, რომ ჩემი გული უკვე მისი იყო?... მითხარი – რატომ წავიდა? ან ხომ შეეძლო, მეც წავეყვანე, არ შეეძლო? რა დაუშვავე, მოჩვენებასავით რომ გამოძეცხვალა, გული გამიპო და ისევ წავიდა?! რას მერჩოდა? წავეყვანე და მერჩინა, მეც მოემკვდარიყავი...

მეგი გულამოსკვნით აქვითინდა. უკვე, ცრემლები ახრჩობდა და გასაქანი მისცა გულში დაგროვილ ტკივილს. ისევ ჩაიხუტა ინგამ, ისევ, როგორც ბავშვს, ისე გადაუსვა თავზე ხელი და ახლა უკვე თვითონ შეეცადა ღის დამშვიდებას:

– გენა მართალია, მეგი. წავიდეთ ხვალ, ვნახოთ, იქნებ შენი არჩილი მართლა ცოცხალია და ის სულ სხვა ვიდაცაა.

– ცოცხალი რომ იყოს, როგორ არ მოვიდოდა, როგორ არ მნახავდა, ნუთუ გული საერთოდ არა აქვს?! სამსახურში აპირებდა წასვლას... სამსახურში ვინ გაახარებდა?! თვითონ არ ამბობდა – ისინი თვითონ დამდევნენ?!

– შენ გულს ნუ გაიტეხ. ის რომ ასეთი ადვილი მოსახლეობელი ყოფილიყო, აქამდეც მოიშორებდნენ. დაწყნარდი და კარგად მოეფიქროთ ყველაფერი. პატარა გოგო აღარა ხარ, იქნებ, სულ ტყუილად გამოიტირე. ინგამ ცრემლები შეუმშრალა და შეატყო, რომ მის სიტყვებს მთლად უქმად არ ჩაუვლია.

როგორც იქნა, მეგი ცოტათი დამშვიდდა. მერე ინგამ საწოლ ოთახში გაიყვანა და პატარა ბავშვით დააწვინა. სანამ არ ჩაეძინა, არ მოშორდა და მერე ნელა, ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან. გენა ისევ ტელევიზორს მისჩერებოდა, გიგის კი სკამზევე უდარდელად ჩასძინებოდა.

– როგორ ფიქრობ, მართლა შეიძლება ცოცხალი იყოს?! ჰკითხა ინგამ მეუღლეს და კისერზე ორივე ხელი შემოხვია. – როგორ ჰყვარებია საწყალ ბავშვს, ხვდავ?

– ადვილი შესაძლებელია, მართლა ცოცხალი იყოს. მე, მაგალითად, თითქმის დარწმუნებული ვარ და შენი არ ვიცი: ძალიან საეჭვოა, სახე რომ სრულიად წამწალილი აქვს...

– რატომღაც მეც ძვერა... – თავის დასარწმუნებლად უფრო თქვა ინგამ. – ნეტავი, მას თუ უყვარდა?

– კაცის გულს ასე ადვილად ვერ გაიგებ. იქნებ უყვარდა კიდევ, მაგრამ 33 წლის კაცს თავისი გრძნობების მოთოკვა ადვილად შეუძლია, გამოუცდელი ქალისგან განსხვავებით.

გაგრძელება იქნება

# მბრე პიცი მუდისცი ყითილა

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ბრედ პიტი დაუდგრომელი ხასიათითა და ხულიგნური ქცევებით გამოირჩევა. აღმოჩნდა, რომ „მე-ბრძოლთა კლუბისა“ და „დიდი ფსონის“ ვარსკვლავს ღრმად სწამს ბუდიზმის, რომელიც ძალადობის ყველა ფორმას უარყოფს. თურმე, ბრედ პიტი და მისი მეუღლე, ჯენიფერ ენისტონი სშირად სტუმრობენ ნიუ-იორკში მდებარე მოქმედ ბუდისტურ მონასტერს. მონასტრის ერთ-მა სშირმა სტუმარმა ქალმა, ვინმე შირი ქრეინმა აღნიშნა, რომ კინო-ვარსკვლავი დიდხანს მალავდა თავის მრწამსს, რადგან ეშინოდა, რომ ეს ფაქტი მისი თავყვანისცემლების უკმაყოფილებას გამოიწვევდა: „მონასტერში ყოფნის პერიოდში, პიტი ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. ის ჭკვიანი და შეგნებული ადამიანია, თანაც შესანიშნავად ხატავს რე-



ლიგიური შინაარსის სურათებს. სა-ღამოობით, ჩვენ ზოგჯერ ერთმანეთს ვურეკავთ. ჩვენი ერთობა — ერთი დიდი ოჯახია და პიტი ჩვენს ნამდვილ ძმად იქცა“, — ჰყვება ქრეინი და იმასაც დასძენს, რომ ენისტონი სშირად სტუმრობს მონასტერს ქმართან ერთად, თუმცა, ერთი შეხედვითაც შეამჩნევ, რომ ჯენიფერს ბუდიზმის თითქმის არაფერი ესმის და მონასტერსაც მხოლოდ ქმრის ხათრით სტუმრობს, მაგრამ მუდამ იღიმება და ისე იქცევა, თითქოს ეს ყველაფერი ძალიან აინტერესებს. „ქმარი ბუდიზმზე გაცილებით მეტად უყვარს, — ამბობს ქრეინი. — ისინი მუდამ ხელიხელჩაკიდებულები დადიან და ცდილობენ, რომ ყოველთვის ერთად იყვნენ“.




# ძეით უინსლოცმა გათხთუემა გადაწყვიცა


კარგა ხანია, რაც ფილმ „ტიტანიკის“ ვარსკვლავი და ჰოლივუდის ცნობილი კინოპროდიუსერი სემ მენდესი ერთად არიან. გავრცელდა ხმა, რომ ახლახან წყვილმა დაოჯახება გადაწყვიტა. იმასაც ამბობენ, რომ მდიდრული ქორწილი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში უნდა გაიმართოს. აღსანიშნავია, რომ ქეთი თავის ყოფილ მეუღლეს, მსახიობ ჯიმ ტრიპლტონს შარშან, სექტემბერში გაეყარა. ამ ქორწინებისგან უინსლოცმა გოგონა ჰყავს. ქეთოს ახალი ქორწინებისკენ ისიც უბიძგებს, რომ სემ მენდესი და უინსლოცის შვილი შესანიშნავად ეწყობიან ერთმანეთს. თავად ქეთი და სემი თავს უბედნიერეს ადამიანებად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ დაქორწინება საჩქარო ნამდვილად არ არის.

# ნიკოლ კიდმანის ასალი ტომანი

როგორც იქნა, ტომ კრუზის ყოფილი მეუღლის, ნიკოლ კიდმანის ახალი რომანის შესახებ არსებული ბურუსი გაიფანტა. მცდარი აღმოჩნდა ადრე გავრცელებული ხმები, რომლის თანახმად, 34 წლის ლამაზმანი „ადამიანი-ობობას“ — ტობი მაგუაირს ხვდებოდა. მათი ურთიერთობა ნამდვილი რომანის შესანიშნავად გამოყენებით: თურმე ნიკოლი ჰოლივუდის აღიარებულ მზეჭაბუკს, ალკო-ჰოლიზმისგან ახლახან განკურნებულ 29 წლის ბენ აფლეკს ხვდება. ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ ნიკოლი და ბენი ერთმანეთს შარშან, შობისას დაუახლოვდნენ. თავიდან, ისინი ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით ურთიერთობდნენ, ახლა კი სშირად დადიან რესტორანში და სანთლების შუქზე ვახშობენ. მათი ერთ-ერთი საერთო ნაცნობი აღნიშნავს: „ბენი ნიკოლზე უგონოდაა შეყვარებული. მას მუდამ აღმერთებდნენ ქალები, მაგრამ თავად, ახლა მხოლოდ კიდმანი აინტერესებს. ისინი ძალიან დაკავებულნი არიან გადაღებებით და სშირად უწევთ ერთი ქვეყნიდან მეორეში გამგზავრება, მაგრამ როგორც კი დროს მოიხელთებენ, მაშინვე ერთმანეთს ხვდებიან“.



# ტივი მატცინი თბ თბთნცგე იმბბუის




ცნობილი ლათინურამერიკელი მომღერალი წლის ბოლომდე, ორი ალბომის გამოშვებას აპირებს. ერთში, ინგლისურენოვანი სიმღერები შევა, მეორეში კი — ესპანური. ამჟამად მომღერალი დიდი მონდომებით არჩევს დისკებში შესატან თითოეულ სიმღერას. აღსანიშნავია, რომ რიკი მარტინის წინა ალბომს განსაკუთრებული პოპულარობა არ ხვდომია წილად, მაგრამ საკმაოდ სტაბილურად იყიდებოდა. ამერიკაში ალბომი 1,6 მლნ ეგზემპლარად გავრცელდა. ამჯერად, მომხიბვლელი ჭაბუკი გაცილებით დიდ წარმატებას ელის.



# ღენიზ ბიჩაძის უკანალი გაუსძლიდა?

სექსუალურმა მსახიობმა ღენიზ ბიჩაძისმა აღმოფხვრა ვერ დაფარა, როცა ახლახან გადაღებული ფილმის „იდუმალი ძმის“ სარეკლამო პლაკატი იხილა. აღმოჩნდა, რომ მაყურებლის მიზიდვის მიზნით, მსახიობის კონტა უკანალი, ციფრული ტექნიკის მეშვეობით, არნახულ ზომამდე გაუდიდებიათ და, როგორც ჩანს, სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. „ჩემი თვალთ დაინახე, როგორ გაჩერდა სარეკლამო პლაკატის წინ მგზავრებით სავსე ავტობუსი და ფანჯრებთან მსხდომი ხალხი სიცილს ვერ იკავებდა, – ამბობს ნაწყენი ღენიზი. – იმ ადგილას მეც მკვეთრად დავამუხრუჭე, შემდეგ კი დიდხანს ვათვალიერებდი ჩემს შეცვლილ სხეულს და არ მჯეროდა, რომ ასე მომეცნენ. მოგვიანებით, ჩემმა დაქალბებმა დამირეკეს. ისინიც შოკირებული იყვნენ, ოღონდ, ჩემგან განსხვავებით, ისინი ამ ამბავმა ძალიან გაამხიარულა... საერთოდ, არ მესმის, საიდან გაჩნდა ეს პლაკატი. ის, რომელიც მე ვნახე და მოვიწონე, სულ სხვანაირი იყო“.



ბევრს მიაჩნია, რომ მსახიობი სულ ტყუილად ნერვიულობს, რადგან მთავარი მისთვის ახლა, ჩარლი შინთან გაჩაღებული რომანი უნდა იყოს.

## ვაფიქანმა მსახიობი ძალბი გაიცესა


ვატიკანის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რომის პაპი იოანე-პავლე II სასტიკად გმობს ცნობილი მსახიობების – კეტრინ ზეტა-ჯონსის, ჯენიფერ ენისტონის, სუპერმოდელის – ნაომი კემპბელისა და სხვა ცნობილი ქალების საქციელს, რომლებიც ხშირად ატარებენ ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ჯვრებს. განცხადებაში ნათქვამია ისიც, რომ კათოლიკური ეკლესია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს სამშვენისად სარწმუნოების სიმბოლოს გამოყენებას: „შოუბიზნესის ვარსკვლავები ჯვრების ტარების მანამ შეიპყრო. ყელსაბამზე დაკიდებული ძვირფასი ჯვრებით ტელეწამყვანებიც ჩნდებიან ეთერში. ბრედ პიტის მეუღლე, ამერიკელი მსახიობი ჯენიფერ ენისტონი ბრილიანტებით შემკულ პლატინის ჯვარს ატარებს, ტობ-მოდელს, ნაომი კემპბელს ძვირფასოვლიანი ჯვრების მთელი კოლექცია აქვს, იტალიელი მოდელიერი ჯულიანა სელა ოთხსამდე ასეთი ჯვრით იწონებს თავს, მსახიობი კეტრინ ზეტა-ჯონსი კი ბრილიანტის თვლებით მოოჭვილ ოქროს ჯვარს ატარებს“, – აღნიშნავენ ვატიკანის აღმფრთხილებელი წარმომადგენლები. საქმეში ჩახედული ხალხის განცვიფრება ვატიკანის განცხადებამ კი არ გამოიწვია, არამედ იმან, რომ ცოდვილთა სიაში არ მოხვდა მადონა, რომელიც ასევე ატარებს ძვირფას ჯვრებს და ვიდეოკლიპებში, საკმაოდ პიკანტურ სცენებშიც ახდენს ხოლმე მის დემონსტრირებას.

# ელტონ ჯონი მთავრტმას უცუეს

სახელგანთქმული მომღერალი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერად ითვლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ახლახან მკაცრად გააკრიტიკა ტონი ბლერი: „ჯონმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მთავრობას უნდა რცხვენოდეს შიდსის საწინააღმდეგო პროგრამაში მის მიერ ჩადებული სახსრების ამსახველი ანგარიშის გამოქვეყნებისა, რადგან მთავრობა ვალდებულია, ამ საშინელ სენთან საბრძოლველად გაცილებით დიდი თანხა გამოიყოს. მომღერალმა ამის შესახებ გაზეთ New York Post-ისთვის მიცემულ




## დი კაპტიტ სციუნ მინგის წინააღმდეგ



რამდენიმე დღის წინ, პაპარაცებმა ლეონარდო დი კაპრიო მოდელ ჟიზელ ბიუნდჰენთან ერთად „გამოიჭირეს“. ლეოს კმაყოფილმა გამოძეგვებულმა ჟურნალისტები ძალიან გააოცა, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ მსახიობსა და მის ძველ მეგობარ გოგონას შორის შავმა კატამ გაირობინა. ამაში კი დამნაშავედ, პოლიუედის მთავარი დონ ჟუანი – სტივენ ბინგი ცნეს, რომელიც ამჟამად, მამობის დასადგენად წამოწყებულ ორ სასამართლო პროცესზე ფიგურირებს და ცოტა ხნის წინ, მზერა მომხიბვლელ ბრაზილიელს მიაპყრო, რომელიც, სხვათა შორის, ბინგის ყურადღების ფაქტს თავადაც არ უარყოფს. ჟურნალისტებსა და დი კაპრიოს თაყვანისმცემლებს ყველაზე მეტად ამ ამბავში ის აინტერესებთ, თუ რას ფიქრობს ამის შესახებ თავად ლეო...

ინტერვიუში ისაუბრა და ისიც აღნიშნა, რომ ადრე ლეიბორისტებს უჭერდა მხარს, მაგრამ ახლა შეიტყო, თუ რა მეთოდებით ახდენდა პარტია მომხრეების ხმების მოპოვებას და ამაზე ფიქრი ზიზღს ჰგვრის... თავად, ელტონ ჯონს შექმნილი აქვს საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც შიდსით დაავადებულ ადამიანებს უბედურებასთან გამკლავებაში ეხმარება. ორი წლის წინ მილიონერი მუსიკოსი საქველმოქმედო სფეროში წლის ადამიანად დაასახელეს, რაც მაშინ მხურვალედ მიულოცა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა.





# ოქროს ნაშის ოქრო დავარდვან სანაპიროსა

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში 55-ე საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა. წლებგანდელი კონკურსის პროგრამაში 22 ფილმი იყო შეტანილი. ფესტივალი სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორის, ვუდი ალენის ფილმით გაიხსნა. ამ სურათს საკმაოდ სიმბოლური სათაური აქვს – „პოლი-ვუდის აღსასრული“. თავად რეჟისორი, ფესტივალზე დაბნეულად და ოდნავ გაღიზიანებულად გამოიყურებოდა. ალბათ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ვუდი ალენი სკანდალურად გაეყარა მსახიობ მია ფეროუს და ასაკით ბევრად უმცროსი, თანაც ნაშვილები კორეელი გოგონა მოიყვანა ცოლად, ის ერთგვარად განერვიდა საზოგადოებას და ცხოვრების კარჩაკეტილი წესი აირჩია. მხოლოდ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ხალხში მისი გამოჩენა, საყვარელი ნიუ-იორკისთვის დახმარების სურვილით იყო განპირობებული და რეჟისორი აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

კანის ფესტივალზე, სცენაზე ასულ ვუდი ალენს დარბაზმა ისეთი მხურვალე ოვაცია მოუწყო, რომ რეჟისორი ცრემლებს ვერ იკავებდა. ფესტივალის პრეზიდენტმა, ყოფილი ჟაკობსმა მას „პალმების პალმა“ – მხოლოდ გამოჩენილი კინომოდელაწილებისთვის განკუთვნილი, კანის ფესტივალის არაოფიციალური პრიზი გადასცა.

წლებგანდელი ფესტივალის ჟიურის, ასევე გამოჩენილი რეჟისორი – დევიდ ლინჩი თავმჯდომარეობდა. სცენაზე ასულმა ლინჩ-



რომან პოლანსკის (მარცხნივ) ულოცავენ შერონ სტოუნი და დევიდ ლინჩი

მა წინა ღამით ნასწავლი ორიოდე ფრანგული ფრაზა ძლივს შეაკოწიწა და ისევე მშობლიურ ინგლისურს დაუბრუნდა. ჟიურის წევრებს შორის ყველაზე გამორჩეულ ფიგურად კი, ამერიკელი მსახიობი შერონ სტოუნი იქცა. ჟურნალისტებისა და დამსწრე საზოგადოების გასაკვირად, შერონი თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა და ამ ცოტა ხნის წინ გადატანილი მძიმე ავადმყოფობის კვლიც კი არ ეტყობოდა. ჟურნალისტებთან საუბრისას, შერონმა აღნიშნა: „კანი ჩემთვის, მსოფლიოში ყველაზე საყვარელი ადგილია. სწორედ აქ და არა ამერიკაში აღიარეს და დააფასეს ოდესღაც ფილმი – „ძირითადი ინსტინქტი“. ვიცი, რომ აქაურებს ვუყვარვარ. მსახიობის კინოკარიერას მხოლოდ კანის კინოფესტივა-

მონიკა ბელუჩი

ლი რომ განსაზღვრავდეს, მე ალბათ გაცილებით მეტის მიღწევას შევძლებდი“.



ფესტივალის წამყვანის როლი, რომელსაც წლების განმავლობაში საუცხოოდ უძღვებოდა ჟანა მორო, მეორე წელია, საფრანგეთის ამომავალ ვარსკვლავს – ვირჟინი ლედეუაენს მიანდევს. ამის წყალობით, ხანმოკლე და ჯერჯერობით არცთუ ისე წარმატებული კარიერის მქონე მსახიობმა გოგონამ (ვირჟინი, ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად ითამაშა ფილმში „პლაჟი“ და იყო კოსმეტიკური კომპანია L'Oreal-ის სახე) ნამდვილი ვარსკვლავის იმიჯი შეიძინა. ვირჟინი ფესტივალის გახსნასა და დახურვაზე საკმაოდ ეფექტურად გამოიყურებოდა. ცერემონია კი ლედეუაენს იმით დაიწყო, რომ კანის 55-ე ფესტივალს 25-ე უწოდა, თუმცა, შეცდომა მალევე გამოასწორა...

ფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს პალმის რტო“, ამჟამად საფრანგეთში მცხოვრებ პოლონელ რეჟისორს, რომან პოლანსკის გადასცეს, ფილმისთვის „პიანისტი“. ფილმში ასახულია ვარშაველი ებრაელების ბედი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ნშ წლის რეჟისორმა იმდროინდელი უბედურებები საკუთარ თავზე გამოსცადა, დედამისი კი ფაშისტების ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

მეორე პრიზი ფინელ რეჟისორს აკი კაურისმაკის მიანიჭეს, ფილმისთვის – „ადამიანი წარსულის გარეშე“. ეს რეჟისორი საკმაოდ სკანდალური რეპუტაციით სარგებლობს და სცენაზე მის ასვლას ყველა გულის ფანქვალით ელოდა. მართლაც, კაურისმაკი სცენაზე საკმაოდ შეზარხოშებული აბრძანდა და პრიზისთვის მადლობა ჯერ საკუთარ თავს გადაუხდა და მხოლოდ ამის შემდეგ – ფესტივალის ჟიურის.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის უნგრელი რეჟისორი პეტერ მესაროში დაავჯილდოეს, რომელსაც სარეჟისორო განათლება თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში აქვს მიღებული და პრაქტიკულად უაქცენტოდ ლაპარაკობს ქართულად.

საუკეთესო მსახიობ მამაკაცად ბელგიელი ოლივიე გურმე დაასახელეს, მთავარი როლისთვის ძმები დარდენების ფილმში „ვაჟიშვილი“, ქალებს შორის კი, საუკეთესო მსახიობად ფინელი კატი ოუტინენი აღიარეს, ფილმში – „უწარსულო ადამიანი“ შესრულებული მთავარი როლისთვის.





# სახსრების დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი  
მამარ მამასაშვილი

## ზოგჯერ ტრენაჟორი მავენებელია

ართროზით (სახსრების ქრონიკული დაავადება ნივთიერებათა ცვლის მოშლის გამო) დაავადებულთაგან ვერაფერს გაიხსენებს იმ დღეს, ან თუნდაც თვეს, როდესაც დაავადების პირველი ნიშნები იგრძნო. მუხლის სახსრების მსუბუქი ტაკუნის და მოძრაობის უმნიშვნელო შეზღუდვა ძილის ან ხანგრძლივი ჯდომის შემდეგ, როგორც წესი, არავის ამოფოთებს ზოლმე. საკმარისია, მუხლი გაშალოთ, გაავარჯიშოთ — უსიამოვნო შეგრძნებები მაშინვე ქრება, მაგრამ დროთა განმავლობაში, კომფორტული მდგომარეობის პერიოდები თანდათანობით მოკლდება და ერთხელაც, ადამიანი აღმოაჩენს, რომ ბოლომდე მუხლის გაშლა უკვე აღარ შეუძლია, რადგან ეს სახსარში ტკივილს იწვევს.

შუახნის ბევრი მამაკაცი (ართროზით ისინი, ქალებთან შედარებით, 3,5-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან) მაშინვე მიაშურებს ხოლმე სარბენ ბილიკს ან სატრენაჟორო დარბაზს „ძვლების გასავარჯიშებლად“. მაგრამ ამის შედეგად, ხშირად უკუეფექტს ვღებულობთ — ავადმყოფი კოჭლდება. რატომ ხდება ასე?


ართროზის ორთოპედიული მკურნალობის ძირითადი მიზანი დაავადებული სახსრის განტვირთვა, ბარძაყისა და მუხლის რეფლექსურად შეკუმშული კუნთების მოღუნება უნდა იყოს. ცნობილია, რომ საკმაოდ ხშირად, ართროზის მიზეზი ტრავმა ან მრავალჯერადი დაჟეჟილობაა, რომელსაც სახსარში სისხლის ჩაქცევამდე მივყავართ.

ვართ. თავდაპირველად, იწყება ხრტილის დეგენერაციული ცვლილებები, იგი იფიტება, სკდება, გაუწყლოვდება და კარგავს ამორტიზაციულ თვისებებს. შემდეგ, ცვლილებები ხდება ხრტილის ირგვლივ ქსოვილებში — ძვალში, კუნთებში. კუნთები გამუდმებით დაჭიმულია.

კომპლექსური მკურნალობის დაწყებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ხრტილს არ უყვარს მონოტონური დატვირთვა — ხანგრძლივად დგომა ან ჯდომა. მისთვის მანებელია აგრეთვე მკვეთრი, დარტყმითი დატვირთვა. ამიტომ დატვირთვითი ვარჯიშები და კელოტრენაჟორი ართროზის დროს სარგებელს არ მოგიტანთ. სახსრის მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით ძალზე სასარგებლოა ცურვა, სამკურნალო ფიზიკულტურა და ფეხის კუნთების მასაჟი.

მკურნალობა მოიცავს კუნთების გამაკაფებელ ვარჯიშებს. სამკურნალო ვარჯიშთა უძრავი უძრავობა საკმაოდ მარტივია: მათი შესრულება შეგიძლიათ დილით, საწოლიდან ადგომამდე. დაწეწი ზურგზე და გაჭიმეთ ფეხის თითები. გააკეთეთ ტერფის წრიული მოძრაობები, მოხარეთ და გაშალეთ ფეხები მუხლებში. შეასრულეთ „მკრატლის“ და „ველოსიპედის“ ვარჯიშები.

სამკურნალო ფიზიკულტურასთან ერთად ართროზის დროს გამოიყენება რეფლექსოთერაპია და ფიზიოთერაპიული მკურნალობა: ელექტრო და ფონოფორეზი, ტალახით მკურნალობა, სამკურნალო აბაზანები (მათი ჩატარება შეგიძლიათ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე). ავადმყოფს უნდა ეძინოს მაგარ ზედაპირზე, რადგან ამ დროს კუნთები დუნდება, სახსრები ღამე ისვენებს და აღდგება.



მკურნალობის პროცესში ავადმყოფმა უნდა აკონტროლოს თავისი წონა, რადგან ზედმეტი კილოგრამები ავადმყოფი სახსრისათვის დამატებით დატვირთვას წარმოადგენს. ნუ ასწევთ 4-5 კგ-ზე მეტი სიმძიმის ტვირთს, შეუქმენით სახსარს მაქსიმალურად კომფორტული რეჟიმი.

მედიკამენტურ თერაპიას ექიმი ნიშნავს ავადმყოფის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე. დაუშვებელია წამლების თვითნებური, სწრაფი შეცვლა. ზოგიერთი ართროზის სამკურნალო პრეპარატი საშიშია კუჭის წყლულითა და გასტრიტით დაავადებულთათვის. ასეთ დროს აბების ნაცვლად მალამოებს, საცხებს ან ჟელებს იყენებენ.

ქირურგიული ჩარევა მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა კონსერვატიული მკურნალობა დაგვიანებით დაიწყო და პროცესი პროგრესირებს. ამიტომ მნიშვნელოვანია დაავადების დროული ამოცნობა, რენტგენოგრაფიის გაკეთება და მკურნალობის გეგმის შემუშავება.

## ექიმი გვიჩვენებს

როგორ უნდა შეარჩიოთ ფეხსაცმელი, რომელშიც ფეხი არ დაგელდებათ?

● უპირველეს ყოვლისა, ნუ იყიდით ფეხსაცმელს, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც გიჭკერთ. იმედი, რომ იგი მალე გაიწვეს, შესაძლოა, არ გავიმართლდეთ. კარგად რომ დარწმუნდეთ, თქვენი სარგოა თუ არა ფეხსაცმელი, შეძენისას

რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადადგათ.

● მოიზომეთ ორივე ფეხსაცმელი, რადგან როგორც წესი, ერთი ფეხი (უფრო ხშირად მარჯვენა) მეორეზე ოდნავ დიდია.

● ახალშეძენილი ფეხსაცმლით ნუ მოაწყობთ ხანგრძლივ გასეირნებებს. ეცადეთ, პირველ დღეებში ფეხსაცმელი სახლში ატაროთ.

● ფეხსაცმლის შეძენა დღის ბოლოსა უმჯობესია, რადგან ფეხებისკენ ამ დროს მეტი სისხლი მიედინება და შუბდება. თქვენ ხომ ფეხსაცმელი მარტო დილაობით კი არა, საღამოსაც უნდა ჩაიცვათ?


● ქალებმა ფეხსაცმელი არ უნდა მოიზომონ მენსტრუაციის დაწყების წინ; ამ დღეებში ფეხი ოდნავ შესივებულია.



● ადვილად შეცდებით, თუ ფეხსაცმელს წინდის გარეშე მოიზომებთ. თუ მაღაზიაში ფეხსაცმელი მოგეწონათ, მაგრამ ფეხზე წინდა არ გაცვიათ, თქვენ გიხსნით ჩვეულებრივი თხელი პოლიეთილენის პაკეტი, რომელსაც გამყიდველს მოსთხოვთ და წინდის მაგიერ წამოიცვამთ ფეხზე.

● რთულია ფეხსაცმლის შერჩევა დიაბეტიანებისათვის, ჭარბი წონის მქონე ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც სახსრებსა და ხერხემალი ტკივილი აწუხებს. კოჟრები და ჩაზრდილი ფრჩხილი ასევე განსაკუთრებულ კომფორტს მოითხოვს ფეხსაცმლისაგან. ბოლო ხანებში შეიქმნა სპეციალური მოდელები პრობლემური ფეხებისათვის. იგი შეკერილია რბილი ტყავისაგან, რომელიც არ აწვება თითებს, ტერფს სუნთქვის საშუალებას აძლევს, აქვს დრეკადი საფენი, ქუსლი კი ფეხს სიმყარეს მატებს და სიარული თავისუფალი, მსუბუქი ხდება.

● შვეიცარიელმა დიზაინერებმა შექმნეს ახალი სპორტული ფეხსაცმელი – მასაი. მისი საიდუმლო ის არის, რომ ფეხსაცმლის ქუსლმა ტერფის შუისაკენ




გადინაცვლა, რამაც რამდენიმე ღირსება შესძინა მას:

სიარული უფრო მყარია, ხერხემალი განტვირთულია, მუხლებისა და მენჯბარძაყის სახსრების დატვირთვაც შემცირებულია, რადგან ის უჩვეულო მდგომარეობაში ფიქსირდება. დიზაინერები ამტკიცებენ, რომ მასაი ფეხით მოსიარულეზე ტრენაჟორის მსგავსად მოქმედებს, შეუმჩნეველად აკაჟებს მუცლის, ფეხების, ზურგის და ღუნღულა კუნთებს.

● თუ საღამოს შინ დაბრუნებისას აღმოაჩნთ, რომ საგარეო ფეხსაცმელებმა საკმაოდ მოგიჭირათ, სასწრაფოდ მიაკითხეთ ფლებოლოგს (ვენების სპეციალ-

ისტს). ეს სიმპტომი ჯერ კიდევ არ ნიშნავს დაავადების დასაწყისს, მაგრამ მეტყველებს იმაზე, რომ თქვენს სისხლძარღვებს სუსტი კედელი აქვს და ძალიან მალე შესაძლოა განვითარდეს ვარიკოზი (გაგანიერება). უწინ ვენების ვარიკოზული გაფართოების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქალებში ექიმები მაღალი წვრილქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებას მიიჩნევენ. დღეისათვის ფლებოლოგებს უფრო ღმობიერი დამოკიდებულება აქვთ ქუსლებისადმი, მაგრამ მცირედი შესწორებით. ფეხების ვენურ სისტემას არ უყვარს წვივის კუნთების მუდმივი დაჭიმულობა. თუ ქალი მაღალ ქუსლებზე თავს კომფორტულად გრძობს – ფეხი მოხერხებულად აქვს და მყარად დადის, მაშინ ქუსლიან ფეხსაცმელზე უარის თქმა არ ღირს. მაგრამ თუ იგი გამუდმებით გრძობს დაძაბულობას მუხლსა და წვივში, მაშინ ყოველდღიური ხმარებისათვის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა შეარჩიოს, ხოლო მაღალქუსლიანი – მხოლოდ განსაკუთრებულ სადღესასწაულო შემთხვევებში უნდა ჩაიცვას.



კითხვა: ჩემს მოხუც დედას აქვს შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმა. ფეხებში დაეკარგა გერმონობელობა, არ შეუძლია სიარული და ფეხის გადადგმაც კი. რამ შეიძლება შეუმსუბუქოს მას ასეთი მდგომარეობა?

პასუხი: როგორც ჩანს, საუბარია დიაბეტურ ანგიოპათიაზე, რაც შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთ გართულებას წარმოადგენს. თანამედროვე მედიცინა ფლობს საკმაო საშუალებას, რომელთაც მსგავს სიტუაციაში დახმარება შეუძლია. პირველ რიგში, ეს ეხება სისხლძარღვოვან საშუალებებს და ვიტამინებს. კონკრეტული პრეპარატების შერჩევა მხოლოდ ენდოკრინოლოგის პრეპარატივია. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლში შაქრის დონის რეგულარულ კონტროლს და დიეტის ზედმიწევნით დაცვას.

კითხვა: ბოლო პერიოდში დამეწყო თმის ინტენსიური ზრდა ფეხებსა და მთელ ტანზე. ვაყენებ სპეციალურ კრემებს, მაგრამ მივიღე საპირისპირო შედეგი – თმიანობა კიდევ უფრო მომემატა. გთხოვთ, მაცნობოთ, ჭარბთმიანობის სამკურნალო ყველაზე ეფექტური საშუალება.

პასუხი: პირველ რიგში თქვენ უნდა მიმართოთ გინეკოლოგს და ჩაიტაროთ გამოკვლევა. საქმე ისაა, რომ თმის ჭარბი ზრდა ქალებში (ჰიპერტრიქოზი), განსაკუთრებით მამაკაცური ტიპის თმიანობა სახეზე, მუცელზე, მკერდზე, თიბების შიგნითა ზედაპირზე (ჰირსუტიზმი), ძალიან ხშირად ჰორმონული (ენდოკრინული) დარღვევების გამოვლინებაა. ამ სიტუაციაში თვითმკურნალობა უშედეგოა და შესაძლოა, საზიანოც იყოს. რაც შეეხება სამკურნალო საშუალებებს, რომელიც მამაკაცური ტიპის თმიანობას შეამცირებს, არსებობს, მაგრამ მისი დანიშვნა მხოლოდ სათანადო გამოკვლევების შემდეგ შეიძლება.

კითხვა: მყავს 23 წლის გოგონა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაშორდა შეყვარებულს, რის შემდეგაც დარჩა მომატებული ტემპერატურა, გამუდმებით აცივებს. მყავდა ექიმთან, რომელმაც ჩაუტარა გამოკვლევები და სიცხის მიზეზი ვერ დაადგინა. რით შეიძლება დავეხმარო ჩემს შვილს?

პასუხი: ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში არის მსგავსი შემთხვევები. თუ მომატებული ტემპერატურის ორგანული მიზეზი ნამდვილად არ არსებობს, მიზეზი გოგონას ფსიქიკაში უნდა ვეძებოთ. უძველესი დროიდან შეიმჩნევა სასიყვარულო ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, ე.წ. „სასიყვარულო ციებ-ცხელების“ არსებობა. ასეთ დროს ძალიან კარგია ჰაერის აბაზანები, გრილი წყლის მზაპები, მკაცრი ვეგეტარიანული დიეტა; უნდა შეიზღუდოს ტკბილი საკვები. გოგონამ უარი უნდა თქვას ალკოჰოლსა და სიგარეტზე.



კითხვა: მყავს პატარა გოგონა, იგი ძალიან მშვიდი ბუნების იყო, მაგრამ უკვე რამდენიმე კვირაა, ძალიან უხეში გახდა. ერთ სიტყვას ვეუბნები და ის ათს მიბრუნებს, აღარაფერს მიჯერებს. ვერაფრით გამოვივა, რატომ შეიცვალა ასე უცერად? ან იქნებ მე ვაკეთებ რაღაცას არასწორად? გთხოვთ, გამარკვიოთ, როგორ მოვიქცე?

პასუხი: როგორც ჩანს, დედა შეეჯახა ბავშვის თვითშემცნების ფორმირების პროცესს, რომელიც ბავშვებში შესაძლოა 3 წლიდან, ან 5-დან 7 წლამდე გამოძვლავდეს. ყველაფერი ბავშვის ინდივიდუალურობაზე დამოკიდებულია.

ბავშვის ზრდის პროცესი უამრავი სიახლის ათვისებასთანაა დაკავშირებული. ჩვენ, უფროსები ახალ-ახალ მოთხოვნებს წაუყენებთ ხოლმე პატარებს, მაგრამ თუ ამოცანა ბავშვისთვის რთულია: იგი ფსიქოლოგიურ დაცვას მიმართავს ხოლმე. და ეს რეაქცია მის განვითარებაში ნორმალურია.

როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი აღარ გვიჯერებს და ჩვენს თხოვნაზე უარყოფითად რეაგირებს?

ყველაზე დიდი შეცდომა ასეთ დროს მის ქცევაზე ზედმეტი ყურადღების გამახვილებაა. ასევე არ შეიძლება მასთან ულტიმატუმების ტონით საუბარი. ამის ნაცვლად, უმჯობესი იქნება, დაეხმაროთ პატარას იმ ამოცანის შესრულებაში, რომელიც თქვენ დაავალეთ. სამწუხაროდ, უფროსები ბავშვებისგან ყველაფერს ერთბაშად ითხოვენ და ავიწყდებათ, რომ საკუთარი გამოცდილება წლების განმავლობაში შეიძინეს.

მაგალითად, არ შეიძლება, მოსთხოვოთ გოგონას გარეცხოს თავისი თევში იმ მოტივით, რომ მას მრავალჯერ უნახავს, როგორ რეცხავს მშობელი ჭურჭელს. უნახავს, მაგრამ არ გაუკეთებია. თქვენც ადევით და მასთან ერთად გარეცხეთ. ამრიგად, ყველა ის დავალება, რომელიც თქვენთვის მარტივია, შესაძლოა ბავშვისთვის ძალზე რთული იყოს. გასსოვდეთ საერთო პრინციპი - ნუ დააძალებთ, შეასრულეთ მასთან ერთად. ყველა ჩვევას ბავშვი მიბაძვით იძენს, ამიტომ ამ ჩვევების გამოსამუშავებლად მასთან ერთად უნდა იყოთ მისთვის რთულ სიტუაციებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, თუ როგორი ინტონაციით ესაუბრებით ბავშვს. სამწუხაროდ, ყველა მშობელმა არ იცის, რომ ბავშვთან საუბრისას არა მხოლოდ თავისი, არამედ ბავშვის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ბავშვისათვის, არამედ უფროსისთვისაც. 7-დან 12 წლამდე ფორმირდება ძირითადი კომუნიკაციური ჩვევები, ურთიერთობის, მეტყველების მანერა. თუ ბავშვთან საუბრისას თქვენ



უპირატესობას ანიჭებთ ყვირილს, ულტიმატურობას, ნუ გაგიკვირდებათ, თუ მისგანაც პასუხად იმავეს მიიღებთ.

ასაკობრივად სწორედ ამ პერიოდში სწავლობს ბავშვი საკუთარი თავის, სახლის, დედის, ბებიის მოვლას, იწყებს თავისი როლის შეცნობას საშინაო საქმეებში, სხვა ადამიანებს შორის. როგორ უნარ-ჩვევებსაც გამოუმუშავებთ მას ამ პერიოდში, ისეთი გაპყვება. მთელი მისი შემდგომი ცხოვრების მანძილზე.

კითხვა: ვარ 50 წლის მამაკაცი. მაქვს მძიმე წონა (130 კგ). ზამთარში ღამით ხუთჯერ ვდგები მოსაშარდად, ზაფხულში ძალიან ვოფლიანობ. დღეში 3-ჯერ ვიცვლი მაისურს. რა შეიძლება მეშველოს ექიმის გარეშე?

პასუხი: თქვენი დიაგნოზი სიმსუქნეა, რომელიც ნევითიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეულ პათოლოგიას წარმოადგენს. ყველა დანარჩენი ჩივილი, რაც თქვენ გაწუხებთ, მეორადაა, გამოწვეულია ამ პათოლოგიის მიერ. კერძოდ, გაძლიერებული ოფლიანობა სიმსუქნის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია.

სიმსუქნე ხშირად რთულდება შაქრიანი დიაბეტით (უნდა აიღოთ სისხლის ანალიზი შაქარზე), რაც, შესაძლოა, ხშირი შარდვის მიზეზს წარმოადგენდეს. თუ შაქარი ნორმაშია, მაშინ გახშირებული შარდვა გამოწვეულია სიმსუქნის სხვა გართულებებით: ცისტითი (შარდის ბუშტის ანთება), ურეთრიტი (შარდსადენის ანთება), პიელოციტი (თირკმლის მენჯის ანთება), რომლებიც სპეციფიკურ მკურნალობას საჭიროებს, მაგრამ ეს მკურნალობა უშედეგო იქნება, თუ საწყისი მიზეზი - სიმსუქნე, არ შემცირდა.

ამდენად თქვენი უმთავრესი საზრუნავი წონის დაკლება უნდა იყოს და ვერანაირი ექიმი და სამკურნალო საშუალება ვერ დაგეხმარებათ საკუთარ ნებისყოფაზე უკეთ. სიმსუქნის მკურნალობა მარტივია:

- 1) დიეტა, რომელიც ზღუდავს ცხიმებსა და ნახშირწყლებს, უნდა იკვებოთ დანაწევრებულად, კვირაში ერთხელ უნდა გააკეთოთ განტვირთვის დღე - მხოლოდ ბოსტნეულით, მხოლოდ მწვნით ან ვაშლით და სხვ.
- 2) აუცილებელია სამკურნალო ვარჯიში, შხაპები, აბაზანები, მასაჟი.
- 3) გარკვეული ეფექტი აქვს მცენარეულ შარდმდენებს, ნალვმდენებს, მადის დამთრგუნველ საშუალებებს.


**ნდობის ტელეფონი**  
**ქონსულტაცია**  
**ინტიმი (18 წლიდან)**  
**822 009 005**

„მკობი“ „ჯეოსელი“  
 „მეგაკომი“ - 0,70 ლ.  
 თბილისი - 0,45 ლ.  
 რაიონები - 0,65 ლ.

kontinentis uZvelesi universiteti,  
anu 58 nobeliantis mSobeli



ჯონ ადამსი



ჯონ კუინსი ადამსი

რელიგიური საძმო

ჰარვარდის კიდევ ერთი ტრადიცია 1909-1933 წლებში მისი პრეზიდენტის ლოურენს ლოუელის მიერ არის დამკვიდრებული. ეს გახლავთ ე.წ. ოუსე ლან, სადაც სიტყვა ოუსე გაგებული შეიძლება იყოს, როგორც სახლი და როგორც კოლეჯი, ან კიდევ, როგორც რელიგიური საძმო.

საქმის არსი ასეთია: უნივერსიტეტის 12 კოლეჯიდან (არსებობს მე-13 იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ ჰარვარდში), თითოეული, ყოველი სტუდენტისთვის არა მარტო სასწავლებლად, არამედ, უახლოესი ოთხი წლის, ნამდვილ სახლად, ოჯახად უნდა იქცეს. ამ სახლს „ოჯახის უფროსი“ (დეკანი), „დამრიგებელი“ (მასწავლებელი) ჰყავს, სასადილო, ბიბლიოთეკა, სპორტისთვის საჭირო აღჭურვილობა, სოციალური და კულტურული საქმიანობის ყველანაირი საშუალება ახლავს.

ამერიკული კემპუსი (საუნივერსიტეტო ქალაქი) არ იყოფა ადგილობრივებისთვის და ჩასულთათვის განკუთვნილ რაღაც ტერიტორიებზე, როგორც ეს ჩვენში, საბჭოთა კავშირის დროს იყო. აშშ-ში სტუდენტობის უმეტეს ნაწილს, ჩასულები წარმოადგენენ. ეს საკვებით ბუნებრივია ქვეყნისთვის, სა-

**ძირითადი შემოსავალი ჰარვარდისთვის, რასაკვირველია, ცოდნით ვაჭრობას მოაქვს, მაგრამ საფირმო ატრიბუტიკაც საკმაოდ კარგად სადღება...**

დაც კიდიდან კიდემდე საცხოვრებლად გადასვლა საერთოდ არ წარმოადგენს რაიმე პრობლემას. ტიპური ამერიკელი სტუდენტისთვის უნივერსიტეტის ცნება არ შემოიფარგლება აუდიტორიით, ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით; მასში მეცადინეობისთვის განსაზღვრულ დროს კი არ ატარებენ, არამედ ცხოვრობენ: ქირაობენ ოთახს საერთო საცხოვრებელში ან მთელ სახლს რამდენიმე კაცისთვის, მისდევენ სპორტს, იმადლებენ კულტურის დონეს, ერთობიან, ეწევიან სოციალურ ცხოვრებას (ქმნიან საძმოებს, ირჩევენ „პრეზიდენტს“ და სხვა). სტუდენტთა უმრავლესობა თავისუფალ დროს, მუშაობს კიდევ. ყველაზე შეძლებული ამერიკელებიც კი, ჩვეულებრივ, მხოლოდ სწავლის საფასურს უხდიან შეილებს, ლუდისა თუ დისკოთეკისთვის საჭირო ხარჯების გაწევაზე კი, ახალგაზრდებმა თავად უნდა იზრუნონ. მშობლებს ეს სოციალური ადაპტაციის კარგ სკოლად მიაჩნიათ.

მადლობა ღმერთს, რომ კემპუსი – მუშახელის დიდი ბაზარიცაა, რომლის კაფეებსა და რესტორნებში, ავტოგასამართ სადგურებსა და მომსახურების სფეროს სხვადასხვა ობიექტზე, საათობრივი შრომის ანაზღაურების პრინციპი მოქმედებს. ამ სისტემის შემუშავების საქმეშიც, ჰარვარდი ერთ-ერთი პირველია ამერიკაში.

უნივერსიტეტში მიღების პირობები უკიდურესად მკაცრია: ჩვეულებრივ, განცხადების შემტანთა მხოლოდ 20% ხდება სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მისაღები გამოცდების ნაცვლად, აბიტურიენტებს ტესტები და გასაუბრებები უტარდებათ. დღესდღეობით, ჰარვარდში პროტექციით მოხვედრა – რომ არაფერი ვთქვათ ვულგარულ ქრთამზე, – პრაქტიკულად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა. სამაგიეროდ, ცნობილია საპირისპირო მოვლენები – უნივერსიტეტის მთავარ სპონსორთა შეილების „ჩარციხვის“ ფაქტები. მხოლოდ ორი და ან მეტი აბიტურიენტის მიერ თანაბარი შედეგების მიღწევის შემთხვევაში ირთვება ისეთი დამატებითი ფაქტორები, როგორცაა: დამატებითი ტესტების რეზულტატი, ეროვნული უმცირესობისთვის განკუთვნილი შედეგათი, სპორტული მიღწევები და კიდევ ერთი: ჰარვარდის



კურსდამთავრებულის ან პროფესორის ოჯახის შვილობა.

### პიარულ მეცნიერებათა დოქტორები

1929 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა და აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა, მაშინ ჯერ კიდევ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა, მორიგი სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავ ცერემონიაზე ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „ნება მიბოძეთ, მოგმართოთ სურვილით, გნებავთ, ამას ვედრება უწოდეთ. ჩვენი ნაცია მეტისმეტად დიდხანს იტანჯებოდა იმის გამო, რომ განათლებული ადამიანები ყოველნაირად არიდებდნენ თავს საზოგადოებრივ საქმესა და საზრუნავს. მნიშვნელოვანწილად ეს ე.წ. „პოლიტიკოსებისადმი“ სნობისტური დამოკიდებულების მიზეზით ხდებოდა, ნაწილობრივ კი, იმის გამო, რომ მოსახლეობის უმეტესობას არ ჰქონდა მთავრობისათვის უსიამოვნო შეკითხვების დასმის უნარი. სამაგიეროდ, ჩვენ ხშირად ვხვდებით სრულიად განსხვავებული ტენდენციის მოწმენი: ხელისუფლება — ადგილობრივი იქნებოდა ის, შტატისა თუ ფედერალური — თავისი, მხოლოდ მისთვის გასაგები გზით მიდიოდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ინდივიდის საქმიან თუ სხვაგვარ ინტერესებთან. იმის მტკიცებას ვერ დავიწყებ, რომ საზოგადოებრივი საქმიანობა ცხოვრების მიზანი თუ პროფესია უნდა გახდეს თქვენთვის. ეს უფრო, დამატებითი, თუმცა, მუდმივი საბუთი უნდა იყოს, რომელიც მეტ-ნაკლებად, თითოეული ადამიანის ყოველდღიურ მოვალეობად უნდა იქცეს“.

ჰარვარდი თანამიმდევრულად იღვწოდა პოლიტიკური ელიტისთვის კადრების მომზადებისათვის. არც სხვაგვარი გზით მასთან კავშირების განმტკიცებას ივიწყებდა. ჯერ კიდევ 1776 წელს, მას შემდეგ, რაც ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით მოქმედმა ამერიკულმა ჯარმა ბოსტონიდან განდევნა ინგლისელები, ჰარვარდის სამეცნიერო და მზრუნველთა საბჭოებმა ერთხმად გადაწყვიტეს განმათავისუფლებელი გენერლისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება. იმავე დღეს მას შესაბამისი დიპლომიც გადასცეს. 13 წლის შემდეგ, ვაშინგტონი ჰარვარდს უკვე, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ისე ეწვია. „საპატიო დოქტორანტურის“ ტრადიცია ჰარვარდის ერთგვარ საფირმო სატყუარად იქცა. მაგალითად, უნივერსიტეტის საპატიო მანტიის ღირსად ჩათვალეს აშშ-ის 13 პრეზიდენტი, მათ შორის —



თეოდორ რუზველტი

ჰარვარდის 6 კურსდამთავრებული: ორი ადამიანი — ჯონი და ჯონ კუინსი, ორი რუზველტი — თეოდორი და ფრანკლინი, ჰეისი და კენედი. ჰარვარდის საპატიო დოქტორებს შორის იყვნენ სხვა ქვეყნების ლიდერები: ბრიტანელი უინსტონ ჩერჩილი, ირანის შაჰი — მოჰამედ რეზა ფეჰლევი, ესპანეთის მეფე — ხუან კარლოს პირველი, ჰელმუტ კოლი, ვაცლავ ჰაველი, ბენაზირ ბხუტო, ელჟარდ შევარდნაძე. მესამე რიგში უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკოსები: ჯორჯ მარშალი, რობერტ კენედი, ალბერტ გორი, მადლენ ოლბრაიტი, კოლინ პაუელი; საზოგადო მოღვაწეები — ბენჯამინ ფრანკლინით დაწყებული, დედა ტერეზათი დამთავრებული; მეცნიერები: ალექსის ტოკვილი, ალბერტ აინშტაინი, სტივენ

პოკინგი; ლიტერატორები: სოლ ბელოუ, რობერტ პენ უორენი, ტორნტონ უაილდერი, ტენესი უილიამსი, კარლოს ფუნტესი, ალექსანდრ სოლჟენიცინი; მუსიკოსები: ლეონარდ ბერნსტაინი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ბენი გუდმენი, ელა ფიტცჯერალდი; მულტიპლიკატორი უოლტ დისნეი.

გამოჩენილი ადამიანებისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების პრაქტიკას ბრწყინვალედ მოფიქრებულ პიარულ (PR — Public Relations — საზოგადოებრივი ურთიერთობები) კამპანიად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან თითოეული ასეთი ცერემონია ყოველთვის იწვევს მასმედიისა და რეკლამის დამკვეთთა ფართო ყურადღებას, საზოგადოებრივი რეზონანსი კი, ახალ აბიტურიენტებსა და, რაც მთავარია, სპონსორებს იზიდავს.

### კოოპერატორები

იმ მორალური წარმოდგენის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად, უნივერსიტეტები ხშირად მთხოვნელის როლში გვევლინებიან, ჰარვარდმა თავად ისწავლა ბევრი ფულის შოვნა. ჯერ კიდევ 1650 წელს მასაჩუსეტისის ხელისუფლებამ ჰარვარდის პრეზიდენტ ჰენრი დანსტერისგან მიიღო თხოვნა, რომლის თანახმად, უნივერსიტეტს 6 მასწავლებლისგან შემდგარი დირექტორთა საბჭოს მქონე კორპორაციის სტატუსი უნდა მინიჭებოდა. დანსტერი არვარდ ჩორპორაციონ-ის — აშშ-ის დასავლეთი სანაპიროს უძველესი კორპორაციის პირველი პრეზიდენტი გახდა.

უნივერსიტეტის ბიუჯეტს სისტემატურად ავსებს სწავლის საფასური (ჰარ-

### ფრანკლინ დელანო რუზველტი



# რადიკალიზაცია



შური გახლავთ უკმაყოფილობა სულისა, გამოძინარე იქიდან, რომ ჩვენთვის სასურველ სიკეთეს ფლობს სხვა კაცი, ვინც ამის ღირსად არ მიგვაჩნია.

## გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი

ზომა აქვს ყველას და ყოველივეს, ყველაფერსა აქვს ბოლოს საზღვარი. **კვინტუს პორაციუს ფლაკუსი**

ბედნიერია, ვინც იცის, რა ცოდნაშია მიშველი.

## ყოფრუა ვალა

რაც არ არის, არ იძლევა ღმერთი! ნუ პიეტრობ და იცოდე ერთი: ვინც სულელად აღიარებს თავსა, შემიძლია ბრძენთა შორის დავსვა, და ვინც იტყვის, რომ ის ბრძენი გახდა თვით პირველი სულელია ნაღდად.

## სებასტიან ბრანტი

ჩვენი სულის სამსალა შურია.

## პენრი ფილდინგი

მონაპოვარს გიქებ, მაგრამ სხვის ბედნიერ მონაპოვარს ხალისით რომ დაფასებ, ნაკლებ საქმედ მიგაჩნია?

## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტანჯვითა და ვაებით გვიხდება სიბრძნის მარცვლის პოვნა, თუ ის წიგნებიდან არ მოგვიპოვება.

## ნიკოლაი გოგოლი

იყო დიდი – ნიშნავს მისცე მიმართულება.

## სტეფან ცვაიგი

უზომო ნდობა საქმესა წაახდენს, გააცულებს.

## სულხან-საბა ორბელიანი

ვარდს იაფფასიან უმაღლეს სასწავლებელს ნამდვილად ვერ უწოდებ), რომელსაც 18 ათასი სტუდენტისა და ასპირანტის უმეტესობა და ცოდნის გასაღრმავებელი კურსის 13 ათასზე სტუდენტი იხდის. უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევის მხარდასაჭერ ფედერალურ ინვესტიციას და დახმარებას იღებს შტატის ბიუჯეტიდან (2000 წელს მან 320 მლნ დოლარი შეადგინა). ამას ემატება ამერიკაში ფართოდ გავრცელებული ე.წ. უდრისინგ – კერძო პირებისა და კომპანიებისგან დამატებითი სახსრების მოსაზიდად განკუთვნილი სპეციალური კამპანია; ჰარვარდის რეკორდია 356 მლნ დოლარი, რომელიც უნივერსიტეტმა 1979-1984 წლებში დააგროვა.

აშშ-ის საუნივერსიტეტო განათლების ფლაგმანი სოლიდური ხარჯვითაც გამოირჩევა. ჰარვარდის წლიური ბიუჯეტის (რომელიც 1,8 მლნ დოლარს შეადგენს) ნახევარზე მეტი იხარჯება ხელსაწყო-დანადგარების შეძენაზე, სამეურნეო და კომუნალურ სამსახურებზე, მშენებლობაზე, სტიპენდიებსა და გრანტებზე. 500 მლნ დოლარამდე მიდის გადასახადებსა და სხვადასხვაგვარ შენატანებზე ქალაქის, შტატისა და ფედერალურ ბიუჯეტში. ჰარვარდში დასაქმებულ მოსამსახურეთა ხელფასებზე. უნივერსიტეტი მუშახელის ერთ-ერთ ძირითად ბაზრად ითვლება მთელ შტატში – მასში 15 ათას კაცამდეა დასაქმებული (მათგან მხოლოდ 2 ათასი მიეკუთვნება სამასწავლებლო შემადგენლობას, დანარჩენი – სამეურნეო ნაწილში, მომსახურების სფეროში, საფინანსო დაწესებულებებში და მმართველობაში დასაქმებული).

## აშშ-ის ამჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა დოქტორის ხარისხი ბრძოლის ველზე დაიმსახურა




ჯონ კენედი

ბული). მათი შრომის ანაზღაურება, ამერიკული (ე.ი. მაღალი) სტანდარტებით ხდება: 2000 წლის მონაცემებით, ბოსტონისა და კემბრიჯის 6 ათასამდე მცხოვრებს ჰარვარდის უნივერსიტეტში გაწეული შრომის საფასურად, 325 მლნ დოლარი აქვს მიღებული (ამრიგად, ყოველთვიური ხელფასი საშუალოდ, 4,5 ათასს აღწევდა).

ნათქვამთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰარვარდმა წვრილმანებზე ფულის შოვნაც ისწავლა. მაგალითად, წიგნით დაინტერესებული ყველა ამერიკელისთვის ცნობილია ბოსტონური წიგნის მაღაზია Co-op. რომელიც კემბრიჯში 1882 წელს გაიხსნა. საერთოდ, ამ რაიონს წიგნის მაღაზიების რაოდენობით პირველი ადგილი უკავია მთელ აშშ-ში; მაგრამ თვით Co-op-ი უნიკალური მოვლენაა. მისი სახელწოდება Co-operative-ის („კოოპერატივი“) შეკვეცილ ვარიანტს წარმოადგენს, თვით კოოპერატივი კი, უპირატესად სტუდენტურია. 4-სართულიან ბოსტონურ „კოოპში“ წიგნით მხოლოდ ორ სართულზე ვაჭრობენ, მეორე ნახევარი დაკავებული აქვს სხვაგვარ ასორტიმენტს – საფირმო ფერების ჰარვარდის „ლეიბლით“ დამუშავებულ ნივთებს, ტანსაცმელს, საიუველირო ნაწარმს, ჭურჭელს, სუვენირებს, საკანცელარიო ნივთებს. ღმა ატერ-ის საფირმო ატრიბუტიკით ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი, მისსავე საქმეს ხმარდება. ეს ვაჭრობა კი საქმოდ წარმატებით მიმდინარეობს: 365 წლის მანძილზე ჰარვარდის ბრენდი საყოველთაოდ ცნობილი გახდა.





პატარა მთხრობა	ინდიელი ხალიჩა	ა	ი	ს	მრავალ-ხმიანობა	საძრახისი თავკადა-სუავალი	ა	ე	ო	პ	ღი, ბანჯე-ლიანი მადლი	ბ	კ	ღი, საზემო კონცერტი	ხ	ი
ღ	ლოს-ანჯელესის გაბიჭული პლაჟი	ე	ო	ცნობილი იტალი-ელი ტენორი	ე	ა	პ	ა	ჰ	მ	ც	რ	კიბოს ცველაზე გემრიელი ნაწილი			
მ	იასონის მუზეუმი	ა	ხ	გ	მ	ნ	ა	პ	ც	ი	ზორასტ-რის წმინდა წყების კრებული	ს	მოგროდ წამოზრ-დილი ვორა			
პ	ე	მ	ა	დედამიწის აიროვანი გარსი	ი	გარდნერი	ნ	ა	ჰ	ა						
ხილის უალკო-პოლო სახელი	გერმანული კოსმე-ტიკური ფირმა	ა	ნ	ე	ი	მ	ც	მ	ი	ფრუნიკას საფარული ფეხბურთე-ლი	ქუთაისი ძველად	ჰ				
ს	ი		თამაში კამათ-ლებით	ე	სამართალ-მკოლნე	ი	ი	კ	ბილიარ-დის სათამაშო გოზი	ა	ი	ა				
არქი პელა-გი წყარო კეანეში					მ		უ									
ინდიელთა ფეხსაცმე-ლი	ჰ	ზომალდის ტვირთი	ნ	მ	ნ	გაფრინ-დაშვილი	ჰ									
	მ	ა	ს	ი	ნ	ა										
საგას-ტროლო მოგზაუ-რობა	ქართულ-ფრანგული ლუდი	ა	ლანგარი	პ	ა	უ	ს									
ღ	უ	ჰ	ნ	ე	გუნოს ოპერა	თანხმობა	ც									
წყნო, კიკო, კოჯორი, მანგლისი	ა	პ	ა	ჰ	ა	ა	ი									
ხის ჩასაბერი საკრავი	მ			მ												

ქსოვილი ბილიარ-დის მავიდაზე	მე-ბერძენი პოეტი ქალი	↙	ს		↘	პირბაღე მიმარ-თულება ისლამში	↙	ქ
↗	მ	ა	უ	ღ	ი			
↘	ქ	მ	გ	ა	ხ			
ღი, ბანჯე-ლიანი მადლი	ნ	მ	↖	ც			გ	
თონის თხელი გრძელი პური	მ	ესპანელი მხატვარი	ი	იარაღის წარმოებით ცნ. ქალაქი გერმანიაში			ქ	

ღი, ბანჯე-ლიანი მადლი	პ	ღი, საზემო კონცერტი	ხ	ი
ზორასტ-რის წმინდა წყების კრებული	ს	მოგროდ წამოზრ-დილი ვორა		
ფრუნიკას საფარული ფეხბურთე-ლი	ქუთაისი ძველად	ჰ		
ბილიარ-დის სათამაშო გოზი	ა	ი	ა	




ღ	ს	ქ	ი	ა	უ	ღ	ი
ქ	ა	ღ	ბ	ა	ღ	ი	ა
ა	ს	კ	ა	ღ	ი	ღ	ა
ქ	ი	ფ	უ	ნ	ა	ღ	ღ
ღ	ი	ა	ღ	ი	ც	ა	ღ
ი	ღ	ი	ღ	ღ	ა	ღ	ღ
ღ	ა	ფ	ა	ღ	ღ	ა	ღ
ბ	ა	ღ	ა	ღ	ი	ღ	ღ
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ი	ნ	ე	გ	ი	მ	ფ	ღ
მ	ი	ნ	ღ	ღ	მ	ღ	ღ
გ	პ	ა	ღ	ღ	ა	ღ	ი
ი	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ღ	ი	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ

28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.



# კვირის (3 - 9 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარნეზი - 22/V-21/VI



საკმაოდ კონფლიქტური და ემოციურად დატვირთული კვირა გექნებათ. ორშაბათსა და ოთხშაბათს განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, როდესაც საქმიანი დისკუსიები პირადულ თემებსაც შეიძლება შეეხოს. თუმცა, უბეტეს შემთხვევაში, პაექრობიდან გამარჯვებული გამოხვალთ.

პირნეზი - 22/VI-22/VII



ოთხშაბათამდე ყველა მნიშვნელოვან საქმეს მოაგვარებთ. ძალიანაც კარგი, რადგან კვირის მეორე ნახევარში შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ ადამიანებთან ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით შეეხება უფროსობას და საერთოდ, თქვენს ზემდგომ ადამიანებს. ეცადეთ, თავშეკავება გამოიჩინოთ: ზედმეტმა ლაპარაკმა ზიანი შეიძლება მოგიტანოთ.

ლოპი - 23/VII-23/VIII




ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს წრიულად მოძრაობთ. აზრების თავმოყრასა და ახალი გზის განსაზღვრაში ბავშვებთან და ასაკით თქვენზე უძველეს ადამიანებთან კონტაქტები დაგეგმარებათ. ამის შედეგად, ენერგიულად განაგრძობთ გზას - იმდენად ენერგიულად, რომ უქმეებში, დასვენების დროსაც ძალზედ აქტიური იქნებით.

ქალნული - 24/VIII-23/IX



ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება დაგეგმარებათ იმაში, რომ უკეთ გაერკვეთ, რისკენ ისწრაფვით და როგორ უნდა მიადწინოთ დასახულ მიზანს. კვირის შუა პერიოდში შეიძლება ძალზედ ხმაურიან წვეულებაზე აღმოჩნდეთ, მეორე დილით კი, ენერჯის დიდ მოზღვავებას იგრძნობთ და იქიდან მოყოლებული, წარმატებებისა და მიღწევების პერიოდი დაგეგმვებათ.

სასწორი - 24/IX-23/X




ნაცნობა წრის გაფართოების საშუალება მოგეცემათ, თუმცა, არც ძველ მეგობრებთან ურთიერთობაზე უნდა თქვათ უარი. ნებისმიერი პარტნიორული ურთიერთობა თქვენთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, სრულიად მოულოდნელი რჩევა კი, წარმატების მომტანი იქნება. გათვალისწინეთ, რომ ამ პერიოდში არანაირ წინადადებაზე დაუფიქრებლად არ უნდა თქვათ უარი: თქვენი შინა თქვენთან ახლოს არის.

ღრინეპალი - 24/X-22/XI



სავსებით შესაძლებელია, რომ ამ კვირაში სამსახურში, თქვენთვის სასიამოვნო სიახლე მოხდეს. ეს ან დაწინაურება იქნება, ან გასამრჯელოს გაზრდა. ნათელია, რომ ამგვარი სიახლე ახალი მიღწევებისთვის განაწყობთ. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ძირითადად ბავშვებზე ზრუნვით იქნებით დაკავებული.

მეშოლდოსანო - 23/XI-21/XII



შეიძლება, ამბიციების მოძალება იგრძნობთ და უმაღლესი საყოველთაო პატივისცემის მოსახვეჭად დაიწყეთ ქმედება. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ იცოდეთ, რომ ასეთ დროს შეცდომის დაშვებაც ძალიან ადვილია. ნუ ესწრაფვით ლიდერობას - შეიძლება, ეს არ გამოგივიდეთ.

მხის რბი - 22/XII-20/I



ეს კვირა ძალზედ ხელსაყრელია ზოგადად, ყოველგვარი ახალი წამოწყებებისა და კერძოდ, სამსახურებრივი ცვლილებებისთვის. ამასთან, წარმატებას მოგიტანთ ნებისმიერი საქმე, რომელიც განათლებასთან, იურიისპრუდენციასთან ან პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. ურიგო არ იქნება, თუ კვირის შუა პერიოდში დროს სპორტსაც დაუთმობთ.

მარნეზი - 21/VI-19/VII




ადამიანების გაგების საოცარ უნარს გამოამყვანებთ. ამის შედეგად, ძალზედ სანდომიან ურთიერთობებს დაამყარებთ, რომელიც თქვენი მიზნების მისაღწევად გამოადგებათ. ოღონდ, საკუთარი ინტერესების დასაცავად, რომელიც ზნეობასთან კომპრომისზე ნუ წახვალთ.

თეზეზი - 20/VII-20/VIII



დროა, შევხულებაზე იფიქროთ. ოღონდ, გზას ორშაბათს ნუ გაუღებთ: ამ დღეს, რომელიც ნებისმიერი საქმის მოსაგვარებლად არის ხელსაყრელი, ბევრი წვრილმანი შეიძლება გამოგრჩეთ, თანაც, დასახული გეგმებიც შეიძლება აგერიოთ. ამიტომ, სჯობს, ყველა საქმე „დაამრგვალოთ“ და ამის შემდეგ გაეშუროთ ბილეთების შესამქნად.

მარპი - 21/VIII-20/IV



ყველა გარემოება თქვენს სასარგებლოდ „იმუშავებს“: კვირის დასაწყისში თავისუფლად გაუქმლავდებით ნებისმიერ საქმეს, ისეთი კი, რაც მეტისმეტად ძნელი მოგეჩვენებათ, თავისთავად მოგვარდება. კვირის ბოლოსთვის გამორიცხული არ არის მოულოდნელობა, სიურპრიზები და შესვედრები მნიშვნელოვან პერსონებთან, რაც მთავარია, თქვენ თავად, მოწოდების სიძალადეზე იქნებით.


მარპი - 21/IV-21/V



კვირის დასაწყისში თქვენთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იქნება. სამაგიეროდ, შრომისუნარიანობა დაგიქვეითდებათ, მაგრამ ამას ნუ იდარდებთ: ოთხშაბათიდან სიტუაცია შეიცვლება და თუმცა სიძნელეებს ვერ გაექცევით, ყველა ამოცანას წარმატებით მოაგვარებთ. რაც შეეხება უქმეებს - ძალიან სასიამოვნო იქნება.



# რა აღგილი აქვს ტანსაცმელს თქვენს ცხოვრებაში?



1) წარმოიდგინეთ, რომ სრულიად მოულოდნელად, ხელში ფული ჩაგვივარდათ. რას იყიდით?

- ა) სარეცხ მანქანას - 0;
- ბ) ახალ ტანსაცმელს - 1;
- გ) ტელევიზორს - 2;
- დ) არ იცით, რადგან ფულს უშეტესად, უაზროდ ხარჯავთ ხოლმე - 3.

2) როგორი რეაქცია გეჩვენათ, თუ წვეულებაზე წასვლის წინ, თქვენს საუკეთესო გამოსასვლელ ტანსაცმელს ვინმე ალუბლის წვეს გადასხამს?

- ა) ყველა საქმეს მიატოვებთ და ქიშქმენდაში გაქანდებით - 0;
- ბ) იმ დღისთვის რაიმე სხვა ტანსაცმელს მოძებნით და წვეულებაზე წახვალთ, ქიშქმენდას კი მორე დღეს მიაკითხავთ - 1;
- გ) ტანსაცმელს სასწრაფოდ თვითონვე მოაწესრიგებთ - 2;
- დ) აღშფოთდებით და მაგრად წაიწხებებით დამნაშავეს - 3.

3) თქვენი აზრით, რას აღნიშნავს ტანსაცმლის შევნიღ დაკრებული იარაღი?

- ა) რა თქმა უნდა, ტანსაცმლის მოვლის წესებს - 0;
- ბ) რეცხვის ტემპერატურასა და დაუთოების რეჟიმს - 1;
- გ) ეს არასოდეს გაინტერესებდათ - 2;
- დ) ტანსაცმლის ფასს - 3.

4) როდის ალაგებთ ხოლმე ტანსაცმლის კარდას?

- ა) ყოველ კვირას - 0;
- ბ) თვეში ერთხელ - 1;
- გ) წელიწადში ორჯერ, ზამ-

ადამიანები ძალიან დიდ დროს, ენერგიასა და ფულს ხარჯავენ იმისთვის, რომ კარგად გამოიყურებოდნენ. ტანსაცმელი კი, ამ თვალსაზრისით, უმთავრესია. დიდი ხანია, რაც ანექლოტიების თემად იქცა ქალი, რომელიც ტანსაცმლით საგსე კარადის წინ დგას და ამბობს, რომ ჩასაცმელი არა აქვს, მაგრამ კარგად თუ დაუკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ მსგავს სიტუაციაში, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თავადაც ყოფილხართ. ამას კი უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ტანსაცმელთან თქვენი დამოკიდებულების განსაზღვრაში, ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ.

თრის და ზაფხულის დადგომის წინ - 2;

დ) კარდას მაშინ ალაგებთ, როცა ხვდებით რომ საჭირო ტანსაცმლის პუნა იქ შეუძლებელი ხდება - 3.

5) როგორ იქცევით, როცა ტანსაცმელი თანდათან პირვანდელ სახეს კარგავს?

ა) ცდილობთ, მოაწესრიგოთ და თუ ამას ვერ მოახერხებთ, კარდასში თაროზე იმ ტანსაცმელთან ერთად მოათავსებთ, რომლის გადაადგება გიჭირთ - 0;

ბ) ეცდებით, ხანდახან მაინც ჩაიცვათ - 1;

გ) გადაადგებთ ან ღარიბ მეზობელს აჩუქებთ - 2;

დ) ლამაზად შეუუთავთ და ბეჭიას მითრთმქვეთ დაბადების დღეს - 3.

6) როგორ ავსებთ საკუთარ გარდერობს?

ა) ზუსტად იცით, რა ტანსაცმელი გჭირდებათ და სწორედ მას იძენთ ხოლმე - 0;

ბ) იძენთ მხოლოდ იმ ტანსაცმელს, რომელიც ზუსტად ესადაგება თქვენს სტილს - 1;

გ) მხოლოდ ტანსაცმლის კომპორტულობაზე ზრუნავთ - 2;

დ) მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და ნაცნობ-მეგობრების რჩევებს ითვალისწინებთ - 3.

7) როგორ მოიქცევით, თუ ძალიან მოგეწონებათ მეგობრის მიერ შექმნილი ტანსაცმელი?

ა) სოსოვით, რომ მოგყიდოთ და უფრო მეტ თანხას შესთავაზებთ, ვიდრე თავად აქვს გადახდილი - 0;

ბ) მაშინვე მაღაზიებში გაქანდებით და ეცდებით, ბევრად უკეთესი ტანსაცმელი შეიძინოთ - 1;

გ) შეგშურდებით, რადგან თქვენ ასეთ ლამაზ და მოხერხებულ ტანსაცმელს ვერ პოულობთ - 2;

დ) მაშინვე ტანსაცმლის ფასონს გადაინახტავთ და მკერავთან გაქანდებით - 3.

8) თქვენი ყველაზე საყვარელი ნივთი:

ა) მეგობრის მიერ ნაჩუქარი რაიმე ტანსაცმელი - 0;

ბ) თბილი და მოხერხებული სვიტერი - 1;

გ) ასეთი ნივთი არ გაქვთ - 2;

დ) სახლის რბილი ფაჩუჩები - 3.

9) თქვენი აზრით, რაში სჭირდება ადამიანს ტანსაცმელი?

ა) კარგი განწყობის შესაქმნელად - 0;

ბ) ტანსაცმელი ადამიანს აშკენებს - 1;

გ) კლიმატური ცვლილებებისგან თავის დასაცავად - 2;

დ) უბრალოდ, ტანსაცმლის ტარება საყოველთაო წესია - 3.

10) ვიფაროთ თუ არა მაღაზიებში ზეტიალი?

ა) ეს თქვენი უსაყვარლესი გართობაა - 0;

ბ) ეს პროცესი ხანდახან სიამოვნებას განიჭებთ - 1;

გ) არ ვიფაროთ და ცდილობთ, ტანსაცმლის შესაქმნად დროისა და ენერგიის მინიმუმი დახარჯოთ - 2;

დ) მაღაზიებში სიარული გუნებას გიფუჭებთ, რადგან თვალები გავირბით და ბევრ რამეზე გწყდებათ ხოლმე გული - 3.

## დააჯამით მუღები

0-6 ქულა: ტანსაცმელს პირდაპირ აღმერთებთ! მთელი თქვენი ცხოვრება, მხოლოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული პრობლემებით ხართ დაკავებული. სამოსზე გაჩენილ უბრალო ლაქასაც კი შეუძლია, ნამდვილ დეპრესიაში ჩაგაგდოთ. იქნებ სჯობდეს, მეტი ყურადღებით მიმოიხედოთ ირგვლივ, რათა შეამჩნიოთ, რომ ტანსაცმლის გარდა, ადამიანს ცხოვრებაში სხვა ინტერესებიც შეიძლება ჰქონდეს.


7-14 ქულა: ტანსაცმელი ძალიან გიყვართ, მას კარგად უყვლით და უფრთხილდებით. ამას იმისთვის აკეთებთ, რომ კარგად გამოიყურებოდეთ. საკუთარი სტილი და საუცხოო გემოვნება გაქვთ, ამიტომ თქვენი გარდერობის ყველა ნივთი მშვენივრად ესადაგება ერთმანეთს.

15-22 ქულა: ტანსაცმლის მიმართ თქვენ დამოკიდებულებას თამამად შეიძლება ეწოდოს გულგრილი. სამოსს ყურადღებას მხოლოდ მაშინ აქცევთ, როცა ვინმეზე განსაკუთრებული შთაბეჭ-

დების მოხდენა გსურთ, ჩვეულებრივ დღეებში კი, თქვენი გარეგნობა ნაკლებად გაღელვებთ; დაკავებული ადამიანი ხართ და ამ წერილმანებზე დროის კარგა მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ, ამიტომ ჭუნაში სეირნობის დროს, ჩვეულებრივ, მოდური ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინები არ გაინტერესებთ. თქვენი ეს თვისებები ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც მტკიცედდება - პიროვნების ღირსეუბები და ადამიანის ხასიათი თქვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სამოსი.

23-30 ქულა: ტანსაცმელი საერთოდ არ გიყვართ. ნებისმიერი ახალი ნაყიდი ნივთი მორე დღესვე თქვენთვის ხიბლს კარგავს და გეჩვენებათ, რომ ის საერთოდ არ გიხდებათ, მაღაზიებში სიარულისას გაწეული გარჯა და დახარჯული ფინანსები კი - უმიზნოდ არის გაფლანგული. ამიტომაც, ყოველდღე ერთსა და იმავე ტანსაცმელში გამოწყობილი დადინხართ და ამოჩემებულ ნივთებს ვერ ეღვივით.






# ავსტრალიაში ახალი ჩანთები გამოჩნდა

მოდის ავსტრალიური მაღაზიების Quick Brown Fox-ის ქსელში გამოჩნდა ჩანთები, რომელზეც 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის ამსახველი სურათია აღბეჭდილი. გამოსახულება მძივებითაა ამოქარგული და მასზე ასახულია ის მომენტი, როცა ერთ-ერთი თვითმფრინავი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ შენობას ეჯახება. ჩანთები ჰეიქინშია დამზადებული და 87 დოლარი ღირს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ჩანთები ძალიან ბევრს მოეწონა და სიდნეისა და მელბურნში მათი შექმნა უკვე შეუძლებელიც კი გახდა. მეორე მხრივ, ამ ჩანთებმა, ტერაქტის დროს დაღუპული ადამიანების ნათესავები აღაშფოთა. ისინი კომპანიას სხვის უბედურებაზე გამდიდრებაში ამხელენ. თუმცა, მაღაზიების

ქსელის მებატრონე ირწმუნება, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მოვლენების მხატვრული ინტერპრეტაციაა და ამ ჩანთებს ბევრი, სუვენირად იძენს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერაქტის ამსახველი სიმბოლიკის კომერციული მიზნით გამოყენების პირველი ფაქტი როდია: ტრაგედიიდან ძალიან მოკლე ხანში, ინდოეთში იყიდებოდა დამწვარი ცათამბჯენების გამოსახულებიანი მისურები, ნიუ-იორკში კი ქუჩის მოვაჭრეები მსურველებს მეხანძრეებისა და პოლიციელების სიმბოლიკიან ნივთებს სთავაზობდნენ.

## სიმახიდე ვამპირების შესახებ

ლოკუმენტალისტთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, შექმნას ფილმი, რომელიც ბოლოს მოუღებს ვამპირების შესახებ არსებულ მითებს. ამისათვის National Geographic-ის სატელევიზიო არხის გადაღები ჯგუფი რუმინეთში, იმ ადგილებში აპირებს გაბეზვრებას, რომელთადაც დაკავშირებულია „ცვლა სისხლისმსმელის უხეაესი ბელადის“ – გრაფი დრაკულას შესახებ გავრცელებული ლეგენდები. სატელევიზიო ჯგუფთან ერთად, ფილმზე მუშაობას ცნობილი მეცნიერები და ისტორიკოსებიც აპირებენ. ფილმში ისინი ერთობლივი ძალებით ეცდებიან იმის ახსნას, თუ რატომ სჯერა ხალხს უხსოვარი დროიდან, მითი მიცვალებულთა გაცოცხლების შესახებ. მეცნიერთა აზრით, მითი ვამპირების შესახებ მხოლოდ იმის გამო გაჩნდა, რომ იმ დროს ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ როგორ იხრწნებოდა მიცვალებული და იმაში დასარწმუნებლად, რომ ადამიანი მკვდარი იყო, გვამს თურმე ხშირად. გულს უხვრეტდნენ ან თავს სჭრიდნენ.



## ისხაედში შიშველი ქათმები გამოიყვანეს

ისრაელელმა ბიოლოგმა უბუბულ ქათმების ჯიში გამოიყვანა. გარდა იმისა, რომ ასეთ ქათმებს გაპუტვა არ სჭირდება, სხვა „თანამოძებთან“ შედარებით, კიდევ რამდენიმე ღირსებით გამოირჩევიან, კერძოდ: უჩვეულოდ სწრაფად იზრდებიან ცხელი კლიმატის პირობებში და არ უგროვდებთ ბევრი ცხიმი. ქათმის ამ ჯიშის გამოყვანი იწყება, რომ მისი პირში კარგად შეეუება იმ ცხელ ქვეყნებს, სადაც ჩვეულებრივი ბროილერები ნელა იზრდებიან, რადგან ბუბულის გამო, მათი სხეული ძალიან ხურდება. თუმცა, შიშველი ქათმების გამოყვანას მკაცრად ეწინააღმდეგებიან ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები. „მიგვანია, რომ ამით ცხოველის ტრავმირება ხდება და საზოგადოება ამას არ მიიღებს“, – აცხადებენ ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრების“ წევრები.



# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ზურაბ ნოლაიდელმა.

**ვულოცავთ ბატონ ზურაბს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

### არის ფინიუი!!!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დაავროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავლეთ სამშაბათის (4 ივნისის) 13 საათამდე.






„ფანტაზია“  
არის  
ფინიში!!!



„ფანტაზიორობს  
გაითხველი“  
კორუფციის სვაფები



# სიძვილი ჯანმრთელობა!



**იპიტხაით ყოველ  
სამუშაბათს,  
იხინაით ყოველდღე!**